

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო-სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2012, №5

სამოქალაქო
პროცესი

სამიუბელი

საქმის წარმოების შეჩერება
უფლებამონაცვლის დადგენამდე
სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება
სააღსრულებო ფურცლის გაცემა
გადაწყვეტილების აღსრულების შეწყვეტა
საქმის წარმოების შეწყვეტა
საჩივარზე უარის თქმის გამო
საქმის წარმოების შეწყვეტა
მხარეთა მორიგების გამო

საქმის წარმოების შეჩერება უფლებამონაცვლის დადგენამდე

განჩინება

№ას-21-21-2012

1 მარტი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ქონების ყადაღისგან განთავისუფლება

აღწერილობითი ნაწილი:

ნა., ნ. და მ. გ-ებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში აჭარის სააღსრულებო ბიუროს, თ. გ-ასა და დ. ა-ძის მიმართ ქონების ყადაღისგან განთავისუფლების შესახებ.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 19 მაისის გადაწყვეტილებით ნა., ნ. და მ. გ-ების სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გასაჩივრეს მოსარჩელებმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით აპელანტების სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რაც საკასაციო წესით გასაჩივრა მ. გ-ამ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 16 იანვრის განჩინებით მ. გ-ას მიეცა ვადა ხარვეზის შესავსებად, რადგან საკასაციო საჩივარზე არ იყო გადახდილი სახელმწიფო ბაჟი და არ იყო განსაზღვრული დავის საგნის ღირებულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 3 თებერვლის განჩინებით მ. გ-ას გაუგრძელდა ხარვეზის შევსების ვადა.

საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა მ. გ-ას წარმომადგენელმა გ. წ-ემ და აღნიშნა, რომ კასატორი მ. გ-ა გარდაიცვალა. აღნიშნული საფუძველით იშუამდგომლა საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე კასატორის უფლებამონაცვლის დადგენამდე. კასატორის წარმომადგენელმა წარმოადგინა მ. გ-ას გარდაცვალების მოწმობის ასლი, რომლის თანახმად, მ. გ-ა გარდაიცვალა 2012 წლის 3 თებერვალს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საქმის წარმოება, ნა., ნ. და მ. გ-ების სარჩელის გამო, აჭარის სააღსრულებო ბიუროს, თ. გ-ასა და დ. ა-ძის მიმართ ქონების ყადაღისგან განთავისუფლების შესახებ უნდა შეჩერდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 თებერვლის განჩინებით მ. გ-ას გაუგრძელდა ხარვეზის შევსებისთვის დადგენილი ვადა. აღნიშნულ საქმეზე კასატორს წარმოადგენდა მ. გ-ა.

მ. გ-ას წარმომადგენლის – გ. წ-ძის განცხადებით, ასევე მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით, კერძოდ, გარდაცვალების მოწმობით ირკვევა, რომ კასატორი მ. გ-ა გარდაიცვალა 2012 წლის 3 თებერვალს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო ვალდებულია, შეაჩეროს საქმის წარმოება მოქალაქის გარდაცვალებისას, თუ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა დასაშვებად თვლის უფლებამონაცვლეობას. ამავე კოდექსის 281-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ასეთ შემთხვევაში საქმის წარმოების შეჩერება შესაძლებელია გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს რა ქონების ყადაღისგან განთავისუფლება, მხარეთა საპროცესო უფლებამონაცვლეობა დასაშვებია, რის გამოც საქმის წარმოება უნდა შეჩერდეს მ. გ-ას უფლებამონაცვლის დადგენამდე, მაგრამ გარდაცვალებიდან 7 თვის განმავლობაში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, 279-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, 281-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

სამოქალაქო საქმის წარმოება მ. გ-ას საკასაციო საჩივარზე, საქმეზე – ნა., ნ. და მ. გ-ების სარჩელის გამო, აჭარის სააღსრულებო ბიუროს, თ. გ-ასა და დ. ა-ძის მიმართ ქონების ყადაღისგან განთავისუფლების შესახებ უნდა შეჩერდეს მ. გ-ას უფლებამონაცვლის დადგენამდე – მ. გ-ას გარდაცვალებიდან 7 თვემდე.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეჩერება უფლებამონაცვლის დადგენამდე

განჩინება

№ას-473-447-2012

31 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: უძრავ ნივთზე უფლებადაკარგულად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ს. ხ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ქ. დ-ის მიმართ მის მფლობელობასა და სარგებლობაში არსებული წყალტუბოში, ... ქუჩა №1/5-ში მდებარე 2-ოთახიანი კომუნალური ბინის ფართზე მოპასუხის უფლებადაკარგულად ცნობის მოთხოვნით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით ს. ხ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მან გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოებისას ს. ხ-ის გარდაცვალების გამო მის უფლებამონაცვლედ საქმეში ჩაება შ. ა-ი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილებით შ. ა-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და შ. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ქ. დ-ი ცნობილ იქნა წყალტუბოში, ... ქ. №1/5-ში მდებარე ფართზე უფლებადაკარგულად.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება ქ. დ-მა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 16 მაისის განჩინებით ქ. დ-ის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას შ. ა-ის მეუღლე ლ. ა-მა განცხადებით მიმართა პალატას და, მეუღლის გარდაცვალების გამო, იშუამდგომლა საქმის განხილვის შეჩერების შესახებ უფლებამონაცვლის დადგენამდე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. ა-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს და საქმის წარმოება მოცემულ სამოქალაქო საქმეზე უნდა შეჩერდეს გარდაცვლილი შ. ა-ის უფლებამონაცვლის დადგენამდე, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მოქალაქის გარდაცვალებისას, თუ სადავო-სამართლებრივი ურთიერთობა დასაშვებად თვლის უფლებამონაცვლეობას, ან იმ იურიდიული პირის არსებობის შეწყვეტისას, რომელიც საქმეში მხარეს წარმოადგენს.

დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლო შეაჩერებს საქმის წარმოებას, თუ ერთ-ერთი მხარე გარდაიცვალა, ხოლო, სადავო სამართლებრივი ურთიერთობის ბუნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია გარდაცვლილის უფლებამონაცვლედ საქმეში სხვა პირის ჩართვა.

განსახილველ შემთხვევაში სსიპ „სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს წყალტუბოს სამსახურის“ მიერ 2012 წლის 23 აპრილს გაცემული გარდაცვალების მოწმობით ირკვევა, რომ 2012 წლის 19 აპრილს გარდაიცვალა მოსარჩელე ს. ხ-ის უფლებამონაცვლე შ. ა-ი.

განსახილველი დავა ეხება უძრავ ნივთზე უფლებადაკარგულად ცნობას, შესაბამისად, იგი განეკუთვნება იმ კატეგორიის საქმეთა რიცხვს, რომელშიც უფლებამონაცვლეობა დასაშვებია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 281-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, საქმის წარმოება შეჩერდება ამ კოდექსის 279-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა. მოსარჩელის გარდაცვალებისას, თუ ამ ვადის გასვლის შემდეგ საქმეში უფლებამონაცვლე არ ჩაერთო, სარჩელი განუხილველად დარჩება. ასევე განუხილველად დარჩება მოსარჩელის მიერ შეტანილი სააპელაციო და საკასაციო საჩივრები.

ამდენად, მხარის გარდაცვალებისას საქმის წარმოება ჩერდება მისი უფლებამონაცვლის დადგენამდე, თუმცა კანონმდებელი განსაზღვრავს საქმის წარმოების შეჩერების მაქსიმალურ ვადას – ერთ წელს, რა დროის განმავლობაშიც უნდა დადგინდეს მოსარჩელის უფლებამონაცვლე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ლ. ა-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს და ქ. დ-ის საკასაციო საჩივრის განხილვა უნდა შეჩერდეს შ. ა-ის უფლებამონაცვლის დადგენამდე, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ლ. ა-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.

შეჩერდეს წარმოება სამოქალაქო საქმეზე – ს. ხ-ის უფლებამონაცვლე შ. ა-ის სარჩელის გამო ქ. დ-ის მიმართ უძრავ ნივთზე უფლებდაკარგულად ცნობის შესახებ შ. ა-ის უფლებამონაცვლის დადგენამდე, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა.

საკასაციო სასამართლოს განცინება საბოლოო და არ გასაჩივრდება.

სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება

სააღსრულებო ფურცლის გაცემა

განჩინება

№ას-898-846-2010

13 აპრილი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

თ. თოდრია

დავის საგანი: ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ს-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ს-მის მიმართ სესხის დაბრუნების შესახებ იმ საფუძველით, რომ 2009 წლის 25 მარტს მოპასუხეს ასესხა 2000 აშშ დოლარი და 2300 ლარი. მ. ს-მეს სესხი არ დაუბრუნებია.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის შესაბამისად, მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებით ნ. ს-მის სარჩელი დაკმაყოფილდა, მ. ს-მეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2000 აშშ დოლარისა და 2300 ლარის გადახდა, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 ივლისის განჩინებით მ. ს-მის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მ. ს-მემ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 ნოემბრის განჩინებით მ. ს-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება, ამავე განჩინებით მ. ს-მეს დაუბრუნდა სააპელაციო წარმოების გამო გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 239.65 ლარი.

მ. ს-მემ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების ნაწილში ამავე სასამართლოს 2010 წლის 25 ნოემბრის განჩინებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მ. ს-მის განცხადება სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

«სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» საქართველოს კანონის მე-20 მუხლის 1-ელი ნაწილის 1-ელი წინადადების თანახმად, სააღსრულებო წარმოება არ დაიშვება სააღსრულებო ფურცლის (დედნის) გარეშე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, სააღსრულებო ფურცელი გაიცემა იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც ამ კანონით ექვემდებარება აღსრულებას. სააღსრულებო ფურცელი გაიცემა კრედიტორზე.

დასახელებული კანონი ითვალისწინებს აღსასრულებელ გადაწყვეტილებაზე მხოლოდ ერთი სააღსრულებო ფურცლის გაცემას, ამასთან დადგენილი წესისაგან გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენს «სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» საქართველოს კანონის 22-ე მუხლი, როდესაც ერთ გადაწყვეტილებაზე მისი მიმღები ორგანო გაცემს რამდენიმე სააღსრულებო ფურცელს. აღნიშნული დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების აღსრულება განხორციელდება რამდენიმე ადგილას, გადაწყვეტილება გამოტანილია რამდენიმე მოსარჩელის სასარგებლოდ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, ასევე დასაშვებია სააღსრულებო ფურცლის დაკარგვის შემთხვევაში მისი დუბლიკატის გაცემა (23-ე მუხლის დანაწესი).

განსახილველი საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 ნოემბრის განჩინებით მ. ს-მეს დაუბრუნდა სააპელაციო წარმოების გამო გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 239.65 ლარი.

კერძო საჩივრის დამაყოფილებაზე უარის თქმის განჩინებასთან ერთად მ. ს-მეს გაეგზავნა სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხის დაბრუნების ნაწილში გაცემული სააღსრულებო ფურცელი დედნის სახით.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში დაბრუნებული სასამართლო შეტყობინების ჩაბარების დამადასტურებელი გზავნილით ირკვევა, რომ სააღსრულებო ფურცელი ადრესატს საქმეში მითითებულ მისამართზე ჩაბარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით (მტკიცებულება დაერთვის საქმეს).

მ. ს-მემ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების ნაწილში ამავე სასამართლოს 2010 წლის 25 ნოემბრის განჩინებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემა.

ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ, ვინაიდან სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების ნაწილში ერთხელ უკვე გაიცა სააღსრულებო ფურცელი და იგი კანონით დადგენილი წესის დაცვით ჩაბარდა კრედიტორს, არ არსებობს სააღსრულებო ფურცლის განმეორებით გაცემის საფუძველი.

რაც შეეხება საარსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემას, აღნიშნული განმცხადებელს არ მოუთხოვია და არც სააღსრულებო ფურცლის დედნის დაკარგვის ფაქტი დაუდასტურებია სასამართლოს წინაშე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ელი და მე-3 ნაწილები ადგენს, რომ თითოეული მხარე ვალდებულია სათანადო მტკიცებულების სასამართლოსათვის წარდგენის გზით დაადასტუროს მისი მოთხოვნისა თუ შუამდგომლობის საფუძვლიანობა, ამასთან, მტკიცებულება, განკუთვნილობის თვალსაზრისით, უტყუარად უნდა ადასტურებდეს შუამდგომლობაში მითითებული გარემოების დასაბუთებულობას.

მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელმა მოითხოვა რა სააღსრულებო ფურცლის გაცემა, მას სასამართლოსათვის არ წარუდგენია სათანადო მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა სააღსრულებო ფურცლის დაკარგვისა და საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 25 ნოემბრის განჩინების აღუსრულებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მ. ს-მის განცხადება სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, «სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» საქართველოს კანონის 23-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მ. ს-მის განცხადება სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესახებ არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააღსრულებო ფურცლის გაცემა

განჩინება

№ას-160-154-2011

11 მაისი, 2011 წ., ქ.თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია**

დავის საგანი: გარიგების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, ნივთის მიკუთვნება

აღწერილობითი ნაწილი:

ი. ს-შვილის კანონიერმა წარმომადგენელმა ლ. ე-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ნოტარიუს გ. ბ-შვილისა და კ. ს-შვილის მიმართ სამკვიდრო ქონების თანამემკვიდრეთა შორის განაწილების თაობაზე 2007 წლის 4 აგვისტოს გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

თელავის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირად შპს «ბანკი ...» ჩაბმულ იქნა სამოქალაქო დავაში. ამავე სასამართლოს 2008 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ნოტარიუსმა გ. ბ-შვილმა და კ. ს-შვილმა გასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 10 თებერვლის განჩინებით ნოტარიუს გ.ბ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად. ამავე სასამართლოს 2009 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით კი კ. ს-შვილის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით ი. ს-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ნოტარიუს გ. ბ-შვილის მიერ 2007 წლის 4 აგვისტოს გაცემული №2-119 სანოტარო აქტი კ. ს-შვილისათვის მთელი სამკვიდრო ქონების 1/7-ის გადაცემის ნაწილში.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კ. ს-შვილის წარმომადგენელმა გ. ყ-შვილმა გაასაჩივრა საკასაციო წესით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 31 მაისის განჩინებით განუხილველად იქნა დატოვებული, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

2010 წლის 31 აგვისტოს ი. ს-შვილის კანონიერმა წარმომადგენელმა ლ. ე-შვილმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 იანვრის განჩინებით: 1) ი. ს-შვილის კანონიერი წარმომადგენლის – ლ. ე-შვილის განცხადება გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე დაკმაყოფილდა; 2) განიმარტა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტი და ამ ნაწილში კონკრეტულად მიეთითა კ. ს-შვილის რომელი ქონების 1/7 წილის გადაცემის ნაწილში იქნა ცნობილი ბათილად ნოტარიუს გ. ბ-შვილის 2007 წლის 4 აგვისტოს №2-119 სანოტარო აქტი; 3) სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბდა იმდაგვარად, რომ ბათილად იქნა ცნობილი ნოტარიუს გ. ბ-შვილის 2007 წლის 4 აგვისტოს №2-119 სანოტარო აქტი კ. ს-შვილზე მთელი სამკვიდრო ქონების 1/7-ის გადაცემის ნაწილში, კერძოდ, მიეთითა კ. ს-შვილისათვის თითოეული ქონების 1/7.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კ. ს-შვილმა შეიტანა კერძო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 მარტის განჩინებით კ. ს-შვილის კერძო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 13 სექტემბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი და ამავე პალატის 2009 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილების მე-4 პუნქტი განიმარტა იმდაგვარად, რომ 2007 წლის 4 აგვისტოს №2-119 სანოტარო აქტი ბათილად იქნა ცნობილი კ. ს-შვილისათვის კონკრეტულად მითითებული ქონების 1/7 წილის მიკუთვნების ნაწილში.

ი. ს-შვილის კანონიერმა წარმომადგენელმა ლ. ე-შვილმა განცხადებით მიმართა საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 23 მარტის განჩინებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები და მიაჩნია, რომ ი. ს-შვილის კანონიერ წარმომადგენელ ლ. ე-შვილის განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი საფუძვლებით:

«სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, აღსრულებას ექვემდებარება კერძო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, განჩინება და დადგენილება.

კანონის დასახელებული დანაწესი გულისხმობს, რომ სააღსრულებო ფურცელი ამოიწერება და აღსრულება მოხდება სასამართლოს მხოლოდ ისეთ გადაწყვეტილებასა თუ განჩინებაზე, რომლითაც საქმე არსებითად გადაწყდა.

მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელი სააღსრულებო ფურცლის ამოწერას მოითხოვს საკასაციო სასამართლოს განჩინებაზე, რომლითაც სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება განიმარტა. აღნიშნულს კი მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

რაც შეეხება საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 23 მარტის განჩინებას, მისი შინაარსი გათვალისწინებულ უნდა იქნას მოცემულ საქმეზე მიღებული ძირითადი გადაწყვეტილების აღსრულებისას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ი. ს-შვილის კანონიერ წარმომადგენელ ლ. ე-შვილის განცხადება დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ი. ს-შვილის კანონიერ წარმომადგენელ ლ. ე-შვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 მარტის განჩინებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააღსრულებო ფურცლის გაცემა

განჩინება

№ას-24-23-2010

3 თებერვალი 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: საიჯარო ქირის დავალიანების დაკისრება, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 მაისის განჩინებით შპს «ს. რ-ს» საკასაციო საჩივარი შპს «ქ. I-ის» მიმართ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 ნოემბრის განჩინებაზე, საიჯარო ქირის დავალიანების დაკისრებისა და ზიანის ანაზღაურების შესახებ, დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო, ამავდროულად განჩინებით კასატორს დაუბრუნდა მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 8000 ლარის 70% – 5600 ლარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განცხადებით მომართა შპს «ს. რ-ს» წარმომადგენელმა ი. კ-იმ და მოითხოვა საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ განჩინების საფუძველზე დაბრუნებული სახელმწიფო ბაჟის მისაღებად სააღსრულებო ფურცლის გაცემა.

აღნიშნული განმცხადებლის საფუძველზე გამოთხოვილი სამოქალაქო საქმის მასალებით დადასტურდა, რომ კასატორ შპს «ს. რ-ს» საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 მაისის განჩინებასთან ერთად გაეგზავნა სააღსრულებო ფურცელიც, რის თაობაზეც ეცნობა განმცხადებელს, ასევე განემარტა, რომ სააღსრულებო ფურცლის დაკარგვის დამადასტურებელი მტკიცებულებისა და სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების ნაწილში საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 6 მაისის განჩინების აღუსრულებლობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენის შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო გასცემდა სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატს.

საკასაციო სასამართლოს აღნიშნული მიმართვა შპს «ს. რ-ს» კანცელარიას ჩაბარდა 2011 წლის 25 იანვარს, თუმცა განმცხადებელს მიმართვაში აღნიშნული მტკიცებულებები სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ შპს «ს. რ-ს» წარმომადგენელ ი. კ-იას განცხადება სააღსრულებო ფურცლის (ან მისი დუბლიკატის) გაცემის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

«სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» საქართველოს კანონის 23-ე მუხლის თანახმად, სააღსრულებო ფურცლის დაკარგვის შემთხვევაში სასამართლოს, რომელმაც გასცა პირველი ეგზემპლარი, შეუძლია გასცეს დუბლიკატი.

დასახელებული ნორმა ადგენს, რომ სააღსრულებო ფურცლის გამცემი სასამართლო გასცემს სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატს იმ შემთხვევაში, თუ მხარემ დაკარგა სააღსრულებო ფურცლის დედანი. ამასთან, საქმის მასალებით დასტურდება, რომ მხარეს სააღსრულებო ფურცლის პირველი ეგზემპლარი გაეგზავნა საკასაციო საჩივრის საუშვებლად ცნობის განჩინებასთან ერთად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ელი და მე-3 ნაწილები ადგენს, რომ თითოეული მხარე ვალდებულია სათანადო მტკიცებულების სასამართლოსათვის წარდგენის გზით დაადასტუროს მისი მოთხოვნისა თუ შუამდგომლობის საფუძველიანობა, ამასთან, მტკიცებულება, განკუთვნილობის თვალსაზრისით, უტყუარად უნდა ადასტურებდეს შუამდგომლობაში მითითებული გარემოების დასაბუთებულობას.

მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელმა შპს «ს. რ-მ» მოითხოვა რა საარსრულებო ფურცლის გაცემა, მას არც განცხადებაზე და არც საკასაციო სასამართლოს მიმართვის შემდეგ (რომელიც ადრესატს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით გაეგზავნა და ჩაბარდა 2011 წლის 25 იანვარს) სასამართლოსათვის არ წარუდგენია სათანადო მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა სააღსრულებო ფურცლის დაკარგვისა და საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 6 მაისის განჩინების აღუსრულებულობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ შპს «ს. რ-ს» განცხადება სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე არ არის დასაბუთებული და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, «სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» საქართველოს კანონის 23-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

შპს «ს. რ-ს» განცხადება სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესახებ არ დაკმაყოფილდეს დაუსაბუთებლობის გამო.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

გადაწყვეტილების აღსრულების შეწყვეტა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-1082-1014-2010 16 თებერვალი, 2011 წ., ქ.თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ქონების ყადაღისაგან განთავისუფლება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. და ე. კ-ძეების კანონიერმა წარმომადგენელმა მ. გ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში თბილისის სააღსრულებო ბიუროს, ნ. ს-იასა და მ. ნ-შვილის (უფლებამონაცვლე ა. ხ-ძის) მიმართ 2004 წლის 25 ოქტომბერსა და 4 თებერვალს ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის გაუქმებისა და ქ.თბილისში, ... ქ. №24ა-ში მდებარე №4 ბინის ყადაღისაგან განთავისუფლების მოთხოვნით შემდეგი საფუძველებით: 2002 წლის 3 ოქტომბრის სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე აწ გარდაცვლილ ო. კ-ძეს მოპასუხეების, ნ. ს-იასა და მ. ნ-შვილის, სასარგებლოდ დაეკისრა 3000-3000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და სახელმწიფო ბაჟის – 92-92 ლარის გადახდა იპოთეკის საგნის – ქ.თბილისში, ... ქუჩა №24-ში მდებარე №4ა ბინის რეალიზაციის გზით, რაზედაც 2004 წლის 4 თებერვალს გაიცა სააღსრულებო ფურცელი. 2004 წლის 25 ოქტომბერს ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ გაცემულ იქნა კიდევ ორი სააღსრულებო ფურცელი №2\802-02 საქმეზე, რომლის თანახმად, ო.კ-ძის ნაცვლად, მოვალეობად მითითებულ იქნენ ე. და ნ. კ-ძეები, რომელთაც დაეკისრათ 3000-3000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და 92-92 ლარის სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდა იპოთეკის საგნის ქ.თბილისში, ... ქუჩა №24ა-ში მდებარე №4 ბინის რეალიზაციის გზით. დასახელებული ბინის ორი ოთახი, საცხოვრებელი ფართით 37 კვ.მ, ირიცხება არა მოვალეების, არამედ მ. გ-შვილის სახელზე, რომელიც არ წარმოადგენდა მხარეს მ. ნ-შვილისა და ნ. ს-იას სარჩელით აღძრულ საქმეში. აღნიშნული სააღსრულებო ფურცლიდან გამომდინარე, აღსრულება, ე.ი მოვალეთა ინტერესი უნდა დაკმაყოფილდეს მ.გ-შვილის საკუთრებაში არსებული ქ.თბილისში, ... ქუჩა №24ა-ში მდებარე №4 ბინის რეალიზაციის გზით, ანუ იმ პირის ქონების რეალიზაციის გზით, რომელიც საქმეში მოპასუხეს არ წარმოადგენდა. 2004 წლის 4 თებერვალს გაცემულ სააღსრულებო ფურცელში მითითებულია ქ.თბილისში, ... ქუჩა №24ა-ში მდებარე ბინა №4ა, ხოლო 2004 წლის 25 ოქტომბერს გაცემულ სააღსრულებო ფურცლებში მითითებულია ქ.თბილისში, ... ქუჩა №24ა-ში მდებარე ბინა №4, როგორც ე. კ-ძის სახელზე რეგისტრირებული ერთი ოთახი, ასევე მ. გ-შვილის სახელზე რეგისტრირებული ორი ოთახიც. 2004 წლის 4 თებერვლისა და 2004 წლის 25 ოქტომბრის სააღსრულებო ფურცლები გაცემულია №2\802\02 საქმეზე, 2004 წლის 4 თებერვლის სააღსრულებო ფურცელი გამოწერილია 2002 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე, ხოლო 2004 წლის 25 ოქტომბრის სააღსრულებო ფურცლები, 2004 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებაზე, რომელიც საერთოდ არ არსებობს. იპოთეკის ხელშეკრულება ნ. ს-იას, მ. ნ-შვილსა და აწ გარდაცვლილ ე. კ-ძეს შორის გაფორმებულია ქ.თბილისში, ... ქუჩა №24ა-ში მდებარე ბინა №4ა-ზე, ხოლო სააღსრულებო ფურცელში მითითებულ იქნა ქ.თბილისში, ... ქუჩა №24ა-ში მდებარე ბინა №4, რომლის 37 კვ.მ ორი ოთახის მესაკუთრე არის მ.გ-შვილი.

მოსარჩელებმა ნ. და ე. კ-ძეებმა დაზუსტებული სარჩელით მოითხოვეს ე. კ-ძის სახელზე რიცხული ქ.თბილისში, ... ქუჩა №24ა-ში მდებარე №4 ბინის ერთი ოთახის, რომლის საცხოვრებელი ფართია 23 კვ.მ, განთავისუფლება ყადაღისაგან.

2005 წლის 27 ივნისს მოსარჩელეთა მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში შეტანილ იქნა განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 28 ივნისის განჩინებით დაკმაყოფილდა და შეჩერებულ იქნა ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 4 თებერვლისა და 2004 წლის 25 ნოემბრის სააღსრულებო ფურცლების საფუძველზე დაწყებული აღსრულება მ.გ-შვილის სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ნოემბრის განჩინებით საქმეში მ. ნ-შვილის უფლებამონაცვლედ მისი მემკვიდრე ა. ხ-ძე ჩაერთო.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მოითხოვეს, მოსარჩელეს უარი ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე, თუმცა მოპასუხე ნ. ს-იას წარმომადგენელი დაეთანხმა მ. გ-შვილის სახელზე რიცხული ორი ოთახის ყადაღისაგან განთავისუფლებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. გ-შვილის სარჩელი ქონების ყადაღისაგან განთავისუფლების შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ქ.თბილისში, ... ქ. №24ა-ში მდებარე №4 ბინის ორი ოთახი, საცხოვრებელი ფართით 37 კვ. მ, რომელიც ირიცხება მ. გ-შვილის სახელზე, გათავისუფლდა ყადაღისაგან, ხოლო ამავე მისამართზე მდებარე ერთი ოთახის (საცხოვრებელი

ფართით 23 კვ. მ, რომელიც ირიცხება ე. კ-ძის სახელზე), ყადაღისაგან განთავისუფლების მოთხოვნის ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. და ე. კ-ძეების წარმომადგენელმა მ. გ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 მაისის განჩინებით ნ. და ე. კ-ძეების სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, კერძოდ, დადგინდა ცნო, რომ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 3 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოსარჩელების - ნ. ს-იასა და მ. ნ-შვილის სარჩელი და ო. კ-ძეს, ე. კ-ძის უფლებამონაცვლეს, მოპასუხეთა სასარგებლოდ დაეკისრა 3000-3000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა. 2004 წლის 4 თებერვალს ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ გაიცა 2/802-02 სააღსრულებო ფურცელი, რომლითაც 2002 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება აღსასრულებლად მიექცა ქ. თბილისში, ... ქ. №24-ში მდებარე №4ა ბინის რეალიზაციის გზით. ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ ო. კ-ძის გარდაცვალების საფუძველზე გამოტანილ იქნა განჩინება მის უფლებამონაცვლელებზე ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე, რომელშიც მოვალედ, ო. კ-ძის ნაცვლად, მითითებული იქნებოდნენ მისი მემკვიდრეები: ე. და ნ. კ-ძეები, შესაბამისად, 2004 წლის 25 ოქტომბერს სასამართლოს მიერ ნ. და ე. კ-ძეების მიმართ გაიცა სააღსრულებო ფურცელი, რომლითაც ქ.თბილისში, ... ქ. №24-ში მდებარე №4ა ბინა აღსასრულებლად მიექცა რეალიზაციის გზით. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის წერილის საფუძველზე დადგინდა ცნო, რომ ყოფილი ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის საარქივო მონაცემების თანახმად, ქ.თბილისში, ... ქ. №24-ში მდებარე №4ა სამოთახიანი ბინიდან ერთი ოთახი 23. კვ.მ (საერთო დამხმარე სათავსებით) ირიცხება ე. კ-ძის სახელზე, ხოლო №4 ბინის ორი ოთახი 37 კვ. მ საცხოვრებელი ფართით – მ. გ-შვილის სახელზე. დადგინდა ცნო, რომ 2004 წლის 25 ოქტომბერს გაცემული სააღსრულებო ფურცლით ნ. ს-იასა და მ. ნ-შვილის სასარგებლოდ აღსასრულებლად მიქცეულია იმ პირის საკუთრება, რომელიც იმ დავაში, რომლის უზრუნველსაყოფადაც უნდა მოხდეს აღსრულება, მხარედ არ მონაწილეობდა.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 32-ე მუხლის 1-ელი ნაწილის, კონსტიტუციის 21-ე მუხლისა და სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის 1-ელი ნაწილის გამოყენებასთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ სარჩელი უსაფუძვლოა იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელე ითხოვს ქ.თბილისში, ... ქუჩა №24ა-ში მდებარე ბინა №4-ში ე. კ-ძის კუთვნილი 23 კვ.მ ერთი ოთახის ყადაღისაგან განთავისუფლებას, ვინაიდან მიიჩნია, რომ ე. კ-ძე წარმომადგენდა იპოთეკის ხელშეკრულებისა და იმ გადაწყვეტილების მხარეს, რომლითაც დაკმაყოფილდა ნ. ს-იასა და მ. ნ-შვილის სარჩელი მისთვის სესხის უკან დაბრუნების შესახებ და ამ სესხის უზრუნველსაყოფად, მის მიერვე იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის ხარჯზე განისაზღვრა გადაწყვეტილების აღსრულება.

პალატამ იხელმძღვანელა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 32-ე მუხლით და მიუთითა, რომ, აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, არ არსებობს ნ. ს-იასა და მ. ნ-შვილის (მისი უფლებამონაცვლე ა. ხ-ძის) სარჩელში თავდაპირველ მოპასუხედ მითითებული პირის – ე. კ-ძის (რომლის გარდაცვალების შემდეგ უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა ო. კ-ძე, ხოლო მის გადაცვალების შემგომ კი, მისი უფლებამონაცვლეები არიან ნ. და ე. კ-ძეები) ქონების ყადაღისაგან განთავისუფლების საფუძველი. პალატამ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 3 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული, არ გაუქმებულა და სასამართლო ამ ეტაპზე არაა უფლებამოსილი, შეაფასოს მისი კანონიერება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ნ. კ-ძემ და ე. კ-ძის კანონიერმა წარმომადგენელმა მ. გ-შვილმა და მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა მათ (კასატორების) მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები. გადაწყვეტილება, რომელზედაც გაიცა სააღსრულებო ფურცელი, ყალბია. იპოთეკის ხელშეკრულება საჯარო რეესტრში ან ტექაღრიცხვის სამსახურში რეგისტრირებული არ არის და მას არ აქვს იურიდიული ძალა. მიწის მართვის დეპარტამენტის ცნობის მიხედვით ე. კ-ძის სახელზე საკუთრება არ ირიცხება. ... ქ. №24ა-ში მდებარე ბინა №4 რეგისტრირებულია მ. გ-შვილის სახელზე, ხოლო სასამართლოს მიერ ყადაღა გაცემულია ე. კ-ძეების სახელზე. კასატორის მითითებით, მოცემულ მისასამართზე მითითებულ ბინაში ე. კ-ძის სახელზე საკუთრება 23 კვ.მ. არ არსებობს. ასევე აღნიშნავს, რომ აღსრულება არ უნდა განხორციელდეს მოცემულ ბინაზე, ვინაიდან იგი მ. გ-შვილის საკუთრებას წარმოადგენს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. კ-ძისა და ე. კ-ძის კანონიერ წარმომადგენელ მ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით ნ. კ-ძისა და ე. კ-ძის კანონიერი წარმომადგენლის, მ. გ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდეს, ე. კ-ძის სახელზე რიცხული ქ.თბილისში, ... ქუჩა №24ა-ში მდებარე №4 ბინის, 23 კვ.მ. ფართის ოთახი განთავისუფლდეს ყადაღისაგან შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქ-

მებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო პალატამ სწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, მაგრამ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ, რაც საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და ახალი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველია, კერძოდ:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 3 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოსარჩევეების – ნ. ს-იასა და მ. ნ-შვილის სარჩელი და ო. კ-ძეს, ე. კ-ძის უფლებამონაცვლეს, მოპასუხეთა სასარგებლოდ დაეკისრა 3000-3000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა. 2004 წლის 4 თებერვალს ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ გაიცა 2/802-02 სააღსრულებო ფურცელი, რომლითაც 2002 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება აღსასრულებლად მიექცა ქ. თბილისში, ... ქ. №24-ში მდებარე №4ა ბინის რეალიზაციის გზით. ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ ო. კ-ძის გარდაცვალების საფუძველზე გამოტანილ იქნა განჩინება მის უფლებამონაცვლელებზე ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე, რომელშიც მოვალედ, ო. კ-ძის ნაცვლად, მითითებული იქნებოდნენ მისი მემკვიდრეები ე. და ნ. კ-ძეები, შესაბამისად, 2004 წლის 25 ოქტომბერს სასამართლოს მიერ ნ. და ე. კ-ძეების მიმართ გაიცა სააღსრულებო ფურცელი, რომლითაც აღსასრულებლად მიექცა ქ. თბილისში, ... ქ. №24-ში მდებარე №4ა ბინა. ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის საარქივო მონაცემების თანახმად, ქ. თბილისში, ი... ქ. №24-ში მდებარე №4-ა სამოთახიანი ბინიდან ერთი ოთახი 23 კვ.მ საერთო დამხმარე სათავსებით ირიცხება ე. კ-ძის სახელზე, ხოლო №4 ბინის ორი ოთახი 37 კვ.მ. საცხოვრებელი ფართით – მ. გ-შვილის სახელზე. 2004 წლის 25 ოქტომბერს გაცემული სააღსრულებო ფურცლით ნ. ს-იასა და მ. ნ-შვილის სასარგებლოდ აღსასრულებლად მიქცეულია მ. გ-შვილის საკუთრება, რომელიც იმ დავაში, რომლის უზრუნველსაყოფადაც უნდა მოხდეს აღსრულება, მხარედ არ მონაწილეობდა.

საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად უთითებს შემდეგზე: დადგენილია და სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ სადავო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება – ყადაღა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ცნობით რეგისტრირებულია ქ. თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2005 წლის 27 აპრილის მოთხოვნის საფუძველზე. ასევე უდავოა ის გარემოებაც, რომ სააღსრულებო ბიუროს ეს მოქმედება განხორციელებულია აღსასრულებლად წარდგენილი სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. მოცემულ დავაში მოპასუხე მხარედ ჩართული სააღსრულებო ბიუროს წარმომადგენლის განმარტებით, დადასტურებულია ის გარემოება, რომ სააღსრულებო ფურცელი გაიხმეს კრედიტორებმა ნ. ს-იამ და მ. მ-შვილმა. ეს გარემოება საქმეში მოპასუხედ ჩართულ ნ. ს-იასა და მ. მ-შვილის უფლებამონაცვლე ა. ხ-ძეს კანონით გათვალისწინებული წესით სადავოდ არ გაუხდიათ.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე საკასაციო პალატა განმარტავს:

იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალე ნებაყოფლობით არ ასრულებს ვალდებულებას, კრედიტორის განცხადების საფუძველზე, საქმეში ერთვება საამისოდ უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო – სააღსრულებო ბიურო, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების აღსრულებას „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ამ კანონის პირველი მუხლის მიხედვით, ეს კანონი აწესრიგებს საერთო სასამართლოების მიერ მიღებული აქტების აღსრულების წესსა და პირობებს. ამავე კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო წარმოება არ დაიშვება სააღსრულებო ფურცლის გარეშე, რომელშიც ასახულია აღსასრულებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. ამდენად, სააღსრულებო ბიუროს ფუნქცია კანონით მკაცრადაა განსაზღვრული და მან უნდა უზრუნველყოს აღსასრულებლად გადაცემული სასამართლო აქტით – სააღსრულებო ფურცლით განსაზღვრული მოქმედებების ზუსტად შესაბამისობაში აღსრულება. ამასთან, გადაწყვეტილების აღსრულება ამავე გადაწყვეტილებით კრედიტორად აღიარებული პირის ინტერესშია და მისი უფლებების დაცვას ემსახურება. გადაწყვეტილების აღსრულება თავისი არსით სამართალწარმოების ეტაპია, ვინაიდან კრედიტორისათვის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მნიშვნელობა მხოლოდ მის აღსრულებაშია. სააღსრულებო წარმოება სწორედ კრედიტორის მიმართვისა და კანონით გათვალისწინებული წესით გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე იწყება. ამავე კანონის შესაბამისად, აღსრულება კრედიტორის ინტერესის ფარგლებში მიმდინარეობს და ამ ინტერესის არარსებობა გამოიციხავს სააღსრულებო წარმოების გაგრძელებას. აღნიშნულს ადასტურებს მითითებული კანონის 34-ე და 35-ე მუხლის დანაწესები, რომლითაც კრედიტორის განცხადების საფუძველზე სააღსრულებო საბუთი აღსრულების გარეშე უზრუნველდება კრედიტორს, ხოლო აღსრულებისათვის განხორციელებული ყველა ღონისძიება უქმდება.

ამ მხრივ საგულისხმოა საქმეზე აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დასკვნა. წინამდებარე საქმეში განმცხადებლის საჩივარი ეხება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. სასამართლოს მითითებით, «აღნიშნული უფლება, რომელიც აშკარად კონვენციის არც ერთ დებულებაში არ არის მოცემული, კონვენციის ორგანოების მიერ ინტერპრეტირებულ იქნა, როგორც «სასამართლო პროცესის» განუყოფელი ნაწილი მეექვსე მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის (იხილეთ *Horváth v. Grzegec*, ჯუდეგმენტ ოფ 19 მარტი 1997, *Lejborcs* 1997-II, პ. 510, § 40). სასამართლო შეგვასვენებს, რომ მეექვსე მუხლის პირველი პუნქტი ნებისმიერ პირს აძლევს შესაძლებლობას, სასამართლოს წარუდგინოს თავის სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებთან დაკავშირებული სარჩელი (იხილეთ *Goldberg v. Gub* *Unitec Kringdom*, ჯუდეგმენტ ოფ 21 თებერვალი 1975, შერიუს A ნო. 18, პპ. 13-18, §§ 28-36). სასამართლოსათვის სარჩელის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება. მხარეთა ეფექტური დაცვა და კანონიერების აღდგენა გულისხმობს ადმინისტრაცი-

ციული უწყებების მიერ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ვალდებულებას (იხილეთ *ჰორნსბე*, ციტედ აბოვე, § 40 ანდ *სეჯ*).»

საქმეში – შპს «ი.» და მ-ძე საქართველოს წინააღმდეგ სასამართლო აღნიშნავს, რომ «სამართლიანი განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. ეს უფლება არარეალური იქნებოდა, თუ კონტრაქტორი სახელმწიფოს ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდიდა, ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ არაქმედითი დარჩენილიყო. ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება «სასამართლო პროცესის» განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე (სხვა პრეცედენტთა შორის იხ. ბურდოვი რუსეთის წინააღმდეგ, №59498/00, §34, ECHR 2002-III; ჰორნსბე საბერძნეთის წინააღმდეგ, 1997 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება, სასამართლო განაჩენებისა და გადაწყვეტილებების კრებული 1997-II, გვ. 510, §40)».

ამდენად, თუ კრედიტორს მის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების ინტერესი არ გააჩნია, სააღსრულებო წარმოება არ უნდა გაგრძელდეს. ამავდროულად, კერძო სამართალში აღიარებული მხარეთა თანასწორობის ზოგადი პრინციპის შესაბამისად, მართლმსაჯულების განხორციელებისას მხარეთა ინტერესები თანაბრად უნდა იქნეს დაცული. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია მოვალის ვალდებულება და სააღსრულებო წარმოების პროცესში გამოყენებულია ამ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფი ღონისძიება – ყადაღა, მაგრამ, კრედიტორის ინტერესის არარსებობის გამო, გადაწყვეტილების აღსრულება შეწყვეტილია, რაც მიზანშეუწონელს ხდის ამავე გადაწყვეტილების აღსრულებისათვის გამოყენებულ საშუალებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასტორის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ვ ე ტ ა :

ნ. კ-ძისა და ე. კ-ძის კანონიერი წარმომადგენლის მ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 მაისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

ნ. კ-ძისა და ე. კ-ძის კანონიერი წარმომადგენლის მ. გ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდეს.

ე. კ-ძის სახელზე რიცხული ქ.თბილისში, ... ქუჩა №24ა-ში მდებარე №4 ბინის, 23 კვ. მ ფართის ოთახი გათავისუფლდეს ყადაღისაგან.

დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა საჩივარზე უარის თქმის გამო

განჩინება

ას-150-144-2012

19 აპრილი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

თ. თოდრია

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

სსიპ „შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტმა« სარჩელი აღძრა სასამართლოში ზ. მ-ის მიმართ სტუდენტად ყოფნის პერიოდში გადაუხდელი სწავლის საფასურის – 1500 ლარის ანაზღაურების შესახებ.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება სსიპ „შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტმა« გაასაჩივრა საკასაციო წესით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში.

2012 წლის 17 აპრილს სასამართლოს მიმართა სსიპ „შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის“ წარმომადგენელმა ხ. ა-ძემ და უარი თქვა საკასაციო საჩივარზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ „შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის“ საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოება უნდა შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამოწვევებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს. ამავე კოდექსის 372-ე მუხლის მიხედვით, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით, ხოლო მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე.

მითითებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ მოსარჩელე უფლებამოსილია, შესაბამისი სამართლებრივი შედეგების გათვალისწინებით, საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე დაუბრკოლებლად უარი განაცხადოს თავის სარჩელზე, ხოლო რადგან საკასაციო სასამართლო საქმის განხილვისას ხელმძღვანელობს სააპელაციო პალატისათვის დადგენილი ნორმებით, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, მოქმედებს პირველი ინსტანციისათვის დადგენილი წესებით, ცხადია, რომ მოსარჩელის ხსენებული უფლება გადადის კასატორზეც.

ამდენად, საკასაციო საჩივრის ავტორს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს უარი თქვას საკასაციო საჩივარზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე.

კანონის აღნიშნული ნორმის შესაბამისად, კასატორის მიერ საკასაციო საჩივარზე უარის თქმისას სასამართლო შეწყვეტს საკასაციო საჩივარზე არსებულ საქმის წარმოებას, ხოლო ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებები უცვლელად დარჩება.

მოცემულ შემთხვევაში ირკვევა, რომ სსიპ „შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის“ წარმომადგენელმა ხ. ა-ძემ უარი განაცხადა საკასაციო საჩივარზე, რაც მითითებულ საჩივარზე მიმდინარე საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სსიპ „შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტმა“ საკასაციო საჩივარზე უარი თქვა მისი დასაშვებობის საკითხის შემოწმების ეტაპზე, რის გამოც მას უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე წინასწარ, 2012 წლის 16 იანვარს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 150 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

სსიპ „შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის“ საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოება შეწყდეს. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

კასატორ სსიპ „შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტს“ (საინდენტიფიკაციო კოდი №...) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის საგირავნო-სადეპოზიტო ანგარიშიდან დაუბრუნდეს (სს ბანკი „რესპუბლიკა“ ბანკის BIF კოდი: ღEPLGE22, მიმღების IBAN ანგარიშის № GE79 Bl00 0000 0033 0500 01) 2012 წლის 16 იანვარს №61 საგადასახადო დავალებით გადახდილი 150 ლარი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა საჩივარზე უარის თქმის გამო

განჩინება

№ას-15-11-2011

28 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება, ანდერძისა და სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა, მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ე. გ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ქ. გ-შვილის მიმართ ნ. გ-შვილის სამკვიდრო ქონების მიღების ვადის გაგრძელების, გაშვებული ვადის საპატიოდ მიჩნევის, 1999 წლის 27 მარტს მამკვიდრებლის მიერ ქ. გ-შვილის სახელზე შედგენილი ანდერძისა და ნოტარიუს გ.ზ-შვილის მიერ 2006 წლის 11 თებერვალს ნ. გ-შვილის სამკვიდრო ქონებაზე ქ. გ-შვილის სახელზე გაფორმებული ანდერძისმიერი სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობის, ასევე დედის, ნ. გ-შვილის სამკვიდრო ქონების – ქ.თბილისში, ... 21^ა-ე კორპუსში მდებარე №7 ბინის 1/2 ნაწილის მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით ე. გ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ე. გ-შვილის მიერ ნ. გ-შვილის სამკვიდროს მიღების ვადის გადაცილება მიჩნეულ იქნა საპატიოდ და ე. გ-შვილის გაუგრძელდა დედის – ნ. გ-შვილის სამკვიდრო ქონების მიღების ვადა, ე. გ-შვილი ცნობილ იქნა საჯარო რეესტრში ქ. გ-შვილის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონების – ქ.თბილისში, ... 21^ა-ე კორპუსში მდებარე №7 ბინის 1/4 ნაწილის მესაკუთრედ და ამ ნაწილში ბათილად იქნა ცნობილი ნოტარიუს გ.ზ-შვილის მიერ 2006 წლის 11 თებერვალს გაცემული ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობა, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. გ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივლისის განჩინებით ქ. გ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. გ-შვილმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 იანვრის განჩინებით მოცემულ საკასაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და მის ავტორს დაევალა სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის ჩარიცხვის ქვითრის დედნის წარმოდგენა.

ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილ ვადაში ქ. გ-შვილის წარმომადგენელმა ც. დ-შვილმა განცხადებით მომართა სასამართლოს და იშუამდგომლა ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილი ვადის რამდენიმე დღით გაგრძელების თაობაზე იმ საფუძველით, რომ კასატორი დაწესებულ ვადაში ვერ ასწრებს სახელმწიფო ბაჟის გადახდას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 31 იანვრის განჩინებით ქ. გ-შვილის წარმომადგენელ ც. დ-შვილის შუამდგომლობა საპროცესო ვადის გაგრძელების თაობაზე დაკმაყოფილდა, კასატორ ქ. გ-შვილს გაუგრძელდა ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილი ვადა 2 დღით და დაევალა სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის ჩარიცხვის ქვითრის დედნის წარმოდგენა.

ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილ ვადაში კასატორის წარმომადგენელმა განცხადებით მომართა სასამართლოს და განმარტა, რომ მოდავე მხარეთა შორის დავა ასევე მიმდინარეობს სააპელაციო სასამართლოში უ. გ-შვილის ქონებაზე, მხარეები ამ დავას ამთავრებენ მორიგებით და სასამართლო სხდომა გადადებულია 2011 წლის 4 თებერვლისათვის. მორიგების დამტკიცების შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს წარმომადგენელმა არსებული დავა აზრს დაკარგავს მხარეთათვის. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით ც. დ-შვილმა სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა საპელცესო ვადის გაგრძელების თაობაზე 2011 წლის 15 თებერვლამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სდამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 11 თებერვლის განჩინებით ც. დ-შვილის შუამდგომლობა საპროცესო ვადის გაგრძელების თაობაზე დაკმაყოფილდა, კასატორ ქ. გ-შვილს გაუგრძელდა ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილი ვადა 2011 წლის 15 თებერვლამდე.

2011 წლის 14 თებერვალს ქ. გ-შვილმა განცხადებით მომართა სასამართლოს და დადგენილი ხარვეზი სრულად გამოასწორა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 18 თებერვლის განჩინებით ქ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესაძლებლად წარმოებაში იქნა მიღებული.

2011 წლის 18 თებერვალს ქ. გ-შვილმა განცხადებით მომართა სასამართლოს და განმარტა, რომ მხარეთა შორის მიღწეული მორიგების გამო მოცემულ საქმეზე მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, აღნიშნულის გათვალისწინებით, მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღის დადების შესახებ განჩინებისა და ქვემდგომი სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გაუქმება.

საკასაციო სასამართლოს ასევე მომართა განცხადებით ე. გ-შვილმა, წარმოადგინა მხარეთა შორის მიღწეული მორიგების აქტის ასლი და განმარტა, რომ, მიღწეული მორიგების გამო, უარს აცხადებს სარჩელზე, შესაბამისად, მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის წარმოება უნდა შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს. ამავე კოდექსის 372-ე მუხლის მიხედვით, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილ-

ვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით, ხოლო მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე.

მითითებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ მოსარჩელე უფლებამოსილია, შესაბამისი სამართლებრივი შედეგების გათვალისწინებით, საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე დაუბრკოლებლად უარი განაცხადოს თავის სარჩელზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე. ამასთან, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელე ე. და ქ. გ-სვილების მოთხოვნა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ საფუძველიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

რაც შეეხება ქ. გ-სვილის შუამდგომლობას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე განჩინების გაუქმების შესახებ, პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული შუამდგომლობა ასევე საფუძველიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹ მუხლის თანახმად, სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებული უზრუნველყოფის ღონისძიებას.

ამდენად, დასახლებული ნორმისა და მხარის შუამდგომლობის ანალიზის საფუძველზე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქ. გ-სვილის შუამდგომლობა საფუძველიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 26 ივნისის განჩინება, რომლითაც ყადაღა დაედო ქ. გ-სვილის სახელზე ქ.თბილისში, ... 21¹-ე კორპუსში მდებარე №7 ბინას.

კასატორ ქ. გ-სვილს უნდა დაუბრუნდეს 2011 წლის 14 თებერვალს საგადასახადო დავალეზა №1-ით ნ. დ-სვილის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 300 ლარის ოდენობით, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, სარჩელის (საკასაციო საჩივრის) განუხილველად დატოვების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟი ექვემდებარება მთლიანად დაბრუნებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე, 273-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

ე. გ-სვილის სარჩელი დარჩეს განუხილველად სარჩელზე უარის თქმის გამო.

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე პირველი და სააპელაციო სასამართლოების მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება.

გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 26 ივნისის განჩინება, რომლითაც ყადაღა დაედო ქ. გ-სვილის სახელზე ქ.თბილისში, ... 21¹-ე კორპუსში მდებარე №7 ბინას.

კასატორ ქ. გ-სვილს დაუბრუნდეს 2011 წლის 14 თებერვალს №1 საგადასახადო დავალეზით ნ. დ-სვილის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 300 ლარის ოდენობით

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა საჩივარზე უარის თქმის გამო

განჩინება

№ას-19-14-2011

21 მარტი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალაფიძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ო. მ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. გ-მისა და თ. ქ-მის მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძველებით: 1998 წელს მოსარჩელემ თ. ქ-მეს გადასცა 2000 აშშ დოლარი უძრავი ქონების შესაძენად, მაგრამ ქონება არ გადაფორებულა მის სახელზე. 2006 წელს მისთვის ცნობილი გახდა, რომ აღნიშნული ქონება საჯარო რეესტრში აღრიცხული იყო ნ. გ-მის სახელზე. მან კი გაარემონტა სადავო ფართი და მოაწყო ინკუბატორი. მოსარჩელემ მოითხოვა თ.ქ-მეს მის სასარგებლოდ დაეკისროს 4400 აშშ დოლარი, ხოლო ნ.გ-მეს 27112.90 ლარი.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ო. მ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ო. მ-ძემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით ო. მ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ო. მ-ძემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 14 იანვრის განჩინებით ო. მ-ძეს მიეცა ვადა ხარვეზის შესავსებად, კერძოდ, მას უნდა გადაეხადა 220 აშშ დოლარი და 1355 ლარი.

ო. მ-ძემ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და უარი განაცხადა საკასაციო საჩივარზე თ. ქ-ძის მოთხოვნის ნაწილში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა განცხადება და მივიდა დასკვნამდე, რომ განცხადება საკასაციო საჩივარზე თ. ქ-ძის მოთხოვნის ნაწილში უარის თქმის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს და მოცემულ ნაწილში საკასაციო წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამოწვევებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს. ამავე კოდექსის 378-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. ამავე მუხლის მეორე ნაწილში კი მითითებულია, რომ სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, რის შედეგადაც მხარეს ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე.

ვინაიდან, ო. მ-ძემ უარი განაცხადა საკასაციო საჩივარზე 4400 აშშ დოლარის მოთხოვნის ნაწილში თ. ქ-ძის მიმართ, განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს და მოცემულ ნაწილში საკასაციო წარმოება შეწყდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ან სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განახევრება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, მხოლოდ ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე, 272-ე, 399-ე, 372-ე, 284-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

ო. მ-ძის განცხადება საკასაციო საჩივარზე თ. ქ-ძის მოთხოვნის ნაწილში უარის თქმის შესახებ, დაკმაყოფილდეს;

შეწყდეს საკასაციო წარმოება ო. მ-ძის საკასაციო საჩივარზე თ. ქ-ძის მიმართ 4400 აშშ დოლარის ნაწილში;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა საჩივარზე უარის თქმის გამო

განჩინება

№ას-1421-1436-2011

26 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ბ. ალავეძე,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

თ. მ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. მ-ისა და მ. ლ-ის მიმართ იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით თ. მ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 19 ივლისის განჩინებით თ. მ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელი დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. მ-მა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით თ. მ-ის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში დასაშვებობის შესამოწმებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მომართა თ. მ-მა და მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა შემდეგი საფუძვლებით: იპოთეკარმა მ. ა-მა საკუთარი ნებით გააუქმა იპოთეკის ხელშეკრულება კასატორის კუთვნილ ბინაზე და განაცხადა, რომ შესაბამის უძრავ ქონებაზე პრეტენზია აღარ აქვს. სანოტარო აქტი იპოთეკის გაუქმების შესახებ დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში, რის შედეგადაც იპოთეკისგან გათავისუფლდა ქ.თბილისში, ... ქ. №106-ში მდებარე №2 ბინა. შესაბამისად, კასატორს აღარ აქვს დავის გაგრძელების ინტერესი, ვინაიდან აღარ არსებობს დავის საგანი, რის გამოც სურს სარჩელზე უარის თქმა და საქმის წარმოების შეწყვეტა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა განცხადების საფუძვლების შემოწმებისა და საქმის მასალების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ თ. მ-ის განცხადება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით თ. მ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 19 ივლისის განჩინებით თ. მ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელი დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. აღნიშნული საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. მ-მა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. ამავე კოდექსის 378-ე მუხლის შესაბამისად სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში მხარეს ერთმევა უფლება კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ, მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს ცნოს სარჩელი.

მოცემულ შემთხვევაში კასატორმა – თ. მ-მა საკასაციო საჩივარზე უარის თქმით მოახდინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული საპროცესო უფლების რეალიზაცია, რაც სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, როგორც პროცესის მონაწილე მხარის ნების გამოვლენა, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილება განსაზღვრულია მხარეთა მოთხოვნის ფარგლებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ამავე კოდექსის 378-ე, 272-ე მუხლების საფუძველზე მიიჩნევს, რომ, თ.მ-ის მიერ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო, მოცემულ საქმეზე უნდა შეწყდეს წარმოება. ამასთანავე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კასატორს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 378-ე მუხლის საფუძველზე ერთმევა შესაძლებლობა, კვლავ გაასაჩივროს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე 284-ე, 372-ე, 399-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მესამე ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

თ. მ-ის განცხადება დაკმაყოფილდეს.

შეწყდეს თ. მ-ის საკასაციო საჩივარზე წარმოება.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა საჩივარზე უარის თქმის გამო

განჩინება

№ას-1599-1595-2011

13 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ბ. ალავეძე,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ბ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში რ. ა-ას მიმართ თანხის გადაცემის სანაცვლოდ საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებით გ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ. ა-ამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 სექტემბრის განჩინებით რ. ა-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა რ. ა-ამ და მოითხოვა მისი გაუქმება.

საკასაციო პალატის 2011 წლის 24 ნოემბრის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული რ. ა-ას საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მომართა რ. ა-ამ და უარი განაცხადა საკასაციო საჩივარზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა განცხადების საფუძვლების შემოწმებისა და საქმის მასალების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ რ. ა-ას განცხადება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებით გ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 20 სექტემბრის განჩინებით რ. ა-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელი დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. აღნიშნული საკასაციო წესით გაასაჩივრა რ. ა-ამ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. ამავე კოდექსის 378-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში მხარეს ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ, მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს ცნოს სარჩელი.

მოცემულ შემთხვევაში კასატორმა რ. ა-ამ საკასაციო საჩივარზე უარის თქმით განახორციელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული საპროცესო უფლების რეალიზაცია, რაც სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, როგორც პროცესის მონაწილე მხარის ნების გამოვლენა, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილება განსაზღვრულია მხარეთა მოთხოვნის ფარგლებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ამავე კოდექსის 378-ე, 272-ე მუხლების საფუძველზე მიიჩნევს, რომ, რ. ა-ას მიერ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო, მოცემულ საქმეზე უნდა შეწყდეს წარმოება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, მხოლოდ ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში. კანონის აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის

გამო კასატორის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი ექვემდებარება მთლიანად დაბრუნებას.

ამასთანავე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კასატორს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 378-ე მუხლის საფუძველზე ერთმევა შესაძლებლობა, კვლავ გაასაჩივროს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე 284-ე, 372-ე, 399-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

რ. ა-ას განცხადება საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ დაკმაყოფილდეს.
შეწყდეს რ. ა-ას საკასაციო საჩივარზე წარმოება.
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 სექტემბრის განჩინება.
რ. ა-ას დაუბრუნდეს ნ. ძ-ის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 300 ლარი.
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა საჩივარზე უარის თქმის გამო

განჩინება

№ას-106-102-2012 30 მარტი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. როინიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 17 ივნისს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მოპასუხე ნ. თ-ძის მიმართ და მოითხოვა სწავლის საფასურის ანაზღაურება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებით სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარჩელი ნ. თ-ძის მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ნოემბრის განჩინებით სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 8 თებერვლის განჩინებით სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული დასაშვებობის შესამოწმებლად.

2012 წლის 9 მარტს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა კასატორმა და მიუთითა, რომ იხმობს სარჩელს. 2012 წლის 30 მარტს შედგენილი სატელეფონო შეტყობინებით კასატორის წარმომადგენელმა დააზუსტა მოთხოვნა და მიუთითა, რომ უარს ამბობს საკასაციო საჩივარზე და ითხოვს საქმის წარმოების შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განცხადება საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს.

ამავე კოდექსის 378-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, რის შედეგადაც მხარეს ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით.

მითითებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ კასატორი უფლებამოსილია, თანამდევი სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, უარი განაცხადოს თავის საკასაციო საჩივარზე.

განსახილველ შემთხვევაში, კასატორ სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ხ. ა-მ უარი თქვა საკასაციო საჩივარზე. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე უნდა შეწყდეს საკასაციო წარმოება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ან სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განახევრება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, მხოლოდ ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში.

მოცემულ შემთხვევაში, კასატორს საკასაციო საჩივარზე გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი 300 ლარი. ვინაიდან კასატორმა უარი თქვა საკასაციო საჩივარზე, ამიტომ მას სრულად უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 300 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მესამე ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. კასატორ სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლის ხ. ა-ის შუამდგომლობა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ნოემბრის განჩინებაზე შეტანილ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ, დაკმაყოფილდეს;

2. სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკასაციო საჩივარზე (საქმე №ას-106-102-2012-თ-ქ) შეწყდეს საქმის წარმოება;

3. კასატორ სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშიდან დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 300 ლარი (გადახდის თარიღი – 2012 წლის 2 თებერვალი, სალაროს შემოსავლის ორდერი №201, ანგარიში: სს ბანკი „რესპუბლიკა“, ბანკის BIK კოდი: ღEPLGE22, მიმღების IBAN ანგარიშის № GE79 BR00 0000 0033 0500 01) სს ბანკი „რესპუბლიკის“ მეშვეობით;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა საჩივარზე უარის თქმის გამო

განჩინება

№ას-313-299-2012

30 მარტი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავეძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 24 ივნისს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მოპასუხე სოფიკო პატარაიას მიმართ და მოითხოვა სწავლის საფასურის ანაზღაურება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილებით სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარჩელი სოფიკო პატარაიას მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 დეკემბრის განჩინებით სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 28 თებერვლის განჩინებით სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული დასაშვებობის შესაძლებლობად.

2012 წლის 9 მარტს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა კასატორმა და მიუთითა, რომ იხმობს საკასაციო საჩივარს. 2012 წლის 30 მარტს შედგენილი სატელეფონო შეტყობინებით კასატორის წარმომადგენელმა დააზუსტა მოთხოვნა და მიუთითა, რომ უარს ამბობს საკასაციო საჩივარზე და ითხოვს საქმის წარმოების შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განცხადება საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს.

ამავე კოდექსის 378-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, რის შედეგადაც მხარეს ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით.

მითითებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ კასატორი უფლებამოსილია, თანამდევი სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, უარი განაცხადოს თავის საკასაციო საჩივარზე.

განსახილველ შემთხვევაში, კასატორ სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ხ. ა-მემ უარი თქვა საკასაციო საჩივარზე. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე უნდა შეწყდეს საკასაციო წარმოება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ან სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განახევრება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, მხოლოდ ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში.

მოცემულ შემთხვევაში, კასატორს საკასაციო საჩივარზე გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი 150 ლარი. ვინაიდან კასატორმა უარი თქვა საკასაციო საჩივარზე, ამიტომ მას სრულად უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 150 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მესამე ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. კასატორ სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლის ხ. ა-მის შუამდგომლობა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 დეკემბრის განჩინებაზე შეტანილ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ, დაკმაყოფილდეს;

2. სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკასაციო საჩივარზე (საქმე №ას-313-299-2012-პ-ა) შეწყდეს საქმის წარმოება;

3. კასატორ სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშიდან დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 150 ლარი (გადახდის თარიღი – 2012 წლის 2 თებერვალი, სალაროს შემოსავლის ორდერი №206, ანგარიში: სს ბანკი „რესპუბლიკა«, ბანკის BIC კოდი: ლEPLGE22, მიმღების IBAN ანგარიშის № GE79 BR00 0000 0033 0500 01) სს ბანკი „რესპუბლიკის« მეშვეობით;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა საჩივარზე უარის თქმის გამო

განჩინება

№ას-639-602-2012

4 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ბ. ალავეძე,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ი-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას ქ. თბილისის მერიის სსიპ საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს მიმართ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 16 მაისის განჩინებით ლ. ი-ის სასარჩელო განცხადება გადაეგზავნა განსჯად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 21 სექტემბრის საოქმოდ განჩინებით მოპასუხე – ქ. თბილისის მერიის სსიპ საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტო შეიცვალა მისი უფლებამონაცვლით – ქ. თბილისის მერიის სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ლ. ი-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ი-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 თებერვლის განჩინებით ლ. ი-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. ი-მა გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით.

2012 წლის 1 მაისს ლ. ი-მა საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა და იძულებით განაცდურის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნაზე უარი თქვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ლ. ი-ის სარჩელზე იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში საქმის წარმოება უნდა შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი.

ამდენად, დისპოზიციურობის პრინციპის ერთ-ერთი გამოვლინებაა მოსარჩელის მიერ საკუთარ სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმა.

იმავე კოდექსის 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, ხოლო 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

განსახილველ შემთხვევაში, ლ. ი-მა უარი თქვა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნაზე, რის გამოც, ამ ნაწილში საქმის წარმოება უნდა შეწყდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სარჩელზე უარის თქმა ან სარჩელის ცნობა დავის საგნის მხოლოდ ნაწილს შეეხება, სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულება განისაზღვრება დარჩენილი ნაწილის შესაბამისად.

განსახილველ შემთხვევაში, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის საფუძველზე, ლ. ი-ი გათავისუფლებულია იძულებით განაცდურის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნაზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე, 272-ე, მუხლებით და

დაადგინა:

1. ლ. ი-ის სარჩელზე იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში შეწყდეს საქმის წარმოება;
2. განემართოს მხარეებს, რომ სასამართლოსათვის ხელშეკრულებით მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველზე დაუშვებელია;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

№ას-1031-966-2010

1 მარტი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: რწმუნებულებისა და ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმება, საჯარო რეესტრის მონაცემებში ცვლილებების შეტანა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 30 მაისს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართეს ა. წ-მემ და ზ. ბ-შილმა მოპასუხეების: ნოტარიუს ქ. მ-შილს, ნ. ვ-მის (შემდგომში ნ. ა-ანის), ე. კ-იას, მესამე პირების – ნოტარიუს მ. ე-მა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ და მოითხოვეს: ა. ნოტარიუს ქ. მ-შილს მიერ 2007 წლის 6 სექტემბერს რეგისტრირებული სანოტარო აქტის (რეგისტრაციის №...) – ა. წ-მის მიერ ნ. ა-ანის სახელზე გაცემული მინდობილობის 2007 წლის 2 ნოემბრიდან გაუქმებულად გამოცხადება; ბ. ამ მინდობილობის საფუძველზე 2007 წლის 5 ნოემბერს ნ. ა-ანსა და ე. კ-იას შორის დადებული ნოტარიუს მ. ე-მე მიერ დამოწმებული ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმება; გ. ე. კ-იას სახელზე მიწის ნაკვეთისა და საცხოვრებელი სახლის საკუთრების უფლების შესახებ საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმება, ასევე დ. ოზურგეთის რაიონის სოფელ ... მდებარე 10 000 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და საცხოვრებელ სახლზე ა. წ-მის საკუთრების უფლების აღდგენა შემდეგი საფუძველებით: 2006 წლის 19 მაისს ა. წ-მემ და ზ. ბ-შილმა დადეს გარიგება, რომლის თანახმად ა. წ-მემ ზ. ბ-შილს მიჰყიდა ოზურგეთის რაიონის სოფელ ... მდებარე 10 000 კვ.მ მიწის ნაკვეთი და ნაკვეთზე არსებული საცხოვრებელი სახლი, ზ. ბ-შილმა გადაიხადა შეძენილი ქონების საფასური – 7 800 აშშ დოლარი, რაც დასტურდებოდა სალაროს შემოსავლის ორდერით, აგრეთვე, ა. წ-მის 2007 წლის 2 ნოემბრის ხელწერილით. თანხის მიღების შემდეგ ა. წ-მემ ნ. ა-ანის სახელზე გასცა მინდობილობა, რომლითაც ამ უკანასკნელს უფლება მიანიჭა, ოზურგეთის რაიონის სოფელ ... ა. წ-მის მიწის ნაკვეთი საცხოვრებელ სახლთან ერთად გაესხვისებინა მყიდველზე – ზ. ბ-შილის სახელზე. ნ. ა-ანი ზ. ბ-შილთან ცხოვრობდა, როგორც მეუღლე, ამასთან, მისთვის ცნობილი იყო, რომ ა. წ-მის კუთვნილი მიწის ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი იყიდა ზ. ბ-შილმა, რომელიც მის საკუთრებაში უნდა აღრიცხულიყო. ნ. ა-ანის სახელზე ა. წ-მემ მინდობილობა იმიტომ გასცა, რომ იგი ოზურგეთელი იყო და საქმის მოგვარებას თავს უფრო მარტივად გაართმევდა. აღნიშნული რწმუნებულება შეადგინა ნოტარიუსმა ქ. მ-შილმა 2007 წლის 6 სექტემბერს. მინდობილობის გაცემიდან მოკლე ხანში ნ. ა-ანსა და ზ. ბ-შილს შორის ურთიერთობა დაიძაბა. გაირკვა, რომ ისინი რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფებოდნენ, ცნობილი გახდა ისიც, რომ ნ. ა-ანს მინდობილობა შეიძლებოდა არადანიშნულებისამებრ გამოეყენებინა და ქონება სხვის სახელზე გადაეფორმებინა. შესაძლო გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად, ა. წ-მემ 2007 წლის 2 ნოემბერს მიმართა ნოტარიუს ქ. მ-შილს. ნოტარიუსმა მინდობილობის გაუქმებაზე უარი განაცხადა იმ მიზეზით, რომ ამისათვის აუცილებელი იყო უკვე გაცემული მინდობილობის მასთან დაბრუნება. აღნიშნული პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. იმავე დღეს ნოტარიუსმა ზ. ბ-შილის სახელზე სოფელ ... არსებულ ქონებაზე შეადგინა მინდობილობა, თუმცა მასში გასხვისების უფლების შესახებ არ მიუთითა. ამით ნოტარიუსმა შეგნებულად, კანონდარღვევით ხელი შეუშალა ზ. ბ-შილს ნაყიდი ქონების გაფორმებაში. გარდა ამისა, არამართლობიერად იმოქმედა ნ. ა-ანმაც. მან მინდობილობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება ბოროტად გამოიყენა, კერძოდ, ა. წ-მის კუთვნილი ქონება თითქოსდა 3 500 აშშ დოლარად (სინამდვილეში უსასყიდლოდ) მიჰყიდა თავის ქალიშვილ ე. კ-იას. ნ. ა-ანისა და მისი ქალიშვილისათვის ცნობილი იყო, რომ გასხვისებული ქონება ა. წ-მისაგან შესყიდული ჰქონდა ზ. ბ-შილს 7 800 აშშ დოლარად. ეს თანხა ზ. ბ-შილმა ბანკიდან გამოიტანა სესხის სახით, რომლის უზრუნველსაყოფად დაგირავდა ნ. ა-ანის ქონება. ნ. ა-ანსა და ე. კ-იას შორის ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო 2007 წლის 5 ნოემბერს, რომელიც დაამოწმა ოზურგეთის ნოტარიუსმა მ. ე-მემ. აღნიშნულის შედეგად ე. კ-ია გახდა ა. წ-მის ქონების მესაკუთრე. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსარჩელები მიიჩნევენ, რომ არსებობდა 2007 წლის 5 ნოემბერს ნ. ა-ანსა და ე. კ-იას შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი. აღნიშნული მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად ისინი მიუთითებდნენ სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლის მე-2

ნაწილზე, რომლის მიხედვით, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებით, როცა მათი ურთიერთობა დაფუძნებულია განსაკუთრებულ ნდობაზე.

მოპასუხე ნ. ა-ანმა სარჩელი არ ცნო და შესაგებელში განმარტა, რომ 2007 წლის 6 სექტემბერს ა. წ-მემ მის სახელზე გასცა მინდობილობა, რომლითაც უფლება მიანიჭა, თავის საკუთრებაში არსებული, ოზურგეთის რაიონის სოფელ ... მდებარე საცხოვრებელი სახლი გაესხვისებინა. რწმუნებულება გააფორმა ნოტარიუსმა ქ. მ-შვილმა ქ. თბილისში. ნ. ა-ანმა რწმუნებულებით დაკისრებული ვალდებულება სისრულეში მოიყვანა და მარწმუნებელ ა. წ-მის საკუთრებაში არსებული ქონება მიჰყიდა ე. კ-იას. აქედან გამომდინარე, მოპასუხისათვის გაუგებარია, რატომ უნდა მიჩნეულიყო ბათილად მას და ე. კ-იას შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება.

ნ. ა-ანმა არ გაიზიარა მოსარჩელების მითითება იმის შესახებ, რომ თითქოს მას და ა. წ-მეს შორის დადებული მინდობილობა გაუქმებული იყო. მინდობილობა ამ დროისთვისაც მოქმედებდა, ხოლო მის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულება ნ. ა-ანს შესრულებული ჰქონდა. მოპასუხის აზრით, თუკი ნოტარიუსმა მოსარჩელების რაიმე უფლება დაარღვია, ისინი უფლებამოსილი იყვნენ, მოეთხოვათ მისგან ზიანის ანაზღაურება. ამასთან, სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დროისათვის ა. წ-მის მხრიდან წინააღმდეგობა არ არსებობდა. ამდენად, კონკრეტულ შემთხვევაში ნასყიდობის ხელშეკრულება კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით იყო დადებული.

მოპასუხე ე. კ-იამ მიუთითა, რომ 2007 წლის 5 ნოემბერს მან შეიძინა ა. წ-მის საკუთრებაში არსებული, ოზურგეთის რაიონის სოფელ ... მდებარე საცხოვრებელი სახლი. 2007 წლის 6 სექტემბრის რწმუნებულების მიხედვით, აღნიშნული საცხოვრებელი სახლის გასხვისების უფლება გააჩნდა ნ. ა-ანს. მოსარჩელეთა მოთხოვნა დასახელებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ იყო უსაფუძვლო, რამდენადაც მესაკუთრე ა. წ-მეს სახლის გასხვისების მომენტში რაიმე პრეტენზია არ განუცხადებია და არც ის მინდობილობა გაუქმებია, რომლითაც ნ. ა-ანი უფლებამოსილი იყო, ქონება გაეყიდა. თავად ე. კ-ია წარმოადგენდა კეთილსინდისიერ შემძენს და მისი უფლებები დაცული იყო სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლით. კანონით ამ უკანასკნელის, როგორც კეთილსინდისიერი შემძენის, ვალდებულებას წარმოადგენდა მხოლოდ იმის გარკვევა, იყო თუ არა ა. წ-მე საჯარო რეესტრში მესაკუთრედ დარეგისტრირებული. ამას კი მხარეები სადავოდ არ ხდიდნენ.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით ა. წ-მისა და ზ. ბ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ა. წ-მემ და ზ. ბ-შვილმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით ა. წ-მისა და ზ. ბ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ზ. ბ-შვილმა და ა. წ-მემ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 აპრილის განჩინებით ზ. ბ-შვილისა და ა. წ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილებით ა. წ-მისა და ზ. ბ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება. ა. წ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი 2007 წლის 6 სექტემბრის მინდობილობა დადებული ა. წ-მესა და ნ. ა-ანს შორის; ბათილად იქნა ცნობილი ა. წ-მის მინდობილ მესაკუთრეს ნ. ა-ანსა და ე. კ-იას შორის 2007 წლის 5 ნოემბერს დადებული ოზურგეთის რაიონის სოფელ ... მდებარე უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, გაუქმდა საჯარო რეესტრში არსებული ჩანაწერი ოზურგეთის რაიონის სოფელ ... მდებარე უძრავი ქონების, სარეგისტრაციო ნომრით ..., ე. კ-იას საკუთრების შესახებ. ოზურგეთის რაიონის სოფელ ... მდებარე უძრავი ქონების (სარეგისტრაციო ნომერი ...) მესაკუთრედ საჯარო რეესტრში აღირიცხა ა. წ-მე. ზ. ბ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ზ. ბ-შვილი და ნ. ა-ანი 15 წლის განმავლობაში იმყოფებოდნენ ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობაში და, როგორც მეუღლეებმა, გადაწყვიტეს ოზურგეთის რაიონის სოფ. ... საცხოვრებელი სახლისა და მიწის ნაკვეთების შეძენა. 2006 წლის მაისს, ა. წ-მეს, ზ. ბ-შვილსა და ნ. ა-ანს შორის შედგა გარიგება, რომლითაც მხარეები შეთანხმდნენ გარიგების პირობებზე, მათ შორის – ფასზე. ზ. ბ-შვილმა და ნ. ა-ანმა ა. წ-მეს ზეს სახით გადასცეს 1000 აშშ დოლარი და მიუთითეს, რომ ეს იყო ნ. ა-ანის დედის კუთვნილი საცხოვრებელი სახლის გაყიდვის შედეგად მიღებული თანხა. ა. წ-მისათვის დანარჩენი თანხის გადახდის მიზნით, ბანკიდან სესხი ზ. ბ-შვილმა გამოიტანა. სესხის გარანტიად იპოთეკით დაიტვირთა ნ. ა-ანის კუთვნილი ბინა ქ.თბილისში. 2006 წლის 19 მაისს ზ. ბ-შვილმა ა. წ-მეს საბანკო ანგარიშზე გადაურიცხა 7800 აშშ დოლარი. უძრავი ქონების ნასყიდობის სანოტარო წესით გაფორმების მიზნით, 2007 წლის 6 სექტემბერს ა. წ-მემ მინდობილობა გასცა ნ. ა-ანის სახელზე, რომლითაც მიანიჭა ოზურგეთის რაიონის სოფ. ... მისი კუთვნილი უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის უფლება. იმავე წლის 2 ნოემბერს ა. წ-მემ ზ. ბ-შვილის სახელზე გასცა მინდობილობა, რომლითაც ზ. ბ-შვილს მიანიჭა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმეების მოგვარების უფლება. 2007 წლის 5 ნოემბერს ნ. ა-ანმა, როგორც ა. წ-მის მინდობილმა პირმა, თავის ქალიშვილთან, ე. კ-იასთან დადო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც მას მიჰყიდა სადავო ბინა 3500 აშშ დოლარად. 2007 წლის 6 სექტემბრის მინდობილობის შედგენის დროისათვის ა. წ-მეს მის მიერ გასხვისებული ქონების საზღაური

მთლიანად მიღებული ჰქონდა და მხარეთა შორის ზეპირი ფორმით ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება დადებული იყო.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგინოდა ცნო, რომ 2007 წლის 6 სექტემბერს ა. წ-ძესა და ნ. ა-ანს შორის, სინამდვილეში, დავალების ხელშეკრულება არ დადებულია. ამ ხელშეკრულებით მხარეებმა დაფარეს, ერთი მხრივ, ა. წ-ძესა და, მეორე მხრივ, ნ. ა-ანსა და ზ. ბ-შვილს შორის დადებული ზეპირი ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების დაფარვის მიზანი იყო უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისა და შემდგომში სარეგისტრაციო წარმოების გაადვილება – მხარეებს მიაჩნდათ, რომ გარიგების დადებისა და რეგისტრაციისათვის აუცილებელი იყო ა. წ-ძის გამგზავრება ქ.ოზურგეთში და, სწორედ, ამის თავიდან ასაცილებლად, მათ გააფორმეს მინდობილობა. აქედან გამომდინარე, მიიჩნია, რომ 2007 წლის 6 სექტემბრის დავალების ხელშეკრულება დაიდო თვალთმაქცურად, სხვა გარიგების, ნასყიდობის დასაფარავად.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მიუთითა, რომ 2007 წლის 6 სექტემბრის დავალების ხელშეკრულება და, შესაბამისად, მინდობილობა ბათილია, ხოლო მხარეთა შორის რეალურად დადებული გარიგების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნას ნასყიდობის ხელშეკრულების წესები. ასევე პალატამ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის 1-ელი ნაწილი, 327-ე მუხლის 1-ელი ნაწილი, 183-ე მუხლი და აღნიშნა, რომ, მართალია, ხელშეკრულება დაიდო წერილობით, მაგრამ მხარეები წერილობით არ შეთანხმებულან უძრავი ქონების საკუთრების გადაცემაზე და შემდგომში არ მომხდარა ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, შესაბამისად, მხარეები ხელშეკრულების არსებით პირობაზე არ შეთანხმებულან საამისოდ გათვალისწინებული ფორმით, ამიტომ მიიჩნია, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება წარმოადგენს ფორმის დაუცველად დადებულ გარიგებას და ბათილია.

სააპელაციო პალატამ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის საფუძველზე მიიჩნია, რომ ნ. ა-ანი არ იყო უფლებამოსილი, განეკარგა ბათილი გარიგების საფუძველზე შეძენილი ქონება და, აქედან გამომდინარე, ბათილია ა. წ-ძის მინდობილ მესაკუთრე ნ. ა-ანსა და ე. კ-იას შორის 2007 წლის 5 ნოემბერს დადებული ოზურგეთის რაიონის სოფ. ... მდებარე უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება. ასევე პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 311-ე მუხლის 1-ელი ნაწილით და აღნიშნა, რომ შემძენს, ანუ ე. კ-იას, არ იცავს რეესტრის მონაცემთა უტყუარობის პრეზუმფცია, იმიტომ, რომ მან ნივთი შეიძინა არა უშუალოდ რეესტრში რეგისტრირებული მესაკუთრისაგან, არამედ – მისი მინდობილი პირისაგან და, ასე რომ არ იყოს, შემძენი და ნ. ა-ანი არიან დედა-შვილი და შემძენს უთუოდ ეცოდინებოდა საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოთხოვნის უფლება არ გააჩნია ზ. ბ-შვილს, ვინაიდან, მართალია, ის მონაწილეობდა სადავო სამართალურთიერთობაში, მაგრამ გარიგების ბათილობის გამო, ნივთზე უფლებები არ წარმოშობია, შესაბამისად, სადავო გარიგებებით ზ. ბ-შვილის უფლებები არ დარღვეულა, ხოლო ა. წ-ძესთან დაკავშირებით მიიჩნია, რომ მას მოთხოვნის უფლება გააჩნია, ვინაიდან, ქონება მისი საკუთრებიდან გავიდა ბათილი გარიგების საფუძველზე და იგი უფლებამოსილია, მოითხოვოს ამ ქონების კვლავ თავის საკუთრებად აღრიცხვა.

საპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ნ. ა-ანმა და ე. კ-იამ და მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი თქმა შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, არ არსებობს სამართლებრივი საფუძველი, რომლითაც შეიძლება 2007 წლის 6 სექტემბერს ა. წ-ძესა და ნ. ა-ანს შორის დადებული მინდობილობა ბათილად იქნეს ცნობილი. ა. წ-ძეს არავითარი სურვილი, ნება არ გამოუხატავს თავის დროზე ანუ იმ დრომდე, ვიდრე მინდობილი მესაკუთრე ვალდებულიებას შეასრულებდა. არ არსებობს ნ. ა-ანსა და ე. კ-იას შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი. 2007 წლის 6 სექტემბერს დადებული მინდობილობის საფუძველზე ნ. ა-ანმა განახორციელა მისთვის დაკისრებული ვალდებულება კეთილსინდისიერად და გაასხვისა ა. წ-ძის საკუთრებაში არსებული ოზურგეთის რაიონში მდებარე უძრავი ნივთი. რაზედაც ა. წ-ძეს არ გააჩნდა არავითარი პრეტენზია ნ. ა-ანის მიმართ, რაც მან კიდევ დაადასტურა ხელწერილით მის საკუთრებაში არსებული ნივთის გასხვისების შემდგომ. სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, თუ გარიგებას ადასტურებს შეცილების უფლების მქონე პირი, მაშინ იგი ამით კარგავს შეცილების უფლებას. აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, რომლის იგნორირებით სააპელაციო სასამართლომ ბათილად ცნო როგორც მინდობილობა, ისე ნასყიდობის ხელშეკრულებაც და უძრავი ნივთი კვლავ ა. წ-ძის საკუთრებაში დააბრუნა. სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად, შემძენი ითვლება კეთილსინდისიერად, თუ გამსხვისებელი საჯარო რეესტრში მესაკუთრედაა რეგისტრირებული. ამ ნორმიდან გამომდინარე, ე. კ-ია კეთილსინდისიერი შემძენია. ამასთან უფლებამოსილების განხორციელების დროს მინდობილობა ა. წ-ძესა და ნ. ა-ანს შორის მოქმედებდა და იგი ექვემდებარებოდა დაუყენებია, არც მესაკუთრეს და არც თანამოსარჩელე ზ. ბ-შვილს.

უსაფუძვლოა სასამართლოს მითითება იმის შესახებ, რომ თითქოსდა ა. წ-ძემ და ზ. ბ-შვილმა დადეს ხელშეკრულება ზეპირსიტყვიერად უძრავ ნივთზე, რადგან სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლით უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია მხარეთა შეთანხმება წერილობით და შემძენზე უძრავი ნივთის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, რაც არ მომხდარა მოსარჩელეთა შორის. მოსარჩელე ა. წ-ძე შეუთანხმდა ნ. ა-ანს ნივთის გასხვისების თაობაზე მინდობილობით და ამ უკანასკნელმა კი, მინდობილობის შესაბამისად გაასხვისა ნივთი, რაზეც ა. წ-ძეს პრეტენზია არ გააჩნდა. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლი. ამასთან, უსაფუძვლოა საჯარო რეესტრში ჩანაწერების გაუქმებისა და მესაკუთრედ ა. წ-ძის რეგისტრაციაც.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 იანვრის განჩინებით ნ. ა-ანისა და ე. კ-იას საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

დამტკიცდეს მორიგება ზ. ბ-შვილსა და ნ. ა-ანს შორის შემდეგი პირობებით:

ზ. ბ-შვილი ნ. ა-ანს 2011 წლის 1 ივლისამდე გადაუხდის 6 600 აშშ დოლარს ეტაპობრივად, შემდეგი თანმიმდევრობით:

1. 1 აპრილამდე – 1000 აშშ დოლარს, 1 მაისამდე – 1000 აშშ დოლარს, 1 ივნისამდე – 2600 აშშ დოლარს, 1 ივლისამდე კი – 2000 აშშ დოლარს. თანხის გადახდა შესაძლებელია მოხდეს ვადაზე ადრეც;

2. თანხის სრულად დაფარვიდან სამი თვის ვადაში ნ. ა-ანი ვალდებულია უპირობოდ გაათავისუფლოს დაკავებული ფართი;

3. თანხის სრულად დაფარვამდე ნ. ა-ანი ფლობს და სარგებლობს დაკავებული ფართით. ამასთან, ვალდებულია კისრულობს გაუფრთხილდეს დაკავებულ უძრავ ქონებას, არ დააზიანოს და არ გაასხვისოს იგი მხარესთან შეთანხმების გარეშე;

4. ქონების გადაცემა მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები ან მათი წარმომადგენლები. ეს აქტი მორიგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს;

5. ვალდებულების განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსარჩელები ამ ნივთზე კარგავენ დავის უფლებას. ნივთი რჩება ე. კ-იას საკუთრებაში;

6. მორიგების პირობების დარღვევის შემთხვევაში საქმე დაუყოვნებლივ გადაეცემა აღსასრულებლად შესაბამის დაწესებულებას;

7. ბ-შვილის მიერ თანხის გადახდისთანავე ე. კ-იას სახელზე რიცხული ოზურგეთის რაიონის სოფელ ... მდებარე საცხოვრებელი სახლი აღირიცხოს ზ. ბ-შვილის სახელზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, მიიჩნევს, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის 1-ელი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდვე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ე. კ-იას უნდა დაუბრუნდეს მის მიერ 2010 წლის 8 ნოემბერს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნახევარი – 343.36 ლარი, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა მორიგების აქტი წარმოადგინეს საკასაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეები მორიგდებიან, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლით, 49-ე მუხლის 1-ელი ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

დამტკიცდეს მორიგება ზ. ბ-შვილსა და ნ. ა-ანს შორის შემდეგი პირობებით:

ზ. ბ-შვილი ნ. ა-ანს 2011 წლის 1 ივლისამდე გადაუხდის 6 600 აშშ დოლარს ეტაპობრივად, შემდეგი თანმიმდევრობით:

1. 1 აპრილამდე – 1000 აშშ დოლარს, 1 მაისამდე – 1000 აშშ დოლარს, 1 ივნისამდე – 2600 აშშ დოლარს, 1 ივლისამდე კი – 2000 აშშ დოლარს. თანხის გადახდა შესაძლებელია მოხდეს ვადაზე ადრეც;

2. თანხის სრულად დაფარვიდან სამი თვის ვადაში ნ. ა-ანი ვალდებულია უპირობოდ გაათავისუფლოს დაკავებული ფართი;

3. თანხის სრულად დაფარვამდე ნ. ა-ანი ფლობს და სარგებლობს დაკავებული ფართით. ამასთან, ვალდებულია კისრულობს გაუფრთხილდეს დაკავებულ უძრავ ქონებას, არ დააზიანოს და არ გაასხვისოს იგი მხარესთან შეთანხმების გარეშე;

4. ქონების გადაცემა მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები ან მათი წარმომადგენლები. ეს აქტი მორიგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს;
5. ვალდებულების განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსარჩელები ამ ნივთზე კარგავენ დავის უფლებას. ნივთი რჩება ე. კ-ის საკუთრებაში;
6. მორიგების პირობების დარღვევის შემთხვევაში საქმე დაუყონებლივ გადაეცემა აღსასრულებლად შესაბამის დაწესებულებას;
7. ბ-შვილის მიერ თანხის გადახდისთანავე ე.კ-ის სახელზე რიცხული ოზურგეთის რაიონის სოფელ ... მდებარე საცხოვრებელი სახლი აღირიცხოს ზ. ბ-შვილის სახელზე.
შეწყდეს საქმის წარმოება ა. წ-ძისა და ზ. ბ-შვილის სარჩელის გამო ნ. ა-ანისა და ე. კ-ის მიმართ რწმუნებულებისა და ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმების და საჯარო რეესტრის მონაცემებში ცვლილებების შეტანის შესახებ.
გაუქმდეს მოცემულ საქმეზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.
ე. კ-ის დაუბრუნდეს მის მიერ 2010 წლის 8 ნოემბერს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნახევარი – 343.36 ლარი.
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

№ას-1241-1091-2010

15 მარტი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 1 ივლისს მცხეთის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა მ. ჩ-მემ მოპასუხე სს «მ-ას» მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ: ა. 2004 წლის 1 ნოემბრიდან 2009 წლის 1 ივლისამდე პერიოდისათვის 280000 აშშ დოლარის დაკისრება; ბ. 2009 წლის 1 ივლისიდან ქ.თბილისის მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 1997 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველთვიურად 5000 აშშ დოლარის დაკისრება.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. ჩ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა საქმის მასალებით დადგენილ შემდეგ უდავო ფაქტობრივ გარემოებებზე: მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1997 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილებით მ. ჩ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, უკანონოდ იქნა ცნობილი საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 1993 წლის 10 დეკემბრის ბრძანება მოსარჩელის ქ-ის მინის ტარის ქარხნის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ და მას აუნაზღაურდა ერთი წლის იძულებითი განაცდური. გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა სამუშაოზე აღდგენის შესახებ მის მიერ დაკავებული თანამდებობის არარსებობის გამო. სს «მ-ის» სამეთვალყურეო საბჭოს დაევალა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროებთან შეთანხმებით მოსარჩელის სამუშაოზე აღდგენისა და შრომითი მოწყობის საკითხის განხილვა;

დასახელებული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში. მისი იძულებითი აღსრულების მიზნით მთაწმინდის სასამართლოს მიერ 1997 წლის 10 დეკემბერს გაიცა სააღსრულებო ფურცელი;

1997 წლის 10 ნოემბერს გაიმართა სს «მ-ის» სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა, სადაც განიხილეს მ. ჩ-ძის სს «მ-ის» გენერალური დირექტორის თანამდებობაზე აღდგენის საკითხი და უარი განაცხადეს მ. ჩ-ძის სს «მ-ის» გენერალური დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნაზე. კრებას არ ესწრებოდა აქციათა 76%-ის მქონე მფლობელი ფირმა შ-ამის წარმომადგენელი. მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1998 წლის 10 აპრილის განჩინებით განიმარტა, რომ სს «მ-ის» სამეთვალყურეო საბჭოს 1997 წლის 10 ნოემბრის სხდომა არ იყო გადაწყვეტილებაუნარიანი და მ. ჩ-ძის სს «მ-ის» გენერალური დირექტორის თანამდებობაზე სამუშაოზე აღდგენის შესახებ საკითხი სამეთვალყურეო საბჭომ უნდა განიხილოს აქციათა 24%-ისა და 76%-ის (ფირმა შ-ამი) წარმომადგენლების დასწრებით, მათი მონაწილეობით და მიიღოს სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისი გადაწყვეტილება;

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 12 დეკემბრის განჩინებით მ. ჩ-ძის განცხადების საფუძველზე მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1997 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილების მე-3 პუნქტი განიმარტა შემდეგნაირად: სს «მ-ის» სამეთვალყურეო საბჭომ უნდა განიხილოს და დადებითად გადაწყვიტოს უკანონოდ გათავისუფლებულ მ. ჩ-ძის სამუშაოზე აღდგენისა და შრომითი მოწყობის საკითხი;

თბილისის საოლქო სასამართლოს 2004 წლის 27 ივლისის განჩინებით სს «მ-ის» კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელი დარჩა მცხეთის რაიონული სასამართლოს განჩინება გადაწყვეტილების განმარტების შესახებ;

2003 წლის 12 დეკემბრის განჩინების საფუძველზე 2004 წლის 18 ოქტომბერს გაიცა სააღსრულებო ფურცელი; სასამართლო აღმასრულებელმა თ. ქ-შვილმა 2004 წლის 20 ოქტომბრის წერილით სს «მ-ას» წინადადება მისცა 5 დღის ვადაში შეესრულებინა მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1997 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილება 2003 წლის 12 დეკემბრის განმარტების შესაბამისად. 2004 წლის 20 ოქტომბერს სასამართლო აღმასრულებელმა განმეორებით მოსთხოვა სს «მ-ას» სასამართლო გადაწყვეტილების შესრულება და სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ჩატარება. 2004 წლის 15 ნოემბრის წერილით სასამართლო აღმასრულებელმა სს «მ-ას» მოსთხოვა ეცნობებინა, რა სტადიაში იყო გადაწყვეტილების აღსრულება;

მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიურის აღმასრულებელმა შ. ჩ-შვილმა 2006 წლის 24 ნოემბერს სს «მ-ას» სამეთვალყურეო საბჭოსადმი გაგზავნილი წერილით მოვალეს წინადადება მისცა, ნებავყოფლობით აღსრულებინა 2004 წლის 18 ოქტომბერს გაცემული სააღსრულებო ფურცლის მოთხოვნა. წერილში აღნიშნულია, რომ მცხეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 30 ნოემბრის განჩინებით შეჩერდა 2004 წლის 18 ოქტომბერს გაცემული სააღსრულებო ფურცლის მოქმედება საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 13 სექტემბრის განჩინებით უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სს «მ-ის» სააპელაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება;

2006 წლის 11 დეკემბერს ჩატარდა სს «მ-ის» სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა, რომელზეც განიხილეს მ. ჩ-ძის სამუშაოზე აღდგენისა და შრომითი მოწყობის საკითხი. სამეთვალყურეო საბჭომ უარი განაცხადა მ. ჩ-ძის შრომითი მოწყობის საკითხის დადებითად გადაწყვეტაზე იმ საფუძველით, რომ საზოგადოებაში არ იყო მისი რაიმე თანამდებობაზე აღდგენის შესაძლებლობა.

რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის განმარტება იმის შესახებ, რომ სასამართლო გადაწყვეტილებით მას არ დაკისრებია მ. ჩ-ძის სს «მ-ის» გენერალური დირექტორის თანამდებობაზე აღდგენა. სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია, მ. ჩ-ძის სს «მ-ის» გენერალური დირექტორის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1997 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მითითებული არ არის, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სს «მ-ას» არ ევალებოდა მისი საზოგადოების გენერალური დირექტორის თანამდებობაზე აღდგენა. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ მ. ჩ-ძის შრომითი მოწყობის საკითხის განხილვა აღსასრულებელი გადაწყვეტილებით დაევალა სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს, რომელიც ამჟამად შესახებ კანონის 55.7 მუხლის თანახმად ნიშნავს და ნებისმიერ დროს გამოიწვევს დირექტორებს, ასევე მათთან დებს და წყვეტს ხელშეკრულებებს. შესაბამისად, სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაში საზოგადოების თანამდებობის პირებიდან მხოლოდ საზოგადოების დირექტორის დანიშნვა და გამოწვევა, და არა საზოგადოებაში დასაქმებულ ყველა პირთან შრომითი ურთიერთობის საკითხების გადაწყვეტა შედიოდა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ აღსასრულებელი გადაწყვეტილების განმარტების შესახებ 1998 წლის 10 აპრილსა და 2003 წლის 12 დეკემბერს მიღებული განჩინებებით გადაწყვეტილება განიმარტა იმგვარად, რომ სს «მ-ას» სამეთვალყურეო საბჭოს დაევალა განეხილა მ. ჩ-ძის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე აღდგენის საკითხი. კერძოდ, 1998 წლის 10 აპრილის განჩინებით სს «მ-ას» დაევალა აქციათა ყველა მესაკუთრის მონაწილეობით მ. ჩ-ძის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე აღდგენის საკითხის განხილვა. რაც შეეხება მცხეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 12 დეკემბერს მიღებულ განჩინებას გადაწყვეტილების განმარტების შესახებ, სასამართლომ აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების განმარტების შესახებ განცხადებით სასამართლოს მიმართა მ. ჩ-ძემ და მოითხოვა განმარტება შემდეგ საკითხზე: სასამართლო გადაწყვეტილებით სავალდებულოა თუ არა სს «მ-ის» სამეთვალყურეო საბჭომ მიიღოს დადებითი გადაწყვეტილება სააქციო საზოგადოების გენერალური დირექტორის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ. აღნიშნული განჩინებით მანამდე აღსასრულებელი გადაწყვეტილების განმარტების შესახებ მიღებული განჩინებებისგან განსხვავებულად არ განმარტებულა ის საკითხი, თუ მ. ჩ-ძის რა თანამდებობაზე აღდგენა დაეკისრა სს «მ-ას», რადგან ამ საკითხის განმარტება განმცხადებელს არ მოუთხოვია. განჩინების სამოტივაციო ნაწილში აღნიშნულია, რომ მართალია, სასამართლო გადაწყვეტილებით იმპერატიულად სს «მ-ას» არ დაკისრებია მ. ჩ-ძის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე აღდგენა, თუმცა მოპასუხეს დაევალა მ. ჩ-ძის სამუშაოზე აღდგენისა და შრომითი მოწყობის საკითხის გადაწყვეტა, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს დადებითად უნდა გადაეწყვიტა სასამართლოს მითითება, მით უფრო, რომ უკანონოდ განთავისუფლება მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ დადასტურებულად ცნო.

რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, აღსასრულებელი გადაწყვეტილების განმარტებების შესახებ მიღებული განჩინებების შესაბამისად, სს «მ-ის» სამეთვალყურეო საბჭოს თავისი კომპეტენციის ფარგლებში უნდა განეხილა და დადებითად გადაეწყვიტა მ. ჩ-ძის სააქციო საზოგადოების გენერალური დირექტორის თანამდებობაზე აღდგენის საკითხი. ის გარემოება, რომ აღსასრულებელი გადაწყვეტილებით იგულისხმებოდა მოსარჩელის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე აღდგენა თავად სს «მ-ის» მოქმედებით დასტურდებოდა, რადგან 1997 წლის 10 ნოემბრის სხდომაზე სს «მ-ოს» სამეთვალყურეო საბჭომ განიხილა მ. ჩ-ძის საზოგადოების გენერალური დირექტორის თანამდებობაზე აღდგენის საკითხი.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება სს «მ-ის» გენერალური დირექტორის შრომის ანაზღაურების შესახებ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომელზეც ამყარებს თავის მოთხოვნასა თუ შესაგებელს. მოსარჩელემ მტკიცებულების წარდგენით

ვერ დაადასტურა ის ფაქტი, რომ 2004 წლის 1 ნოემბრის შემდგომ პერიოდში სს «მ-ის» გენერალური დირექტორის შრომის ანაზღაურება ყოველთვიურად იყო 5000 აშშ დოლარი.

სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ სს «მ-ის» გენერალური დირექტორის ხელფასი 2004 წლიდან 2005 წლის მარტის ჩათვლით შეადგენდა 938 ლარს, 2005 წლის აპრილიდან 2006 წლის იანვრის ჩათვლით 1056 ლარს, 2006 წლის თებერვლიდან 2008 წლის იანვრის ჩათვლით 1232 ლარს, 2008 წლის თებერვლიდან 2009 წლის აპრილის ჩათვლით 1545 ლარს, ხოლო 2009 წლის მაისიდან 1648 ლარს. აღნიშნული გარემოება დადგენილად იქნა მიჩნეული სს «მ-ის» სამეთვალყურეო საბჭოს მიერ წარდგენილი წერილობითი ინფორმაციით. სასამართლომ მითითებული მტკიცებულებების უარყოფის საფუძველად არ მიიჩნია ის ფაქტი, რომ საქმეში წარდგენილი არ იყო სს «მ-ის» სამეთვალყურეო საბჭოს შესაბამისი სხდომის ოქმები, რადგან სს «მ-ის» გენერალური დირექტორის ამ ოდენობით შრომის ანაზღაურება დადასტურდა სს «თ. ბანკის» სახელფასო ბარათიდან ამონაწერებით, რომლებშიც მითითებულია სს «მ-ის» გენერალური დირექტორის გ. მ-სათვის ამ ოდენობით თანხების ხელფასის სახით ჩარიცხვის შესახებ.

რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება იმის შესახებ, რომ სარჩელის ხანდაზმულობის დასაწყისად უნდა მიჩნეულიყო 2006 წლის 11 დეკემბერს სს «მ-ის» სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ჩატარების თარიღი. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია, ამ სხდომაზე სამეთვალყურეო საბჭომ უარი განაცხადა მ. ჩ-ის შრომით მოწყობაზე, თუმცა ეს ფაქტი ხანდაზმულობის ვადის დაწყებას საფუძველად ვერ დაედება, რადგან მ. ჩ-ისათვის ამ სხდომის ჩატარებამდე ცნობილი იყო სს «მ-ის» მიერ გადაწყვეტილების შეუსრულებლობის ფაქტი.

სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. სასამართლოს განმარტებით, კანონი ხანდაზმულობის ვადის ათვლას უკავშირებს არა მარტო იმ ფაქტს, თუ დაინტერესებულმა პირმა როდის შეიტყო უფლების დარღვევის შესახებ, ხანდაზმულობის ვადის ათვლისას გასათვალისწინებელია, შეეძლო თუ არა დაინტერესებულ პირს დროულად შეეტყო მისი უფლების დარღვევის ფაქტის შესახებ. თუკი პირმა მისი დაუდევრობის გამო უფლების დარღვევის შესახებ დროულად ვერ გაიგო, ეს ხანდაზმულობის ვადის ათვლაზე გავლენას ვერ მოახდენს და მისი ათვლა იწყება იმ დროიდან, როცა პირს შეეძლო ინფორმირებული ყოფილიყო მისი უფლების ხელყოფის შესახებ.

რაიონულმა სასამართლომ ხანდაზმულობის ვადის დენის დასაწყისად მიიჩნია 2004 წლის 1 ნოემბერი, რადგან მოსარჩელე მოითხოვდა ამ დროის შემდეგ სს «მ-ის» გენერალური დირექტორის შრომის ანაზღაურებას მიუღებელი შემოსავლის სახით. შესაბამისად მ. ჩ-ისათვის 2004 წლის 1 ნოემბრიდან იყო ცნობილი სს «მ-ის» მიერ მთაწმინდის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის ფაქტი, რადგან მოპასუხემ სასამართლო აღმასრულებლის მიერ მითითებულ ვადაში, მისი რამოდენიმე მოთხოვნის მიუხედავად, არ ჩაატარა სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა, არ შეასრულა სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული მოქმედება.

სასამართლომ განმარტა, რომ მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1997 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილებით სს «მ-ის» მიერ შესასრულებელი ვალდებულება უნდა შესრულდეს ისეთი სახის მოქმედების განხორციელების გზით, რომელიც დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ მოვალის ნებაზე. ამ შემთხვევაში, არც «სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» კანონითაა გათვალისწინებული იძულებითი აღსრულების რაიმე სპეციალური ღონისძიება, რომელთა მეშვეობით პირის სამუშაოზე აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს იძულებით, გარდა აღმასრულებლის წერილობითი გაფრთხილებისა გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების ვადის განსაზღვრის შესახებ. სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში, აღმასრულებლის მიერ დადგენილ ვადაში სს «მ-ის» მიერ ამ გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის ფაქტი მიიჩნეოდა მოვალის მიერ გადაწყვეტილების შეუსრულებლობად და ამ დროიდან კრედიტორს უფლება ჰქონდა მოეთხოვა გადაწყვეტილების შეუსრულებლობით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რამდენადაც კრედიტორს, როგორც სააღსრულებო წარმოების სუბიექტს, აქვს შესაძლებლობა მიიღოს ინფორმაცია მის სასარგებლოდ დაწყებული იძულებითი აღსრულების მიმდინარეობის შესახებ. მ. ჩ-ისათვის სს «მ-ის» მიერ სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის თაობაზე ცნობილი გახდა 2004 წლის 1 ნოემბრიდან, რადგან მოსარჩელე ამ დროიდან მოითხოვს მისთვის მიუღებელი შემოსავლის სახით სს «მ-ის» გენერალური დირექტორის შრომის ანაზღაურების დაკისრებას, მისთვის ცნობილი გახდა სასამართლო აღმასრულებლის წინადადებით განსაზღვრულ ვადაში გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შეუსრულებლობა.

სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის მითითება სარჩელის ხანდაზმულობის შესახებ. სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა.

სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო სამართალში ცნობილია სხვადასხვა ტიპის ვადები, რაც მოიცავს საპრეტენზიო ვადებს და უფლების დაცვის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადებს. ხანდაზმულობის ვადა ნიშნავს, კანონით დადგენილ ვადას, რომლის განმავლობაშიც პირს შეუძლია იძულებით, სარჩელის აღძვრის გზით მოითხოვოს მისი დარღვეული უფლების დაცვა. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოვალეს უფლება აქვს უარი განაცხადოს ვალდებულების შესრულებაზე, რაც სამოქალაქო უფლების იძულებით რეალიზაციაზე უარის თქმის საფუძველია, რადგან სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის თანახმად ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე.

რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება მისი სარჩელის მოთხოვნის 10-წლიანი ხანდაზმულობის ვადის შესახებ და მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლზე, რომლის მიხედვით სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა არის 10 წე-

ლი. სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნულ ნორმაში იგულისხმება ვადა, რომლის განმავლობაშიც კრედიტორს შეუძლია მოვალისაგან მოითხოვოს სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულების შესრულება, მოითხოვოს გადაწყვეტილების აღსრულება. ამ შემთხვევაში, მ. ჩ-მე მოპასუხისგან გადაწყვეტილებით დაკისრებული მოქმედების შესრულებას არ მოითხოვდა. დავის საგანს წარმოადგენდა სს «მ-ის» მიერ გადაწყვეტილების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, შესაბამისად სადავო სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობდა დელიქტური ვალდებულებიდან.

სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლის მიხედვით, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა არის 3 წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში მ. ჩ-მის სარჩელის ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაიწყო 2004 წლის 1 ნოემბრიდან და ამოიწურა 2007 წლის 1 ნოემბერს, სარჩელი კი აღძრული იყო 2009 წლის 1 ივლისს, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ. ამდენად, სასამართლომ ჩათვალა, რომ მ. ჩ-მის სარჩელის მოთხოვნა ხანდაზმული იყო. ამასთან, ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის ან შეჩერების საფუძველი საქმის მასალებით არ დასტურდებოდა.

სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას. ამ ნორმის მიხედვით ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას იწვევს მოვალის ისეთი მოქმედება, რომელიც მიუთითებს მის მიერ ვალდებულების მომავალში შესრულების ნებას, ადასტურებს კრედიტორის სასარგებლოდ გარკვეული ქმედების განხორციელების ვალდებულებას. სასამართლომ მიაჩნია, რომ ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას ვერ გამოიწვევდა სს «მ-ის» სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2006 წლის 11 დეკემბერს ჩატარებულ სხდომაზე მ. ჩ-მის სამუშაოზე აღდგენისა და შრომითი მოწყობის საკითხის განხილვა. ამ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით სამეთვალყურეო საბჭომ უარი განაცხადა მ. ჩ-მის სამუშაოზე აღდგენაზე. შესაბამისად, მას არ შეუსრულებია რაიმე მოქმედება, რომლითაც დაადასტურა მისი ვალდებულება მ. ჩ-მის შრომითი უფლების რეალიზაციის საკითხში. აქედან გამომდინარე, ამ ფაქტის გამო მ. ჩ-მის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა არ შეწყვეტილა.

სასამართლოს მოსაზრებით, მ. ჩ-მის სარჩელის ხანდაზმულობის ვადა ასევე არ შეჩერებულა კანონით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველით. სამოქალაქო კოდექსის 132-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდება, თუ ვალდებულების შესრულება გადავადებულია აღმასრულებელი ხელისფლების მიერ (მორატორიუმი); სარჩელის წარდენას აბრკოლებს განსაკუთრებული და მოცემულ შემთხვევაში აუცდენელი დაუძლეველი ძალა; კრედიტორი ან მოვალე იმყოფება შეიარაღებული ძალების იმ ნაწილში, რომელიც გადაყვანილია საომარ მდგომარეობაში; კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. მცხეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 30 ნოემბრის განჩინებით შეჩერდა 2004 წლის 18 ოქტომბერს გაცემული სააღსრულებო ფურცლის მოქმედება საქმის საბოლოოდ გადაწყვეტამდე. აღსრულება განახლდა 2006 წლის 24 ნოემბერს.

სამოქალაქო კოდექსის 136-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა შეჩერდება იმ შემთხვევაში, თუ 132-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები წარმოიშვა ან განაგრძობდა არსებობას ხანდაზმულობის ვადის უკანასკნელი ექვსი თვის ფარგლებში, ხოლო თუ ეს ვადა ექვს თვეზე ნაკლებია, ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში. სასამართლო განჩინების საფუძველზე შეჩერებული იძულებითი აღსრულების ღონისძიებები განახლდა 2006 წლის 24 ნოემბერს. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ აღსრულების შეჩერება ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას საფუძველად ვერ დაედებოდა, რადგან აღსრულება შეჩერებული არ ყოფილა ხანდაზმულობის ვადის უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში.

სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო მოვალეს შეუძლია უარი განაცხადოს ვალდებულების შესრულებაზე, რაც თავის მხრივ კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენდა მიუღებელი შემოსავლის დაკისრება გადაწყვეტილების მიღებიდან შესასრულებელი გადაწყვეტილების სრულ აღსრულებამდე. სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამგარიყო ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ამავე კოდექსის 409-ე მუხლის მიხედვით, თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება. ამ ნორმების შესაბამისად ზიანის ანაზღაურების ზოგადი პრინციპია დაზარალებულისათვის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, ხოლო თუ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელია ზიანი ანაზღაურდება ფულადი სახით.

სასამართლოს მითითებით, ამ შემთხვევაში მ. ჩ-მე მოითხოვდა ზიანის ანაზღაურების სახით მიუღებელი შემოსავლის დაკისრებას იმ შრომის ანაზღაურების სახით, რასაც მიიღებდა სს «მ-ის» გენერალური დირექტორის თანამდებობაზე აღდგენის შემთხვევაში. სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. ჩ-მის სარჩელის მოთხოვნები ურთიერთგამომრიცხავი იყო, რადგან ერთ შემთხვევაში მხარე მოითხოვდა მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას, ხოლო მეორე შემთხვევაში, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენამდე ზიანის ანაზღაურების დაკისრებას. როგორც აღინიშნა, სამოქალაქო სამართალში ზიანი ანაზღაურდება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით ან ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში, ფულადი სახით. ამ შემთხვევაში მოვალის მიერ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენაზე უარის თქმით, სასამართლო გადაწყვეტილების შესრულებაზე უარის თქმით იყო გამოწვეული მოსარჩელისათვის ზიანის მიყენება, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილების შესრულების იძულებითი აღსრულების საშუალებები ამოწურული იყო.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ჩ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით მ. ჩ-მის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: მ. ჩ-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სს «მ-ას» მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 21354 ლარის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს დასკვნა სარჩელის ხანდაზმულობის დასაწყისად 2004 წლის 1 ნოემბრის მიჩნევის თაობაზე. სასამართლოს აღნიშნული დასკვნა დაეფუძნა იმ გარემოებას, რომ მითითებული თარიღიდან გახდა ცნობილი მოსარჩელისათვის სს «მ-ას» მიერ მთაწმინდის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის ფაქტი, როდესაც მოპასუხემ, სასამართლო აღმასრულებლის მიერ განსაზღვრულ ვადაში, მისი რამდენიმე მოთხოვნის მიუხედავად, არ შეასრულა სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული მოქმედება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილების აღუსრულებლობით მიყენებული ზიანის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლის საწყისად უნდა მიჩნეულიყო დრო, როდესაც ამოიწურა ვადა, რომლის განმავლობაშიც შეიძლებოდა მისი აღსრულება მოპასუხის მიერ ნებაყოფლობით, ან აღსრულების იძულებითი საშუალებების გამოყენებით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე, რომლის თანახმად, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა ათი წელი, მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება.

საქმის მასალებით დგინდებოდა, რომ მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1997 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცელი გაიცა 1997 წლის 11 დეკემბერს. სააღსრულებო ფურცელში გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის თარიღი მითითებული არ არის. თუმცა, მისი გაცემის დღიდან ვადის ათვლის შემთხვევაშიც, გადაწყვეტილების აღსრულების 10-წლიანი ვადა ამოიწურა 2007 წლის 11 დეკემბერს.

სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის უფლების დარღვევის, შესაბამისად, გადაწყვეტილების აღსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაიწყო 2007 წლის 12 დეკემბრიდან, მას შემდგომ რაც გავიდა გადაწყვეტილების აღსრულებისათვის კანონით გათვალისწინებული ვადა.

საქმეზე დგინდებოდა, რომ მ. ჩ-მემ გადაწყვეტილების აღსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელი სასამართლოში აღძრა 2009 წლის 1 ივლისს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია, მ. ჩ-მის სს «მ-ის» გენერალური დირექტორის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1997 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მითითებული არ არის, თუმცა მოსარჩელის შრომითი მოწყობის საკითხის განხილვა აღსასრულებელი გადაწყვეტილებით დაევალა სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს. სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას სწორედ მხოლოდ საზოგადოების დირექტორის დანიშნვა და გამოწვევა, და არა საზოგადოებაში დასაქმებულ ყველა პირთან შრომითი ურთიერთობის საკითხების გადაწყვეტა («მეწარმეთა შესახებ» კანონის 55.7 მუხლი) წარმოადგენს. ამასთან, აღსასრულებელი გადაწყვეტილების განმარტების შესახებ 1998 წლის 10 აპრილსა და 2003 წლის 12 დეკემბერს მიღებული განჩინებებით გადაწყვეტილება განიმარტა იმგვარად, რომ სს «მ-ის» სამეთვალყურეო საბჭოს დაევალა განეხილა მ. ჩ-მის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე აღდგენის საკითხი. კერძოდ, 1998 წლის 10 აპრილის განჩინებით სს «მ-ას» დაევალა აქციათა ყველა მესაკუთრის მონაწილეობით მ. ჩ-მის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე აღდგენის საკითხის განხილვა.

ამდენად, მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 1997 წლის 2 ივნისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სს «მ-ას» დაეკისრა მ. ჩ-მის საზოგადოების გენერალური დირექტორის თანამდებობაზე აღდგენის ვალდებულება. აღნიშნული ვალდებულება არ შესრულდა.

სააპელაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობდა დელიქტური ვალდებულებიდან, რადგან დავის საგანს წარმოადგენდა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს, მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისათვისაც, მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. ამავე კოდექსის 412-ე მუხლით ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სს «მ-ის» მიერ გადაწყვეტილებით ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულების – მ. ჩ-მის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე აღდგენის შემთხვევაში, მოსარჩელე მიი-

დებდა შესაბამისი თანამდებობისათვის გათვალისწინებულ შრომის ანაზღაურებას, რომელიც მან ვერ მიიღო მოპასუხის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო.

სამოქალაქო კოდექსის 414-ე მუხლის თანახმად, ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები ის ინტერესი, რომელიც კრედიტორს ჰქონდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ. ზიანის ოდენობის დასადგენად გათვალისწინებულ უნდა იქნეს ხელშეკრულების შესრულების დრო და ადგილი. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, გადაწყვეტილების აღუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ოდენობის განსაზღვრისათვის მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობის პერიოდი. შესაბამისად, მოსარჩელე უფლებამოსილი იყო ზიანის სახით შესაბამისი თანამდებობის პირის მიერ მისაღები ხელფასის ტოლფასი თანხა მოეთხოვა გადაწყვეტილების აღსრულების ვადის ამოწურვამდე – 2007 წლის 10 დეკემბრამდე პერიოდისათვის, რადგან სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის საფუძველზე, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მოვალეს შეუძლია უარი განაცხადოს ვალდებულების შესრულებაზე.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების მოთხოვნების მიმართ ხანდაზმულობის ვადა სამი წლით განისაზღვრება. შესაბამისად, მოსარჩელეს მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურება შეეძლო მოეთხოვა სარჩელის ადვრამდე (2009 წლის 1 ივლისამდე) გასული სამი წლის განმავლობაში – 2006 წლის 1 ივლისიდან 2007 წლის 10 დეკემბრამდე (მოთხოვნის უფლების ამოწურვამდე) პერიოდში (17 თვე და 10 დღე).

სააპელაციო სასამართლომ მითითებით, საქმეზე დადგინდა, რომ სს «მ-ის» გენერალური დირექტორის ხელფასი 2006 წლის თებერვლიდან 2008 წლის იანვრის ჩათვლით შეადგენდა 1232 ლარს, შესაბამისად 17 თვისა და 10 დღის განმავლობაში მისაღები თანხის ოდენობა შეადგენდა მთლიანობაში 21354 (1232X17+410) ლარს. ამდენად, სს «მ-ა» ვალდებული იყო მ. ჩ-მისათვის აენაზღაურებინა მიყენებული ზიანი 21354 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა სს «მ-ამ», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლი და არასწორად განმარტა იგი. კანონის აღნიშნულ ნორმაში საუბარია ვადაზე, რომლის განმავლობაშიც კრედიტორს შეუძლია მოვალისაგან მოითხოვოს სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულების შესრულება. სასამართლომ კი მითითებული ნორმით გათვალისწინებული ვადის გასვლა დაუკავშირა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვისას. სასამართლომ მსჯელობით გამოიღო, რომ მას შემდგომ, რაც მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა თანამდებობაზე მის აღდგენასთან დაკავშირებით სს «მ-ის» სამეთვალყურეო საბჭოს უარის შესახებ, მხარე ვერ მიმართავდა სასამართლოს გადაწყვეტილების აღუსრულებლობით მიყენებულ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

საკასაციო საჩივრის თანახმად, საქმეზე უდავოდ დადგენილია, რომ მ. ჩ-მის მიერ წარდგენილი სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროში ამჟამადაც მიმდინარეობს სააღსრულებო წარმოება. საქმეზე წარდგენილი არ ყოფილა აღსრულების პროცესის შეწყვეტის, შეჩერების ან სააღსრულებო ფურცლის კრედიტორისათვის აღსრულებლად დაბრუნების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება. ასეთ პირობებში, კასატორისათვის გაუგებარია სასამართლოს მსჯელობა. ჯერ კიდევ არსებობს იმის ალბათობა, რომ მოხდეს გადაწყვეტილების აღსრულება. ამ მიმართებით სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლი, როდესაც მიუთითა მოვალის უფლებაზე, უარი განაცხადოს ვალდებულების შესრულებაზე ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია და არც მოწინააღმდეგე მხარე ხდის სადავოდ იმ გარემოებას, რომ უფლების დარღვევის შესახებ მ. ჩ-მისათვის ცნობილია 2004 წლის 1 ნოემბრიდან. კასატორის მითითებით, ასეთ ვითარებაში ცხადია, რომ სარჩელის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა გასულია.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეები მორიგდნენ და წარმოადგინეს შემდეგი შინაარსის მორიგების აქტი:

1. წინამდებარე მორიგების თანახმად მ. ჩ-მე უარს აცხადებს მის ნებისმიერ და ყველა მოთხოვნაზე, რაც 2011 წლის 9 მარტის მდგომარეობით გააჩნია ან/და 2011 წლის 9 მარტამდე დროის ნებისმიერ მონაკვეთში ან პერიოდში გააჩნდა სააქციო საზოგადოება «მ-ას», მისი წინამორბედი, სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი საწარმოს – «ქ-ის მინის ტარის ქარხნის», სს «მ-ას» სამეთვალყურეო საბჭოს, მისი ნებისმიერი წევრის, დამფუძნებლის (დამფუძნებლების), წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების მიმართ;

2. მ. ჩ-მე უარს აცხადებს მის ნებისმიერ თანამდებობაზე დანიშვნაზე სს «მ-აში» მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1997 წლის 2 ივნისის №2/124 გადაწყვეტილების შესაბამისად და აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით დაწყებული სააღსრულებო წარმოების გაგრძელებაზე, ისევე როგორც ნებისმიერი კომპენსაციის მოთხოვნაზე, რომელიც აღემატება ან/და არ არის გათვალისწინებული წინამდებარე მორიგების აქტით;

3. სს «მ-ა» 2011 წლის 20 მარტამდე წინამდებარე პუნქტში აღნიშნულ საბანკო ანგარიშზე გადაურიცხავს მ. ჩ-მეს 30000 ლარს, საიდანაც დაიქვითება შესაბამისი სამემოსავლო გადასახადი, საბანკო კოდი: თBჩBGE 22, მიმღების დასახელება – მ. ჩ-მე (სპორტ. და ახალგ. საქ. დეპ.), ანგარიშსწორების ანგარიში – GE... .. ;

4. მ. ჩ-მე კისრულობს ვალდებულებას, 2011 წლის 20 მარტამდე ოფიციალურად, წერილობით მიმართოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს და გამოითხოვოს სს «მ-ას», მისი სამეთვალყურეო საბჭოს ან მისი ნებისმიერი წევრის ან სს «მ-ას» წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიმართ მის სასარგებლოდ გამოწერილი სააღსრულებო ფურცელი, მათ შორის, 1997 წლის 10 დეკემბერს გაცემული სააღსრულებო ფურცელი №2/124;

5. მ. ჩ-მე საბოლოოდ გამოიხმობს ან ნებისმიერი, კანონით გათვალისწინებული წესით, უარს იტყვის ნებისმიერ დავაზე, აღსრულებაზე, მოკვლევაზე, გამოძიებაზე, დევნაზე ან/და სხვა ნებისმიერ პროცედურაზე, რომელიც მიმდინარეობს სს «მ-ას», მისი სამეთვალყურეო საბჭოს, მისი ნებისმიერი წევრის, წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მიმართ, რათა საბოლოოდ დასრულდეს, ყოველგვარი სამართლებრივი შედეგის გარეშე, მ. ჩ-მის ნებისმიერი მოთხოვნის, განცხადების შედეგად ან მ. ჩ-მის სასარგებლოდ მიმდინარე ნებისმიერი პროცედურა და პროცესი ამავე პირების მიმართ;

6. წინამდებარე მორიგების აქტის ძალით მ. ჩ-მე სს «მ-ას» ანიჭებს სრულ უფლებამოსილებას მიმართოს ნებისმიერ სააღსრულებო, საგამოძიებო, სასამართლო და სხვა ორგანოს ან თანამდებობის პირს, რათა საქართველოს კანონმდებლობის თანახმად სრული იურიდიული ძალა მიანიჭოს წინამდებარე მორიგების პირობებს და მიიღოს მხარეთათვის სასურველი იურიდიული შედეგი;

7. მ. ჩ-მის მიერ წინამდებარე მორიგების აქტის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მ. ჩ-მეს დაეკისრება პირგასამტეხლო სს «მ-ას» მიერ წინამდებარე მორიგების ფარგლებში გადახდილი თანხის სრული ოდენობით, ხოლო წინამდებარე მორიგება სრულად დარჩება ძალაში და მისი ნებისმიერი დებულება აღსრულდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;

8. ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია მიმართოს საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით წინამდებარე მორიგების აქტის დამტკიცების შესახებ. თუ მორიგების აქტის დასამტკიცებლად და შესაბამისი განჩინების გამოსატანად აუცილებელი იქნება მეორე მხარის თანხმობა, აღნიშნული მხარე თავის თანხმობას დაუყოვნებლივ გასცემს. აღნიშნული ვალდებულების დარღვევა გამოიწვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებას 30000 ლარის 0.1%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე;

9. სს «მ-ას» მიერ წინამდებარე მორიგების აქტის 1-ელი პუნქტით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში სს «მ-ას» დაეკისრება პირგასამტეხლო 30000 ლარის 0.1%-ის ოდენობით ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე გადახდის ვალდებულების დადგომიდან ვალდებულების შესრულებამდე;

10. მხარეების სურვილია, წინამდებარე მორიგების აქტის საფუძველზე საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიერ გამოიცეს განჩინება, რომელიც ითვალისწინებს აქ მოცემულ პირობებს და საქმის წარმოება შეწყდეს მხარეთა მორიგების გამო;

11. წინამდებარე მორიგების აქტი შედგა 4 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე დედან დოკუმენტად. თითო დედანი გადაეცემა მორიგების მხარეებს, ერთი დედანი წარედგინება საქართველოს უზენაეს სასამართლოს, ხოლო ერთი დედანი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს;

12. წინამდებარე მორიგების აქტი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერიდან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს და მოცემულ საქმეზე წარმოება შეწყდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის 1-ელი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. ამავე კოდექსის 218-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, სასამართლომ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ. ამავე კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მხარეები მორიგდნენ.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს, რის გამოც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის შესაბამისად, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს და საქმის წარმოება უნდა შეწყდეს. ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ან სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განახევრება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში. კანონის აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, კასატორს – სს «მ-ას» სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 1068 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. დაკმაყოფილდეს მხარეთა შუამდგომლობა და დამტკიცდეს მორიგება მხარეთა შორის შემდეგი პირობებით:

2. წინამდებარე მორიგების თანახმად მ. ჩ-მე უარს აცხადებს მის ნებისმიერ და ყველა მოთხოვნაზე, რაც 2011 წლის 9 მარტის მდგომარეობით გააჩნია ან/და 2011 წლის 9 მარტამდე დროის ნებისმიერ მონაკვეთში ან პერიოდში გააჩნდა სააქციო საზოგადოება «მ-ას», მისი წინამორბედი, სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი საწარმოს – «ქ-ის მ-ის ტარის ქარხნის», სს «მ-ას» სამეთვალყურეო საბჭოს, მისი ნებისმიერი წევრის, დამფუძნებლის (დამფუძნებლების), წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების მიმართ;

3. მ. ჩ-მე უარს აცხადებს მის ნებისმიერ თანამდებობაზე დანიშვნაზე სს «მ-აში» მთავმინდის რაიონის სასამართლოს 1997 წლის 2 ივნისის №2/124 გადაწყვეტილების შესაბამისად და აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით დაწესებული სააღსრულებო წარმოების გაგრძელებაზე, ისევე როგორც ნებისმიერი კომპენსაციის მოთხოვნაზე, რომელიც აღემატება ან/და არ არის გათვალისწინებული წინამდებარე მორიგების აქტით;

4. სს «მ-ა» 2011 წლის 20 მარტამდე წინამდებარე პუნქტში აღნიშნულ საბანკო ანგარიშზე გადაურიცხავს მ. ჩ-მეს 30000 ლარს, საიდანაც დაიქვითება შესაბამისი სამემოსავლო გადასახადი, საბანკო კოდი: თBჩBGE 22, მიმღების დასახელება – მ. ჩ-მე (სპორტ. და ახალგ. საქ. დეპ.), ანგარიშსწორების ანგარიში – GE... .. ;;

5. მ. ჩ-მე კისრულობს ვალდებულებას, 2011 წლის 20 მარტამდე ოფიციალურად, წერილობით მიმართოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს და გამოითხოვოს სს «მ-ას», მისი სამეთვალყურეო საბჭოს ან მისი ნებისმიერი წევრის ან სს «მ-ას» წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიმართ მის სასარგებლოდ გამოწერილი სააღსრულებო ფურცელი, მათ შორის, 1997 წლის 10 დეკემბერს გაცემული სააღსრულებო ფურცელი №2/124;

6. მ. ჩ-მე საბოლოოდ გამოიხმობს ან ნებისმიერი, კანონით გათვალისწინებული წესით, უარს იტყვის ნებისმიერ დავაზე, აღსრულებაზე, მოკვლევაზე, გამოძიებაზე, დევნაზე ან/და სხვა ნებისმიერ პროცედურაზე, რომელიც მიმდინარეობს სს «მ-ას», მისი სამეთვალყურეო საბჭოს, მისი ნებისმიერი წევრის, წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მიმართ, რათა საბოლოოდ დასრულდეს, ყოველგვარი სამართლებრივი შედეგის გარეშე, მ. ჩ-მის ნებისმიერი მოთხოვნის, განცხადების შედეგად ან მ. ჩ-მის სასარგებლოდ მიმდინარე ნებისმიერი პროცედურა და პროცესი ამავე პირების მიმართ;

6. წინამდებარე მორიგების აქტის ძალით მ. ჩ-მე სს «მ-ას» ანიჭებს სრულ უფლებამოსილებას მიმართოს ნებისმიერ სააღსრულებო, საგამოძიებო, სასამართლო და სხვა ორგანოს ან თანამდებობის პირს, რათა საქართველოს კანონმდებლობის თანახმად სრული იურიდიული ძალა მიანიჭოს წინამდებარე მორიგების პირობებს და მიიღოს მხარეთათვის სასურველი იურიდიული შედეგი;

7. მ. ჩ-მის მიერ წინამდებარე მორიგების აქტის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მ. ჩ-მეს დაეკისრება პირგასამტეხლო სს «მ-ას» მიერ წინამდებარე მორიგების ფარგლებში გადახდილი თანხის სრული ოდენობით, ხოლო წინამდებარე მორიგება სრულად დარჩება ძალაში და მისი ნებისმიერი დებულება აღსრულდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;

8. ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია მიმართოს საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით წინამდებარე მორიგების აქტის დამტკიცების შესახებ. თუ მორიგების აქტის დასამტკიცებლად და შესაბამისი განჩინების გამოსატანად აუცილებელი იქნება მეორე მხარის თანხმობა, აღნიშნული მხარე თავის თანხმობას დაუყოვნებლივ გაცემს. აღნიშნული ვალდებულების დარღვევა გამოიწვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებას 30000 ლარის 0.1%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე;

9. სს «მ-ას» მიერ წინამდებარე მორიგების აქტის 1-ელი პუნქტით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში სს «მ-ას» დაეკისრება პირგასამტეხლო 30000 ლარის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადახდის ვალდებულების დადგომიდან ვალდებულების შესრულებამდე;

10. მხარეების სურვილია, წინამდებარე მორიგების აქტის საფუძველზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოიცეს განჩინება, რომელიც ითვალისწინებს აქ მოცემულ პირობებს და საქმის წარმოება შეწყდეს მხარეთა მორიგების გამო;

11. წინამდებარე მორიგების აქტი შედგა 4 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე დედან დოკუმენტად. თითო დედანი გადაეცემა მორიგების მხარეებს, ერთი დედანი წარედგინება საქართველოს უზენაეს სასამართლოს, ხოლო ერთი დედანი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს;

12. წინამდებარე მორიგების აქტი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერიდან.

II. მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო, გაუქმდეს მოცემულ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება და შეწყდეს საქმის წარმოება.

III. განემარტოთ მხარეებს, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

IV. სს «მ-ას» დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 1068 ლარი.

V. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

№ას-1359-1197-2010

22 მარტი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ქათამაძე,

ბ. ალავიძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ა-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ლ. ხ-შვილის მიმართ 2150 ლარის დაკისრების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით: 2009 წლის 4 მაისს ლ. ხ-შვილსა და მ. ა-შვილს შორის გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება, რომლის თანახმად ლ. ხ-შვილს სარგებლობაში გადაეცა 6 კვ.მ ფართი «ხილ-ბოსტნეულის» და შერეული საქონლის სარეალიზაციოდ. ხელშეკრულების თანახმად, იჯარის ვადა განისაზღვრა ერთი წლით, საიჯარო გადასახადი კი-250 ლარით. ზაფხულში მოპასუხემ მიმართა მას თხოვნით, შეემცირებინა მისთვის საიჯარო ქირის გადასახადი 50 ლარით, რომელსაც აუნაზღაურებდა 4 სექტემბრისათვის. მოსარჩელის განცხადებით, დათქმულ დროს იგი მივიდა ლ. ხ-შვილთან და მოსთხოვა დავალიანების – 150 ლარის გადახდა, რაზეც მოპასუხემ უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ ვერ ააწყო საქმე და აპირებდა ხელშეკრულების შეწყვეტას. ამის შემდეგ, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ლ. ხ-შვილი დაცლიდა საიჯარო ფართს 14 სექტემბრისათვის. მოსარჩელემ გამოაქვეყნა განცხადება ფართის გაქირავების თაობაზე, რასაც გამოეხმაურა მოქალაქე და ბე-ს სახით შესთავაზა 50 ლარი, რაც წარმოადგენდა იმის წინაპირობას, რომ შემდგომში გაფორმდებოდა იჯარის ხელშეკრულება. მას შემდეგ, რაც ლ. ხ-შვილისათვის ცნობილი გახდა ახალი მოიჯარის თაობაზე, მან უარი განაცხადა ფართის განთავისუფლებაზე. მოსარჩელის განცხადებით, მოპასუხე არ იხდის იჯარის ხელშეკრულების თანხას, ასევე ფართის განთავისუფლების შემდეგ იგი ემუქრება მას.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა, უარი ეთქვას სარჩელს დაკმაყოფილებაზე შემდეგი საფუძვლებით: ხელშეკრულება ითვალისწინებდა საჯარო ფართის ვადამდე დატოვებას, რის თაობაზეც წერილობით აცნობა მოსარჩელეს. ვინაიდან, მ. ა-შვილმა არ მიიღო წერილი, ლ. ხ-შვილმა მოწმეთა თანდასწრებით შეადგინა აქტი ფართის განთავისუფლების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით მ. ა-შვილის სარჩელი ლ. ხ-შვილის მიმართ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ლ. ხ-შვილს დაეკისრა მ. ა-შვილის სასარგებლოდ 150 ლარის გადახდა. მ. ა-შვილის სარჩელი ლ. ხ-შვილისათვის 2 000 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ 2009 წლის 4 მაისს ლ. ხ-შვილსა და მ. ა-შვილს შორის გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება, რომლის თანახმად ლ. ხ-შვილს სარგებლობაში გადაეცა 6 კვ.მ ფართი «ხილ-ბოსტნეულის» და შერეული საქონლის სარეალიზაციოდ. ხელშეკრულების თანახმად, იჯარის ვადა განისაზღვრა ერთი წლით, საიჯარო გადასახადი კი 250 ლარით. 2009 წლის სექტემბრის თვეში მხარეთა შეთანხმებით შეწყდა 2009 წლის 4 მაისის იჯარის ხელშეკრულება. საიჯარო ქირის გადახდა მიმდინარეობდა ნატურით, ანუ პროდუქციით ხოლო თვის ბოლოს დარჩენილ ქირას ანაზღაურებდა ფულადი თანხით. 2009 წლის ზაფხულის თვეში (ივნისი, ივლისი, აგვისტო) მოპასუხის მოთხოვნით მ. ა-შვილმა შეუმცირა მოპასუხეს საიჯარო ქირა 50 ლარით, რომელიც მას უნდა აუნაზღაურებინა სექტემბრის 4 რიცხვში. ლ. ხ-შვილმა საიჯარო ფართი განთავისუფლა 2009 წლის 14 სექტემბრამდე. საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ მის მიერ მოხდა არსებული დავალიანების 150 ლარის ოდენობით ანაზღაურება. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ელი ნაწილით და აღნიშნა, რომ მოპასუხეს არ წარმოუდგენია სასამართლოსათვის იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მან დავალიანება აანაზღაურა, როგორც ნატურით, ასევე, თანხით. სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ ვითარებაში აღნიშნული გარემოების მტკიცების ტვირთი უნდა გადასულიყო ლ. ხ-შვილზე, ვინაიდან მას გააჩნდა რეალური შესაძლებლობა, მოეთხოვა კრედიტორისაგან თანხის ან პროდუქციის გადაცემა ხელწერილის ან შესაბამისი მტკიცებულების შედგენა. უფრო მეტიც, ლ. ხ-შვილი აწარმოებდა სპეციალურ რვეულს, სადაც აღწერდა შემოსავალსა და გასავალს. ამდენად, მას ამ შემთხვევაში უნდა გამოეჩინა მეწარმისათვის დამახასიათებელი გულისხმიერება, რომელიც მოითხოვს მომეტებულ სიფრთხილეს გარიგებების დადებისას. მას მეტი წინდახედულობა მოეთხოვებოდა ნივთისა და ფულის გადაცემისას და შეეძლო, წერილობით დაეზუსტებინა, თუ რა თანხის ანგარიშში იქნა გადაცემული კონკრეტული პროდუქცია. აქედან გამომდინარე, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხემ არ აანაზღაურა 2009 წლის ზაფხულში შემცირებული 150 ლარი. საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 399-ე მუხლის 1-ელი ნაწილით.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია, მხარეებს მათ შორის ურთიერთობა მოწესრიგებული აქვთ იჯარის ხელშეკრულების სახელით, მაგრამ, ხელშეკრულების შინაარსის ანალიზი ცხადყოფს, რომ მათ რეალურ მიზანს წარმოადგენდა ქირაფნობის ხელშეკრულების დადება, რაც განახორციელეს კიდევ, თუმცა იჯარის სახელწოდებით. ამასთან, მიუთითა, რომ ხელშეკრულების არსი უნდა განიმარტოს არა ხელშეკრულების სახელწოდებით.

ბის, არამედ მისი შინაარსის მიხედვით, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს ხელშეკრულების საკანონმდებლო კონსტრუქციასთან. სწორედ ამის მიხედვით უნდა გაიმიჯნოს ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულებები. გადამწყვეტი არ არის მხარეთა მიერ შერჩეული სახელწოდება, რომლითაც ისინი მათ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას მოიხსენიებენ. ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების განსაზღვრისათვის გადამწყვეტია ხელშეკრულების დადების მომენტში მისი შინაარსი. ქირავნობის ხელშეკრულება თავისი თვისებებით რამდენადმე ემსგავსება სხვა ხელშეკრულებებს. ყველაზე მჭიდრო კავშირი კი მას აქვს იჯარის ხელშეკრულებასთან. თუმცა, მათ შორის არსებობს ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება, რომელიც ერთმანეთისგან მიჯნავს ხელშეკრულების ამ ორ სახეს. კერძოდ, ქირავნობისგან განსხვავებით, იჯარის ხელშეკრულება მოიჯარეს ანიჭებს დამატებით უფლებას, მიიღოს ნაყოფი (შემოსავალი) ხელშეკრულებით განსაზღვრული ნივთიდან, ხოლო მეიჯარეს ეკისრება დამატებითი (გამპირავებლისგან განსხვავებით) ვალდებულება, მთელი საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოფს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა. იჯარის საგანს უნდა გააჩნდეს გარკვეული სამეურნეო დანიშნულება და იმთავითვე, მხოლოდ და მხოლოდ მეურნეობის სწორად გაძლიერების შედეგად უნდა იძლეოდეს ნაყოფს (შემოსავალს). საამისოდ იგი უნდა იყოს «მზად». თუმცა, თუ მოიჯარის მიერ ხელშეკრულების დადების შემდეგ მოხდება ინვენტარის შევსება ან სხვაგვარი მოდიფიცირება, ეს არ ნიშნავს, რომ ნივთს თავიდანვე არ ჰქონდა უნარი, მოეტანა შემოსავალი და ამით ხელშეკრულების არსი არ იცვლება. ქირავნობა მიმართულია მხოლოდ ნივთისკენ, ხოლო იჯარა ქონებისკენ (ნივთი და უფლება). ქირავნობა უზრუნველყოფს მხოლოდ ნივთით სარგებლობას, იჯარა – ასევე ნაყოფის მიღებას. როდესაც მიწის ან ფართის გადაცემა ხდება სამრეწველო ან თავისუფალი პროფესიული საქმიანობისთვის, იჯარის ხელშეკრულებად მოცემული ურთიერთობა მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს, თუ მოცემული მიწის ნაკვეთი ან ფართი კონსტრუქციულად განკუთვნილია განსაზღვრული საქმიანობისთვის, ამასთან ისეა მოწყობილი და აღჭურვილი, რომ მისი გამოყენება მაშინვე (იმთავითვე) შესაძლებელია მოგების მიღების მიზნით შემოსავლის მომტანი (შემოსავლიანი, მომგებიანი, მოგების მიღების მიზნით) საქმიანობისთვის. თუმცა, შესაძლოა, ინვენტარი შესავსები იყოს. იჯარისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ ის გარემოება, რომ ფართი (მათ შორის ცარიელი) სამეწარმეო ან პროფესიული დანიშნულებით გამოიყენება. ამას უნდა დაემატოს ასევე ხელშეკრულებით ნაკისრი გარკვეული მოქმედებები. ამგვარად, თუ მოიჯარე ფართს იყენებს სამეწარმეო საქმიანობისათვის ისე, რომ ხელშეკრულების დადების მომენტში ფართი ან შენობა წარმოადგენდა ცარიელ სათავსს ან სადგომს, ხოლო შემდგომში მოხდა მისი აღჭურვა შესაბამისი ინვენტარით და მასში მეურნეობის გამართვა, აქ სახეზეა ქირავნობის და არა იჯარის ხელშეკრულება. ამდენად, განსახილველ საქმეში სწორედ ასეთი შემთხვევაა წარმოდგენილი.

საქალაქო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მ. ა-შვილის მოთხოვნა საიჯარო ქირის 2 000 ლარის ანაზღაურების ნაწილში და აღნიშნა, რომ 2009 წლის 4 მაისის იჯარის ხელშეკრულება მოიშალა მხარეთა შეთანხმებით. მიუხედავად იმისა, რომ სახელშეკრულებო სამართალი ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპებსა და მხარეთა ურთიერთობაზე აგებული, ყოველთვის არსებობს გარკვეული რისკი, რომ მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში მოვალე ვერ შეძლებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. ასეთ ვითარებაში სამოქალაქო კოდექსი მხარეს ანიჭებს შესაძლებლობას, პატივსადები მიზეზების გათვალისწინებით მოშალოს ხელშეკრულება. ხელშეკრულების შეწყვეტის შესაძლებლობა სახელშეკრულებო თავისუფლებათა პრინციპის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს. აღნიშნული ინსტიტუტის გამოყენება ძირითადად გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობებისათვის არის დამახასიათებელი, რადგან ამგვარი ურთიერთობები არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი მოქმედებით, არამედ გულისხმობს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. შესაბამისად, ხელშეკრულების მოშლის ფუნქცია არის არა შესრულების შედეგად მიღებული შედეგების უკან დაბრუნება, არამედ მის შესრულებაზე მომავალში უარის თქმა, განსხვავებით ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტისა, რომლის მიზანია, შესაძლებლობა მისცეს კრედიტორს, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, როცა მოვალე არ ასრულებს ვალდებულებას.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლით და მიიჩნია, რომ თუ მხარეები თანხმდებიან ხელშეკრულების მოშლაზე, ეს გულისხმობს, რომ ასეთი შეწყვეტა ემსახურება ხელშეკრულების ორივე სუბიექტის ინტერესს და არ არსებობს ამის დამაბრკოლებელი გარემოებები. თუმცა, გასათვალისწინებელია ის სამართლებრივი შედეგები, რომელსაც იწვევს ხელშეკრულების მოშლა. ამ ინსტიტუტის რეალიზაციის მიზანს, წარმოადგენს მხარეთა სამომავლო ვალდებულებებისგან განთავისუფლება. ამდენად, დადგენილად ცნო, რომ მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა შეწყდა 2009 წლის სექტემბერს, ხოლო მოპასუხემ საიჯარო ფართი დაცალა 2009 წლის 14 სექტემბერს, რომელსაც შესასრულებელი დარჩა ზაფხულის სამივე თვის შემცირებული ქირის – 150 ლარის ოდენობით ანაზღაურების ვალდებულება, შესაბამისად, მოსარჩელეს წაერთვა საიჯარო ქირის მოთხოვნის უფლება.

საქალაქო სასამართლომ გაიზიარა მ. ა-შვილის მოთხოვნა შემცირებული საიჯარო ქირის 150 ლარის მოთხოვნის ნაწილში. სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილით და დადგენილად ცნო, რომ ლ. ხ-შვილის მოთხოვნით მ. ა-შვილის მიერ შემცირებულ იქნა ზაფხულის საიჯარო ქირა 50 ლარით, რაც ჯამში 150 ლარს შეადგენს. მოპასუხეს აღნიშნული დავალიანება უნდა გადაეხადა 2009 წლის 4 სექტემბრისათვის, მაგრამ არ გადაუხდია. მართალია, მხარეთა შორის შეწყდა 2009 წლის 4 მაისის ხელშეკრულება, მაგრამ ეს ვითარება არ ათავისუფლებს მხარეს არსებული ვალდებულების შესრულებისაგან. სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტისაგან განსხვავებით, მასზე არ ვრცელდება რესტიტუციის რეჟიმი, იგი არ არის მიმართული სამართლებრივი ურთიერთობის ანულირებისაკენ, შესაბამისად, ყველა შესრულებული, თუ შეწყვეტამდე არსებული ვალდებულება რჩება ძალაში. ლ. ხ-შვილის ვალდებულება წარმოიშვა ხელშეკრულების შეწყვეტამდე და იგი არ ექვემდებარება გაუქმებას.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ა-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით მ. ა-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ შეფასებებს, კერძოდ, დადგენილად ცნო, რომ 2009 წლის 4 მაისს ლ. ხ-შვილსა და მ. ა-შვილს შორის გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება, რომლის თანახმად ლ. ხ-შვილს სარგებლობაში გადაეცა 6 კვ.მ ფართი «ხილბოსტნეულის» და შერეული საქონლის სარეალიზაციოდ. ხელშეკრულების თანახმად, იჯარის ვადა განისაზღვრა ერთი წლით, საიჯარო გადასახადი კი – 250 ლარით. 2009 წლის სექტემბერში მხარეთა შეთანხმებით შეწყდა 2009 წლის 4 მაისის იჯარის ხელშეკრულება. საიჯარო ქირის გადახდა მიმდინარეობდა ნატურით, ანუ პროდუქციით, ხოლო თვის ბოლოს დარჩენილ ქირას ანაზღაურებდა ფულით. 2009 წლის ზაფხულში მოპასუხის მოთხოვნით მ. ა-შვილმა შეუმცირა მოპასუხეს საიჯარო ქირა 50 ლარით, რომელიც მას უნდა აენაზღაურებინა სექტემბრისთვის. ლ. ხ-შვილმა საიჯარო ფართი გაათავისუფლა 2009 წლის 14 სექტემბრამდე. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის არგუმენტი, იმის თაობაზე, რომ მან არსებული დავალიანება – 150 ლარი აანაზღაურა. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ელი ნაწილით და აღნიშნა, რომ მოპასუხეს არ წარმოუდგენია სასამართლოსათვის იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მან დავალიანება აანაზღაურა, როგორც ნატურით, ასევე, თანხით. სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ ვითარებაში აღნიშნული გარემოების მტკიცების ტვირთი უნდა გადაიწილდეს ლ. ხ-შვილზე, ვინაიდან მას გააჩნდა რეალური შესაძლებლობა, მოეთხოვა კრედიტორისაგან თანხის ან პროდუქციის გადაცემა ხელწერილის ან შესაბამისი მტკიცებულების შედგენა. უფრო მეტიც, ლ. ხ-შვილი აწარმოებდა სპეციალურ რვეულს, სადაც აღწერდა შემოსავალსა და გასავალს. ამდენად, მას ამ შემთხვევაში უნდა გამოეჩინა მეწარმისათვის დამახასიათებელი გულისხმიერება, რომელიც მოითხოვს მომეტებულ სიფრთხილეს გარიგებების დადებისას. მას მეტი წინდახედულობა მოეთხოვებოდა ნივთისა და ფულის გადაცემისას და შეედლო, წერილობით დაეზუსტებინა, თუ რა თანხის ანგარიშში იქნა გადაცემული კონკრეტული პროდუქცია. აქედან გამომდინარე, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხემ არ აანაზღაურა 2009 წლის ზაფხულში შემცირებული 150 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა რა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება სადავო ხელშეკრულების ქირავნობის ხელშეკრულებად მიჩნევასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ 2009 წლის 4 მაისის იჯარის ხელშეკრულება მოიშალა მხარეთა შეთანხმებით. მიუხედავად იმისა, რომ სახელშეკრულებო სამართალი ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპებსა და მხარეთა ურთიერთობაზე აგებული, ყოველთვის არსებობს გარკვეული რისკი, რომ მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში მოვალე ვერ შეძლებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. ასეთ ვითარებაში სამოქალაქო კოდექსი მხარეს ანიჭებს შესაძლებლობას, პატივსადემი მიზეზების გათვალისწინებით მოშალოს ხელშეკრულება. ხელშეკრულების შეწყვეტის შესაძლებლობა სახელშეკრულებო თავისუფლებათა პრინციპის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს. აღნიშნული ინსტიტუტის გამოყენება ძირითადად გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობებისთვის არის დამახასიათებელი, რადგან ამგვარი ურთიერთობები არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი მოქმედებით, არამედ გულისხმობს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. შესაბამისად, ხელშეკრულების მოშლის ფუნქცია არის არა შესრულების შედეგად მიღებული შედეგების უკან დაბრუნება, არამედ მის შესრულებაზე მომავალში უარის თქმა, განსხვავებით ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტისა, რომლის მიზანია, შესაძლებლობა მისცეს კრედიტორს, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, როცა მოვალე არ ასრულებს ვალდებულებას. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლით და დადგენილად ცნო, რომ მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა შეწყდა 2009 წლის სექტემბერს, ხოლო მოპასუხემ საიჯარო ფართი დაცალა 2009 წლის 14 სექტემბერს, რომელსაც შესასრულებელი დარჩა ზაფხულის სამივე თვის შემცირებული ქირის – 150 ლარის ოდენობით ანაზღაურების ვალდებულება, შესაბამისად, მოსარჩელეს წაერთვა საიჯარო ქირის მოთხოვნის უფლება.

სააპელაციო სასამართლო ასევე დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მ. ა-შვილის სარჩელის მოთხოვნის შემცირებული საიჯარო ქირის - 150 ლარის მოთხოვნის ნაწილში გაზიარებასთან დაკავშირებით. სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ ლ. ხ-შვილის მოთხოვნით მ. ა-შვილის მიერ შემცირებულ იქნა ზაფხულის საიჯარო ქირა 50 ლარით, რაც ჯამში 150 ლარს შეადგენს. მოპასუხეს აღნიშნული დავალიანება უნდა გადაეხადა 2009 წლის 4 სექტემბრისათვის, მაგრამ არ გადაუხდია. მართალია, მხარეთა შორის შეწყდა 2009 წლის 4 მაისის ხელშეკრულება, მაგრამ ეს ვითარება არ ათავისუფლებს მხარეს არსებული ვალდებულების შესრულებისაგან. სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტისაგან განსხვავებით, მასზე არ ვრცელდება რესტიტუციის რეჟიმი, იგი არ არის მიმართული სამართლებრივი ურთიერთობის ანულირებისაკენ, შესაბამისად, ყველა შესრულებული, თუ შეწყვეტამდე არსებული ვალდებულება რჩება ძალაში. ლ. ხ-შვილის ვალდებულება წარმოიშვა ხელშეკრულების შეწყვეტამდე და იგი არ ექვემდებარება გაუქმებას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ა-შვილმა, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ლ. ხ-შვილს მოსარჩელის სასარგებლოდ 2000 ლარის დაკისრება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 531-ე მუხლი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 581-ე და 588-ე მუხლები, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სასამართლომ არასწორად შეაფასა ის გარემოება, რომ მ. ა-შვილსა და ლ. ხ-შვილს შორის დადებული ხელშეკრულება წარმოადგენდა ქირავნობის ხელშეკრულებას. სინამდვილეში, ხელშეკრულება დაი-

დო ორივე მხარის ნების გამოვლენით. ხელშეკრულებით ა-შვილმა 6 კვ.მ. ფართი გადასცა ხ-შვილს, ხოლო სანაცვლოდ ა-შვილმა იკისრა ვალდებულება, გადაეხადა საიჯარო თანხა ა-შვილისთვის ყოველთვიურად 250 ლარის ოდენობით. ხელშეკრულების ერთადერთ მიზანს წარმოადგენდა ხელშეკრულების საგნის (6 კვ. მ ფართის) გამოყენება ისე, რომ ხ-შვილს მიეღო გამოყენებით ნაყოფი, კერძოდ, 6 კვ. მ ფართის გამოყენება იყო ხილ-ბოსტნეულისა და შერეული საქონლის სარეალიზაციოდ. არასწორია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ, როდესაც მიწის ან ფართის გადაცემა ხდება სამრეწველო ან თავისუფალი პროფესიული საქმიანობისთვის, იჯარის ხელშეკრულებად მოცემული ურთიერთობა მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს, თუ მოცემული მიწის ნაკვეთი ან ფართი კონსტრუქციულად განკუთვნილია განსაზღვრული საქმიანობისთვის, ამასთან ისეა მოწყობილი და აღჭურვილი, რომ მისი გამოყენება მაშინვე (იმთავითვე) შესაძლებელია მოგების მიღების მიზნით შემოსავლის მომტანი (შემოსავლიანი, მომგებიანი, მოგების მიღების მიზნით) საქმიანობისთვის, თუმცა, შესაძლოა, ინვენტარი შესავსები იყოს. იჯარისათვის არ არის საკმ.სი მხოლოდ ის გარემოება, რომ ფართი (მათ შორის ცარიელი) სამეწარმეო ან პროფესიული დანიშნულებით გამოიყენება. ამას უნდა დაემატოს ასევე ხელშეკრულებით ნაკისრი გარკვეული მოქმედებები. მოცემულ შემთხვევაში ხ-შვილმა სათანადოდ მოაწყო და აღჭურვა 6 კვ. მ ფართი სამეწარმეო საქმიანობისათვის. იგი უზრუნველყოფდა შემოსავლის მიღებას სწორედ მის მიერ განხორციელებული სამეწარმეო საქმიანობის შედეგად, შესაბამისად, არსებობს იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა წინაპირობა.

არასწორია ასევე სააპელაციო სასამართლოს მითითება იმის თაობაზე, რომ, თუ მოიჯარე ფართს იყენებს სამეწარმეო საქმიანობისათვის ისე, რომ ხელშეკრულების დადების მომენტში ფართი ან შენობა წარმოადგენდა ცარიელ სათავსს ან სადგომს, ხოლო შემდგომში აღიჭურვა შესაბამისი ინვენტარით და გაიხსნა მაღაზია, ესაა ქირავნობისა და არა იჯარის ხელშეკრულება. სასამართლოს აღნიშნული მოსაზრება ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლის მოთხოვნებს. იჯარისა და ქირავნობის მთავარი განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ იჯარის საგანი გამოიყენება სამეწარმეო მიზნებისათვის, ხოლო ქირავნობის საგანი მიზნად ისახავს ნივთის მხოლოდ სარგებლობას და არა ნაყოფის მიღებას. ხ-შვილმა 6 კვ. მ ფართი დაიკავა იმ მიზნით, რომ მისი დაკავებით მიეღო ნაყოფი და არა მხოლოდ ესარგებლა ამ ფართით. ნაყოფის მიღებას უზრუნველყოფს არა მხოლოდ სამეწარმეო დანიშნულებისათვის განკუთვნილი ნივთები, არამედ ის ფართიც, რომელიც გამოყოფილია საქონლის გასაყიდად. ამდენად, აღნიშნული ურთიერთობა მიიჩნევა იჯარისა და არა ქირავნობის ხელშეკრულებად, შესაბამისად, გამოიყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის 588-ე მუხლი.

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა. აღნიშნული ნორმის გამოყენებისათვის აუცილებელია გარკვეული პირობების არსებობა. ერთ-ერთი ასეთი პირობაა, რომ მხარეთა შორის არსებობდეს გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობა, თუმცა ერთი წელი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობად, მით უმეტეს, რომ მოიჯარე ნაკისრ ვალდებულებას 4 თვის განმავლობაში ასრულებდა, ასევე პატივსადები მიზეზის არსებობა, თუმცა მოპასუხემ ვერ დაასაბუთა, თუ რას წარმოადგენდა ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზი. მისი ფინანსური მდგომარეობა არ შეიძლება გახდეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს რაიმე სახის დაუძლეველი ძალა, რაც გავლენას მოახდენს იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. მოიჯარის მიერ შემოსავლის მიღება დამოკიდებულია სწორი სამეწარმეო საქმიანობის წარმართვაზე. ამავე დროს არ არსებობს ორმხრივი ინტერესი ხელშეკრულების მოშლაზე, ვინაიდან მ. ა-შვილი თანხმობას არ აცხადებს ხელშეკრულების მოშლაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 თებერვლის განჩინებით მ. ა-შვილის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს ლ. ხ-შვილსა და მ. ა-შვილს შორის მორიგების დამტკიცება შემდეგი პირობებით:

ლ. ხ-შვილი იღებს ვალდებულებას 2011 წლის 25 მაისამდე გადაუხადოს მ. ა-შვილს 250 ლარი და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის მიერ დაკისრებული 150 ლარი სულ 400 ლარის ოდენობით; თანხის გადახდა განხორციელდეს სს «პ. ბანკში» მ. ა-შვილის სახელზე გახსნილ №3610... .. ანგარიშზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, მიიჩნევს, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის 1-ელი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეებს მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის

273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმოწერილ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველზე არ შეიძლება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 272-ე, 273-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

დამტკიცდეს მორიგება ლ. ხ-შვილსა და მ. ა-შვილს შორის შემდეგი პირობებით:

ლ. ხ-შვილი იღებს ვალდებულებას, 2011 წლის 25 მაისამდე გადაუხადოს მ. ა-შვილს 250 ლარი და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის გადაწყვეტილებით დაკისრებული 150 ლარი სულ 400 ლარის ოდენობით. თანხის გადახდა განხორციელდეს სს «პ. ზანკში» მ. ა-შვილის სახელზე გახსნილ №3610... .. ანგარიშზე;

შეწყდეს საქმის წარმოება მ. ა-შვილის სარჩელის გამო ლ. ხ-შვილის მიმართ თანხის დაკისრების შესახებ; გაუქმდეს მოცემულ საქმეზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები; საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

№ას-159-153-2011

10 მაისი, 2011 წ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავეძე

დავის საგანი: ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ც-იამ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეების: ხ. კ-შვილისა და შ. ბ-შვილის მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით შემდეგი საფუძველებით: 2009 წლის 5 მაისს მოსარჩელესა და ხ. კ-შვილს შორის შედგა გარიგება უძრავი ქონების – ქ. რუსთავეში, ... №3-144-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის ხელშეკრულებამდე შესაძლებელი თაობაზე, რომლის თანახმადაც მოსარჩელემ ხ. კ-შვილს მითითებულ დღეს გადასცა 1500 აშშ დოლარი. საცხოვრებელი ბინის ნასყიდობის ფასი განისაზღვრა 9500 აშშ დოლარი. 2009 წლის 29 მაისს მოსარჩელემ ხ. კ-შვილს გადასცა დამატებით 4 500 აშშ დოლარი, სანაცვლოდ მოპასუხეები ვალდებული იყვნენ მოსარჩელისათვის გადაეცათ უფლებრივად უნაკლო ბინა. გარიგება შესახებ შედგენილ იქნა წერილობითი ფორმით. შემდგომში, მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა, რომ ხ. კ-შვილი არ იყო ბინის მესაკუთრე და ბინა ეკუთვნოდა მის შვილ შ. ბ-შვილს, რომელმაც რამოდენიმეჯერ დატვირთა ბინა იპოთეკით. ხ. კ-შვილმა გაასხვისა სხვისი ბინა, რათა მას მიეღო სარგებელი. მიუხედავად არაერთგზის მოთხოვნისა, მოპასუხე თავს არიდებს ფულის დაბრუნების ვალდებულებას.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მიუთითეს, რომ მოსარჩელეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დათქმულ დროში არ შეუსრულებია.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. ც-იას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხეებს ხ. კ-შვილსა და შ. ბ-შვილს სოლიდარულად დაეკისრათ 5 900 აშშ დოლარის გადახდა მოსარჩელე ნ. ც-იას სასარგებლოდ.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ხ. კ-შვილმა და შ. ბ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 2 ნოემბრის განჩინებით ხ. კ-შვილისა და შ. ბ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ შეფასებებს, კერძოდ, დადგენილად ცნო, რომ 2009 წლის 5 მაისს ნ. ც-იასა და ხ. კ-შვილს შორის შედგა გარიგება უძრავი ქონების – საცხოვრებელი სახლის (მდებარე ქ. რუსთავეში, ... 3-144-ში) ნასყიდობის ხელშეკრულებამდე შესაძლებელი შესახებ, რომლის თანახმადაც ნ. ც-იამ ხ. კ-შვილს ამავე დღეს გადასცა 1 500 აშშ დოლარი. საცხოვრებელი ბინის ნასყიდობის ფასი განისაზღვრა 9500 აშშ დოლარად. 2009 წლის 29 მაისს ნ. ც-იამ ხ. კ-შვილს გადასცა დამატებით 4 400 აშშ დოლარი. მოპასუხე ხ. კ-შვილმა გადაცემული თანხით დაკმაყოფილა სხვა კრედიტორული მოთხოვნები, რომელთა უზრუნველყოფის მიზნით ნასყიდობის საგანი – საცხოვრებელი ბინა დაიტვირთა იპოთეკით. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელის მიერ გადაცემული 5900 აშშ დოლარი წარმოადგენს ბეს სახით გადაცემულ თანხას მთლიანად და მიუთითა, რომ ბეს ხელშეკრულების ნამ-

დვილობის შემთხვევაში ზედ შეიძლება მიჩნეულიყო მხოლოდ 1500 აშშ დოლარი, ხოლო 4 400 აშშ დოლარი ვალდებულების ნაწილობრივ შესრულებად ჩათვლილიყო. სასამართლომ მხარეთა ახსნა-განმარტებებზე დაყრდნობით დადგენილად ცნო ასევე, რომ მოპასუხებმა ნასყიდობის ფასი გაზარდეს ანუ შეთანხმებული პირობები შეცვალეს. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ მან დამატებით მოპასუხეს გადასცა 100 აშშ დოლარი, ვინაიდან მიიჩნია, რომ ამის დამადასტურებელი მტკიცებულება მოსარჩელეს არ წარმოუდგენია.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა ასევე პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე, 59-ე, 323-ე, 327-ე, 328-ე, 421-ე და 976-ე მუხლების გამოყენებასთან დაკავშირებით. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლითა და 102-ე მუხლის 1-ელი და მეორე ნაწილებით და მიიჩნია, რომ აპელანტებმა ვერ დაადასტურეს გარემოებები, რომლებზედაც ისინი ამყარებენ თავის მოთხოვნებს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ხ. კ-შვილმა და შ. ბ-შვილმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: მხარეებს შორის დაიდო ბეს ხელშეკრულება და არა ნასყიდობის ხელშეკრულება. მხარეებს გარიგება არ დაურეგისტრირებიათ საჯარო რეესტრში. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული გარიგება არასწორად

მიიჩნია საქმისათვის მნიშვნელოვან გარიგებად. 2009 წლის 5 მაისს დადებული ბეს ხელშეკრულებით მხარეებმა იკისრეს ვალდებულებები და ვალდებულებათა უზრუნველყოფის საშუალებად განსაზღვრეს ბეს ოდენობა 1500 აშშ დოლარით. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება არასწორად არ მიიჩნია საქმისათვის მნიშვნელობის მქონედ.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

1. ხ. კ-შვილი და შ. ბ-შვილი იღებენ ვალდებულებას სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესული ნაწილისა და წინამდებარე მორიგების აქტის საფუძველზე, არაუგვიანეს 2011 წლის 10 ივლისამდე ნ. ც-იას გადაუხადოს 5200 აშშ დოლარი და 350 ლარი. ამ თანხიდან 4400 აშშ დოლარი არის სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული ნაწილის შესაბამისად გადასახდელი და დარჩენილი 800 აშშ დოლარი და 350 ლარი კი მორიგების პირობის შესაბამისად.

2. ნ. ც-ია იღებს ვალდებულებას, ხ. კ-შვილის და შ. ბ-შვილის მხრიდან წინამდებარე მორიგების პირობების ჯეროვნად შესრულების და თანხის სრულად დაბრუნებისთანავე, სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველსაყოფად განხორციელებული ყადაღის ღონისძიება გააუქმოს შესაბამისი წესით.

3. კასატორების მხრიდან მორიგების აქტში მითითებული პირობების განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, ნ. ც-ია იტოვებს უფლებას მოახდინოს მოთხოვნის იძულებით აღსრულება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, თვლის, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის 1-ელი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმოწერიდ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველზე არ შეიძლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ხ. კ-შვილს სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს მის მიერ 2011 წლის 18 თებერვალს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა მორიგების აქტი წარმოადგინეს საკასაციო სასამართლოს მთავარი სხდომის დაწყებამდე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად კი, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

დამტკიცდეს მორიგება ხ. კ-შვილს, შ. ბ-შვილს და მოწინააღმდეგე მხარე ნ. ც-იას შორის შემდეგი პირობებით:

1. ხ. კ-შვილი და შ. ბ-შვილი იღებენ ვალდებულებას სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესული ნაწილისა და წინამდებარე მორიგების აქტის საფუძველზე, არაუგვიანეს 2011 წლის 10 ივლისამდე ნ. ც-იას გადაუხადონ 5200 აშშ დოლარი და 350 ლარი. ამ თანხიდან 4400 აშშ დოლარი

არის სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული ნაწილის შესაბამისად გადასახდელი და დარჩენილი 800 აშშ დოლარი და 350 ლარი კი მორიგების პირობის შესაბამისად.

2. ნ. ც-ია იღებს ვალდებულებას, ხ. კ-შვილის და შ. ბ-შვილის მხრიდან წინამდებარე მორიგების პირობების ჯეროვნად შესრულების და თანხის სრულად დაბრუნებისთანავე, სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველსაყოფად განხორციელებული ყადაღის ღონისძიება გააუქმოს.

3. კასატორების მხრიდან მორიგების აქტში მითითებული პირობების განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, ნ. ც-ია ითხოვს განჩინების იძულებით აღსრულებას

შეწყდეს საქმის წარმოება ნ. ც-იას სარჩელისა გამო ხ. კ-შვილის და შ. ბ-შვილის მიმართ ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ.

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები.

ხ. კ-შვილს დაუბრუნდეს მის მიერ 2011 წლის 18 თებერვალს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

№ას-215-205-2011

10 მაისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ბ. ალავეძე,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ჭ-მემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ე. გ-ის მიმართ, ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის შესახებ, იმ საფუძველზე, რომ ქ.თბილისის სამგორის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1991 წლის 27 მარტის №06.155/17 გადაწყვეტილების საფუძველზე მიიღო ქ.თბილისში, ... მე-20 კორპუსში მე-5 სართულზე მდებარე ოროთახიანი იზოლირებული ბინა, ფართით 36,6 კვ.მ. და ასევე უნდა გაცემულიყო ორდერი მისი ოჯახის 4 წევრზე. ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის 2009 წლის 30 აპრილის №46 განკარგულების 1-ელი პუნქტის საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულების შესაბამისად, მოქალაქე ლ. ჭ-მეს უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაეცა სახელმწიფო საბინაო ფონდის საცხოვრებელი იზოლირებული ბინა №20, საერთო ფართის 76,20კვ.მ, მდებარე ..., კორპუს №20-ში. ხოლო ამავე განკარგულების 2 პუნქტის შესაბამისად, მასზე უნდა გაცემულიყო საკუთრების უფლების მოწმობა და გამგეობის მიერ დამოწმებული შიდა საკადასტრო აზომვითი ნახაზი. აღნიშნულის საფუძველზე 2009 წლის 4 მაისს მოქალაქე ლ. ჭ-მეზე, აღნიშნულ მისამართზე გაცემულ იქნა საკუთრების უფლების მოწმობა №1943. აღნიშნული ბინა, ამჟამად ირიცხება მოქალაქე ლ. ჭ-მის სახელზე. მისი ნებართვის გარეშე მის ბინაში შეჭრილია იძულებით გადაადგილებული პირი ე. გ-ი, იგი ითხოვს ე. გ-ის გამო-სახლებას ქ.თბილისში, ..., მე-20 კორპუსში მდებარე №20 ბინიდან.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ არის იძულებით გადაადგილებული პირი, ამიტომ არ უნდა გამოასახლონ. ამასთან, ეს სახლი დაუმთავრებელი იყო და მან საკუთარი ხარჯებით გააკეთა, რაშიც მონაწილეობა არ მიუღია მოსარჩელეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ლ. ჭ-მის სარჩელი, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. გ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 ნოემბრის განჩინებით ე. გ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: ლ. ჭ-მემ ქ.თბილისის სამგორის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1991 წლის 27 მარტის №06.155/17 გადაწყვეტილების საფუძველზე მიიღო ოროთახიანი 36,6 კვ.მ. ბინა იზოლირებული, მისამართზე ..., მე-20 კორპუსი მე-5 სართული. ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის 2009 წლის 30 აპრილის №46 განკარგულების 1-ელი პუნქტის საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულების შესაბამისად, მოქალაქე ლ. ჭ-მეს უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაეცა სახელმწიფო საბინაო ფონდის საცხოვრებელი იზოლირებული ბინა №20 საერთო ფართით 76,20კვ.მ, მდებარე ..., მე-20 კორპუსი №20 ბინა. ხოლო ამავე განკარგულების მე-2 პუნქტის შესაბამისად, მასზე უნდა გაცემულიყო საკუთრების უფლების მოწმობა და გამგეობის მიერ დამოწმებული შიდა საკადასტრო აზომვითი ნახაზი. აღნიშნულის საფუძველზე 2009 წლის 4 მაისს მოქალაქე ლ. ჭ-მის სახელზე აღნიშნულ მისამართზე, გაცემულ იქნა საკუთრების უფლების მოწმობა №1943. აღნიშნული ბინა, ამჟამად ირიცხება მოქალაქე ლ. ჭ-მის სახელზე. მისი ნებართვის გარეშე მის ბინაში შეჭრილია იძულებით გადაადგილებული პირი ე. გ-ი.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირელი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: სადავო ბინა საკუთრების უფლებით ეკუთვნის ლ. ჭ-ძეს. მოპასუხე ფაქტობრივად ფლობს სადავო ბინას. ე. გ-ი დევნილის მოწმობის თანახმად, რეგისტრირებულია სადავო მისამართზე. სადავო ბინა დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ობიექტი არ არის და არ დასტურდება ამ ფართში ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ნებართვით ე. გ-ის შესახლება. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ცნობის თანახმად, ე. გ-ი დევნილად რეგისტრირებულია სამგორის რაიონში, დროებით მცხოვრები, კერძოდ: ქ. თბილისში, ... №20 კორპუსში (კერძო სექტორი). სასამართლოს განჩინებით სამინისტროდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია მათი ნებართვის საფუძველზე არის თუ არა შესახლებული ე. გ-ი სადავო მისამართზე, რაზეც სასამართლოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 07.05.2010 წლის წერილით ეცნობა, რომ სამინისტროს მონაცემთა ბაზის მიხედვით ე. გ-ი დევნილად რეგისტრირებულია სადავო მისამართზე, ხოლო განჩინებით გათვალისწინებული სხვა მონაცემები სამინისტროში მოძიებული ვერ იქნა. აღნიშნული მოწმობს, რომ სამინისტროს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულება იმისა, რომ ე. გ-ი მათი ნებართვით არის შესახლებული სადავო ბინაში და იგი წარმოადგენს კომპაქტური ჩასახლების ობიექტს.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა ასევე პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივ შეფასებებს კერძოდ; საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის 1-ელი პუნქტით დადგენილია, რომ საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია, დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობის მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელმწიფოებრივ შეზღუდვების ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ზოროტად გამოყენებას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება.

«იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ» საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სახელმწიფო უზრუნველყოფს დევნილს დროებითი საცხოვრებელი ფართობით. სამინისტრო ახორციელებს დევნილთა განსახლებას სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების მიერ დევნილთა დროებითი განსახლებისათვის გამოყოფილი საცხოვრებელი ფართობის ფარგლებში. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, საბინაო საკითხებთან დაკავშირებული დავები წყდება სასამართლო წესით, ამასთან, საქართველოს შესაბამის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტებიდან არ ხდება დევნილების გამოსახლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც: ა) დევნილებთან იდება წერილობითი შეთანხმება; ბ) გამოიყოფა შესაბამისი საცხოვრებელი ფართობი, რომლითაც არ გაუარესდება დევნილის საყოფაცხოვრებო პირობები; გ) ხდება სტიქიური ან სხვა მოვლენები, რაც ითვალისწინებს განსაზღვრულ კომპენსაციებს და რეგულირდება საერთო წესით; დ) დევნილს ფართობი დაკავებული აქვს თვითნებურად, კანონის დარღვევით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმეში არსებული მასალებით და მხარეთა ახსნა-განმარტებებით დგინდება, რომ მოპასუხე ე. გ-ი ცხოვრობს იმ ფართში, რომელიც არ წარმოადგენს კომპაქტურად განსახლების ობიექტს და რომელშიც მოპასუხე ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ნებართვით არ არის შესახლებული. საწინააღმდეგოს დამტკიცება მოპასუხემ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, ვერ შეძლო. კანონის თანახმად, სხვისი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის უფლება მესაკუთრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა და მისი უზრუნველყოფა ხდება ვინდუკაციური სარჩელის შეტანის გზით. მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ შემთხვევაში სამი წინაპირობის ერთდროულად არსებობისას არის შესაძლებელი. პირველი, უნდა არსებობდეს ნივთის მესაკუთრე, მეორე, უნდა არსებობდეს ნივთის მფლობელი და მესამე, მფლობელს არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის ფლობის უფლება.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას მოპასუხის მიერ ვერ იქნა დადასტურებული სადავო ფართის ფლობის უფლება, მაშინ, როცა იგი ფაქტობრივად ცხოვრობს ამ ფართში და არ აძლევს მესაკუთრეს მისით სარგებლობის შესაძლებლობას. სასამართლოს მოსაზრებით, მოპასუხემ ვერ დააზუსტა «იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ» კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული კანონისმიერი დაცვის მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობა, ამდენად სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა იმ მოსაზრებას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად მიიჩნია ლ. ჭ-ძის სარჩელი საფუძვლიანად და მოპასუხე ე. გ-ის უკანონო მფლობელობიდან უნდა გამოთხოვილ იქნეს ქ.თბილისში, ..., მე-20 კორპუსში მდებარე №20 ბინა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. გ-მა და მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით უარი ეთქვას მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე შემდეგი საფუძველებით: მიაჩნია, რომ სადავო ფართის მართლზომიერი მფლობელია, ვინაიდან ე. გ-ისა და მისი ოჯახის წევრების რეგისტრაციის კანონიერება ეჭვ ქვეშ არავის დაუყენებია. შესაბამისად, რეგისტრაციის შედეგად საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ აპელანტს მიანიჭა სადავო ბინით სარგებლობის უფლება. მოსარჩელეს არა აქვს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლის საფუძველზე ნივთის გამოთხოვის უფლება. სადავო კორპუსში, ლტოლვილები კომპაქტურად არიან ჩასახლებული და ამჟამად იქ სულ 28 იძულებით გადაადგილებული დევნილი ოჯახი ცხოვრობს. რეგისტრირებულია საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ. აღნიშნული დასტურდება სამინისტროს მიერ გაცემული ცნობებით ლტოლვილთა რეგისტრაციის შესახებ. გარდა ამისა, მისი აზრით დამატებითი გარანტიებს აძლევს კანონი «იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ» და პრეზიდენტის 1996 წლის 25 სექტემბრის ბრძანებულება, რაც სააპელაციო სასამართლოს არ

გაითვალისწინა. **2000-2001 წლებში**, როცა ფართში ჩასახლდნენ, საცხოვრებელი ბინა იყო დაუმთავრებელი, ნახევრად აშენებული კედლებით და ირიცხებოდა ქ.თბილისის მერიის სამშენებლო სამმართველოს ბალანსზე (დღესაც ირიცხება) და მესაკუთრის თანხმობაზე შეუძლებელია რომელიმე ორგანიზაციას გაეცა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს **2011 წლის 2 მაისის განჩინებით** მოცემული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის განსახილველად დაინიშნა საქმის ზეპირი განხილვის ფორმით **2011 წლის 10 მაისს**.

სასამართლო სხდომაზე მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

1. ე. გ-ი იღებს ვალდებულებას, ლ. ჭ-მეს ამა წლის **30 ნოემბრამდე** გადაუხადოს ბინის ღირებულება **18000 აშშ დოლარი**;

2. თანხის გადაცემის შემდეგ ე. გ-ის სახელზე საკუთრების უფლებით აღირიცხოს ქ.თბილისში, ..., მე-20 კორპუსში მდებარე №20 ბინა.

3. ლ. ჭ-მე იღებს ვალდებულებას არ გაასხვისოს სადავო ბინა ამა წლის **30 ნოემბრამდე**, რის უზრუნველსაყოფადაც ყადაღა დაედოს ბინას;

4. **2011 წლის 30 ნოემბრამდე** თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, ე. გ-ი იღებს ვალდებულებას, ბინა დაუყოვნებლივ გამოათავისუფლოს და შესაბამისად მოიხსნას ყადაღა ქ.თბილისში, ..., მე-20 კორპუსი №20 ბინა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, თვლის, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის 1-ელი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდვე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის** თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის **273-ე მუხლის** მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელშეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **271-ე მუხლის** თანახმად, მოცემული განჩინების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით, საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს სადავო ბინაზე ყადაღის დადებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ე. გ-ს დაუბრუნდეს ი. წ-ურის მიერ **2011 წლის 7 მარტს** გადახდილი სახელმწიფო ბაჟი საკასაციო საჩივარზე – **300 ლარი**. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა მორიგების აქტი წარმოადგინეს საკასაციო სასამართლოს მთავარი სხდომის დაწყებამდე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **49-ე მუხლის მე-2 ნაწილის** შესაბამისად კი, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **272-ე მუხლით** და

და ა დ გ ი ნ ა:

დამტკიცდეს მორიგება ე. გ-სა და ლ. ჭ-მეს შორის შემდეგი პირობებით:

1. ე. გ-ი იღებს ვალდებულებას, ლ. ჭ-მეს **2011 წლის 30 ნოემბრამდე** გადაუხადოს ბინის ღირებულება **18000 აშშ დოლარი**;

2. თანხის გადაცემის შემდეგ ე. გ-ის სახელზე საკუთრების უფლებით აღირიცხოს ქ.თბილისში, ..., მე-20 კორპუსში მდებარე №20 ბინა.

3. ლ. ჭ-მე იღებს ვალდებულებას არ გაასხვისოს სადავო ბინა **2011 წლის 30 ნოემბრამდე**.

4. **2011 წლის 30 ნოემბრამდე** თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, ე. გ-ი იღებს ვალდებულებას, ბინა დაუყოვნებლივ გამოათავისუფლოს და შესაბამისად მოიხსნას ყადაღა ქ.თბილისში, ..., მე-20 კორპუსი №20 ბინა.

ყადაღა დაედოს ლ. ჭ-მის სახელზე რიცხულ ბინას მდებარე ქ.თბილისში, ..., მე-20 კორპუსი №20.

შეწყდეს საქმის წარმოება ლ. ჭ-მის სარჩელის გამო ე. გ-ის მიმართ უკანონო მფობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე.

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები.

ე. გ-ს დაუბრუნდეს ი. წ-ურის მიერ **2011 წლის 7 მარტს** გადახდილი სახელმწიფო ბაჟი საკასაციო საჩივარზე – **300 ლარი**.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

№ას-258-242-2011

23 მაისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: უსაფუძვლო გამდიდრება

აღწერილობითი ნაწილი:

შ. ჯ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. ა-ძის წინააღმდეგ უსაფუძვლო გამდიდრების თაობაზე იმ საფუძვლით, რომ მან მოპასუხის კუთვნილი ნავი აღადგინა, რისთვისაც გასწია 1047 აშშ დოლარის ხარჯი, შესაბამისად, მოსარჩელემ მოითხოვა გ. ა-ძისათვის მის სასარგებლოდ ამორტიზებული ნავის აღდგენისათვის გაწეული ხარჯის – 1047 აშშ დოლარის დაკისრება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო იმ მოტივით, რომ შ. ჯ-მეს ნავზე სარემონტო სამუშაოები არ შეუსრულებია.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით შ. ჯ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შ. ჯ-მემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება, ასევე სასამართლო და სასამართლოს გარეშე ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრება – 700 ლარის ოდენობით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით შ. ჯ-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, შ. ჯ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გ. ა-ძეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრა 1047 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, შ. ჯ-ძის სარჩელი ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის – 300 ლარის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, გ. ა-ძეს შ. ჯ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა წინასწარ გაწეული საპროცესო ხარჯების – 400 ლარის ანაზღაურება.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები მასზე, რომ 1983 წლიდან გ. ა-ძეს საკუთრებაში გააჩნდა ხის გემი – ნახევარბარკასი, რომელმაც 2006 წელს ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე თავისი კუთვნილი ხის გემი გადასცა შ. ჯ-ძეს.

შ. ჯ-მემ გ. ა-ძისაგან სარგებლობაში მიღებულ ხის გემზე ჩატარა სხვადასხვა სახის სარემონტო სამუშაოები და 2006 წლის 11 დეკემბერს საკუთრებაში დაირეგისტრირა, როგორც ახლად აგებული ნახევარბარკასი.

საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებით – შპს „... გორგიას“ მიერ გაცემული ცნობით სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ დადგენილი იყო საშენი მასალების საბაზრო ღირებულებები („ოლიფა» 1 კგ-4 ლარი; მანქანის „შპაკლი» 1 კგ-6 ლარი. საღებავი თეთრი 1 კგ – 6,50 ლარი; საღებავი ლურჯი 1 კგ – 6,50 ლარი პენელის წებო 1 ტუბიკი – 5,70 ლარი; სილიკონი 1 ცალი – 10 ლარი; უჟანგავი გრებილი ლურსმანი 1 კგ – 4 ლარი; „შკურკა» 1 კვ.მ. – 2 ლარი)

საქმეში განთავსებული ე. მ-ისა და შ. ჯ-ძის ხელმოწერით შედგენილი აქტით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შ. ჯ-ძის მიერ ე. მ-ისათვის აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად გადაცემული ხის ნავი იყო ექსპლოატაციისათვის უვარგისი, ცუდი შენახვის შედეგად დამპალ მდგომარეობაში, რომლის შესაკეთებლად საჭირო ყველა მასალა მიიტანა შ. ჯ-მემ და მანვე აუნაზღაურა შესრულებული სამუშაოს ღირებულება ე. მ-ეს – 500 აშშ დოლარის ოდენობით.

მხარეთა შორის სადავოს არ წარმოადგენდა ის გარემოება, რომ დღეისათვის სადავო ზომა მცირე გემი-ნახევარბარკასი გ. ა-ძის საკუთრებაში იყო რეგისტრირებული და მისსავე მფლობელობაშია. პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მოპასუხე მხარემ დაადასტურა ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ შ. ჯ-მემ ნავს კაპიტალური შეკეთება ჩაუტარა, მხოლოდ სადავო გახდა სარემონტო სამუშაოების ღირებულება, ასევე შ. ჯ-ძისათვის ნავის გადაცემის დროისათვის მისი ღირებულება შეადგენდა დაახლოებით 600-700 აშშ დოლარს.

სააპელაციო სასამართლომ მთავარ სხდომაზე მესამე პირის წარმომადგენლის განმარტებით გამოარკვია, რომ ძრავის გარეშე ახალი ნავის ღირებულება შეადგენდა დაახლოებით 1000 აშშ დოლარს, ხოლო ძრავით გაცილებით მეტს – 1500-2000 აშშ დოლარს.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მხარეთა განმარტებების საფუძველზე, პალატამ მიიჩნია, რომ ვინაიდან გ. ა-ძემ, შ. ჯ-ძეს დროებით, უსასყიდლო სარგებლობაში გადასცა თავისი კუთვნილი ზომამცირე გემი-ნახევარბარკასი, რომელიც გადაცემის დროისათვის ექსპლოატაციისათვის უვარგისი იყო, მხარეთა შორის ურთიერთობის შეფასებისას უნდა გამოყენებულიყო თხოვების ხელშეკრულების შესაბამისი წესები.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 615-ე, 619-ე 975-ე 987.1-ე მუხლებზე და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, გაიზიარა მოსარჩელეს მითითება მასზე, რომ გ. ა-ძისაგან გადაეცა ექსპლოატაციისათვის უვარგისი ნივთი, რომელიც რემონტის შედეგად განახლებულია და სარემონტო სამუშაოების ჩატარებით დღეისათვის მისი ღირებულება მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ოსეთ ვითარებაში, როდესაც ახალი ნავის ღირებულება ძრავის გარეშე შეადგენდა დაახლოებით 1000 აშშ დოლარს, ხოლო ძრავთან ერთად გაცილებით მეტი ღირებულების იყო (1500-2000 აშშ დოლარი), ექსპლოატაციისათვის უვარგის ნივთზე 1047 აშშ დოლარის ოდენობით ხარჯების გაწევა, რის შედეგადაც ნივთი გახდა ვარგისი, სასამართლომ ჩათვალა, რომ შეუსაბამოდ მაღალი არ იყო.

ვინაიდან მოსარჩელემ სასამართლოს წარმოუდგინა ნავის შეკეთებაზე გაწეული ხარჯების დამადასტურებელი მტკიცებულებები, მოპასუხეს კი მათი უარყოფელი რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია, მხოლოდ მითითება იმ გარემოებაზე, რომ გაწეული ხარჯები შეუსაბამოდ მაღალია, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა.

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ექსპლოატაციისათვის ვარგის, გამართულ მდგომარეობაში (ძრავთან ერთად) დაბრუნებული ნავზე გაწეული ხარჯის 1047 აშშ დოლარის ანაზღაურების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნა საფუძვლიანი იყო და უნდა დაკმაყოფილებულიყო.

იმის გათვალისწინებით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სადავო ნივთზე გაწეულ ხარჯებთან დაკავშირებით არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, არასწორი შეფასება მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, რის გამოც შ. ჯ-ძის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული გარემოება, სსსკ-ის 383-ე მუხლისა და 394-ე მუხლის ე' პუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს წარმოადგენდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ა-ძემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იმ საფუძველით, რომ გადაწყვეტილების მიღებისას სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ, რის გამოც საქმეზე მიიღო უკანონო გადაწყვეტილება, მაშინ როდესაც მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის აბსოლუტურ საფუძველად შეიძლება მიჩნეულიყო. მოსარჩელეს კი, არ ჰქონდა წარმოდგენილი სათანადო მტკიცებულებები, რომლითაც დაადასტურებდა მის მიერ თითქოსდა ჩატარებული სამუშაოების მოცულობასა და ღირებულებას, ან ფაქტობრივ გარემოებას მასზე, საერთოდ ჰქონდა თუ არა ჩატარებული სამუშაოები.

კასატორის აზრით, გაუგებარია, სააპელაციო პალატამ რატომ ჩათვალა, რომ მხარეებს შორის დადებული იყო ზეპირი ფორმით თხოვნების ხელშეკრულება, მაშინ, როდესაც გადაწყვეტილებაში საერთოდ არ მსჯელობს და არ ასაბუთებს, რომ მხარეთა შორის დადებული იყო მიზარების (შენახვის) ხელშეკრულება და არა თხოვნების ხელშეკრულება. თვით მოსარჩელესაც კი, არასდროს მიუთითებია, რომ მათ შორის თხოვნების ხელშეკრულება იყო დადებული.

ამასთან, კასატორის აზრით, მოსარჩელეს გაშვებული ჰქონდა სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნის სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საკასაციო საჩივრის განხილვისას, სასამართლო სხდომის დანიშვნამდე მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

კასატორი გ. ა-ძე შ. ჯ-ძეს გადაუხდის 500 აშშ დოლარს;

შ. ჯ-ძე მიიღებს გ. ა-ძისაგან 500 აშშ დოლარს და არ ექნება არავითარი პრეტენზია იმ ნავთან დაკავშირებით, რომელიც რჩება გ. ა-ძის საკუთრებაში;

მხარეები თანხმდებიან ნავს ყადაღა მოეხსნას თანხის გადახდის შემდეგ 1 კვირის განმავლობაში.

მხარეებმა მოითხოვეს მორიგების აქტის დამტკიცება და საქმეზე წარმოების შეწყვეტა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს და მოცემულ საქმეზე წარმოება შეწყდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის 1-ელი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს, რის გამოც წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმოწერიდ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში. კანონის აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, კასატორ – გ. ა-ძეს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. დაკმაყოფილდეს მხარეთა შუამდგომლობა და დამტკიცდეს მორიგება მხარეთა შორის შემდეგი პირობებით:
 - ა) კასატორი გ. ა-მე შ. ჯ-მეს გადაუხდის 500 აშშ დოლარს;
 - ბ) შ. ჯ-მე მიიღებს გ. ა-მისაგან 500 აშშ დოლარს და არ ექნება არავითარი პრეტენზია იმ ნავთან დაკავშირებით, რომელიც რჩება გ. ა-მის საკუთრებაში;
 - გ) მხარეები თანხმდებიან ნავს ყადაღა მოეხსნას თანხის გადახდის შემდეგ 1 კვირის განმავლობაში.
2. მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო, გაუქმდეს ამ საქმეზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლო-ების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, შეწყდეს საქმის წარმოება;
3. მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება. მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოხდება გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება;
4. გ. ა-მეს დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე 2011 წლის 17 მარტს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ხაზინის ერთიანი ანგარიშის ნომერი – 200122900, მიმღები ბანკი – სახელმწიფო ხაზინა 220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი – №300773150;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

№ას-1391-1227-2010 24 მაისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ქათამაძე,

ბ. ალავეძე

დავის საგანი: კრების ოქმის ბათილად ცნობა, საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ა. მ-მემ და თ. დ-მემ სარჩელი აღძრეს სასამართლოში ბმა «მ-ის», ზ. მ-ძის, ლ. კ-ძისა და ზ. ქ-ძის მიმართ ამხანაგობის კრების ოქმების ბათილად ცნობის მოთხოვნით შემდეგი საფუძველებით: მოსარჩელებმა 2009 წლის 21 მაისს შპს «... 2020-საგან» შეიძინეს ქ. ქუთაისში, ... №94 ა-ში მდებარე უძრავი ქონება. აღნიშნულ ფართზე 1990 წლებში განხორციელდა უკანონო მიშენება, მართალია, მოსარჩელებმა შეიძინეს რეესტრში რეგისტრირებული 65,75 კვ.მ და 42,55 კვ. მ არასაცხოვრებელი ფართი, მაგრამ აღნიშნული გარიგება დაიდო სწორედ იმ მოტივით, რომ გამოეციდეთ (შპს ... 2020-ს), პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის №660 ბრძენებულების მიხედვით, აღნიშნული მიშენების ლეგალიზაციის შესაძლებლობა ჰქონდა. ხელშეკრულების ერთ-ერთი პირობასაც ეს წარმოადგენდა, მაგრამ, ვინაიდან მიშენება რეესტრში არ იყო რეგისტრირებული, იგი ხელშეკრულებაშიც არ იისახა. ბინათმესაკუთრეთა შესახებ მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ინდივიდუალური საკუთრების გასხვისების შემთხვევაში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრობასთან დაკავშირებულ შეუსრულებელ ვალდებულებებზე პასუხს აგებს ახალი მესაკუთრე პერსონალურად, როგორც სოლიდარული მოვალე. ამავე კანონის მე-19 და მე-5 პუნქტის შესაბამისად, ბინის მესაკუთრის გარდაცვალების, იურიდიული პირის ლიკვიდაციის, ბინის გასხვისების ან სხვა მიზეზით საკუთრების უფლების შეწყვეტის მომენტიდან შესაბამისი პირის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრობა წყდება. ამ პირის სამართალმემკვიდრე ან ქონების შემძენი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრი ხდება ქონებაზე საკუთრების წარმოშობის მომენტიდან, ასევე მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის მიხედვით, ინდივიდუალური საკუთრება არ ექვემდებარება გასხვისებას ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაში ცალკეულ მესაკუთრეთა წილის გარეშე. ამ მუხლების შესაბამისად, ა. მ-ძესა და თ. დ-ძის სახელზე გადმოვიდა შპს «... 2020-ის», როგორც ამხანაგობის წევრის, შესასრულებელი ვალდებულებები და ასევე ის უფლებები, რაც გააჩნდა ამხანაგობის წევრს. სადავო კრების ოქმისა და ფართების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის არსებობის შესახებ არც შპს «... 2020-ის» წარმომადგენელმა და არც მოსარჩელებმა არაფერი იცოდნენ და არც შეიძლება სცოდნოდათ, ვინაიდან რეალურად კრება არ შემდგარა. გბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ კანონის 28-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრს შეუძლია, ოქმი გაასაჩივროს სასამართლოში. ამდენად, 2009 წლის 24 ივლისს, როდესაც ცნობილი გახდა ამხანაგობის წევრისათვის მისი უფლებების დარღვევის შესახებ, მათ იმავე დღეს მიმართეს სასამართლოს სარჩელით. ლ. კ-ძე და ზ. ქ-ძე მათ-

თვის საკუთრებაში გადაცემული ფართით ვერ ისარგებლებდნენ, ვინაიდან მიწების კონსტრუქცია და მისი დღევანდელი მდგომარეობა არ იძლევა საშუალებას, რომ რაიმე ფორმით ისარგებლონ და გამოიყენონ. გლ. კ-მე და ზ. ქ-მე სახლის მეორე სართულზე ცხოვრობენ, მათ საკუთრებაში გააჩნიათ ის ფართი, რომელიც აღნიშნული მიწებით მათ საკუთრებაში არსებულ ფართობს მიემატა, ხოლო სადავო ფართები კი, მდებარეობს პირველ სართულზე, მოსარჩელეთა ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართობის მომიჯნავედ და ერთადერთი ვინც შეიძლება ისარგებლოს, მოსარჩელები არიან. მიწებზე კონსტრუქციას არც ერთი მხრიდან არ აქვს მისასვლელი. სადავო ფართი დაუმთავრებელია, ღიაა და მისი, როგორც სამეურნეო სათავსად გამოყენება შეუძლებელია, შესაბამისად, გამოყენებული არ უნდა იქნას ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილი. ამავე კანონის მე-18 მუხლის «გბ» პუნქტები, ვინაიდან სადავო ოქმი არც ფორმით და არც შინაარსით არ შეესაბამება აღნიშნული კანონის მოთხოვნებს.

მოპასუხის წარმომადგენლებმა სარჩელი არ ცნეს და მოითხოვეს მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით: მოპასუხეები არიან ბმა «მ-ის» წევრები, რომელიც შეიქმნა 2007 წელს და რომლებსაც საკუთრების უფლებით გააჩნიათ ქ.ქობულეთში, ... ქ. №...-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა. მოპასუხეებს აღნიშნულ მისამართზე ბმა ამხანაგობა «მ-ს» 2009 წლის 8 აპრილის კრების სხდომის ოქმის საფუძველზე, რომელსაც ესწრებოდა ამხანაგობის წევრთა 70% მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლითაც ქ.ქობულეთში, ... ქ. №...-ში მდებარე მრავალბინიანი სახლის პირველ სართულზე გადაეცა 20,6 კვმ არასაცხოვრებელი ფართი და 19,6 კვ. მ არასაცხოვრებელი (ნახევრად სარდაფი) ფართი, ასევე მეორე სართულზე მისი საცხოვრებელი ბინის მომიჯნავედ მდებარე ფართი, რომელიც შეადგენს 27,3 კვ. მ, რომლის მფლობელს წლების განმავლობაში წარმომადგენდა მოპასუხე ლ. კ-მე, რომელსაც აღნიშნული ფართი გადაეცა ინდივიდუალურ საკუთრებაში, ხოლო მოპასუხე ზ. ქ-მეს აღნიშნული სადავო ოქმით ინდივიდუალურ საკუთრებაში გადაეცა ქ.ქობულეთში, ... №...-ში არსებული მრავალბინიანი სახლის პირველ სართულზე მდებარე 29/3 არასაცხოვრებელი ფართი, რომლის მფლობელსაც წარმომადგენდა ზ. ქ-მე. აღნიშნული ფართების გადაცემის შემდეგ მოპასუხეებმა დაარეგისტრირეს სადავო ფართები. უსაფუძვლოა მოსარჩელეთა მოსაზრება, სადაც ისინი ეჭვქვეშ აყენებდნენ ამხანაგობის შექმნისა და თავმჯდომარის არჩევის, ამხანაგობის საერთო ქონების ამხანაგობის წევრებზე განაწილების საკითხს და ასევე უსაფუძვლოა მოსარჩელეთა არგუმენტი იმის თაობაზე, რომ 2009 წლის 8 აპრილს საერთო კრება არ ჩატარებულა და სხდომის ოქმი კანონდარღვევითაა მიღებული, ვინაიდან მათ ამის დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარმოუდგენიათ. მოსარჩელები მიუთითებენ, რომ უძრავი ქონების შეძენისთანავე ისინი ითვლებოდნენ ამხანაგობის წევრებად, მაშინ, როდესაც მათ 2009 წლის 23 ივნისს მოითხოვეს ამხანაგობის წევრად მიღება და გააფორმეს განცხადებები, რომელიც დარჩა განუხილველი იმ მიზეზით, რომ ვერ წარადგინეს საკუთრების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტები. «ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ» საქართველოს კანონის მეოთხე მუხლის თანახმად, კრების ოქმით გადაცემული არასაცხოვრებელი ფართები მოპასუხეების ფაქტობრივ მფლობელობაში იმყოფებოდა. მითითებულ მუხლში კი ხაზგასმულია იმ გარემოებაზე, რომ მრავალბინიანი ამხანაგობის წევრებზე არასაცხოვრებელი ფართის ინდივიდუალურ საკუთრებაში გადაცემის დროს გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს გადასაცემაში ფართის მფლობელის უფლებრივი მდგომარეობა ფართზე «ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ» კანონის ძალაში შესვლის დროს არსებული ფაქტობრივი ფლობის მდგომარეობის გათვალისწინებით, აღნიშნულს კი უპირობოდ აკმაყოფილებდნენ მოპასუხეები არასაცხოვრებელი ფართების კრების სხდომის ოქმით გადაცემის დროისათვის. მოსარჩელები მოითხოვენ ბმა ამხანაგობა «მ-ის» 2009 წლის 8 აპრილის კრების ოქმის ბათილად ცნობას, თუმცა ვერ ასაბუთებენ სადავო კრების ოქმით რა უფლება დაირღვა და რა ზიანი მიადგა მათ. მოსარჩელები მიუთითებენ მხოლოდ იმ გარემოებაზე, რომ არასაცხოვრებელი ფართების შეძენით მათზე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრებზე გადმოვიდა წინა მესაკუთრის უფლებები და ვალდებულებები, რაც გააჩნდა წინა მესაკუთრეს, თუმცა წინა მესაკუთრეს ანუ შპს «... 2020-ს», როგორც ამხანაგობის წევრებზე, ასევე სადავო კრების სხდომის ოქმისა და მით უმეტეს არასაცხოვრებელი ფართების მოპასუხეებისათვის საკუთრებაში გადაცემაზე პრეტენზია არ გამოუთქვამს. უსაფუძვლოა მოსარჩელეთა მითითება იმის თაობაზე, რომ მათ მიერ შპს «... 2020-დან» არასაცხოვრებელი ფართების შეძენისას მხარეებს შორის გარიგება დაიდო იმ მოტივით, რომ გამოიძველეს, უნდა განხორციელებინა მიწებზე ლეგალიზაცია, ვინაიდან აღნიშნული საცხოვრებელი სახლის მიწებზე განხორციელდა 1990 წელს. მოპასუხეებს არასაცხოვრებელი ფართები გადაეცათ 2009 წლის 8 აპრილს, რომელიც საჯარო რეესტრში გატარდა 22 აპრილს, ხოლო მოპასუხეებმა აღნიშნულ მისამართზე არასაცხოვრებელი ფართი შეიძინეს 2009 წლის 21 მაისს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით ა. მ-მისა და თ. დ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. მ-მემ და თ. დ-მემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებით ა. მ-მისა და თ. დ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. ა. მ-მისა და თ. დ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ქ.ქობულეთში, ... №...-ის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის 2009 წლის 8 აპრილის კრების გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ლ. კ-მეს ინდივიდუალურ საკუთრებაში გადაეცა 20,6 კვ. მ არასაცხოვრებელი ფართი და 19,6 კვ. მ, ასევე ზ. ქ-მეს ინდივიდუალურ საკუთრებაში გადაეცა 29,3 კვ. მ არასაცხოვრებელი ფართი, ბათილად იქნა ცნობილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის 2009 წლის 8 აპრილის კრების გადაწყვეტილების საფუძველზე საჯარო რეესტრში ლ. კ-მის სახელზე განხორციელებული ჩანაწერი 40,20 კვ. მ ფართის საკუთრებაში რეგისტრაციის თაობაზე, ასევე ზ. ქ-მის სახელზე 29,30 კვ. მ-ის საკუთრებაში რეგისტრაციის თაობაზე შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ქ.ქობულეთში, ... №...-ში მდებარე მრავალბინიანი სახლში ბი-

ნისა და არასაცხოვრებელი ფართის მესაკუთრეთა ამხანაგობა «მ-ის» 2008 წლის 8 აპრილის დამფუძნებელთა კრებაზე განხილულ იქნა პირველ სართულზე მდებარე 20,6 კვ.მ და 19,6 კვ.მ საცხოვრებელი ფართის მფლობელ, ლ. კ-ძის სახელზე საცხოვრებელი ფართის ინდივიდუალურ საკუთრებაში გადაცემისა და წარმოდგენილი აზომვითი ნახაზის მიხედვით საჯარო რეესტრში რეგისტრაციის საკითხი. ასევე პირველ სართულზე მდებარე 29,3 კვ. მ არასაცხოვრებელი ფართის მფლობელ ზ. ქ-ძის სახელზე საცხოვრებელი ფართის ინდივიდუალურ საკუთრებაში გადაცემისა და წარმოდგენილი აზომვითი ნახაზის მიხედვით საჯარო რეესტრში რეგისტრაციის საკითხი, კრებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ლ. კ-ძისთვის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული 20,6 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართისა და 19,6 კვ.მ არასაცხოვრებელი (ნახევარ სარდაფი) ფართის, ასევე მეორე სართულზე დამხმარე 27,3 კვ. მ საცხოვრებელი ფართის საკუთრებად გადაცემის, ზ. ქ-ძისთვის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული 29,3 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის საკუთრებად გადაცემის თაობაზე. ამხანაგობა «მ-ის» 2009 წლის 8 აპრილის კრების ოქმის გადაწყვეტილების საფუძველზე, დადგენილია, რომ ქ.ქობულეთში, ... №...-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართის (1-ელი სართული) 40,20 კვ. მ-ის მესაკუთრეს წარმოადგენს ლ. კ-ძე, 29,30 კვ. მ მესაკუთრეა ზ. ქ-ძე, არასაცხოვრებელი ფართის 220,55 კვ. მ-დან 65,75 კვ. მ-ის მესაკუთრეს, 2009 წლის 28 მაისის მდგომარეობით წარმოადგენდა ა. მ-ძე, ხოლო 154,8 კვ.მ-სას კი, შპს «... 2020» (2007 წლის 11 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების მიხედვით), ამავე მისამართზე არასაცხოვრებელი ფართის (1-ელი სართული) 220,55 კვ. მ-ის მესაკუთრეებს, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, წარმოადგენენ ა. მ-ძე (65,75 კვ. მ-ის), თ. დ-ძე (42,55 კვ. მ-ის), მარინა კ-ძე (33,25 კვ. მ-ის) და შპს «... 2020».

სააპელაციო პალატამ მოპასუხე მხარის ჩვენების საფუძველზე დადასტურებულად ცნო ის ფაქტი, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის 2009 წლის 8 აპრილის კრებაზე იმ დროინდელი მესაკუთრე შპს «... 2020» მოწვეული არ ყოფილა და არც კრების გადაწყვეტილებაში მიუღია მონაწილეობა. ამასთან მიუთითა, რომ სადავო ფართები დაუმთავრებელი ღია კონსტრუქციებია, რომლებიც ლ. კ-ძისა და ზ. ქ-ძის საცხოვრებელი ფართების გასწვრივ და მოსარჩელეთა კუთვნილი ფართების მიმდებარედ მდებარეობს. სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებას «ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ» საქართველოს კანონის მე-3 მუხლის «ე» პუნქტისა და მე-19 მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ, ვინაიდან მოსარჩელები ქ.ქობულეთში, ... №...-ში მდებარე მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში საკუთრების უფლებით ფლობენ არასაცხოვრებელ ფართებს, ისინი წარმოადგენენ ამხანაგობის წევრებს. პალატამ იხელმძღვანელა «ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ» საქართველოს კანონის მეოთხე მუხლით და აღნიშნა, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრის მფლობელობაში არსებული მრავალბინიანი სახლის სამეურნეო სათავსები ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა ინდივიდუალური საკუთრების საგნად მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევა, თუკი ის ამ კანონის ამოქმედებამდე რეგისტრირებული ჰქონდა საკუთრებაში ან ამ კანონით დადგენილი წესით გადაეცათ საკუთრებაში. პალატამ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი 1-ელი ნაწილი, ამავე კოდექსის 131-ე მუხლი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ» საქართველოს კანონის მეოთხე და მე-10 მუხლი და აღნიშნა, რომ, ვინაიდან მოპასუხის მიერ აღიარებულია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ სადავო ფართები მშენებლობა დაუმთავრებელი ღია კონსტრუქციებია, რომლებიც არ არის განთავსებული ლ. კ-ძისა და ზ. ქ-ძის საცხოვრებელი ფართების გასწვრივ და მდებარეობს მოსარჩელეთა კუთვნილი ფართების მიმდებარედ, მოსარჩელის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ სადავო ფართები ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის 2009 წლის 8 აპრილის კრების გადაწყვეტილების გამოტანამდე ლ. კ-ძისა და ზ. ქ-ძის მფლობელობაში არ ყოფილა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა «მ-ის» წევრთა საერთო სარგებლობისაა. ამასთან, პალატამ მიუთითა, რომ, ვინაიდან მოპასუხის მიერ აღიარებულია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის 2009 წლის 8 აპრილის კრებაზე მოწვევის თაობაზე იმდროინდელი მესაკუთრე შპს «... 2020» მოწვეული არ ყოფილა და არც კრების გადაწყვეტილებაში მიუღია მონაწილეობა, დადასტურებულად ცნო, რომ საერთო საკუთრების განკარგვაზე გადაწყვეტილება ამხანაგობის წევრებს ერთხმად არ მიუღიათ.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 311-ე მუხლის 1-ელი ნაწილითა და 312-ე მუხლის 1-ელი ნაწილით და აღნიშნა, რომ, ვინაიდან ამხანაგობა «მ-ის» 2008 წლის 8 აპრილის დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილება ლ. კ-ძისთვის 20,6 კვ. მ და 19,6 კვ. მ არასაცხოვრებელი ფართის ინდივიდუალურ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, ბათილია, აქედან გამომდინარე, საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია არარსებული უფლება და სადავო ქონებაზე მხარეთა საკუთრების რეგისტრაციის ჩანაწერი უზუსტობა, რაც მისი ბათილად ცნობის საფუძველია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა «მ-ის» წევრებმა ზ. მ-ძემ, ლ. კ-ძემ ზ. ქ-ძემ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი თქმა შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია, კერძოდ, მოსარჩელები არ ცნობენ თავს ამხანაგობა «მ-ის» წევრებად და ამ გარემოებას ადასტურებს მათ მიერ ამხანაგობის სახელზე მიმართული 2009 წლის 23 მაისის განცხადება, სადაც ისინი ითხოვდნენ ამხანაგობაში გაწევრიანებას, მაგრამ ეს განცხადებები არ დაკმაყოფილდა. თუ მოსარჩელებს გააჩნდათ პრეტენზიები ამხანაგობის წევრობასთან დაკავშირებით, მათ განცხადებით უნდა მიემართათ ამხანაგობისათვის და ეცნობე-ბინათ, რომ ისინი არიან ფართის ნაწილის მესაკუთრეები და მხოლოდ ამის შემდეგ წარმოიშვება ამხანაგობის მხრიდან მათ მიმართ ვალდებულებები, როგორცაა საერთო კრებაზე დაბარება, კრებაში მონაწილეობა და ა.შ. არასწორია მოსარჩელეთა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ შპს «... 2020-საგან» შექმნილ უძრავ ქონებაზე, რომელზედაც განხორციელდა უკანონო მიწენება, ლეგალიზაცია უნდა მოეხდინა შპს «... 2020-ს». შპს ... 2020-მა» შეიძინა მხოლოდ ის ფართი, რომელიც შემდგომ გაასხვისა მოსარჩელის სახელზე. შპს «... 2020-ს» არ მიუშენებია 1990

წლებში აღნიშნული სადავო ფართი, რადგან ის დარეგისტრირდა 2007 წელს და, შესაბამისად, მას რაიმე უფლებები და პრეტენზიები არ გააჩნდა მიშენებაზე. მოსარჩელების საკუთრებასა და მიშენებას შორის ფართი წარმოადგენს ამხანაგობის საერთო საკუთრებას და სადავო ფართი, მიშენება არ ესაზღვრება მათ საკუთრებას. არასწორია მოსარჩელთა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ კრების ჩატარებისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ მოსარჩელეთათვის არ იყო ცნობილი. ფირმას ფართის შეძენის შემდეგ არც მიუმართავს, არ უცნობებია და არ წარუდგენია საკუთრების დამატატურებელი დოკუმენტი ამხანაგობისათვის და, შესაბამისად, ამხანაგობას არ უცნობებია მათთვის კრების ჩატარების თუ სხვა ინფორმაციის შესახებ. სადავო ფართი წარმოადგენს სამეურნეო ფართს და მოსარჩელების მოსაზრება, რომ ამხანაგობის მიერ სადავო ფართი განიკარგა, როგორც არასამეურნეო და ეს ურთიერთობა სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმებით უნდა დარეგულირდეს, არასწორია, ვინაიდან კანონის სრული დაცვით გადაეცა სამეურნეო ფართი ამხანაგობის წევრს ინდივიდუალურ საკუთრებაში. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა კერძოდ, «ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 14 მარტის განჩინებით მოცემული საკასაციო საჩივრი დასაშვებად იქნა ცნობილი

2011 წლის 24 მაისის სასამართლო სხდომაზე მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით: ა. მ-მე კისრულობს ვალდებულებას, 2011 წლის 30 სექტემბრამდე ლ. კ-მეს გადაუხადოს 5000 აშშ დოლარი, რის სანაცვლოდ მის სახელზე აღირიცხება ქ.ქობულეთში, აღმაშენებლის გამზირ №94ა-ში, მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული 20.6 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი. ა. მ-მის მიერ 5000 აშშ დოლარის გადაუხდელობის შემთხვევაში სადავო ფართი დარჩება ლ. კ-მის საკუთრებაში. ა. მ-მის მიერ თანხის ვადამდე გადახდის შემთხვევაში სადავო ფართის გადაფორმება განხორციელდება გადახდიდან ერთი კვირის ვადაში.

ქ.ქობულეთში, ... №...-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებულ 20.6 კვ.მ არასაცხოვრებელ ფართზე ყადაღა თანხის სრულ დაფარვამდე დარჩეს ძალაში. გაუქმდეს ყადაღა ქ.ქობულეთში, აღმაშენებლის გამზირ №94ა-ში ლ. კ-მის სახელზე რიცხულ 19.6 კვ.მ არასაცხოვრებელ ფართზე.

თ. დ-მის მიერ ზ. ქ-მის სახელზე 4000 აშშ დოლარის 2011 წლის 30 სექტემბრამდე გადახდის შემდეგ, ქ.ქობულეთში, ... №...-ში მდებარე ზ. ქ-მის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ფართი 29.3 კვ.მ საკუთრებაში გადაეცეს თ. დ-მეს. თ. დ-მე იღებს ვალდებულებას დამატებით 500 აშშ დოლარი გადაუხადოს ზ. ქ-მეს 2012 წლის 30 მაისამდე. სადავო (ამჟამად ზ. ქ-მის სახელზე რიცხულ) 29.3 კვ.მ ფართს ყადაღა მოეხსნას თ. დ-მის მიერ 4000 აშშ დოლარის გადახდის შემდეგ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, მიიჩნევს, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის 1-ელი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმოწერილ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლის თანახმად, მოცემული განჩინების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით, საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს სადავო ბინაზე ყადაღის დადებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად კი, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა მორიგების აქტი წარმოადგინეს საკასაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ლ. კ-მეს უნდა დაუბრუნდეს მარინა კ-მის მიერ 2011 წლის 18 იანვარს და 2 თებერვალს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 400 ლარის ნახევარი – 200 ლარი, ზ. ქ-მეს დაუბრუნდეს მის მიერ 2011 წლის 2 თებერვალს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 300 ლარის ნახევარი – 150 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

დამტკიცდეს მორიგება ამხანაგობა „მ-ის“ წევრებს ზ. მ-ძეს, ლ. კ-ძეს, ზ. ქ-ძეს, თ. ჭ-ძეს, ე. გ-შვილს, ი. მ-შვილს, ჯ. მ-ძეს, ზ. ქ-ძეს, ა. მ-ძესა და თ. დ-ძეს შორის შემდეგი პირობებით:

ა. მ-ძე კისრულობს ვალდებულებას, 2011 წლის 30 სექტემბრამდე ლ. კ-ძეს გადაუხადოს 5000 აშშ დოლარი, რის სანაცვლოდ მის სახელზე აღირიცხება ქ.ქობულეთში, ...-ში, მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული 20.6 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი. ა. მ-ძის მიერ 5000 აშშ დოლარის გადაუხდელობის შემთხვევაში სადავო ფართი დარჩება ლ. კ-ძის საკუთრებაში. ა. მ-ძის მიერ თანხის ვადამდე გადახდის შემთხვევაში სადავო ფართის გადაფორმება განხორციელდება გადახდიდან ერთი კვირის ვადაში.

ქ.ქობულეთში, ... №...-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებულ 20.6 კვ.მ არასაცხოვრებელ ფართზე ყადაღა თანხის სრულ დაფარვამდე დარჩეს ძალაში. გაუქმდეს ყადაღა ქ.ქობულეთში, ... №...-ში ლ. კ-ძის სახელზე რიცხულ 19.6კვ.მ არასაცხოვრებელ ფართზე.ა

თ. დ-ძის მიერ ზ. ქ-ძის სახელზე 4000 აშშ დოლარის 2011 წლის 30 სექტემბრამდე გადახდის შემდეგ, ქ.ქობულეთში, ... №...-ში მდებარე ზ. ქ-ძის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ფართი 29.3კვ.მ საკუთრებაში გადაეცეს თ. დ-ძეს. თ. დ-ძე იღებს ვალდებულებას დამატებით 500 აშშ დოლარი გადაუხადოს ზ. ქ-ძეს 2012 წლის 30 მაისამდე. სადავო (ამჟამად ზ. ქ-ძის სახელზე რიცხულ) 29.3კვ.მ ფართს ყადაღა მოეხსნას თ. დ-ძის მიერ 4000 აშშ დოლარის გადახდის შემდეგ.

შეწყდეს საქმის წარმოება ამხანაგობა „მ-ის“ წევრებს ზ. მ-ძეს, ლ. კ-ძეს, ზ. ქ-ძეს, თ. ჭ-ძეს, ე. გ-შვილს, ი. მ-შვილს, ჯ. მ-ძეს, ზ. ქ-ძეს და ა. მ-ძესა და თ. დ-ძეს შორის კრების ოქმის ბათილად ცნობის თაობაზე.

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები.

ლ. კ-ძეს დაუბრუნდეს მარინა კ-ძის მიერ 2011 წლის 18 იანვარს და 2 თებერვალს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 400 ლარის ნახევარი – 200 ლარი.

ზ. ქ-ძეს დაუბრუნდეს მის მიერ 2011 წლის 2 თებერვალს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 300 ლარის ნახევარი – 150 ლარი.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

№ას-366-346-2011

6 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ქათამაძე,

ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

პ. მ-ანმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ე. ჯ-ლის მიმართ თანხის დაკისრების შესახებ შემდეგი დასაბუთებით: 2009 წლის 31 მარტის სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელე პ. მ-ანს დაეკისრა 3000 აშშ დოლარის გადახდა შ. ფ-შვილისათვის, ვინაიდან ბათილი გარიგების საფუძველზე მან გაასხვისა შპს „ლ-ს“ წილი – 2,27, რომელიც იმავე წესით შეიძინა ამ ფორმის დირექტორის თ. კ-იასაგან 2500 აშშ დოლარად. აღნიშნული 2500 აშშ დოლარი შ. კ-იამ გადასცა თ. კ-იას. მოცემული წილი საკუთრების უფლებით ირიცხება მოპასუხე – ე. ჯ-ლის სახელზე. არ მომხდარა წილის გასხვისება კანონით დადგენილი წესითა და ფორმით, რაც მოითხოვს სანოტარო წესით ხელშეკრულების დამოწმებას და სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის აუცილებლობას. შპს „ლ-ს“ 2,27 წილის ნასყიდობაზე დადებული ზეპირი გარიგება არის ბათილი. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით არსებობს კანონიერ ძალაში შესული 2008 წლის 31 იანვრის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით მოცემული ქმედებები შეფასდა როგორც უსაფუძვლო გამდიდრება.

მოპასუხე თ. კ-იამ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: პ. მ-ანს მისთვის თანხა არ გამოუცია არც პირადად და არც შ. კ-იას მეშვეობით და შესაბამისად, ვერც იარსებებდა ამის დამადასტურებელი მტკიცებულება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით პ. მ-ანის სარჩელი ე. ჯ-ლის მიმართ დაკმაყოფილდა, მოპასუხე ე. ჯ-ლს მოსარჩელე პ. მ-ანის სასარგებლოდ დაეკისრა 2000 აშშ დოლარის გადახდა, პ. მ-ანის სარჩელი მოპასუხე თ. კ-იას მიმართ არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. ჯ-ლმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 ნოემბრის განჩინებით ე. ჯ-ლის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

პალატამ დადგინდადი მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ე. ჯ-ლი წარმოადგენს შპს „ლ-ს“ 2,27% წილის მფლობელ პარტნიორს, შპს „ლ-ს“ დირექტორია თ. კ-ია. 2001 წელს პ. მ-ანსა და ე. ჯ-ლს შორის წილის ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო ზეპირი ფორმით თ. კ-იას შუამავლობით. ნასყიდობის ფასი მიღებული აქვს ე.

ჯ-ლს. შ. კ-იას მეშვეობით პ. მ-ანის კუთვნილი თანხა 2500 აშშ დოლარი თ. კ-იას თანდასწრებით გადაეცა ე. ჯ-ლს. თანხა განაწილდა თ. კ-იასა და ე. ჯ-ლს შორის.

აპელანტის მოსაზრება, რომ სარჩელზე პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს თ. კ-იას, პალატამ არ გაიზიარა და განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის 50-ე, 54-ე, 59-ე და 61-ე მუხლების თანახმად მხარე-ეს შორის დადებული გარიგება ბათილია. სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად პალატამ ასევე დაასკვნა, რომ, ვინაიდან მხარეთა შორის შპს «ლ-ს» წილის ნასყიდობაზე დადებული გარიგება ბათილია, პ. მ-ანი უფლებამოსილია, მოპასუხისაგან მოითხოვოს ვალდებულების არსებობის გარეშე გადაცემული თანხის – 2000 აშშ დოლარის უკან დაბრუნება, ხოლო მოპასუხე ვალდებულია, დაუბრუნოს მოსარჩელეს უსაფუძვლოდ, ვალდებულების არსებობის გარეშე მიღებული თანხა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. ჯ-ლმა და მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება შემდეგი დასაბუთებით: პ. მ-ანის მიერ შპს „ლ-ში“ არსებული წილის შესაძენად თანხის გადახდა მიიჩნეოს უსაფუძვლო გარიგებად, მაშინ, როდესაც აღნიშნული არ გამოდინარეობს ამ ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმები და კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 976-ე-979-ე მუხლების მოთხოვნებიდან, რაც არასწორად იქნა გამოყენებული სასამართლოების მიერ. ამასთან, სასამართლომ არ გამოიყენა სახელშეკრულებო ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმები, არასწორად განმარტა „მეწარმეთა შესახებ“ კანონი. პ. მ-ანი წლების განმავლობაში სარგებლობდა აღნიშნული უფლებით (სამარშუტო ხაზზე მუშაობის უფლება) და მხოლოდ წლების შემდეგ აღძრა სარჩელი. ამავდროულად, თუკი მას ამ უფლების რეალიზებაში რაიმე სახით შეეშალა ხელი, მას შეეძლო მოეთხოვა მხარისათვის, ხელშეკრულების სათანადოდ ჯეროვნად შესრულება და არა ხელშეკრულების შეწყვეტა, რაც ამ შემთხვევაში გამორიცხულია, როგორც სამართლებრივი, ასევე ფაქტობრივი გარემოებების გამო.

2011 წლის 6 ივნისს სასამართლო სხდომაზე მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

ე. ჯ-ლი იღებს ვალდებულებას, პ. მ-ანს 2011 წლის 25 სექტემბრამდე გადაუხადოს 1000 აშშ დოლარი;

მითითებულ ვადაში თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში ე. ჯ-ლი კოსრულობს ვალდებულებას, გადაიხადოს გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხა 2000 აშშ დოლარი;

ამ მორიგების აქტის საფუძველზე მხარეები უარს აცხადებენ წინამდებარე სადავო საკითხებთან დაკავშირებით და მათ ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ ექნებათ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, მიიჩნევს, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის 1-ელი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად კი, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა მორიგების აქტი წარმოადგინეს საკასაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ე. ჯ-ლს დაუბრუნდეს ლ. ჯ-ლის მიერ 2011 წლის 25 მარტს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 300 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

დამტკიცდეს მორიგება ე. ჯ-ლსა და პ. მ-ანს შორის შემდეგი პირობებით:

ე. ჯ-ლი იღებს ვალდებულებას, პ. მ-ანს 2011 წლის 25 სექტემბრამდე გადაუხადოს 1000 აშშ დოლარი;

მითითებულ ვადაში თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში ე. ჯ-ლი კოსრულობს ვალდებულებას, გადაიხადოს გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხა 2000 აშშ დოლარი;

ამ მორიგების აქტის საფუძველზე მხარეები უარს აცხადებენ წინამდებარე სადავო საკითხებთან დაკავშირებით და მათ ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ ექნებათ.

შეწყდეს საქმის წარმოება, პ. მ-ანის სარჩელის გამო, ე. ჯ-ლის მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე.

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები.
ე. ჯ-ლს დაუბრუნდეს ლ. ჯ-ლის მიერ 2011 წლის 25 მარტს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 300 ლარი.
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

№ას-478-452-2011

14 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავეძე

დავის საგანი: აუცილებელი გზის აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

ც. გ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. ნ-ძისა და რ. ი-ელის მიმართ აუცილებელი გზის აღდგენის შესახებ შემდეგი დასაბუთებით: ..., ... გამზირ №12-ში მდებარე 706 კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი 2008 წლის 12 დეკემბრამდე იმყოფებოდა მოპასუხე რ. ი-ელის საკუთრებაში. როდესაც 200 კვ.მ. არ მიჰყიდა მოსარჩელე ც. გ-მეს, ხოლო 2009 წლის 1 იანვარს კი, დარჩენილი 506 კვ.მ. მიწის ნაკვეთი გაასხვისა მოპასუხე ნ. ნ-ძის სახელზე. აღნიშნული ნაკვეთები დღემდე დაკავშირებულია ერთმანეთთან ისე, რომ მათ გამყოფი მიჯნაც კი არ აქვთ. არსებული წერილობითი შეთანხმების შესაბამისად, მოსარჩელესა და მოპასუხე რ. ი-ელს შორის 200 კვ.მ მიწის ნაკვეთს ჰქონდა დამაკავშირებელი მისასვლელი გზა ... ქუჩის მხრიდან მოპასუხე ნ-ძის მიწის ნაკვეთის გავლით და ამ ორ ნაკვეთს შორის მისასვლელი გზა რჩებოდა მხარეთა საერთო სარგებლობაში გასხვისების შემთხვევაშიც. მოპასუხე ნ. ნ-მე თავიდანვე ინფორმირებული იყო მისასვლელი გზის თაობაზე. აღნიშნულს ადასტურებს მეზობლების კოლექტიური განცხადება, მაგრამ ამჟამად, როდესაც გაიფორმა 506 კვ.მ მიწის ნაკვეთი საკუთრებაში, დაისაკუთრა ის ფართიც, რაც შეთანხმების მიხედვით უნდა ყოფილიყო საერთო სარგებლობაში. ც. გ-ძის ნაკვეთი დღემდე რჩება იზოლირებული საჯარო გზიდან და იგი ვერ ახერხებს ამ ნაკვეთზე მშენებლობის წარმოებას, სხვა დამაკავშირებელი გზა კი, ნაკვეთს არ გააჩნია.

მოპასუხე ნ. ნ-მემ სარჩელი არ ცნო შემდეგი საფუძვლებით: სახლისა და 506 კვ.მ მიწის ნაკვეთის შექმნის დროს მოსარჩელისთვის ცნობილი არ იყო მიწის საერთო სარგებლობის გზის დატოვებაზე შეთანხმების შესახებ. არც მოპასუხე რ. ი-ელს გაუფრთხილებია და არც საჯარო რეესტრში ყოფილა რეგისტრირებული ასეთი შეთანხმება. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ შეიძენდა ასეთ ქონებას. იგი მხოლოდ იპოთეკით იყო დატვირთული და, შესაბამისად, მან იპოთეკით უზრუნველყოფილი ვალდებულება შეასრულა. იგი წარმოადგენს კეთილსინდისიერ შემქმნელსა და მესაკუთრეს. გარდა ამისა, აღნიშნული ნაკვეთი და მისი მომიჯნავე რ-შვილის ნაკვეთები არის ერთი ოჯახის წევრების საკუთრება და ამ ნაკვეთს აქვს მისასვლელი ... ქუჩიდან. თავის დროზე ეს 200 კვ.მ. ც. გ-ძის ოჯახმა შეიძინა თავისი ნაკვეთის გასაფართოებლად და მხოლოდ სარჩელით სასამართლოსთვის მიმართვის შემდეგ გააჩუქა 200 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რათა ხელში ჩაეგდო ... ქუჩიდან მისასვლელი მოსარჩელის ხარჯზე.

მოპასუხე რ. ი-ელის განმარტებით, მოპასუხე ნ. ნ-მე თავად უნდა მიმხვდარიყო, როცა ნაკვეთს ყიდულობდა, რომ მის მეზობლად მდებარე 200 კვ.მ ნაკვეთს სჭირდებოდა მისასვლელი გზა. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში იყო თუ არა ჩაწერილი გზის საერთო სარგებლობაში დატოვების შესახებ შეთანხმება, მან არ იცის, რადგან ცუდად ხედავს. ხელშეკრულება არც კი წაუკითხავს ისე მოაწერა ხელი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით ც. გ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გასაჩივრა ც. გ-მემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით ც. გ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მოსარჩელე ც. გ-მეს უარი ეთქვა მოპასუხე ნ. ნ-ძის საკუთრებაში არსებული ..., ... გამზირ №12-ში მდებარე, 506 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან, იმავე მისამართზე ც. გ-ძის საკუთრებაში არსებული 200 კვ.მ. მიწის ნაკვეთისთვის აუცილებელი მისასვლელი სამანქანე გზის გამოყოფასა და მხარეთა საერთო სარგებლობაში დატოვებაზე. მოსარჩელეს უარი ეთქვა გადაწყვეტილების შესაბამისად, საჯარო რეესტრის მონაცემებში ცვლილებების განხორციელებაზე.

პალატამ დადგინებულად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: რ. ი-ელმა თავის საკუთრებაში არსებული ..., ... გამზირ №12-ში მდებარე 706 კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთიდან 2008 წლის 1 დეკემბერს 200 კვ.მ გაასხვისა და ამჟამად იგი აღრიცხულია მოსარჩელე ც. გ-ძის საკუთრებაში, 2009 წლის 12 იანვარს კი, მან დარჩენილი 506 კვ.მ მიწის ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი მიჰყიდა მოპასუხე ნ. ნ-მეს, რომელიც ირიცხება მის სახელზე. მოსარჩელესა და რ. ი-ელს შორის 2008 წლის 19 ნოემბერს გაფორმდა ნოტარიულად დამოწმებული წერილობითი შეთანხმება, რომლის მიხედვით ც. გ-ძის მიერ ნაყიდ 200 კვ.მ მიწის ნაკვეთს ჰქონდა დამაკავშირებელი მისასვლელი გზა ... ქუჩის მხრიდან და ამ ორ ნაკვეთს შორის მისასვლელი გზა რჩებოდა მხარეთა საერთო სარგებლობაში გასხვისების შემთხვევაშიც. აღნიშნული შეთანხმება მხარეებს საჯარო რეესტრში დაურეგისტრირებიათ ც. გ-ძის

მიერ **200** კვ.მ. მიწის ნაკვეთის შეძენის დროისათვის მისი მომიჯნავე მიწის ნაკვეთი რომელიც ასევე იყო ც. გ-ძის საკუთრებაში, მდებარეობდა ..., ... ქ.№15-ში, რომელიც მოგვიანებით აჩუქა თავის შვილ ი. რ-შვილს. ც. გ-ძის საკუთრებაში არსებული **200** კვ.მ მიწის ნაკვეთის დაკავშირება საჯარო გზებთან შესაძლებელია როგორც ... ქუჩასთან მოპასუხე ნ. ნ-ძის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გავლით, ასევე ... ქუჩასთან მისი მომიჯნავე ი. რ-შვილის საკუთრებაში აღრიცხული ნაკვეთიდანაც მხოლოდ შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ხარჯზე. ც. გ-ძის მეზობლების კოლექტიური ახსნა-განმარტებით დადგენილია, რომ მის მიერ ნაყიდი **200** კვ.მ მიწის ნაკვეთზე აუცილებელი გზა უნდა ყოფილიყო ... ქუჩიდან, ეს ცნობილი იყო მყიდველისა და გამყიდველისთვისაც, გზის საერთო სარგებლობაში დარჩენის შესახებ მოლაპარაკება შედგა **2009** წლის მარტში, რასაც დაეთანხმა ნ-ძე. რ. ი-ელმა ც. გ-ძეს მიჰყიდა **200** კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მათ შორის იყო დამატებითი ზეპირი შეთანხმება, რომ ციური გოგმაჩაძე ისარგებლებდა რ. ი-ელის საკუთრებაში არსებული **506** კვ.მ მიწის ნაკვეთში შემავალი საერთო სარგებლობის გზით, რომელიც შეადგენდა **69** კვ.მ-ს.

პალატამ განმარტა, რომ მანამდე ამ მიწის ნაკვეთების მესაკუთრე რ ი-ელი იყო, რომელმაც პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე განმარტა, როდესაც მიწის ნაკვეთი მიჰყიდა ნ. ნ-ძეს უთხრა, რომ რ-შვილს მიჰყიდა საერთო სარგებლობის პირობით, **200** კვ.მ. მიწის ნაკვეთი შესასვლელი გზით, რაზეც ნ. ნ-ძე დაეთანხმა ანუ ნ. ნ-ძემ იცოდა საერთო სარგებლობის შესასვლელი გზის არსებობის თაობაზე, ამას არც თვითონ უარყოფს.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ საერთო სარგებლობის **69** კვ.მ მიწის ნაკვეთის ღირებულება რ. ი-ელს ნ. ნ-ძისაგან არ აუღია, რაც მოწმობს იმაზე, რომ ნ. ნ-ძისათვის ცნობილი იყო, რომ ამ მიწის ნაკვეთით უნდა ესარგებლა ც. გ-ძესაც და მასაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ აღნიშნა, რომ ნ. ნ-ძე აპელანტს საერთო სარგებლობის გზით სარგებლობაში ხელს უშლის, რითაც ც. გ-ძის მიწის ნაკვეთს ... ქუჩის მხრიდან ერთმევა სახლთან დამაკავშირებელი გზის სარგებლობის უფლება.

პალატამ განმარტა, რომ, მიუხედავად იმისა, სადავო ნაკვეთი არის ნ. ნ-ძის საკუთრება, სამოქალაქო კოდექსის **180**-ე მუხლი საკუთრებასაც კი, ბოჭავს იმ მიწის ნაკვეთის სასარგებლოდ, რომელსაც სახლთან მისასვლელი აუცილებელი კავშირი არა აქვს, შესაბამისად, აუცილებელი გზით სარგებლობის უფლების შეზღუდვა, დაუშვებელია. მესაკუთრეც კი ვალდებულია, ითმინოს მის მიწის ნაკვეთზე მეზობლის მიმოსვლა, რადგან მას შეეძლოს და არ შეეზღუდოს სახლთან დაკავშირება. სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება, რომ ... ქუჩიდან აპელანტს შეუძლია გააკეთოს სამანქანო გზა, თუკი მოხდება ი. რ-შვილის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის ნაწილობრივი დემონტაჟი, პალატამ არ გაიზიარა და განმარტა, რომ ... ქუჩა არის ... ქუჩის მომიჯნავე, ... ქუჩა №15-ში ცხოვრობს ი. რ-შვილი და მისი საკუთრებაა, ამასთან თუკი, იქარსებული ნაგებობების დემონტაჟი არ მოხდება, შეუძლებელია ისე ც. გ-ძის სახლთან მისვლა, რაც ალოგიკურია, მაშინ, როცა აპელანტის სახლის მისამართია ..., ... ქ.№12, მას აუცილებელი მისასვლელი გზა უნდა გაუკეთდეს სწორედ ... და არა ... ქუჩიდან.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს **2011** წლის **31** იანვრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ნ-ძემ და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი დასაბუთებით: ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა სამოქალაქო კოდექსის **180**-ე მუხლს. შესაბამისად, სასამართლომ არასწორად განმარტა ექსპერტიზის დასკვნა და ჩვენება. ექსპერტმა პასუხი გასცა ორივე მხარის შეკითხვებზე. ექსპერტი განმარტავს, რომ ..., ... ქ.№15-ში მდებარე მიწის ნაკვეთიდან ..., ... გამზირ **12**-ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთს უკავშირდებიან მათ შორის არსებული ბეტონის გამმიჯნავ კედელში არსებული კარის საშუალებით, რომლის სიგანე **1.0-1.4** მეტრია. სამანქანო გზის გაკეთება შესაძლებელია, ... ქ.№15-ში არსებული დამხმარე შენობის ნაწილობრივ დემონტაჟის ხარჯზე. მოსარჩელის მიერ მითითებული **200** კვ.მ მიწის ნაკვეთი მან შეიძინა და მიუერთა ..., ... ქ.№15-ში მდებარე მიწის ნაკვეთს დასავლეთით. ექსპერტიზის დასკვნიდან ჩანს, რომ ც. გ-ძის საკუთრებაში არსებული **200** კვ.მ მიწის ნაკვეთიდან, რომელიც მდებარეობს ... გამზ.№12-ში, ... ქ.№15-თან დაკავშირება შესაძლებელია მათ შორის ბეტონის გამმიჯნავი ღობის სიბრტყეში არსებული რკინის კარებიდან, საიდანაც **1.0-1.4** მეტრი სიგანის გასასვლელია ეზოში შესაბამისად ... ქუჩაზე. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებით მას ჩამოართვა საკუთრება, გადაუკეტა ერთადერთი შესასვლელი ჭიშკარი. სასამართლომ მიიჩნია, რომ მან იცოდა საერთო გზის შესახებ და **69** კვ.მ მიწის ნაკვეთი რ. ი-ელს არ გაუყიდა. გაუგებარია, რომელი მტკიცებულებების საფუძველზე ასკვნის სასამართლო, როცა საქმეში წარმოდგენილია ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და ნასყიდობის ხელშეკრულება, საიდანაც დასტურდება საპირისპირო გარემოებები, მიწის ნაკვეთი არ იყო დატვირთული ვალდებულებებით და ნასყიდობის ხელშეკრულებაში კონკრეტულად არის მითითებული მიწის ნაკვეთის ღირებულება და ფართი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2011** წლი **23** მაისის განჩინებით დასაშვებად იქნა ცნობილი ნ. ნ-ძის საკასაციო საჩივარი და **2011** წლის **14** ივნისს დაინიშნა სასამართლო სხდომა. სასამართლო სხდომაზე მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

1. ნ. ნ-ძე კისრულობს ვალდებულებას, გადაუხადოს ც. გ-ძეს **20000** აშშ დოლარი **2011** წლის **15** დეკემბრამდე;
2. აღნიშნული თანხის გადახდის სანაცვლოდ ც. გ-ძე იღებს ვალდებულებას, გადასცეს ნ. ნ-ძეს მის საკუთრებაში არსებული **200** კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელიც მდებარეობს ... გამზ.№12ა-ში.
3. ც. გ-ძე თავის მხრივ იღებს ვალდებულებას, **200** კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელიც მდებარეობს ..., ... გამზ. №12ა-ში, არ გაასხვისოს და არ დატვირთოს უფლებრივად **2011** წლის **15** დეკემბრამდე. ამავდროულად თანხის დროულად გადახდის შემთხვევაში გადასცეს ნ. ნ-ძეს მიწის ნაკვეთი უნაკლო მდგომარეობაში;
4. ნ. ნ-ძის მიერ თანხის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ნ. ნ-ძის საკუთრებაში არსებული **506** კვ.მ-დან მიწის ნაკვეთიდან გამოიყოს **69** კვ.მ მიწის ნაკვეთი ც. გ-ძის საკუთრებაში არსებული **200** კვ.მ. მიწის ნაკვეთთან ... გამზირის მხრიდან დასაკავშირებლად და აღნიშნული გზა დარჩეს მხარეთა საერთო სარგებლობაში. მიწის ნაკვეთის, საავტომობილო გზად გამოყენების სანაცვლოდ, ც. გ-ძე გადაიხდის **3500** აშშ დოლარს ორი (**2**) თვის ვადაში;

5. ც. გ-ძის მხრიდან მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში (... №12ა-ში, მდებარე 200 კვ.მ მიწის ნაკვეთის უფლებრივად დატვირთვის შემთხვევაში), მას ნ. ნ-ძის საკუთრებაში არსებული 69 კვ.მ მიწის ნაკვეთზე პრეტენზია აღარ ექნება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, მიიჩნევს, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის 1-ელი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება..

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად კი, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა მორიგების აქტი წარმოადგინეს საკასაციო სასამართლოს მთავარ სხდომამდე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ნ. ნ-ძეს დაუბრუნდეს ჭ. ვ-ძის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 300 ლარის ოდენობით;

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

დამტკიცდეს მორიგება ნ. ნ-ძესა და ც. გ-ძეს შორის შემდეგი პირობით:

1. ნ. ნ-ძე კისრულობს ვალდებულებას, გადაუხადოს ც. გ-ძეს 20000 აშშ დოლარი 2011 წლის 15 დეკემბრამდე;
2. აღნიშნული თანხის გადახდის სანაცვლოდ ც. გ-ძე იღებს ვალდებულებას, გადასცეს ნ. ნ-ძეს მის საკუთრებაში არსებული 200 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელიც მდებარეობს ... გამზ. №12ა-ში.
3. ც. გ-ძე თავის მხრივ იღებს ვალდებულებას, 200 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელიც მდებარეობს ... გამზ. №12ა-ში, არ გაასხვისოს და არ დატვირთოს უფლებრივად 2011 წლის 15 დეკემბრამდე. ამავდროულად თანხის დროულად გადახდის შემთხვევაში გადასცეს ნ. ნ-ძეს მიწის ნაკვეთი უნაკლო მდგომარეობაში;
4. ნ. ნ-ძის მიერ თანხის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ნ. ნ-ძის საკუთრებაში არსებული 506 კვ.მ-დან მიწის ნაკვეთიდან გამოიყოს 69 კვ.მ მიწის ნაკვეთი ც. გ-ძის საკუთრებაში არსებული 200 კვ.მ. მიწის ნაკვეთთან ... გამზირის მხრიდან დასაკავშირებლად და აღნიშნული გზა დარჩეს მხარეთა საერთო სარგებლობაში. მიწის ნაკვეთის, საავტომობილო გზად გამოყენების სანაცვლოდ, ც. გ-ძე გადაიხდის 3500 აშშ დოლარს ორი (2) თვის ვადაში;
5. ც. გ-ძის მხრიდან მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში (... გამზ. №12ა-ში, მდებარე 200 კვ.მ მიწის ნაკვეთის უფლებრივად დატვირთვის შემთხვევაში), მას ნ. ნ-ძის საკუთრებაში არსებული 69 კვ.მ მიწის ნაკვეთზე პრეტენზია აღარ ექნება.

შეწყდეს სამოქალაქო საქმის წარმოება ც. გ-ძის სარჩელისა გამო ნ. ნ-ძის მიმართ აუცილებელი გზის აღდგენის თაობაზე;

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები;

ნ. ნ-ძეს დაუბრუნდეს ჭ. ვ-ძის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 300 ლარის ოდენობით;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

№ას-764-820-2011

20 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ბ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე ვ. ს-შვილის მიმართ ავტოავარიის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით შემდეგი საფუძველებით:

სარჩელის თანახმად, 2009 წლის 28 მარტს მომხდარი ავტოავარიის შედეგად დაზიანდა ნ. ბ-მის კუთვნილი ავტომანქანა, ვინაიდან ავტოავარია გამოწვეულია ვ. ს-შვილის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით, ხოლო მოსარჩელის კუთვნილი ავტომანქანის აღდგენის ღირებულებაა 36785 ლარი, მოსარჩელემ მოითხოვა ზიანის ანაზღაურების დაკისრება მოპასუხისათვის.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და თავის შესაგებელში განმარტა, რომ სარჩელში დასახელებული ავტოსაგზაო შემთხვევა მისი ბრალით არ იყო გამოწვეული, ვინაიდან მოსარჩელე არ მოძრაობდა დასაშვები სიჩქარით, რის გამოც ვერ შეძლო ავტოსაგზაო შემთხვევის თავიდან აცილება. მოპასუხემ ასევე განმარტა, რომ სადაოდ ხდიდა ნ. ბ-მის მიერ სარჩელში დასახელებული თანხების რეალობას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილებით ნ. ბ-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ვ. ს-შვილს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 33652 ლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. ს-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა უსაფუძველობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებით ვ. ს-შვილის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ნ. ბ-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ვ. ს-შვილს ნ. ბ-მის სასარგებლოდ დაეკისრა 20000 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა მასზე, რომ 2009 წლის 28 მარტს მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევა გამოწვეული იყო ბმვ-ს მარკის ავტომანქანის მძღოლის – ვ. ს-შვილის მიერ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა უგულბელებით. ამასთან, ნ. ბ-მეს არ შეეძლო თავიდან აეცილებინა ავტოავარია და მის მოქმედებაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა უგულბელებით არ აღინიშნებოდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დაკისრებული თანხის ოდენობის ნაწილში გადაწყვეტილება უნდა შეცვლილიყო, ვინაიდან მოპასუხისათვის დაკისრებული თანხა – 33652 ლარი არ შეესაბამებოდა მიყენებული ზიანის ოდენობას. სააპელაციო პალატამ გაიზიარა 2010 წლის 28 ივლისის ექსპერტის დასკვნაში აღნიშნული ოდენობა (14799,3 ლარი) და ჩათვალა, რომ იგი ასახავდა ავტომობილის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისათვის საჭირო თანხის რეალურ ოდენობას.

სასამართლომ საგულისხმოდ მიიჩნია ის გარემოება, რომ 2010 წლის 28 ივლისის ექსპერტის დასკვნაში შენიშვნის სახით განიმარტა, რომ «აღნიშნული ავტომობილის აღდგენითი ღირებულება შეადგენდა 14799,3 ლარს, რაც დაახლოებით მთლიანად ავტომობილის საორიენტაციო საბაზრო ღირებულების 50%-ს აღემატება, ხოლო აღდგენილი ავტომობილი განიცდის სასაქონლო სახის კარგვას, რაც აისახება ავტომობილის შემდგომ საბაზრო ღირებულებებში». ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ ექსპერტის მიერ განსაზღვრული თანხა – 14799,3 ლარი უნდა გაზრდილიყო 20000 ლარამდე, რითაც უნდა ანაზღაურებულიყო ის ზიანი, რაც მიადგა ავტომობილს მისი სასაქონლო სახის დაკარგვით, რომლის დაკისრების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი – პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ვალდებულება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის დასახელებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

ვ. ს-შვილმა საკასაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მისთვის ექსპერტის მიერ დადგენილი ავტომობილის აღდგენითი ღირებულების – 14799,3 ლარის დაკისრება.

ნ. ბ-მემ საკასაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოპასუხისათვის პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის – 33652 ლარის გადახდევინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საკასაციო საჩივრების დასაშვებობის ეტაპზე მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

კასატორმა ვ. ს-შვილმა ნ. ბ-მეს გადაუხადა ავარიის შედეგად მიყენებული ზიანის თანხა – 12400 აშშ დოლარი და დარჩენილ 777 აშშ დოლარს გადაუხდის ეტაპობრივად ერთი წლის ვადაში – 2012 წლის 8 ივნისამდე;

კასატორმა ნ. ბ-მემ მიიღო ვ. ს-შვილისგან თანხა – 12400 აშშ დოლარი და თანახმაა დარჩენილი თანხა – 777 აშშ დოლარი მიიღოს ერთი წლის ვადაში;

მხარეები თანახმა არიან შეწყდეს საქმის წარმოება;

მხარეები თანხმდებიან, რომ მორიგების დადებისთანავე მოიხსნას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ბინაზე, მდებარე ქ. თბილისში, ... №39, რომელიც გამოტანილია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ.

მხარეებმა მოითხოვეს მორიგების აქტის დამტკიცება, საქმეზე წარმოების შეწყვეტა და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს, მოცემულ საქმეზე წარმოება შეწყდეს და გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 აპრილის განჩინებით მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიება – ყადაღა მოეხსნას ვ. ს-შვილის კუთვნილ უძრავ ქონებას, მდებარე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ... №39, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის 1-ელი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს, რის გამოც წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდვე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹ მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით. მხარეთა მორიგების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.

განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტის თანახმად, მორიგების ერთ-ერთ პუნქტს წარმოადგენდა მორიგების დადებისთანავე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება, კერძოდ, ბინაზე, მდებარე ქ. თბილისში, ... ყადაღის გაუქმება.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 აპრილის განჩინებით მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიების – ვ. ს-შვილის კუთვნილი უძრავი ქონების, მდებარე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ... №39, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - დაყადაღების, კანონით გათვალისწინებული, ფაქტობრივი საფუძველი აღარ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტით, 284-ე, 199¹ მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

- დაკმაყოფილდეს მხარეთა შუამდგომლობა და დამტკიცდეს მორიგება მხარეთა შორის შემდეგი პირობებით:
 - კასატორმა ვ. ს-შვილმა ნ. ბ-მეს გადაუხადა ავარიის შედეგად მიყენებული ზიანის თანხა – 12400 აშშ დოლარი და დარჩენილ 777 აშშ დოლარს გადაუხდის ეტაპობრივად ერთი წლის ვადაში – 2012 წლის 8 ივნისამდე;
 - კასატორმა ნ. ბ-მემ მიიღო ვ. ს-შვილისგან თანხა – 12400 აშშ დოლარი და თანახმაა დარჩენილი თანხა – 777 აშშ დოლარი მიიღოს ერთი წლის ვადაში;
 - მხარეები თანახმა არიან შეწყდეს საქმის წარმოება;
 - მხარეები თანხმდებიან, რომ მორიგების დადებისთანავე მოიხსნას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ბინაზე, მდებარე ქ. თბილისში, ... №39, რომელიც გამოტანილია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ.
- მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო, გაუქმდეს ამ საქმეზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, შეწყდეს საქმის წარმოება;
- მხარეებს განემარტათ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება. მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოხდება გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება;

4. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 აპრილის განჩინებით მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიება – ყადაღა მოეხსნას ვ. ს-შვილის კუთვნილ უძრავ ქონებას, მდებარეს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ... №39, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

№ას-764-820-2011

20 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ბ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე ვ. ს-შვილის მიმართ ავტოავარიის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით შემდეგი საფუძველებით:

სარჩელის თანახმად, 2009 წლის 28 მარტს მომხდარი ავტოავარიის შედეგად დაზიანდა ნ. ბ-მის კუთვნილი ავტომანქანა, ვინაიდან ავტოავარია გამოწვეულია ვ. ს-შვილის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით, ხოლო მოსარჩელის კუთვნილი ავტომანქანის აღდგენის ღირებულებაა 36785 ლარი, მოსარჩელემ მოითხოვა ზიანის ანაზღაურების დაკისრება მოპასუხისათვის.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და თავის შესაგებელში განმარტა, რომ სარჩელში დასახელებული ავტოსაგზაო შემთხვევა მისი ბრალით არ იყო გამოწვეული, ვინაიდან მოსარჩელე არ მოძრაობდა დასაშვები სიჩქარით, რის გამოც ვერ შეძლო ავტოსაგზაო შემთხვევის თავიდან აცილება. მოპასუხემ ასევე განმარტა, რომ სადაოდ ხდიდა ნ. ბ-მის მიერ სარჩელში დასახელებული თანხების რეალობას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილებით ნ. ბ-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ვ. ს-შვილს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 33652 ლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. ს-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა უსაფუძველობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებით ვ. ს-შვილის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ნ. ბ-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ვ. ს-შვილს ნ. ბ-მის სასარგებლოდ დაეკისრა 20000 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა მასზე, რომ 2009 წლის 28 მარტს მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევა გამოწვეული იყო ბმვ-ს მარჯვნივ ავტომანქანის მძღოლის – ვ. ს-შვილის მიერ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა უგულვებელყოფით. ამასთან, ნ. ბ-მეს არ შეეძლო თავიდან აეცილებინა ავტოავარია და მის მოქმედებაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა უგულვებელყოფა არ აღინიშნებოდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დაკისრებული თანხის ოდენობის ნაწილში გადაწყვეტილება უნდა შეცვლილიყო, ვინაიდან მოპასუხისათვის დაკისრებული თანხა – 33652 ლარი არ შეესაბამებოდა მიყენებული ზიანის ოდენობას. სააპელაციო პალატამ გაიზიარა 2010 წლის 28 ივლისის ექსპერტის დასკვნაში აღნიშნული ოდენობა (14799,3 ლარი) და ჩათვალა, რომ იგი ასახავდა ავტომობილის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისათვის საჭირო თანხის რეალურ ოდენობას.

სასამართლომ საგულისხმოდ მიიჩნია ის გარემოება, რომ 2010 წლის 28 ივლისის ექსპერტის დასკვნაში შენიშვნის სახით განმარტა, რომ «აღნიშნული ავტომობილის აღდგენითი ღირებულება შეადგენდა 14799,3 ლარს, რაც დაახლოებით მთლიანად ავტომობილის საორიენტაციო საბაზრო ღირებულების 50%-ს აღემატება, ხოლო აღდგენილი ავტომობილი განიცდის სასაქონლო სახის კარგვას, რაც აისახება ავტომობილის შემდგომ საბაზრო ღირებულებებში». ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ ექსპერტიზის მიერ განსაზღვრული თანხა – 14799,3 ლარი უნდა გაზრდილიყო 20000 ლარამდე, რითაც უნდა ანაზღაურებულიყო ის ზიანი, რაც მიადგა ავტომობილს მისი სასაქონლო სახის დაკარგვით, რომლის დაკისრების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი – პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ვალდებულება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის დასახელებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

ვ. ს-შვილმა საკასაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მისთვის ექსპერტიზის მიერ დადგენილი ავტომობილის აღდგენითი ღირებულების – 14799,3 ლარის დაკისრება.

5. ბ-მემ საკასაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოპასუხისათვის პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის – 33652 ლარის გადახდევინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საკასაციო საჩივრების დასაშვებობის ეტაპზე მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

1. კასატორმა ვ. ს-შვილმა ნ. ბ-მეს გადაუხადა ავარიის შედეგად მიყენებული ზიანის თანხა – 12400 აშშ დოლარი და დარჩენილ 777 აშშ დოლარს გადაუხდის ეტაპობრივად ერთი წლის ვადაში – 2012 წლის 8 ივნისამდე;

2. კასატორმა ნ. ბ-მემ მიიღო ვ. შ-შვილისგან თანხა – 12400 აშშ დოლარი და თანახმაა დარჩენილი თანხა – 777 აშშ დოლარი მიიღოს ერთი წლის ვადაში;

3. მხარეები თანახმა არიან შეწყდეს საქმის წარმოება;

4. მხარეები თანხმდებიან, რომ მორიგების დადებისთანავე მოიხსნას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ბინაზე, მდებარე ქ. თბილისში, ... №39, რომელიც გამოტანილია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ.

5. მხარეებმა მოითხოვეს მორიგების აქტის დამტკიცება, საქმეზე წარმოების შეწყვეტა და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს, მოცემულ საქმეზე წარმოება შეწყდეს და გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 აპრილის განჩინებით მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიება – ყადაღა მოეხსნას ვ. ს-შვილის კუთვნილ უძრავ ქონებას, მდებარე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ... №39, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის 1-ელი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს, რის გამოც წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმოწერილ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹ მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუზილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით. მხარეთა მორიგების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.

განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტის თანახმად, მორიგების ერთ-ერთ პუნქტს წარმოადგენდა მორიგების დადებისთანავე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება, კერძოდ, ბინაზე, მდებარე ქ. თბილისში, ... ყადაღის გაუქმება.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 აპრილის განჩინებით მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიების – ვ. ს-შვილის კუთვნილი უძრავი ქონების, მდებარე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ... №39, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - დაყადაღების, კანონით გათვალისწინებული, ფაქტობრივი საფუძველი აღარ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტით, 284-ე, 199¹ მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. დაკმაყოფილდეს მხარეთა შუამდგომლობა და დამტკიცდეს მორიგება მხარეთა შორის შემდეგი პირობებით:

ა) კასატორმა ვ. ს-შვილმა ნ. ბ-მეს გადაუხადა ავარიის შედეგად მიყენებული ზიანის თანხა – 12400 აშშ დოლარი და დარჩენილ 777 აშშ დოლარს გადაუხდის ეტაპობრივად ერთი წლის ვადაში – 2012 წლის 8 ივნისამდე;

ბ) კასატორმა ნ. ბ-მემ მიიღო ვ. ს-შვილისგან თანხა – 12400 აშშ დოლარი და თანახმაა დარჩენილი თანხა – 777 აშშ დოლარი მიიღოს ერთი წლის ვადაში;

გ) მხარეები თანახმა არიან შეწყდეს საქმის წარმოება;

დ) მხარეები თანხმდებიან, რომ მორიგების დადებისთანავე მოიხსნას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ბინაზე, მდებარე ქ. თბილისში, ... №39, რომელიც გამოტანილია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ.

2. მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო, გაუქმდეს ამ საქმეზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, შეწყდეს საქმის წარმოება;

3. მხარეებს განემართოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება. მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოხდება გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება;

4. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 აპრილის განჩინებით მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიება – ყადაღა მოეხსნას ვ. ს-შვილის კუთვნილ უძრავ ქონებას, მდებარეს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ... №39, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

№ას-391-371-2011

28 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ქათამაძე,

ბ. ალაგვიძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. და დ. მ-შვილებმა სარჩელით მიმართეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე ს. ჩ-ძის მიმართ შემდეგი დასაბუთებით: მხარეები ცხოვრობენ გვერდიგვერდ ქ.ბათუმში, ... №7-9-ში, საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთზე. მოპასუხე ს. ჩ-ძე ძველი სახლის ადგილზე რამოდენიმე წლის განმავლობაში ახალ სახლს აშენებდა, რის შედეგადაც მოსარჩელების სახლს გაუჩნდა ბზარები და დანგრევის პირამდე მივიდა. აღნიშნულის გამო ის საჭიროებდა სასწრაფო დემონტაჟს, რისთვისაც საჭირო იყო 57159 ლარი. სახლის დაზიანებები უშუალოდ უკავშირება მოპასუხის სახლის მშენებლობას, რაც დასტურდება საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნით. საცხოვრებელი სახლის დემონტაჟის შემთხვევაში დ. და ლ. მ-შვილები რჩებოდნენ უსახლკაროდ და იძულებული იქნებოდნენ, ეცხოვრათ ნაქირავებ ბინაში, რისთვისაც უნდა გადაეხადათ თვეში 250-300 აშშ დოლარი.

მოპასუხე მხარემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ სარჩელი აღძრული არ იყო ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ. ს. ჩ-ძემ სათანადო მოპასუხედ მიიჩნია ქ.ბათუმში,№11-ში მცხოვრები ვ. მ-ძე, რომლის სახლის მშენებლობამ მასაც მიაყენა მატერიალური ზიანი. აღნიშნულის შესახებ ს. ჩ-ძემ წარმოადგინა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, ხოლო 2010 წლის 2 აგვისტოს მთავარ სხდომაზე მოპასუხედ დაასახელა ქ.ბათუმის ... სამსახური, რომელმაც დააპროექტა ახალი სახლის მშენებლობა. მოპასუხის განმარტებით, მ-შვილების სახლი აგებულია გასული საუკუნის 30-40-იან წლებში, გასულია მისი ექსპლუატაციისათვის ვარგისიანობის ვადა და უკვე 2003-2006 წლებში, სანამ დაიწყებდა ახალი სახლის მშენებლობას, მ-შვილების სახლს ჰქონდა ბზარები, შესაბამისად, ამ სახლის ნგრევის პროცესის მიზეზი იყო არა მოპასუხის მიერ დაწყებული სახლის მშენებლობა, არამედ მისი ამორტიზაცია. მოპასუხის მთითებით, სინამდვილეს არ შეეფერებოდა მოსარჩელეთა მიერ მოყვანილი არგუმენტი, რომ სახლის დემონტაჟის შემთხვევაში ისინი დარჩებოდნენ უსახლკაროდ, დ. და ლ. მ-შვილებს გააჩნდათ ალტერნატიული საცხოვრებელი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილებით ლ. და დ. მ-შვილების სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხე ს. ჩ-ძეს მოსარჩელების, ლ. და დ. მ-შვილების, სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის – 25800 ლარის ანაზღაურება. სარჩელს მოპასუხისათვის ბინის ქირის დაკისრებაზე უარი ეთქვა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრეს, როგორც ლ. და დ. მ-შვილებმა, ასევე ს. ჩ-ძემ.

ქუთაისის საპელაციო სასამართლოს 2011 წლის 21 იანვრის განჩინებით ს. ჩ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ასევე არ დაკმაყოფილდა მისი საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილების წინმსწრები განჩინებების გაუქმების თაობაზე. ლ. და დ. მ-შვილების სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელი დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილება. პალატამ დადგინდად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: თავდაპირველად სარჩელი ს. ჩ-ძემ აღძრა ლ. და დ. მ-შვილების მიმართ და, სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლზე მითითებით, თანასაკუთრებიდან რეალური წილის გამოყოფა მოითხოვა. უფრო მოგვიანებით მან დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და ქ.ბათუმში, ... ქ.№7-9-ში მდებარე 944 კვ.მ მიწის ნაკვეთის 4/7-ის იდეალური წილის მესაკუთრედ ცნობა მოითხოვა. ლ. და დ. მ-შვილებმა შეგებებული სარჩელი აღძრეს და მოითხოვეს ჩ-ძის მიერ ნაწარმოები სახლის მშენებლობით მათზე მიყენებული ზიანის, 51590 ლარის, ჩ-ძისათვის დაკისრება. მოგვიანებით შეგებებული სარჩელის ავტორებმაც დააზუსტეს მოთხოვნა და, საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, ჩ-ძისათვის 57159 ლარის დაკისრება მოითხოვეს, ასევე მოითხოვეს თვეში ქირის 250-300 ლარის დაკისრება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 4 მაისის საოქმო განჩინებით დაკმაყოფილდა ს. ჩ-ძის წარმომადგენელ გ.წ-ძის შუამდგომლობა და, სარჩელის გამოხმობის გამო, ს. ჩ-ძის სარჩელი, ლ. და დ. მ-შვილებისა და ამირან მესხის მიმართ ქონების რეალური გაყოფის თაობაზე დარჩა განუხილველი. საოქმო განჩინებით არ დაკმაყოფილდა ს.ჩ-ძის შუამდგომლობა სარჩელის გამოხმობის გამო შეგებებული სარჩელის განუხილველად დატოვების მოთხოვნა. პალატა დადგენილად მიიჩნია, რომ 2006 წლის სექტემბრიდან მოპასუხე ს. ჩ-ძე, ძველი სახლის დემონტაჟის შემდეგ აწარმოებს ახლის მშენებლობას, რომელიც პროექტის მიხედვით, უნდა იყოს ორსართულიანი, მანსარდით. ჩ-ძემ ააშენა მხოლოდ 170 კვ.მ ფართის 1-ელი სართული. მოსარჩელების სახლი დაპროექტებულია და აგებულია 1941 წელს და არის ერთსართულიანი საცხოვრებელი ნაგებობა, ბელეტაჟზე, ხის კონსტრუქციული სახურავით. მოსარჩელების სახლი ამჟამად ავარიულია და გააჩნია ჰორიზონტული, ვერტიკალური და დიაგონალური 4-6 სმ. სიდიდის ბზარები, სახლის მარჯვენა ნაწილში კედელი სარტყლის ზონაში გასულია ვერტიკალური სიბრტყიდან და მოცილებულია შემკვერელ სარტყელს, დაქანებულია შენობის იატაკებისა და ჭერის სიბრტყეები. ექსპერტთა მოსარჩელების გათვალისწინებით პალატამ დადგინდა, რომ ლ. და დ. მ-შვილების საცხოვრებელი სახლის დაზიანებები გამოწვეული იყო რამდენიმე ობიექტური ფაქტორით, სახელდობრ, სახლის სიძველით. ლ. და დ. მ-შვილების საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლი, რომელიც ქ.ბათუმში, ... ქ.№7-ში მდებარეობს, აგებულია 1941 წელს და საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დაწყებამდე ჰქონდა როგორც გარეგანი, ისე შინაგანი ბზარები და ნაპრალები, მნიშვნელოვან უარყოფით ფაქტორს წარმოადგენდა ასევე მაიაკოვსკის ქუჩაზე მძიმეწონიანი ტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობა, რაც იწვევს ვიბრაციას და კედლების დაზიანება შემადგომ, გამოწვეული ყოფილიყო ამ მიზეზითაც.

საქმეში წარმოდგენილი ქ.ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის პასუხით დადგინდა, რომ მძიმეწონიანი სატვირთო მანქანების ინტენსიური მოძრაობა იწვევს მაიაკოვსკის ქუჩის მცხოვრებთა სახლების დინამიურ რყევებს, რის გამოც მათი სახლებისა და შენობების კედლებზე გაჩნდა ბზარები. მ-შვილების სახლის მშენებლობისას გამოყენებული საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა არასრულყოფილი აღმოჩნდა და იგი არ იყო ნაწარმოები პროექტორების თანამედროვე ტექნოლოგიებით. ქ.ბათუმში, ... ქ.№7-ში მდებარე მოსარჩელების კუთვნილი ერთსართულიანი სახლის დაზიანებები მიზეზობრივად უკავშირდება ქ.ბათუმში, ... ქ.№9-ში მიმდინარე მოპასუხე ს. ჩ-ძის სახლის მშენებლობას. მოპასუხე ს. ჩ-ძემ თავისი სახლის მშენებლობის დროს არ გაითვალისწინა სამშენებლო ნორმები და წესები, კერძოდ, არ გამოიყენა დიდი და პატარა შენობათა გამმიჯნავი «შპუნტები», რის გამოც სახლის მშენებლობამ ზიანი მიაყენა მოსარჩელების სახლს. მ-შვილების საცხოვრებელი სახლის დემონტაჟისა და სახლის აშენებისათვის საჭიროა 57159 ლარი.

სამოქალაქო კოდექსის 409-ე მუხლის თანახმად, საპელაგიო სასამართლომ საკითხის მართებულ გადაწყვეტად მიიჩნია მოსარჩელისათვის ფულადი ანაზღაურება. პალატის განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლზე დაყდნობით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ზიანის წარმოშობისა, მოპასუხის მიერ ნაწარმოები მშენებლობა ანუ არსებობდა მოპასუხის ბრალეული ქმედება და მიზეზობრივი კავშირი მოპასუხის მიერ სახლის მშენებლობის დროს დარღვეულ წესებსა და მოსარჩელის სახლის დაზიანებას შორის. პალატამ ასევე განმარტა, რომ მ-შვილებისათვის მიყენებული ზიანი არ იყო გამოწვეული მარტო მოპასუხის მოქმედებით და გარკვეულწილად ამაში სხვა გარეშე ფაქტორებთან ერთად თავად მოსარჩელებსაც მიუძღვოდათ ბრალი. სანიაღვრე არხი, თავად მოსარჩელის საცხოვრებელი სახლის კედლის გვერდით ჩაედინება და მოსარჩელეს რაიმე ღონისძიებისათვის არ მიუმართავს, რათა ეს „მკვეთრად უარყოფითი« ფაქტორი აღეკვეთა.

ქუთაისის საპელაგიო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 იანვრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს დ. და ლ. მ-შვილებმა და ს. ჩ-ძემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 13 მაისის განჩინებით ლ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი, ხარვეზის შეუვსებლობის გამო, დარჩა განუხილველი.

კასატორმა დ. მ-შვილმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება შემდეგი დასაბუთებით: ისინი ცხოვრობენ ქ.ბათუმში, ... ქუჩა №7-9-ში, სადაც მოპასუხე ს. ჩ-ძე წლების განმავლობაში საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთზე აწარმოებს ორსართულიანი მანსარდით სახლის მშენებლობას. პრობლემებმა მას შემდეგ იჩინა თავი, როცა ს. ჩ-ძემ დაიწყო ახალი 3 – სართულიანი სახლის მშენებლობა, რასაც მოჰყვა კასატორების საცხოვრებელი სახლის დაზიანება. დაზიანებამ თითქმის ერთი წლის წინ უკვე კრიტიკულ ზღვარს მიაღწია და, ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, სახლი სასწრაფოდ დემონტაჟს ექვემდებარება, რაც დაადასტურეს სასამართლოს სხდომაზე მოწვეულმა ექსპერტებმა და მიუთითეს, რომ დ. და ლ. მ-შვილების სახლის დაზიანებები მიზეზობრივად უკავშირდება ს. ჩ-ძის სახლის მშენებლობას, ვინაიდან მან არ მიიღო საამშენებლო ნორმებით გათვალისწინებული პრევენციული ზომები, არ გამოიყენა გამმიჯნავი «შპუნტები», რომელთა გამოყენებაც სამშენებლო ნორმებით აუცილებელი იყო. ექსპერტიზის დასკვნით, ის დაზიანებები, რომლებიც სახლს გააჩნია, შეუძლებელია ვიბრაციით ან სხვა მიზეზით გაჩენილიყო ს. ჩ-ძის მიერ მშენებლობის ტექნოლოგიის დაცვის შემთხვევაში, რაც დასტურდება მშენებარე სახლის საძირკვლის მოწყობის ფარული სამუშაოების აქტების არარსებობით. ექსპერტიზის დასკვნით, სახლში მოხინაღრეთა საფრთხის თავიდან ასაცილებლად უნდა განხორციელდეს სახლის სასწრაფო დემონტაჟი. ექსპერტმა ს.მელქონიანმა თავისი განმარტებით მთლიანად გამორიცხა სახლის დაზიანება ვიბრაციის შედეგად, ასევე განმარტა, რომ მ-შვილების სახლის გვერდით არსებული პატარა არხი მ-შვილების სახლს ვერ დააზიანებდა.

საპელაგიო სასამართლომ მათ უსაფუძვლოდ უთხრა უარი საქმეზე მტკიცებულებად მ-შვილების საცხოვრებელი სახლის მეორე ნაწილში მცხოვრები მესხის საცხოვრებელი სახლის ამსახველი ფოტოსურათების დართვაზე. წარდგენილი ფოტოსურათები ადასტურებდა იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ერთი და იგივე სახლი ს. ჩ-ძის მხარეს დაზიანებულია, ხოლო მეორე მხარეს, საიდანაც სხვა მეზობელი ესაზღვრება სახლს, დაუზიანებელია, რაც

საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებებთან ერთად ადასტურებს, რომ მ-შვილების სახლის დაზიანება გამოწვეულია მხოლოდ ს.ჩ-მის სახლის მშენებლობითა და არა ვიზრაციით ან სხვა ფაქტორებით.

კასატორმა ს. ჩ-მემ მოითხოვა ქუთაისის საპელაციო სასამართლოს 2011 წლის 21 იანვრის განჩინების, 2011 წლის 13 იანვრის საოქმო განჩინება, 2010 წლის 17 დეკემბრის 2011 წლის 4 მარტის 2011 წლის 21 იანვრის განჩინებების გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ ექსპერტ დ. გ-მის ჩვენებით ქ.ბათუმში, ... ქ.№7-ში მდებარე ერთსართულიანი სახლის დაზიანებები სამშენებლო ნორმებისა და წესების გათვალისწინებით მიზეზშედეგობრივ კავშირშია ქ.ბათუმში, ... ქ.№9-ში მდებარე სახლის მშენებლობასთან. საპელაციო სასამართლომ ისე დაუკავშირა ს. ჩ-მის მიერ სამშენებლო ნორმების დარღვევა მ-შვილების სახლის დაზიანების გამომწვევ მიზეზებს, რომ არ დაუდგინა თვით ამ დარღვევების ფაქტები. საპელაციო სასამართლოს ჯერ უნდა დაეფიქსირებინა, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატა ს. ჩ-მის მიერ სამშენებლო ნორმებისა და წესების დარღვევა, უნდა მიეთითებინა, თუ რა მტკიცებულებით დასტურდებოდა დარღვევის არსებობა და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დაედგინა მ-შვილების სახლის დაზიანებასთან მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.

საპელაციო სასამართლომ არ დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომ ექსპერტ დ. გ-მეს საერთოდ არ უნახავს ს. ჩ-მის სახლის პროექტი და ისე, ზერელედ, შეადგინა საინჟინრო ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა. სასამართლომ ასევე არ დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომ გეოლოგ ს.მელქონიანს, ს. ჩ-მის სახლის პროექტირების დაწყების წინ მის მიერ შესრულებულ გეოლოგიურ დასკვნაში, საერთოდ არ გამოუკვლევიან მ-შვილების სახლის საძირკველი და, უფრო მეტიც, საერთოდ არც ახალი მშენებლობის შედეგად მასზე შესაძლო ზეგავლენა ივარაუდა. სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ მ-შვილების საცხოვრებელი სახლის დემონტაჟისა და ახალი სახლის აშენებისათვის საჭიროა 57 159 ლარი.

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 13 ივნისის განჩინებით დასაშვებად იქნა ცნობილი ს. ჩ-მისა და დ. მ-შვილის საკასაციო საჩივრები.

2011 წლის 28 ივნისის სასამართლო სხდომაზე მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

ს. ჩ-მე თანახმაა გადაუხადოს დ. მ-შვილს 20000 ლარი ერთი წლის ვადაში, მორიგების აქტის დამტკიცებიდან ანუ 2012 წლის 29 ივნისამდე.

საქმეზე გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ყადაღა ს. ჩ-მის უძრავ ქონებაზე, მდებარე ქ.ბათუმში ... ქ.№7-9, დარჩეს ძალაში ს. ჩ-მის მიერ თანხის სრულ გადახდამდე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, მიიჩნევს, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის 1-ელი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელშეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ს. ჩ-მისა და დ. მ-შვილის შუამდგომლობა მორიგების თაობაზე დაკმაყოფილდეს;

დამტკიცდეს მორიგება ს. ჩოგოგიძესა და დ. მ-შვილს შორის შემდეგი პირობებით:

ს. ჩ-მე თანახმაა გადაუხადოს დ. მ-შვილს 20000 ლარი ერთი წლის ვადაში, მორიგების აქტის დამტკიცებიდან ანუ 2012 წლის 29 ივნისამდე.

საქმეზე გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ყადაღა ს. ჩ-მის უძრავ ქონებაზე, მდებარე ქ.ბათუმში ... ქ.№7-9, დარჩეს ძალაში ს. ჩ-მის მიერ თანხის სრულ გადახდამდე.

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ყადაღა დარჩეს ძალში.

შეწყდეს საქმის წარმოება, ს. ჩ-მის სარჩელის გამო, დ. და ლ. მ-შვილის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე;

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

№ას-401-381-2011

5 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ქათამაძე,

ბ. ალავეძე

დავის საგანი: საბანკო კრედიტის შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

სს «ბ. ჰ-მა» სარჩელი აღძრა სასამართლოში კ. ლ-იას მიმართ თანხის დაკისრების შესახებ შემდეგი დასაბუთებით: 2007 წლის 29 ნოემბერს სააქციო საზოგადოება „პ. ბ-სა“ და მოქალაქე კ. ლ-იას შორის დაიდო საბანკო კრედიტის ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად, ბანკმა კ. ლ-იას გამოუყო სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით – 4800 ლარის ოდენობით, 24 თვის ვადით, წლიური 16%-ის დარიცხვით. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იქნა პირგასამტეხლო – ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევებისთვის, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.33%-ის ოდენობით. მსესხებლის ვალდებულებას შეადგენდა სესხის და მასზე დარიცხული სარგებლის გამსესხებლისთვის დაბრუნება. გადახდის გრაფიკით, ფულადი ვალდებულების შესრულება განაწილავდა იმგვარად, რომ მსესხებელს სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის გარკვეული თანხა უნდა დაებრუნებინა ყოველთვიურად. მსესხებლის მიერ ხელშეკრულების დანართში მითითებული გადახდის გრაფიკი დარღვეულ იქნა, კერძოდ მის მიერ 2009 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებული დღეების რაოდენობა შეადგენს 488-ს. ამ ხნის განმავლობაში მის მიერ ბანკისთვის არ არის გადახდილი არც ძირითადი თანხა, არც მასზე დარიცხული პროცენტი და არც პირგასამტეხლო, რომელიც მხარეებმა გათვალისწინეს ვალდებულების შესრულების ვადის ყოველი გადაცილებული დღისათვის. 2009 წლის 4 სექტემბერს სს „პ. ბ-მა“ შეიცვალა საქმიანობის საგანი, საფირმო სახელწოდება და მისი სამართალმემკვიდრე გახდა სს „პ. კ-ა“. ამავე წლის 30 სექტემბერს სს „პ. კ-ას“ გამოეყო ორი საზოგადოება: სს „ჯ-ს“ და „ბ. ჰ-ი“. 2009 წლის 3 ოქტომბერს სს „პ. კ-ასა“ და სს „ბ. ჰ-ი“. 2009 წლის 3 ოქტომბერს სს „პ. კ-ასა“ და სს „ბ. ჰ-ს“ შორის დაიდო მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება, რომლითაც ამ უკანასკნელს სხვა მოთხოვნებთან ერთად გადაეცა კ. ლ-იას მიმართ 2008 წლის 29 ნოემბრის საბანკო კრედიტის №2007112902 ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება.

მოპასუხე მხარემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: აღებული კრედიტის დაფარვა ხდებოდა ეტაპობრივად და შესაბამისად დავალიანებას არ წარმოადგენს მოსარჩელის მიერ მითითებული თანხა, ამონაწერიდან ირკვევა, რომ 2007 წლის 12 დეკემბერს დაფარულ იქნა 154,08 ლარი, 2008 წლის 31 იანვარს 665,25 ლარი, 2008 წლის 29 თებერვალს 667,7 ლარი, 2008 წლის 31 მარტს 673,66 ლარი, ხოლო 2008 წლის 29 მაისს კი 280,01 ლარი. ანუ სრულად დაფარულ იქნა 2444,7 ლარი. აღნიშნული პერიოდის შემდეგ ვერ ახერხებდა გრაფიკის შესაბამისად თანხის გადახდას, რადგან გაათავისუფლეს სამსახურიდან. მოსარჩელეს უნდა გაეთვალისწინებინა შექმნილი გარემოება და გაეფორმებინა ახალი ხელშეკრულება, რაც უზრუნველყოფდა შეღავათიანი პირობების გათვალისწინებას და სესხის დაფარვას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით სს «ბ. ჰ-ს» სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე კ. ლ-იას მოსარჩელის სს «ბ. ჰ-ს» სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი თანხის 3950,56 ლარის, პროცენტის – 732,2 ლარის, პირგასამტეხლოს – 673,3 ლარის, სულ 5356,06 ლარის გადახდა. მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება განაწილავდა ერთ წლამდე და შესაბამისად გადასახდელი თანხის 5356,06 ლარის გათვალისწინებით მოპასუხე კ. ლ-იას მოსარჩელე სს «ბ. ჰ-ს» სასარგებლოდ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 12 თვის განმავლობაში ყოველთვიურად დაეკისრა 446,33 ლარის გადახდა შემდეგი დასაბუთებით: 2007 წლის 29 ნოემბერს სს «პ. ბ-სა» და ამავე საკრედიტო დაწესებულებაში დასაქმებულ პირს კ. ლ-იას შორის დაიდო საკრედიტო ხელშეკრულება. ხელშეკრულება დაიდო ორი წლის ვადით 2009 წლის 27 ნოემბრამდე. სესხის თანხა განისაზღვრა 4800 ლარის ოდენობით, სარგებელი წლიური 16%-ით, ხოლო მსესხებლის სს «პ. ბ-დან» წასვლის შემთხვევაში კრედიტით სარგებლობის განაკვეთი განისაზღვრებოდა 24%-ით. ხელშეკრულება ითვალისწინებდა სესხის შეთანხმებული გრაფიკით დაფარვას, მხარეები ასევე შეთანხმდნენ პირგასამტეხლოს გადახდაზე თანხის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში. 2009 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით არსებული დავალიანება შეადგენს 5356 ლარს, საიდანაც ძირითადი თანხა არის 3950,56 ლარი, პროცენტი – 732,2 ლარი, ხოლო პირგასამტეხლო – 673,3 ლარი. მოსარჩელე სს «ბ. ჰ-ი» წარმოადგენს სს «პ. ბ-ს» უფლებამონაცვლეს, კერძოდ: საგადასახადო ინსპექციის 2009 წლის 4 სექტემბრის ბრძანების თანახმად სამეწარმეო რეესტრში განხორციელდა შემდეგი ცვლილება: სს «პ. ბ-ს» შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა სს «პ. კ-ა», საგადასახადო ინსპექციის 2009 წლის 30 სექტემბრის ბრძანებით კვლავ დარეგისტრირდა ცვლილებები სამეწარმეო რეესტრში, რომლის თანახმად სს «პ. კ-ს» გამოეყო ორი სააქციო საზოგადოება სს «ჯ-ს» და სს «ბ. ჰ-ი», 2009 წლის 3 ოქტომბერს კი დაიდო მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად სს «პ. კ-მ» კ. ლ-იასთან დადებული საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნა დაუთმო სს «ბ. ჰ-ს». მოპასუხის ყოველთვიური ხელფასი შეადგენს დაახლოებით 815 ლარს, სასამართლოს 2009 წლის 13 ნოემბრის

განჩინებით დაყადაღებული ავტომანქანები არ წარმოადგენს მოპასუხის საკუთრებას. სასამართლოს სხდომაზე გამოცხადებულმა მოპასუხემ განმარტა, რომ ავტომანქანები მის მიერ გასხვისებულია მინდობილობებით, დღევანდელი მდგომარეობით არც ერთი დაყადაღებული ავტომანქანა არ იმყოფება მის მფლობელობაში, თუმცა ფორმალურად ისინი შსს-ს მომსახურების სააგენტოს ცნობით რეგისტრირებულია მოპასუხის სახელზე.

სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე ვერ ჩაითვლება დაყადაღებული ავტომანქანების მესაკუთრედ, ვინაიდან საკუთრების უფლება მოძრავ ნივთებთან მიმართებაში არ შეიძლება დადასტურდეს «მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო რეგისტრაციის წესების შესახებ» საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 31 იანვრის №150 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული რეგისტრაციით. ამასთან, განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსი ავტომანქანის ნასყიდობისათვის რაიმე სპეციალურ ფორმას არ ადგენს, საკმარისია მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს მოძრავი ნივთი,

სამოქალაქო კოდექსის 867-ე, 623-ე, 400-ე და 416-ე მუხლების საფუძველზე 1-ელი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეს საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უნდა დაეკისროს 5356, 06 ლარის გადახდა, ამასთან მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით თანხის გადახდა უნდა გადაწილავდეს ერთ წლამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს «ბ. 3-მა».

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 21 დეკემბრის განჩინებით სს «ბ. 3-ს» სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად. სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის თანახმად, სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი დასკვნები საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით და ზემოთხსენებულ ნორმაზე დაყრდნობით შემოიფარგლა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მითითებით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს «ბ. 3-მა» და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება შემდეგი დასაბუთებით: სასამართლოს მიერ უდავოდ იქნა მიჩნეული ის გარემოება, რომ კ. ლ-იასა და სს „პ. ბ-ს“ შორის დაიდო საკრედიტო ხელშეკრულება, რის საფუძველზეც მსესხებელს სესხად გამოეყო 4800 ლარი. მსესხებლის მიერ აღნიშნული ხელშეკრულება დარღვეულია. კ. ლ-იას მიერ გამსესხებლის მიმართ დავალიანება შეადგენს 5356.06 ლარს. აღნიშნული წარმოადგენს უდავო ფაქტობრივ გარემოებას. სასამართლომ სადავო ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, ის რომ სარჩელის უზრუნველყოფის სახით ყადაღა დადებული ნივთი არ წარმოადგენს მის საკუთრებას და იგი გასხვისებულია ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნულის შესახებ მითითებულ იქნა მოპასუხის მიერ მხოლოდ საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას. საკუთრების უფლების გადაცემისათვის აუცილებლად უნდა მომხდარიყო ახალი მესაკუთრის რეგისტრაცია მომსახურების სააგენტოში. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ მხარის მიერ არ იქნა წარმოდგენილი რაიმე დამადასტურებელი მტკიცებულება, რომელიც ნივთის გასხვისების ფაქტს ადასტურებს. წარმოდგენილი ცნობით, რომელიც გაცემულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ, დასტურდება, რომ აღნიშნული ავტომანქანების მესაკუთრე არის კ. ლ-ია, სასამართლომ არ გაითვალისწინა ეს გარემოება და მხარის მხოლოდ ზეპირი განმარტების საფუძველზე დაადგინა აღნიშნული სადავო გარემოება. გადაწყვეტილებაში მითითება, იმაზე რომ ავტომანქანა არის მოძრავი ნივთი და მასზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის 158-ე და 186-ე მუხლები, არასწორია, რადგან მიუხედავად მისი ფიზიკური თვისებებისა, იგი გათანაბრებულია უძრავ ნივთთან და ამიტომაც მასზე საკუთრების უფლების გადასვლა საჭიროებს სავალდებულო რეგისტრაციას. აქედან გამომდინარე, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რაც გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელეს დაკისრებული თანხა უნდა გადაეხადა ერთი წლის ვადაში, ანუ მოპასუხეს ყოველთვიურად უნდა გადაეხადა 446.33 ლარი. სასამართლო ამგვარი გადაწყვეტილების საფუძველად უთითებს მოპასუხის ქონებრივ მდგომარეობას, რაც არ შეესაბამება კანონს და უნდა გაუქმდეს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით სასამართლო აღნიშნულ გადაწყვეტილებას მიიღებს მხოლოდ მხარეთა თხოვნით ანუ აუცილებელი იყო ორივე მხარის, როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის თხოვნა, რაც აღნიშნულ შემთხვევაში არ მოუთხოვია. გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში სასამართლო თავად აღნიშნავს, რომ მხარე სადავოდ არ ხდის მოთხოვნილი თანხის გაანგარიშებას, მხოლოდ ერთდროულად გადახდის შეუძლებლობაზე მიუთითებს. მოპასუხის ამგვარი უბრალო მითითება არ შეიძლება განხილულ იქნეს შუამდგომლობად. ბანკის თანხმობა არ შეიძლება მიღებულიყო აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით. სესხის ხელშეკრულება დაიდო 2007 წლის 29 ნოემბერს და თანხა სრულად უნდა გადახდილიყო 2009 წლის 27 ნოემბერს. ამ პერიოდიდან ბანკის კუთვნილი კაპიტალის მოხმარება ხდება ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, რაც ზიანს აყენებს ბანკის ინტერესებს. სწორედ ამ საფუძველიდან გამომდინარე შეუძლებელია მოსარჩელის თანხმობის მიღება ამ საკითხზე. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ კ. ლ-იას მიერ სასამართლოში არ იქნა წარდგენილი ცნობა შრომის ანაზღაურების ოდენობის შესახებ და სხვა მსგავსი მტკიცებულება, რომელიც გამოყენებული იქნებოდა სასამართლოს მიერ მსგავსი გადაწყვეტილების გამოტანისას და დადასტურებდა, მოპასუხის მიმღე ეკონომიკურ მდგომარეობას. აქედან გამომდინარე, სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილების გამოტანისას დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მთელი რიგი ძირითადი პრინციპები, რომლებიც არსებითი ხასიათისაა და რაზედაც ეფუძნება სამართალწარმოება.

2011 წლის 5 ივლისს სასამართლო სხდომაზე მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

სს «ბ. ჰ-ი» ვალდებულებას კისრულობს ამოიღოს კ. ლ-ია კრედიტ-ინფოს «შავი სიიდან».

კ. ლ-ია ვალდებულებას იღებს სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხა **5356,06** ლარი გადაიხადოს **8** თვის განმავლობაში. გადახდა იწარმოებს ყოველთვიურად, თვეში **669,05** ლარის ოდენობით.

თანხის გადახდა დაიწყება **2011** წლის ივლისიდან გრაფიკის შესაბამისად, თანხა გადახდილ უნდა იქნეს ყოველი თვის **30** რიცხვამდე.

თანხის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში კრედიტორი სს «ბ. ჰ-ი» უფლებამოსილია დაუყონებლივ აღსასრულელებლად მიაქციოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება და მოახდინოს ყადაღადადებული ავტოტრანსპორტო საშუალებათა იძულებითი წესით რეალიზაცია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, მიიჩნევს, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის 1-ელი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად კი, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა მორიგების აქტი წარმოადგინეს საკასაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს რომ, სს «ბ. ჰ-ს» დაუბრუნდეს «დ. ჯ-ს» მიერ **2011** წლის **29** აპრილს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი (**300** ლარის ნახევარი) – **150** ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

სს «ბ. ჰ-ი» წარმომადგენელი ნ. ლ-ია და კ. ლ-ია შეთანხმდნენ შემდეგზე:

სს «ბ. ჰ-ი» ვალდებულებას კისრულობს ამოიღოს კ. ლ-ია კრედიტ-ინფოს «შავი სიიდან».

კ. ლ-ია ვალდებულებას იღებს სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხა **5356,06** ლარი გადაიხადოს **8** თვის განმავლობაში. გადახდა იწარმოებს ყოველთვიურად, თვეში **669,05** ლარის ოდენობით.

თანხის გადახდა დაიწყება **2011** წლის ივლისიდან გრაფიკის შესაბამისად. თანხა გადახდილ უნდა იქნეს ყოველთვის **30** რიცხვამდე.

თანხის გრაფიკით გადახდის დარღვევის შემთხვევაში კრედიტორი სს «ბ. ჰ-ი» უფლებამოსილია დაუყონებლივ აღსასრულელებლად მიაქციოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება და მოახდინოს ყადაღადადებული ავტოტრანსპორტო საშუალებათა იძულებითი წესით რეალიზაცია.

შეწყდეს სამოქალაქო საქმის წარმოება სს «ბ. ჰ-ი»-ს სარჩელისა გამო კ. ლ-იას მიმართ საბანკო კრედიტის შესრულების თაობაზე.

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები;

სს «ბ. ჰ-ს» დაუბრუნდეს «დ. ჯ-ს» მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი (**300** ლარის ნახევარი) **150** ლარი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

№ას-812-865-2011

11 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ქათამაძე,

ბ. ალავეძე

დავის საგანი: სამკვიდრო ქონების რეალურად გაყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

ა. კ-იანმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. კ-იანის მიმართ სამკვიდრო ქონების რეალურად გამოყოფის შესახებ შემდეგი დასაბუთებით: 2004 წლის 22 ნოემბერს გარდაეცვალა დედა არ. კ-იანი, პირველი რიგის მემკვიდრეა თვითონ და მისი ძმა მ. კ-იანი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებით ა. კ-იანი ცნობილი იქნა არ. კ-იანის სამკვიდრო ქონების – ქ.ახალციხეში, ... -ს ქ.№35-ში მდებარე უძრავი ქონების 1/2-ის მესაკუთრედ. თავისი წილი საჯარო რეესტრში დაირეგისტრირა თანასაკუთრების უფლებით მ. კ-იანთან ერთად.

მოპასუხე მ. კ-იანმა არ ცნო სარჩელი შემდეგი საფუძვლებით: იგი არ არის წინააღმდეგი, რომ ა. კ-იანი იყო სამკვიდრო ქონების 1/2-ის მესაკუთრე, მაგრამ რეალურად გამოყოფის წინააღმდეგია. თვით ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით თითოეულ მესაკუთრეზე მემკვიდრეთა შორის ტექნიკური ნორმების დაცვითა და თითოეული 1/2 წილის ღირებულებისა და დანიშნულის შემცირების გარეშე არსებულ მდგომარეობათა გათვალისწინებით პრაქტიკულად შეუძლებელია. მას არ გააჩნია ფინანსური სახსრები, ერთ ოთახში ცხოვრობს 6 სული, ხოლო ა. კ-იანს აქვს ცალკე სხვა ბინა სადაც იგი ცხოვრობს. წინააღმდეგია, რომ გაიყიდოს სადავო ბინა და თითოეულმა კომპენსაციის სახით მიიღოს 1/2 წილი.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 201 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ქ.ახალციხეში-ის ქ.№35-ში არსებული საცხოვრებელი სახლი გაიყო რეალურად მემკვიდრეებს – ა. კ-იანსა და მ. კ-იანს შორის; ა. კ-იანს რეალურ საკუთრებაში დარჩა ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის დანართ №2-ის მიხედვით საცხოვრებელი ოთახი №2; საცხოვრებელ ოთახ №1-სა და №2-ს შორის არსებული კარები გაუქმდა. გადაეცა №4 ჰოლის უკანა ფართში არსებული №5, სამზარეულო, ასევე სარდაფი №6 და №8 ოთახი. მ. კ-იანს, სამკვიდრო ქონებიდან რეალურად გამოეყო №1 საცხოვრებელი ოთახი, დავვალათ ამავე სართულზე, ღია ვერანდაზე იმავე ზომის სამზარეულოსა და საპირფარეოს ცალკე მოწყობა, ასევე გამოეყო №9 ავტოფარეხი, სამზარეულოსა და საპირფარეოს გადატანის ხარჯები მხარეებს შორის გადანაწილდა თანაბრად. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მ. კ-იანმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 მარტის გადაწყვეტილებით მ. კ-იანის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ა. კ-იანის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებით ა. კ-იანი ცნობილი იქნა არ. კ-იანის სამკვიდრო ქონების – ქ.ახალციხეში, ...-ის ქ.№35-ში (ყოფილი საბჭოს ქუჩა) მდებარე უძრავი ქონების 1/2 წილის მესაკუთრედ. ქ.ახალციხეში ... ქ.№35-ში მდებარე უძრავი ქონებაზე რეგისტრირებულია მ. კ-იანისა და ა. კ-იანს თანასაკუთრება, რომელიც რეალურ წილში გაყოფილი არ არის. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულება, კერძოდ კი სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2008 წლის 28 მაისის ექსპერტის დასკვნის შინაარსი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ საზიარო საგნის ნატურით გაყოფის შესაძლებლობასთან დაკავშირებით წარდგენილი ექსპერტის დასკვნა ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია. პირველი ინსტანციის სასამართლომ ექსპერტის დასკვნის შესაბამისად, დადგენილად მიიჩნია, რომ საზიარო საგნის ნატურით გაყოფა შესაძლებელი იყო. სააპელაციო პალატამ აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ წარმოდგენილი სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2008 წლის 28 მაისის დასკვნის დასკვნით ნაწილში მითითებულია, რომ ქ. ახალციხეში, ...-ის ქ.№35-ში მდებარე სამკვიდრო ქონების რეალურად გამოყოფა, მემკვიდრეთა შორის ტექნიკური ნორმების დაცვითა და თითოეულის 1/2 – 1/2 წილის ღირებულებისა და დანიშნულების შემცირების გარეშე, არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით ტექნიკურად შეუძლებელია. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოება არ ეფუძნება სასამართლოს მიერვე მითითებულ მტკიცებულებას ექსპერტის დასკვნას.

სააპელაციო პალატამ, მითითებული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დადგენილად მიიჩნია, რომ ქ.ახალციხეში, ...-ის ქ.№35-ში მდებარე სამკვიდრო ქონების რეალურად გამოყოფა, მემკვიდრეთა შორის ტექნიკური ნორმების დაცვითა და თითოეულის 1/2-1/2 წილის ღირებულებისა და დანიშნულების შემცირების გარეშე, არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით ტექნიკურად შეუძლებელია. სააპელაციო პალატამ სამოქალაქო კოდექსის 173-ე, 311-ე, 312-ე, 953-ე და 954-ე მუხლების შესაბამისად, განმარტა, რომ ქ.ახალციხეში, ...-ის ქ.№35-ში მდებარე სამ-

კვიდრო ქონების რეალურად გამოყოფა, მემკვიდრეთა შორის ტექნიკური ნორმების დაცვითა და თითოეულის 1/2– 1/2 წილის ღირებულებისა და დანიშნულების შემცირების გარეშე, არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით ტექნიკურად შეუძლებელია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ა. კ-იანმა და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი დასაბუთებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა და მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 953-ე, 954-ე მუხლებზე. სარჩელით კუთვნილი წილის შესაბამისად, ითხოვდა საცხოვრებელი ფართის გამოყოფას, რათა შესძლებოდა სახლში შესვლა და ცხოვრება. წინააღმდეგი არ არის სახლი დარჩეს საზიარო საკუთრებაში. სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა ექსპერტიზის დასკვნა, სადაც მართალია წერია, რომ სახლის ორ ნაწილად გაყოფა ღირებულების შემცირების გარეშე შეუძლებელია, თუმცა იქვე მითითებულია, რომ პრაქტიკული მოსაზრებით შესაძლებელია მისი ორ ნაწილად გაყოფა. აღნიშნულზე სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძველში მიუთითა, რომ რაიონულმა სასამართლომ არ გაითალისწინა ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმად, რეალური წილის ნატურით გაყოფა შეუძლებელი იყო.

2011 წლის 11 ივლისის სასამართლო სხდომაზე მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

მოწინააღმდეგე მხარე მ. კ-იანი კისრულობს ვალდებულებას, კასატორ ა. კ-იანს 2012 წლის 1 იანვრამდე გადაუხდოს 8000 აშშ დოლარი.

კასატორ ა. კ-იანისათვის გადახდილი თანხის საფასურად უძრავი ქონება მდებარე ქ.ახალციხე ...-ის ქ. №35-ში საკადასტრო კოდი ..., დაზუსტებული ფართობი 107 კვ.მ შენობა-ნაგებობა ობიექტი №1. საცხოვრებელი სახლი განაშენიანების ფართი 107 კვ.მ. 1/2 წილი, რომელიც აჟამად ირიცხება ა. კ-იანის სახელზე გადავა მ. კ-იანის საკუთრებაში.

მორიგების პირობის დარღვევისას მოხდება მისი იძულებითი აღსრულება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ძალაში დარჩება ა. კ-იანისათვის თანხის სრულად გადახდამდე.

თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში საცხოვრებელი სახლი გაიყიდება აუქციონზე და თანხა 8000 აშშ დოლარი მიიღებს ა. კ-იანი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, მიიჩნევს, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის 1-ელი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ა. კ-იანის და მ. კ-იანის წარმომადგენელ ლ. ბ-მის შუამდგომლობა მორიგების თაობაზე დაკმაყოფილდეს;

დამტკიცდეს მორიგება ა. კ-იანისა და მ. კ-იანის წარმომადგენელ ლ. ბ-მის შორის შემდეგი პირობით:

მოწინააღმდეგე მხარე მ. კ-იანი კისრულობს ვალდებულებას, კასატორ ა. კ-იანს 2012 წლის 1 იანვრამდე გადაუხადოს 8000 აშშ დოლარი.

კასატორ ა. კ-იანისათვის გადახდილი თანხის საფასურად უძრავი ქონება მდებარე ქ.ახალციხე ... №35-ში, საკადასტრო კოდი №..., დაზუსტებული ფართობი 107 კვ.მ შენობა-ნაგებობა ობიექტი №1, საცხოვრებელი სახლი განაშენიანების ფართი 107 კვ.მ. 1/2 წილი, რომელიც აჟამად ირიცხება ა. კ-იანის სახელზე აღირიცხება მ. კ-იანის საკუთრებაში.

მორიგების პირობის დარღვევისას მოხდება მისი იძულებითი აღსრულება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ძალაში დარჩება ა. კ-იანისათვის თანხის სრულად გადახდამდე.

თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში საცხოვრებელი სახლი გაიყიდება აუქციონზე და 8000 აშშ დოლარი გადაეცემა ა. კ-იანს.

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები.

მოცემულ დავაზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ყადაღა დარჩეს ძალაში.

შეწყდეს საქმის წარმოება, ა. კ-იანის სარჩელის გამო, მ. კ-იანის მიმართ სამკვიდრო ქონებიდა რელური წილის გამოყოფის შესახებ
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

№ას-849-900-2011

11 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ქათამაძე,

ბ. ალავეძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ზ. ზ-იამ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს «თ-ის» მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით: 2008 წლის 19 მაისს, ზ. ზ-იას კუთვნილი ავტომანქანა «ფორდი», რომელსაც მართავდა მოსარჩელის მეგობარი ი. ც-ძე, დაახლოებით 22 საათზე, შეეჯახა გზის მარჯვენა მხარეს, სავალ ნაწილზე სარემონტო სამუშაოებისათვის დაყრილ «ხრემს», რის შედეგადაც ავტომანქანა ამოტრიალდა. ავტომანქანის დაზიანების შედეგად მოსარჩელემ მიიღო მატერიალური ზიანი, რაც, ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, შეადგენს 12 000 ლარს. გზის სავალი ნაწილის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს აწარმოებდა მოპასუხე შპს «თ-ი», რომლის დირექტორმა უარი განაცხადა ზიანის ანაზღაურებაზე.

მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხემ დაარღვია «საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ» კანონის 21-ე მუხლის მე-15 პუნქტის მოთხოვნები, რომლის თანახმადაც საგზაო სამუშაოების წარმოების ადგილას, თანაც ღამის საათებში, აუცილებლად უნდა ყოფილიყო შესაბამისი მიმანიშნებელი და შესაღობი მოწყობილობა, დამატებით სასიგნალო ნათურები, რაც მძღოლს აუწყებს სახიფათო უბანთან მიახლოებას, რათა ამ უკანასკნელს მიეცეს შესაძლებლობა, წინასწარ მიიღოს შესაბამისი ზომები, შეანელოს ან შეწყვიტოს მოძრაობა, რითაც თავიდან იქნება აცილებული ავტოსაგზაო შემთხვევა. აღნიშნული დარღვევის გამო, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, მოპასუხე ვალდებულია, აანაზღაუროს მისი ბრალით გამოწვეული ზიანი. მოსარჩელემ მოითხოვა, მოპასუხეს დაეკისროს მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელე თავისი მოთხოვნის მართებულებას ამყარებს ექსპერტიზის დასკვნაზე და თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს გადაწყვეტილებაზე, რომლის მიხედვითაც თითქოს სამართალდამრღვევ ი. ც-ძეს არ შეეძლო ავტოსაგზაო შემთხვევის თავიდან აცილება. ფაქტობრივად დადგენილია, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის მონაკვეთში ნამდვილად დაყენებული იყო საგზაო გამაფრთხილებელი ნიშნები, ავტოსაგზაო შემთხვევა გამოიწვია ი. ც-ძის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევამ, კერძოდ, გადაჭარბებულმა სიჩქარემ და არასწორმა გადასწრებამ. დადგენილია ის, რომ აღნიშნულ მონაკვეთში, სადაც ყრია «ხრემის» გროვა, დღე-ღამის განმავლობაში მოძრაობს ათასობით ავტომობილი, მაგრამ ასეთი შემთხვევა აღნიშნული მიზეზით არ მომხდარა. ის ფაქტი, რომ მძღოლი ფხიზელი მართავდა ავტომობილს, არ გამორიცხავს მისგან საგზაო მოძრაობის წესების დარღვევას. ამასთან, მძღოლები ფაქტობრივად ინფორმირებული არიან, რომ საქართველოს მთელ რიგ გზებზე მიმდინარეობს გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები, სადაც დაშვებულ ადგილებზე ყრია «ხრემის» გროვები, მაგრამ ამ მიზეზით საგზაო შემთხვევები არ დაფიქსირებულა. მოპასუხე მხარეს მოსარჩელისათვის ზიანი არ მიუყენებია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით ზ. ზ-იას სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხე შპს «თ-ს» დაეკისრა 12000 ლარის გადახდა ზ. ზ-იას სასარგებლოდ, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს «თ-მ».

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 24 მარტის განჩინებით შპს «თ-ის» სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის კუთვნილი ავტომანქანა «ფორდი» 2008 წლის 19 მაისის ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანდა. ავტომანქანა, რომელსაც მართავდა ი. ც-ძე, მსვლელობის დროს შეეჯახა გზის მარჯვენა მხარეს, სავალ ნაწილზე სარემონტო სამუშაოებისათვის დაყრილ ღორღს («ხრემს»), რის შედეგად ავტომანქანა ამოტრიალდა. ავტოსაგზაო შემთხვევა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ შემთხვევის დროს სავალ ნაწილზე დაყრილი ღორღის გროვამდე არ იდგა შესაბამისი გამაფრთხილებელი საგზაო ნიშნები. ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილას საგზაო-სარემონტო სამუშაოებს აწარმოებდა შპს «თ». ავტოსაგზაო შემთხვევაში მძღოლ ი. ც-ძეს ბრალი არ მიუძღვის. 2008 წლის 19 მაისის ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მოსარჩელეს მიაღდა 12 000 ლარის ზიანი.

სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ელი ნაწილის, ამავე კოდექსის 317-ე მუხლისა და 992-ე მუხლის თანახმად, მიიჩნია, რომ დელიქტით გამოწვეული ზიანის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვალდებულების მოპასუხისათვის დასაკისრებლად უნდა არსებობდეს «სამართალდარღვევის» შემადგენ-

ლობა, რომლის შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანი და მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ მოპასუხე არის სათანადოდ შერჩეული, ვინაიდან დადგენილია, რომ სარემონტო სამუშაოებს ატარებდა შპს «თ-ი», ამიტომ სწორედ მას უნდა დაეკისროს ზიანის ანაზღაურება. სასამართლომ მიიჩნია, რომ «საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ» საქართველოს კანონის 21-ე მუხლის დანაწესი უნდა განიმარტოს ისე, რომ სადავო შემთხვევაში პასუხისმგებელი პირი არის ის იურიდიული პირი, რომელიც აწარმოებს სარემონტო სამუშაოებს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და მართებულად იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე, 992-ე, მუხლებით, ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით და «საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ» საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-15 ნაწილით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლში მოცემულია დელიქტური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლები, კერძოდ, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. გამომდინარე იქიდან, რომ მოპასუხემ, რომელიც აწარმოებდა სამუშაოებს გზაზე, ვერ უზრუნველყო სამუშაოთა წარმოებისას უსაფრთხოების დაცვა (დაყრილ ღორღთან არ განათავსა შესაბამისი საგზაო ნიშნები), რამაც გამოიწვია 2008 წლის 19 მაისის ავტოსაგზაო შემთხვევა და მოსარჩელის მანქანის დაზიანება, მან უნდა აანაზღაუროს ზიანი.

აღნიშნულ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა შპს «თ-ის» დირექტორმა თ. წ-ელმა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება შემდეგი საფუძვლებით: 2008 წლის 19 მაისს მოწინააღმდეგე მხარის, ზ. ზ-იას, საკუთრებაში არსებული ავტომანქანა ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანდა. ავტომანქანაში ისხდნენ ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ავტომანქანის მესაკუთრე ზ. ზ-ია და მისი მეგობარი ი. ც-ძე. შემთხვევის ადგილზე გამოცხადებულმა პატრულ-ინსპექტორმა შეამოწმა არა ავტომანქანის მესაკუთრე, არამედ მისი თანამგზავრი ი. ც-ძე, ამასთან ვერ განმარტა, თუ რატომ არ შეამოწმა სიმთვრალე-სიფხიზლის დასადგენად მანქანის მესაკუთრე და რატომ შეამოწმა ი. ც-ძე, აგრეთვე, რატომ არ გაარკვია, ვინ იჯდა მანქანის საჭესთან. ავტოსაგზაო შემთხვევამდე დაახლოებით ორი კვირის განმავლობაში და მის შემდეგაც საგზაო შემთხვევის მონაკვეთში საგზაო სარეაბილიტაციო სამუშაოებს აწარმოებდა შპს «თ-ი», რომელსაც გზის საავალიანოს 1-ელი ზოლის ბორდიურთან დაახლოებით 50 სმ-ის მოშორებით დაყრილი ჰქონდა საგზაო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საწარმოებლად მოტანილი ღორღი. გზის ცალმხრივ სამოდრაო ზოლის სიგანე შეადგენდა 14 მეტრს. მოძრაობა მიმდინარეობდა ოთხ ზოლად. ზ. ზ-იამ და ი. ც-ძემ ავტოსაგზაო შემთხვევის გამომწვევ მიზეზად მიუთითეს ისეთ გარემოებებზე, რომელიც აშკარად ეჭვს ბადებს, კერძოდ, განმარტეს, რომ გზაზე ღორღის გროვა შენიშნეს მასთან მიახლოებამდე 3-5 მეტრი ადრე, რის გამოც ვერ შესძლეს ავარიის თავიდან აცილება. ხილვადობის შესამოწმებლად რომ ჩატარებულიყო სათანადო ექსპერიმენტი, იოლად დადგინდებოდა, რომ მათი ალიბი შეთხზულია და არაფერი აქვთ საერთო სინამდვილესთან.

სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით ავტომანქანის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა დაახლოებით 12 ათასი ლარით, ავარიის მოხდენამდე არსებული ტექნიკური მდგომარეობის გათვალისწინებით. შესაბამისად, დამატებით განისაზღვრა ავარიის შემდეგ დაზიანებული ავტომანქანის ნარჩენი ღირებულება. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ შპს «თ-ს» გადასახდელად დაეკისრებოდა 12 ათასი ლარის გადახდა, თუ ამაზე თანახმა იქნებოდა ეს უკანასკნელი, მაშინ დაზიანებული ავტომანქანა საკუთრებაში უნდა გადასცემოდა შპს «თ-ს». სასამართლომ არ დააკმაყოფილა არც ერთი შუამდგომლობა, არ შეაფასა მათ მიერ წარდგენილი მტკიცებულებები. სასამართლომ საქმის განხილვისას სრულყოფილად არ გამოიკვლია და არ დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, სათანადოდ არ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, არასწორად განაწილა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი, რითაც აშკარად დაარღვია შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია. სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლი, რომლის თანახმად, ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და მისი შეფასება ხდება 105-ე მუხლით დადგენილი წესით, რომლის მიხედვითაც სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. პალატამ ყოველგვარი კრიტიკული შეფასების გარეშე მიიღო სარწმუნოდ ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც მთლიანად დამყარებულია მოწინააღმდეგე მხარის მიერ შეთხზულ ფაქტებსა და მოსაზრებებზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების ეტაპზე მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

1. შპს «თ-ის» დირექტორი თ. წ-ელი ზ. ზ-იას გადაუხდის 8500 ლარს, ამ მორიგების აქტზე ხელმოწერიდან 3,5 თვის განმავლობაში, მაგრამ არა უგვიანეს 30 სექტემბრისა. თანხის გადახდა დაიწყება შპს «თ-ის» ანგარიშზე თანხის ჩარიცხვისთანავე, შემოსული თანხის პროპორციულად. სანაცვლოდ ზ. ზ-ია ნაწილობრივ უარს აცხადებს სასარჩელო განცხადებით მოთხოვნილი თანხის სრულად დაკმაყოფილებაზე, კერძოდ, ნაცვლად მოთხოვნილი 12000 ლარისა, შპს «თ-ი» 8500 ლარს გადაიხდის. ამასთან, უარს აცხადებს სასამართლოს გადაწყვეტილებით შპს «თ-ისათვის» დაკისრებული სახელმწიფო ბაჟისა და საადვოკატო მომსახურებისათვის გადახდილი თანხის გადახდის მოთხოვნაზე. ამით ამოიწურება მხარეთა შორის არსებული ყოველგვარი დავა;

2. ზ. ზ-ია თანახმაა შპს «თ-სგან» მიიღოს 8500 ლარი მის მიერ მითითებულ ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 2011 წლის 30 სექტემბრისა. ამასთან, უარს აცხადებს პირველ ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებითა და სააპელაციო სასამართლოს განჩინებით შპს «თ-ისათვის» მის სასარგებლოდ დაკისრებული სახელმწიფო ბაჟისა და საადვოკატო მომსახურებისათვის გადახდილი თანხის გადახდის მოთხოვნაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, მიიჩნევს, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის 1-ელი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელშეწყობილი მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

დამტკიცდეს მორიგება შპს «თ-სა» და ზ. ზ-ის შორის შემდეგი პირობებით:

1. შპს „თ-ის“ დირექტორი თ. წ-ელი ზ. ზ-ის გადაუხდის 8500 ლარს, ამ მორიგების აქტზე ხელმოწერიდან 3,5 თვის განმავლობაში, მაგრამ არა უგვიანეს 30 სექტემბრისა. თანხის გადახდა დაიწყება შპს „თ-ის“ ანგარიშზე თანხის ჩარიცხვისთანავე, შემოსული თანხის პროპორციულად. სანაცვლოდ, ზ. ზ-ია ნაწილობრივ უარს აცხადებს სასარჩელო განცხადებით მოთხოვნილი თანხის სრულად დაკმაყოფილებაზე, კერძოდ, ნაცვლად მოთხოვნილი 12000 ლარისა, შპს „თ-ი« 8500 ლარს გადაიხდის. ამასთან, უარს აცხადებს სასამართლოს გადაწყვეტილებით შპს „თ-ისათვის“ დაკისრებული სახელმწიფო ბაჟისა და საადვოკატო მომსახურებისათვის გადახდილი თანხის გადახდის მოთხოვნაზე.

2. ზ. ზ-ია თანახმაა შპს «თ-სგან» მიიღოს 8500 ლარი მის მიერ მითითებულ ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 2011 წლის 30 სექტემბრისა. ამასთან, უარს აცხადებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებითა და სააპელაციო სასამართლოს განჩინებით შპს „თ-ისათვის“ მის სასარგებლოდ დაკისრებული სახელმწიფო ბაჟისა და საადვოკატო მომსახურებისათვის გადახდილი თანხის გადახდის მოთხოვნაზე;

შეწყდეს საქმის წარმოება ზ. ზ-ის სარჩელის გამო შპს «თ-ის» მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ.

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

№ას-403-383-2011

15 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი,

ბ. ალაფიძე

დავის საგანი: თანხის გადახდის სანაცვლოდ საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა (ძირითად სარჩელში) და თანხის გადახდის სანაცვლოდ საცხოვრებელი სადგომის მფლობელობიდან გამოთხოვა (შეგებულ სარჩელში)

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ს-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. ს-შვილი-მ-შვილისა და ნ. ს-შვილის წინააღმდეგ და მოთხოვა მოპასუხეებისათვის თანხის გადახდის სანაცვლოდ, სადგომის საკუთრებაში გადაცემა და მოპასუხის ბინიდან გამოსახლება შემდეგი საფუძველებით:

სარჩელის თანახმად, ლ. ფ-შვილმა 1947 წელს შეიძინა ქ. თბილისში, ... №2-ში მდებარე სახლთმფლობელობის №8 და №9 ოთახები. ბინის შესყიდვა განხორციელდა მაშინდელი მესაკუთრის ი. ნ-შვილის თანდასწრებით და მის მეუღლესთან – მ. ა-ვასთან დადებული შინაურული ხელშეკრულების საფუძველზე. 1978 წელს მოსარჩე-

ლემ შეიტყო, რომ მ. ა-ვამ მთელი სახლი და მათ შორის ფ-შვილების კუთვნილი ფართიც საკუთრებაში გადასცა მოპასუხეს. **1989** წელს მოსარჩელემ ნ. ს-შვილი-მთივლიშვილს გადაუხადა **2000** მანეთი ფართის საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, თუმცა აღნიშნულის მიუხედავად, მოპასუხემ სასამართლო წესით მოითხოვა მისი გამოსახლება დაკავებული ფართიდან, რაც დაკმაყოფილდა სასამართლო გადაწყვეტილებით და მოსარჩელე გამოსახლდა მხოლოდ ერთი – **№8** ოთახიდან, მოსარჩელის მიერ გადახდილი თანხა კი, ნ. ს-შვილი-მ-შვილს დღემდე არ დაუბრუნებია.

ლ. ფ-შვილის არაერთი შეთავაზების მიუხედავად, მოპასუხე უარს აცხადებს მისთვის კანონით გათვალისწინებული ბინის საბაზრო ღირებულების **90%**-ის გადახდაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლ. ფ-შვილმა მოითხოვა მესაკუთრისათვის ბინის საბაზრო ღირებულების **10%**-ის გადახდის სანაცვლოდ, დაკავებული საცხოვრებელი სადგომის (**81,39** კვ.მ) საკუთრებაში გადაცემა და ნ. ს-შვილი-მ-შვილის გამოსახლება ქ. თბილისში, ... **№2**-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის **№8** ოთახიდან, რომელიც მოსარჩელის მიერ თავდაპირველად შეძენილი ფართის შემადგენლობაში შედის.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და თავის მხრივ შეგებებული სარჩელი აღძრეს სასამართლოში ლ. და ბ. ფ-შვილების წინააღმდეგ საცხოვრებელ სადგომზე მფლობელობის შეწყვეტის თაობაზე მოპასუხეთათვის სადგომის საბაზრო ღირებულების **75%**-ის გადახდის სანაცვლოდ. მოპასუხეთა განმარტებით, სადავო საცხოვრებელი სადგომის ფართი შეადგენს არა **81,39** კვ.მ-ს, არამედ **22,86** კვ.მ-ს. მოპასუხეთა მტკიცებით, მოსარჩელეთა მფლობელობაში არსებული სადგომის ფართში მოიაზრება მხოლოდ **№9** ოთახის ფართი და იმის გათვალისწინებით, რომ ისანისამგორის რაიონული სასამართლოს **2002** წლის **21** ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ნ. ს-შვილს ბ. ფ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა **9040** ლარის გადახდა, როგორც საცხოვრებელის სადგომის ნ. და ბ. ფ-შვილის მფლობელობიდან გამოთხოვილ ფართზე გაწეული რემონტის ხარჯის ანაზღაურება, აღნიშნული თანხის გამოკლებით, **22,86** კვ.მ საცხოვრებელი სადგომის განთავისუფლების სანაცვლოდ ნ. ს-შვილისა და ნ. ს-შვილი-მ-შვილის მხრიდან გადახდილ უნდა იქნას **7117** ლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **2009** წლის **23** აპრილის გადაწყვეტილებით ლ. და ბ. ფ-შვილების სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოსარჩელების (შეგებებული სარჩელის მოპასუხეების) ლ. და ბ. ფ-შვილების მიერ მოპასუხეების (შეგებებული სარჩელის მოსარჩელების) ნ. ს-შვილისათვის და ნ. მ-შვილისათვის **6877** აშშ დოლარის გადახდის მომენტიდან ნ. ს-შვილსა და ნ. მ-შვილს შეუწყდათ თბილისი, ... **2** მისამართზე მდებარე სახლში განთავსებულ **60,99** მ² საერთო ფართის მქონე (აღნიშნულ ფართში მოიაზრება ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის მიერ **2009** წლის **27** თებერვალს გაცემულ ექსპერტის დასკვნაში აღნიშნული **№9** ოთახი ფართით **20,95** მ², **№8'** შუშაბანდი ფართით **5,07** მ², **№5'** შუშაბანდი ფართით **14,33** მ², **№5''** სამხარეული ფართით **2,31** მ², სარდაფის სართულზე განთავსებული **№3** და **№3'** სათავსოები ფართით **18,33**) საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლება და აღნიშნულ საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლება გადაეცათ მოსარჩელებს (შეგებებული სარჩელის მოპასუხეებს) ლ. და ბ. ფ-შვილებს; ლ. და ბ. ფ-შვილების სარჩელს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე **15,27** მ² ფართის მქონე ოთახისა და მის მიმდებარედ არსებული **5,13** მ² ფართის მქონე შუშაბანდის (აღნიშნული ოთახი და შუშაბანდი ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს **2009** წლის **27** თებერვლის ექსპერტის დასკვნაში მოისენიება **№8** ოთახად და **№8''** შუშაბანდად) საკუთრებაში გადაცემის შესახებ მოთხოვნის ნაწილში. მოპასუხეებს ნ. ს-შვილსა და ნ. მ-შვილს უარი ეთქვათ შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

ლ. ფ-ნიშვილმა სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

ნ. ს-შვილმა და ნ. ს-შვილი-მ-შვილმა სააპელაციო საჩივრით მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2011** წლის **18** იანვრის გადაწყვეტილებით ლ. ფ-შვილის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ნ. ს-შვილისა და ნ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **2009** წლის **23** აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ლ. ფ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ნ. ს-შვილისა და ნ. მ-შვილის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა, შეგებებულ სარჩელის მოპასუხე ლ. ფ-შვილის მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა ამჟამად მის მფლობელობაში არსებული **66,12** კვ.მ. საცხოვრებელი სადგომი, მდებარე თბილისში, ... **2**-ში და დაუბრუნდა მესაკუთრეებს: ნ. ს-შვილსა და ნ. მ-შვილს ლ. ფ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრათ, გამოთხოვილი საცხოვრებელი სადგომის სანაცვლოდ, **28 500** აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხის ლარში გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ლ. ფ-შვილის სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების **10%**-ის გადახდის სანაცვლოდ, მისი მესაკუთრედ ცნობა. ნ. ს-შვილი და ნ. მ-შვილი კი, შეგებებული სარჩელით ითხოვდნენ ლ. ფ-შვილისათვის საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების **75%**-ის გადახდის სანაცვლოდ, საცხოვრებელ სადგომზე მფლობელობის შეწყვეტას.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოება მასზე, რომ ქ. თბილისში, ... **2**-ში მდებარე სადავო საცხოვრებელი სადგომის თანამესაკუთრეებს წარმოადგენენ ნ. ს-შვილი და ნ. მ-შვილი, რაც არც სააპელაციო საჩივრებით გამხდარა სადავო;

სააპელაციო სასამართლომ სადავო საკითხებად მიიჩნია შემდეგი გარემოებები: ლ. ფ-შვილი წარმოადგენდა მოსარგებლეს სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე საცხოვრებელი სადგომის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, თუ მოსარგებლეს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით.

მითითებულ საკითხთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატამ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს დასკვნა მასზე, რომ ლ. ფ-შვილი (რომელიც იმავდროულად მეორე მოსარჩელე ბ. ფ-შვილის უფლებამონაცვლელა) საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგების საფუძველზე მოსარგებლეს წარმოადგენდა.

ლ. ფ-შვილის მსჯელობა მასზე, რომ იგი იყო მოსარგებლე ფორმდაუცველი ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამისად, რის დასადასტურებლადაც უთითებდა საქმეში წარმოდგენილ ხელწერილებზე, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა, კერძოდ, პალატამ აღნიშნა, რომ 17.11.1970წ. ხელწერილის თანახმად, ლ. ა-ვამ თავისი კუთვნილი ოთახი (19 კვ.მ) ბ. ფ-შვილს მიჰყიდა 9 500 მანეთად თავისი სარდაფით. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში არ მოიპოვებოდა მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა იმ ფაქტს, რომ ხელწერილის შედგენის პერიოდში ლ. ა-ვა თავად წარმოადგენდა სადავო უძრავი ქონების მესაკუთრეს. შესაბამისად, მის მიერ გაცემული ხელწერილი პალატის მოსაზრებით, ფორმდაუცველ ნასყიდობის ხელშეკრულებად ვერ შეფასდებოდა.

მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი 02.05.1973წ. ხელწერილის თანახმად, ბ. ფ-შვილმა თავის წინა მესაკუთრეს ი. ნ-შვილს და მის მეუღლეს მ. ა-ვას 1947 წელს გადაუხადა 1000 მან. ერთ ოთახში 20 კვ.მ., ხოლო 1970წ. მ. ა-ის თანხმობით ლ. ა-ვას მეორე ოთახში 14,05 კვ.მ სარდაფით გადაუხადა 9 500 მანეთი. აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატამ გაამახვილა ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნულ ხელწერილში არ იყო პირდაპირი მსჯელობა ნასყიდობის ურთიერთობაზე – ფართის გაყიდვაზე, მასზე საკუთრების უფლების გადაცემაზე. შესაბამისად, პალატის განმარტებით, იგი ასევე ვერ შეფასდებოდა ფორმდაუცველ ნასყიდობად. აპელანტის მითითება, რომ რადგან 14.10.1978წ. ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, თავად ნ. ს-შვილმა თბილისში, ... 2-ში მდებარე უძრავი ქონება შეიძინა მ. ა-ვისაგან, რაც თავისთავად მოწმობს მ. ა-ვის მესაკუთრეობას, სასამართლოს მითითებით, ვერ აქცევდა 02.05.1973წ. ხელწერილს ფორმდაუცველი ნასყიდობის ხელშეკრულებად, რადგან იგი შინაარსობრივად წარმოადგენდა საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებას.

სააპელაციო სასამართლომ ვერც 28.12.1989 წლით დათარიღებული ხელწერილი (რომლის თანახმად, დ. (იგივე ლ.) ფ-შვილმა მისცა 2000 მანეთი ნ. ს-შვილს მოწმეების თანდასწრებით. თანხის მიღებას ხელმოწერით ადასტურებს თავად ნ. ს-შვილიც, მიიჩნია ფორმდაუცველ ნასყიდობის ხელშეკრულებად, რადგან აღნიშნა, რომ თავად ხელწერილი არ შეიცავდა პირობებს არც გასხვისებული ფართის მოცულობისა და არც ფართის განკარგვის თაობაზე. ამასთან, სააპელაციო პალატამ თარგმანის ასლი მიიჩნია იმ დოკუმენტად, რომლითაც ხელწერილი ფორმდაუცველ ნასყიდობად შეფასდებოდა.

ისეთ პირობებში, როცა ერთ საქმეში აღძრულია მოსარგებლის სარჩელი თანხის გადახდის სანაცვლოდ მესაკუთრე ცნობის შესახებ და მესაკუთრის სარჩელი თანხის გადახდის სანაცვლოდ მოსარგებლის მფლობელობის შეწყვეტის თაობაზე, რომლის მოთხოვნა სარგებლობს კანონისმიერი პრიორიტეტით, აღნიშნულთან მიმართებაში სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი მოსარგებლეს მხოლოდ მაშინ ანიჭებს უფლებას მესაკუთრეს მოსთხოვოს შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა, თუ მესაკუთრე უარს აცხადებს მოსარგებლისათვის ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კომპენსაციის გადახდაზე. ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში, მესაკუთრეებს აღძრული ჰქონდათ ასეთი სარჩელი (შეგებებული სარჩელი), შესაბამისად, პალატა დაეთანხმა აპელანტებს: ნ. ს-შვილსა და ნ. მ-შვილს, რომ მათ, როგორც მესაკუთრეებმა ისარგებლეს კანონისმიერი პრიორიტეტით. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ არასწორად დააკმაყოფილა მოსარგებლის სარჩელი და უარი უთხრა მესაკუთრეებს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

ამდენად, სააპელაციო პალატამ მიზანშეწონილად მიიჩნია დაედგინა: კონკრეტულად რა ფართის (რამდენი მ²-ის) საბაზრო ღირებულების 75%-ის გადახდის სანაცვლოდ უნდა ყოფილიყო გამოთხოვილი ლ.ფ-შვილის მფლობელობიდან საცხოვრებელი სადგომი.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა შემდეგი:

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით აღიარებულია ლ. ფ-შვილის მოსარგებლეობა თბილისი, ... №2 მისამართზე მდებარე სახლში განთავსებულ 60,99 მ² საერთო ფართის მქონე საცხოვრებელ სადგომზე (აღნიშნულ ფართში მოიაზრება ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის მიერ 2009 წლის 27 თებერვალს გაცემულ ექსპერტის დასკვნაში აღნიშნული №9 ოთახი ფართით 20,95 მ², №8' შუშაბანდი ფართით 5,07 მ², №8'' შუშაბანდი ფართით 14,33 მ², №8''' სამხარაულო ფართით 2,31 მ², სარდაფის სართულზე განთავსებული №3 და №3' სათავსოები ფართით 18,33მ²). თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარგებლისა და მესაკუთრის ურთიერთობა ამოწურულია 15,27 მ² ფართის მქონე ოთახსა და მის მიმდებარედ არსებული 5,13 მ² ფართის მქონე შუშაბანდზე (აღნიშნული ოთახი და შუშაბანდი ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2009 წლის 27 თებერვლის ექსპერტის დასკვნაში მოიხსენიება №8 ოთახად და №8'' შუშაბანდად).

ნ. ს-შვილისა და ნ. მ-შვილის მსჯელობა მასზე, რომ ლ.ფ-შვილი რეალურად უფრო ნაკლები ფართის მოსარგებლე იყო სააპელაციო პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნია, მისი განმარტებით, საქმის მასალებით უტყუარად დასტურდებოდა, რომ ლ. ფ-შვილი ფლობდა 60,99 მ² სადგომს, როგორც მოსარგებლე. ამ ფართის ფაქტობრივ ფლობაზე უთითებდა ასევე სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2009 წლის 27 თებერვლის დასკვნაც.

ამასთან, სააპელაციო პალატა დაეთანხმა აპელანტ ლ. ფ-შვილს, რომ სადავო ურთიერთობის რეგლამენტაციისას მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული ასევე №8 ოთახი (15,27 მ²) და მისი მიმდებარე შუშაბანდი №8¹ (5,13მ²), შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატამ მიუთითა იმ დადგენილ გარემოებაზე, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 29.09.1999წ. გადაწყვეტილებით ლ. და ბ. ფ-შვილები გამოსახლებულ იქნენ თბილისში, ... 2-ში მდებარე სახლის 17,74 კვ.მ. ნამეტი ფართიდან. აღნიშნულთან მიმართებაში, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ 29.09.1999წ. გადაწყვეტილებით სასამართლომ დაადგინა ფ-შვილების მოსარგებლეობის სტატუსი სადავო ფართზე და სარჩელი დააკმაყოფილა იმ პერიოდში მოქმედი რედაქციით «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ელი პუნქტის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე, რომელიც იმ შემთხვევაში, თუ მოსარგებლეს ეკავა ერთ სულზე 12 კვ.მ-ზე მეტი საცხოვრებელი ფართობის მქონე სადგომი, მესაკუთრეს ანიჭებდა უფლებას მოეთხოვა მოსარგებლის მიერ ნამეტი ფართობის გამოთავისუფლება, თუ მესაკუთრეს საცხოვრებელი სადგომი სჭირდებოდა თავისთვის ან ახლო ნათესავისათვის.

სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ ეს გადაწყვეტილება განმარტებული იქნა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 19.09.2001წ. განჩინებით, რომლის თანახმადაც ლ. და ბ. ფ-შვილების გამოსახლების ნაწილში გადაწყვეტილება განმარტა იმგვარად, რომ ბ. და ლ. ფ-შვილები გამოსახლებულნი იქნენ თბილისში ... 2-ში მდებარე სახლის №8 და №9 ოთახების მომიჯნავე კედლიდან 80 სმ-მანძილზე (№9 ოთახის მიმართულებით) აღმართოს ფიცრის გამყოფი კედელი.

სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ ფ-შვილები თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 29.09.1999წ. გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით გამოსახლებულნი იქნენ №8 ოთახიდან, რომლის ფართი შეადგენდა 15,27 მ²-ს, რაც ცხადყოფდა, რომ ამ ფართზე მფლობელობა შეწყდა. საქმის მასალებით ასევე დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ ამ ფართზე მფლობელობის შეწყვეტის სანაცვლოდ, კანონით გათვალისწინებული კომპენსაცია (საბაზრო ღირებულების 75%) მოსარჩელეს არ მიუღია. აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლომ განმარტა, რომ კანონისმიერ კომპენსაციად ვერ მიიჩნეოდა ის თანხა, რაც ისანი-სამგორის რაიონული სასამართლო 21.10.2002წ. გადაწყვეტილებით დაეკისრა მესაკუთრეს, ფ-შვილისათვის ნამეტ ფართზე ე.წ. გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული სარემონტო სამუშაოების ღირებულების (და არა ფართის საბაზრო ღირებულების 75%-ის) ანაზღაურების სახით.

სააპელაციო სასამართლომ «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონის 2.11. მუხლზე მითითებით, აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ 15,27 კვ.მ ფართის ოთახზე შეწყვეტილი იყო მოსარჩელის მფლობელობა, მას არ დაუკარგავს უფლება მასზე მიიღოს კანონისმიერი კომპენსაცია. გარდა ამისა, სასამართლომ მიიჩნია, რომ 5.13მ² ფართის შუშაბანდზეც, როგორც საცხოვრებელ სადგომზე, რომელიც შედიოდა სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგების ობიექტში, უნდა გავრცელებულიყო კანონით დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი – ფართზე მფლობელობის შეწყვეტა საკომპენსაციო თანხის გადახდის სანაცვლოდ.

ყოველივე აღნიშნულზე დაყრდნობით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრეების მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილებულიყო და ლ. ფ-შვილის მფლობელობიდან გამოთხოვილიყო ამჟამად მის მფლობელობაში არსებული მთელი ფართი, ანუ 66,12 კვ.მ, ხოლო კომპენსაცია უნდა გადახდილიყო როგორც 66,12 კვ.მ ფართის, ისე კომპენსაციის გარეშე უკვე გამოთხოვილი ფართის – 15,27 კვ.მ-ის, ანუ ჯამში 81,39 კვ.მ-ს საბაზრო ღირებულების 75%-ის ოდენობით.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ მართებულად არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ 81,39 მ² საერთო ფართის მქონე საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულება შეადგენდა 80 000 აშშ დოლარს, რადგან ეს მოსაზრება ემყარებოდა მოსარჩელე მხარის მხოლოდ სიტყვიერ ახსნა-განმარტებას და საქმეში არ იყო წარმოდგენილი რაიმე სახის დოკუმენტი, რაც შესაძლებელს გახდიდა აღნიშნული მოსაზრების გაზიარებას.

მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი აუდიტორულ დასკვნა ქონების შეფასების შესახებ, სადაც სადგომის ღირებულებად მითითებული იყო 91 360 აშშ დოლარი, სასამართლომ ასევე არ გაიზიარა და მიუთითა საქმეში არსებულ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 27.02.2009წ. დასკვნაზე, რომლითაც დასტურდებოდა, რომ სადავო 81,39 მ²-ის საბაზრო ღირებულება შეადგენდა 38 000 აშშ დოლარს და ჩათვალა, რომ ექსპერტიზის დასკვნა უფრო კვალიფიციური და დასაბუთებული იყო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ლ. ფ-შვილის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილებას (გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე პროცესუალური მოთხოვნის ნაწილში), ხოლო ნ. ს-შვილისა და ნ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი სრულად დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებითა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ნ. ს-შვილისა და ნ. მ-შვილის შეგებებული სარჩელი სრულად უნდა დაკმაყოფილებულიყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

ნ. ს-შვილმა და ნ. მ-შვილმა მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება დაკისრებულ თანხაში ცვლილებების შეტანის გზით.

კასატორთა განმარტებით, თანხის დაკისრების ნაწილში, გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი და უკანონოა, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოსათვის ცნობილი იყო აღნიშნულ ბინასთან დაკავშირებით გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული და უკვე აღსრულებული ორი გადაწყვეტილების შესახებ, მათი უგულებელყო-

ფით გამოიტანა უკანონო გადაწყვეტილება, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები.

კასატორთა აზრით, დაუსაბუთებელია სასამართლოს მითითება მასზე, რომ ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება არ აღსრულებულა, ვინაიდან წარმოდგენილი სალაროს შემოსავლის ორდერით, ირკვევა, რომ სააღსრულებო ბიუროს ანგარიშზე ჩარიცხულ იქნა 9672,8 ლარის აღსრულების ხარჯების დამატებით. სასამართლოს გადაწყვეტილებით კი, დაეკისრათ მასზე აღმოცემული ოთახის საბაზრო ღირებულების გადახდაც, რომლის რემონტის ხარჯებიც უკვე გადახდილი აქვთ, ბინა კი, სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის დასკვნით შეფასდა თავის რემონტიანად. თბილისის სააპელაციო სასამართლომ კი, თავისი გადაწყვეტილებით ლ. ფ-შვილი უსაფუძვლოდ გაამდიდრა.

რაც შეეხება ლ. ფ-შვილს, თავისი საკასაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იმ ნაწილში გაუქმება, სადაც სასამართლომ გაიზიარა სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შეფასება და არ გაიზიარა აუდიტის დასკვნა და ეკონომიკურ სამინისტროსთან არსებული სტატისტიკის დეპარტამენტის ცნობა, ასევე, მის მიერ წარმოდგენილი შინაურული ხელწერილი.

კასატორის აზრით, გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლომ არ იხელმძღვანელა «საცხოვრებელი სადგომით წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტით და დაეყრდნო მხოლოდ ამავე კანონის მე-3 მუხლს, რაც ცხადყოფს, რომ სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რაც მისი გაუქმების საფუძველს წარმოადგენს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 მარტის განჩინებით ლ. ფ-შვილის საკასაციო საჩივარი, ხოლო ამავე სასამართლოს 2011 წლის 15 აპრილის განჩინებით ნ. მ-შვილისა და ნ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 9 ივნისის განჩინებით ლ. ფ-შვილის, ნ. ს-შვილისა და ნ. მ-შვილის საკასაციო საჩივრები დასაშვებად იქნა ცნობილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საკასაციო საჩივრის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

ნ. ს-შვილი და ნ. მ-შვილი თანახმა არიან გადასცენ ლ. ფ-შვილს 25000 აშშ დოლარი;

ლ. ფ-შვილი თანახმაა 25000 აშშ დოლარის მიღების შემდეგ გამოათავისუფლოს მის მიერ დაკავებული ბინის ფართი, მდებარე: ქ. თბილისი, ... №2-ში და გამოათავისუფლებული სახით გადასცეს შესაკუთრებებს: ნ. ს-შვილსა და ნ. მ-შვილს;

მხარეები თანახმა არიან შეწყდეს სამოქალაქო საქმის წარმოება, ხოლო მორიგების პირობების ნებაყოფლობითი შეუსრულებლობის შემთხვევაში მოხდეს გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს და მოცემულ საქმეზე წარმოება შეწყდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის 1-ელი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს, რის გამოც წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეები მორიგდებიან, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება, ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განახევრება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში. კანონის აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, კასატორ – ლ. ფ-შვილს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 100 ლარის ახევარი – 50 ლარი. ასევე, კასატორებს ნ. ს-შვილსა და ნ. მ-შვილს უნდა დაუბრუნდეთ ნ. მ-შვილის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 100 ლარის ნახევარი 50 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტით და

დაადგინა:

- დაკვალიფიკაციის მხარეთა შუამდგომლობა და დამტკიცდეს მორიგება მხარეთა შორის შემდეგი პირობებით:
 - ა) ნ. ს-შვილი და ნ. მ-შვილი თანახმა არიან გადასცენ ლ. ფ-შვილს 25000 აშშ დოლარი;
 - ბ) ლ. ფ-შვილი თანახმაა 25000 აშშ დოლარის მიღების შემდეგ გამოათავისუფლოს მის მიერ დაკავებული ბინის ფართი, მდებარე: ქ. თბილისი, №2-ში და გამოათავისუფლებული სახით გადასცენ მესაკუთრეებს: ნ. ს-შვილსა და ნ. მ-შვილს;
 - გ) მხარეები თანახმა არიან შეწყდეს სამოქალაქო საქმის წარმოება, ხოლო მორიგების პირობების ნებაყოფლობითი შეუსრულებლობის შემთხვევაში მოხდეს გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება;
- მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო, გაუქმდეს ამ საქმეზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, შეწყდეს საქმის წარმოება;
- მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება. მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოხდება გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება;
- ლ. ფ-შვილს დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 100 ლარის ნახევარი 50 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ხაზინის ერთიანი ანგარიშის ნომერი – 200122900, მიმღები ბანკი – სახელმწიფო ხაზინა 220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი – №300773150;
- კასატორებს: ნ. ს-შვილსა და ნ. მ-შვილს დაუბრუნდეთ ნ. მ-შვილის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 100 ლარის ნახევარი 50 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ხაზინის ერთიანი ანგარიშის ნომერი – 200122900, მიმღები ბანკი – სახელმწიფო ხაზინა 220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი – №300773150;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

№ას-539-510-2011

22 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. სულხანიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. შ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. შ-მის მიმართ და მოითხოვა მას და მოპასუხეს შორის უძრავ ქონებაზე 2001 წლის 9 ნოემბერს დადებული ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება შედეგი საფუძველებით:

სარჩელის თანახმად, გ. შ-მემ ქ. ქუთაისში, ... 6-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი მიიღო კანონისმიერი მემკვიდრეობის საფუძველზე, რომელიც 2001 წლის 9 ნოემბერს გააჩუქა თავის შვილიშვილზე – ნ. შ-მეზე. გ. შ-მის ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებისა და მატერიალური სიდუხჭირის გამო, ვინაიდან იგი აღმოჩნდა მძიმე მდგომარეობაში და აღარ შეუძლია საკუთარი თავის რჩენა, ხოლო მოპასუხე არავითარ მატერიალურ დახმარებას არ უწყევს, მოითხოვა ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება, მით უფრო, რომ მოსარჩელის განმარტებით, ნ. შ-მე ფლობს საკმაო რაოდენობით უძრავ-მძრავ ქონებას და სადავო საჩუქრის მოსარჩელისათვის დაბრუნება მას მატერიალურ მდგომარეობას არ გაუუარესებს.

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს 2010 წლის 21 იანვარს გ. შ-მის გარდაცვალების გამო საქმის წარმოება შეჩერდა მოსარჩელის უფლებამონაცვლის დადგენამდე და 2010 წლის 20 სექტემბერს დადგინდა გ. შ-მის უფლებამონაცვლეები: ი., გ. და ნ. შ-მეები.

მოსარჩელის უფლებამონაცვლეებმა – ი. და გ. შ-მეებმა მოითხოვეს 2001 წლის 9 ნოემბრის ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება იმ საფუძველით, რომ გ. შ-მე და მის კმაყოფაზე მყოფი პირები – ი. და გ. შ-მეები ნივთის გაჩუქების შემდეგ აღმოჩნდნენ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში. რაც შეეხება ნ. შ-მეს – მან განმარტა, რომ სადავო ჩუქების ხელშეკრულება კანონის მოთხოვნათა დაცვით იყო დადებული და არ არსებობდა მისი გაუქმების საფუძველი.

მოპასუხე გ. შ-მემ სარჩელი არ ცნო და თავის შესაგებელში განმარტა, რომ მოსარჩელე მხარემ ვერანაირი მტკიცებულებით ვერ დაადასტურა, რომ არსებობდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების წინაპირობები. ამასთან, მოპასუხის განმარტებით, ჩუქების ხელშეკრულება გაუქმებას ექვემდებარება ერთი წლის განმავლობაში იმ გარემოების შეტყობიდან, რომელიც მხარეს ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს. განსახილველ შემთხვევაში კი, თუ იგი მატერიალურად არ ეხმარებოდა მოსარჩელეს, მაშინ 2001 წლის ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება სარჩელის შეტანის დრომდე რატომ არ წარადგინა. გარდა ზემოაღნიშნულისა,

მოპასუხემ აღნიშნა, რომ მას არანაირი სხვა უძრავი ქონება არ გააჩნია და ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების შემთხვევაში აღმოჩნდება მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გ. შ-ძის უფლებამონაცვლები: ი. და გ. შ-ძეების სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ი. და გ. შ-ძეებმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილებით ი. და გ. შ-ძეების სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება, გ. შ-ძის უფლებამონაცვლები: ი. და გ. შ-ძეების სარჩელი დაკმაყოფილდა, ნ. შ-ძის საკუთრებიდან გამოთხოვილ იქნა ქ. ქუთაისში, ... 6-ში მდებარე უძრავი ქონება და საჯარო რეესტრში აღირიცხა გ. შ-ძის საკუთრებად.

სასამართლომ უდავოდ დადგინოდა მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

გ. შ-ძის საკუთრებაში ირიცხებოდა უძრავი ქონება, მდებარე ქ. ქუთაისში, ... 6-ში.

2001 წლის 9 ნოემბერს გ. შ-ძესა და ნ. შ-ძეს შორის სანოტარო წესის დაცვით გაფორმდა უძრავი ქონების, მდებარე ქ. ქუთაისში, ... №6-ში ჩუქების ხელშეკრულება და ზემოაღნიშნული ქონება დარეგისტრირდა ნ. შ-ძის საკუთრებად;

გ. შ-ძე, რომელიც გარდაიცვალა 2010 წლის 21 იანვარს, 2009 წლის 22 ივნისიდან რეგისტრირებული იყო სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და ღებულობდა შემწეობას 78 ლარის ოდენობით;

2009 წლის 30 ივლისს გ. შ-ძემ სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ნ. შ-ძის წინააღმდეგ და მოითხოვა ჩუქების გაუქმება, გაჩუქებული ნივთის დაბრუნება და საჯარო რეესტრში მის საკუთრებად აღრიცხვა.

გ. შ-ძეს გაჩუქებული ქონების გარდა სხვა უძრავი ქონება საკუთრებაში არ გააჩნდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლით გათვალისწინებულ გარემოებას, კერძოდ, სასამართლომ დადგინოდა მიიჩნია, რომ ჩუქების ხელშეკრულების დადების შემდეგ, პრაქტიკულად, გ. შ-ძე დარჩა საცხოვრებლის გარეშე, ადამიანის უფლება საცხოვრებელზე კი არის მინიმალური საყოფაცხოვრებო მოთხოვნილება. გარდა ამისა, ჩუქების ხელშეკრულების დადების შემდეგ გ. შ-ძე დარეგისტრირდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და გახდა საარსებო შემწეობის მიმღები პირი. იგი, ასევე, დაავადდა ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზით, გულის ქრონიკული უკმარისობით, სახსრების დეფორმაციით, ალგიური სინდრომით და გახდა მწოლიარე ავადმყოფი. მაშინ, როცა ჩუქების ხელშეკრულების დადების დროს ის დამოუკიდებლად გადაადგილდებოდა – ხელშეკრულება დაიდო სანოტარო ბიუროში, სადაც გამოცხადდნენ მხარეები და პირადად მოაწერეს ხელი ხელშეკრულების ტექსტს.

აქედან გამომდინარე, სასამართლომ ცხადყო, რომ სადავო ქონების გაჩუქების შემდეგ, გამჩუქებელი აღმოჩნდა მძიმე მდგომარეობაში, მას აღარ შეეძლო თავისი თავის რჩენა და გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა აუცილებელი იყო მისი მინიმალური საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

საქალაქო სასამართლოს პოზიცია იმის თაობაზე, რომ გაჩუქებული ქონების უკან გამოთხოვით მოპასუხე – ნ. შ-ძე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა და აღნიშნა, რომ დადგინოდა ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენდა, რომ ნ. შ-ძეს გარდა ნაჩუქარი ქონებისა გააჩნდა სხვა უძრავი ქონებაც. ასევე, მისი მეუღლის – ლ. მ-შვილი (შ-ძის) საკუთრებაში ირიცხებოდა უძრავი ქონება მდებარე ქ. ქუთაისში, ... №177/1-ში და ... გამზ 35/13 –ში, ამასთან, სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ნ. შ-ძეს სადავო სახლში არასდროს უცხოვრია და მასში დღემდე ცხოვრობენ აპელანტები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ ნაჩუქარი ქონების გამოთხოვით ნ. შ-ძე მძიმე მდგომარეობაში არ ჩადგებოდა, შესაბამისად, აპელანტთა მოთხოვნა ნაჩუქარი ქონების დაბრუნების თაობაზე საფუძვლიანად მიიჩნია.

ნ. შ-ძის პოზიცია იმის შესახებ, რომ აპელანტებს არ გააჩნდათ მოთხოვნის უფლება, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა და აღნიშნა, რომ მჩუქებელმა – გ. შ-ძემ სიცოცხლეშივე გამოავლინა ნება ნაჩუქარი ქონების უკან დაბრუნებისა.

სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, აღნიშნა, რომ მოსარჩელის მოთხოვნის უფლება შეადგენდა სამკვიდროს ნაწილს და გ. შ-ძის სამკვიდროს მიღებით ეს უფლებები მიიღეს აპელანტებმა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმებითა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელი უნდა დაკმაყოფილებულიყო, კერძოდ, ნ. შ-ძის საკუთრებიდან უნდა გამოთხოვილიყო ქ. ქუთაისში, ... №6-ში მდებარე უძრავი ქონება და ეს ქონება საჯარო რეესტრში უნდა აღირიცხულიყო გ. შ-ძის საკუთრებად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. შ-ძემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

კასატორის აზრით, არასწორია სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება მასზე, რომ ჩუქების ხელშეკრულების დადების შემდეგ გ. შ-ძე დარჩა საცხოვრებლის გარეშე და გაუუარესდა საყოფაცხოვრებო პირობები როგორც თავად, ისე მის კმაყოფაზე მყოფ პირებს. აღნიშნული რეალობას არ შეესაბამება, ვინაიდან გ. შ-ძე ჩუქების ხელშეკრულების დადების მომენტიდან – 2001 წლიდან გარდაცვალებამდე – 2010 წლის 21 იანვრამდე ცხოვრობდა თავისივე გაჩუქებულ სახლში და მისთვის საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებები არავის შეუზღუდავს და ამ ხნის განმავლობაში სურვილიც კი არ გამოუხატავს გაჩუქებული ნივთის უკან დაბრუნებაზე.

კასატორის აზრით, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მხოლოდ გ. შ-ძის დაავადებებზე ხელშეკრულების დადების შემდეგ და არ მიიჩნია საგულისხმოდ ის გარემოება, რომ სარჩელი შეტანილი იყო გ. შ-ძის წარმომადგენლის მიერ, რომლის რწმუნებულება დადასტურებულია 2009 წლის 4 ივლისს, ხოლო ცნობა გ. შ-ძის დაავადებების შესახებ გაიცა 2009 წლის პირველ ივლისს, რწმუნებულების გაცემამდე სამი დღით ადრე. ამას გარდა რწმუნებულებაში მითითებულია, რომ მხოლოდ გალინა შალამბერიძის ნების გამოვლენაა შემოწმებული და არა ქმედუნარიანობა, რისთვისაც სასამართლოს ყურადღება არ მიუქცევია.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ სწორად არ დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები და არ გამოიკვლია ისინი, მაშინ როდესაც მიიჩნია, რომ გ. შ-ძის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ შვილი და შვილიშვილი, ვინაიდან აღნიშნული შეუძლებელი იყო მოსარჩელის ღრმად მოხუცებულობის (94 წლის) გამო. ამასთან, იგი იყო პენსიონერი და არანაირ შემწეობას გარდა პენსიისა არ იღებდა, მას იღებდა მხოლოდ ი. შ-ძე და ისიც მოეხსნა 2010 წლის პირველი იანვრიდან.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ ასევე არასწორად მიიჩნია, რომ ნ. შ-ძეს სხვა უძრავ-მომრავი ქონებაც გააჩნდა და ნაჩუქარი ნივთის უკან დაბრუნება მჩუქებლისათვის, მის ეკონომიკურ მდგომარეობას არ გააუარესებდა, მაშინ, როცა მის სახელზე მხოლოდ ნაჩუქარი ნივთია აღრიცხული.

კასატორის აზრით გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი, არამართებულად გამოიყენა ამავე კოდექსის 1328-ე მუხლი, საერთოდ უგულებელყო 52-ე, 58-ე, 129-ე და 1330-ე მუხლები და არ გაითვალისწინა უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 25 ივლისის პრაქტიკული სახის რეკომენდაცია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საკასაციო საჩივრის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

ნ. შ-ძე თმობს საკუთრების უფლებას ი. და გ. შ-ძეების სასარგებლოდ მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქ. ქუთაისში, ... №177-ში (ყოფილი ქუჩა – ... №7, ყოფილი ქუჩა – ... №7), აღნიშნული უძრავი ქონების მახასიათებლებია: ზონა – ქუთაისი 03, სექტორი: ვაკისუბანი 05, კვარტალი 01, ნაკვეთი 101, კოდი 01/001, ნაკვეთის წინა ნომერი 1, სართული I, ბინა №1, ფართი 50.17 კვ.მ, საკადასტრო კოდი №..., უფლებრივად უნაკლო;

სანაცვლოდ, ი. და გ. შ-ძეები უარს ამბობენ გააგრძელონ დავა ნ. შ-ძის მიმართ სამოქალაქო საქმეზე (№ას-539-5102-2011, დავის საგანი: ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება), ასევე აღარასოდეს განაცხადებენ პრეტენზიას ნებისმიერი საფუძვლით, ქ. ქუთაისში, ... №6-ში მდებარე უძრავ ქონებაზე. მახასიათებლები: ზონა ქუთაისი 03, სექტორი მუხუეში 04, კვარტალი 06, ნაკვეთი 071, ნაკვეთის წინა ნომერი 06, შენობა-ნაგებობის ფართი 103.59 კვ.მ, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, დაზუსტებული ფართობი 600.00 კვ.მ მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №...;

ამავე მორიგების აქტით, გ. და ი. შ-ძეები თანხმდებიან, რომ ნ. შ-ძისაგან მათზე თანასაკუთრებით გადმოსაცემ უძრავ ქონებაზე, მდებარე ქ. ქუთაისში, ... №177-ში (ყოფილი ქუჩა – ... №7, ყოფილი ქუჩა – ... №7), აღნიშნული უძრავი ქონების მახასიათებლებია: ზონა – ქუთაისი 03, სექტორი: ვაკისუბანი 05, კვარტალი 01, ნაკვეთი 101, კოდი ... , ნაკვეთის წინა ნომერი 1, სართული I, ბინა №1, ფართი 50.17 კვ.მ, საკადასტრო კოდე №... – გ. შ-ძე თავის წილ საკუთრებას თმობს ი. შ-ძის სასარგებლოდ;

აღნიშნული მორიგების აქტის აღსრულებამდე გ. და ი. შ-ძეებს უფლება ეძლევათ ისარგებლონ ზემოაღნიშნული საცხოვრებელი ბინით, მდებარე: ქ. ქუთაისში, ... №177-ში;

მხარეები მოითხოვენ, სასამართლომ განჩინებით დაავალოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურს, მოახდინოს შესაბამისი ცვლილებების რეგისტრაცია უძრავი ქონების მესაკუთრეთა რეესტრში, ასევე გააუქმოს ნ. შ-ძის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქ. ქუთაისში, ... №6-ში ყადაღა, როგორც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება;

ასევე დავალოს სამოქალაქო რეესტრის სარეგისტრაციო სამსახურს ქ. ქუთაისში, ... №6-ში მდებარე უძრავ ქონებაზე მესაკუთრე ნ. შ-ძის განცხადების საფუძველზე, სამოქალაქო რეესტრში მოახდინოს შესაბამისი ცვლილებების დარეგისტრირება.

მხარეებმა მოითხოვეს მორიგების აქტის დამტკიცება და საქმეზე წარმოების შეწყვეტა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს და მოცემულ საქმეზე წარმოება შეწყდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის 1-ელი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დაამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს, რის გამოც წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმოწერედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში. კანონის აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, კასატორ – ნ. შ-ძეს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. დაკმაყოფილდეს მხარეთა შუამდგომლობა და დამტკიცდეს მორიგება მხარეთა შორის შემდეგი პირობებით:
 - ა) ნ. შ-ძე თმობს საკუთრების უფლებას ი. და გ. შ-ძეების სასარგებლოდ მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქ. ქუთაისში, ... №177-ში (ყოფილი ქუჩა – ... №7, ყოფილი ქუჩა – ... №7), აღნიშნული უძრავი ქონების მახასიათებლებია: ზონა – ქუთაისი 03, სექტორი: ვაკისუბანი 05, კვარტალი 01, ნაკვეთი 101, კოდი ... , ნაკვეთის წინა ნომერი 1, სართული I, ბინა №1, ფართი 50.17 კვ.მ, საკადასტრო კოდე №... , უფლებრივად უნაკლო;
 - ბ) სანაცვლოდ, ი. და გ. შ-ძეები უარს ამბობენ გააგრძელონ დავა ნ. შ-ძის მიმართ სამოქალაქო საქმეზე (№ას-5102-2011, დავის საგანი: ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება), ასევე აღარასოდეს განაცხადებენ პრეტენზიას ნებისმიერი საფუძვლით, ქ. ქუთაისში, №6-ში მდებარე უძრავ ქონებაზე. მახასიათებლები: ზონა ქუთაისი 03, სექტორი მუზეუმი 04, კვარტალი 06, ნაკვეთი 071, ნაკვეთის წინა ნომერი 06, შენობა-ნაგებობის ფართი 103.59 კვ.მ, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, დაზუსტებული ფართობი 600.00 კვ.მ მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № ... ;
 - გ) გ. და ი. შ-ძეები თანხმდებიან, რომ ნ. შ-ძისაგან მათზე თანასაკუთრებით გადმოსაცემ უძრავ ქონებაზე, მდებარე ქ. ქუთაისში, ... №177-ში (ყოფილი ქუჩა – ... №7, ყოფილი ქუჩა – ... №7), აღნიშნული უძრავი ქონების მახასიათებლებია: ზონა – ქუთაისი 03, სექტორი: ვაკისუბანი 05, კვარტალი 01, ნაკვეთი 101, კოდი ... , ნაკვეთის წინა ნომერი 1, სართული I, ბინა №1, ფართი 50.17 კვ.მ, საკადასტრო კოდე № ... – გ. შ-ძე თავის წილ საკუთრებას თმობს ი. შ-ძის სასარგებლოდ;
 - დ) აღნიშნული მორიგების აქტის აღსრულებამდე გ. და ი. შ-ძეებს უფლება ეძლევათ ისარგებლონ ზემოაღნიშნული საცხოვრებელი ბინით, მდებარე: ქ. ქუთაისში, ... №177-ში
2. დაევალოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურს, მოახდინოს შესაბამისი ცვლილებების რეგისტრაცია უძრავი ქონების მესაკუთრეთა რეესტრში;
3. გაუქმდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს განჩინებით მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიება – ყადაღა მოეხსნას ნ. შ-ძის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხულ უძრავ ქონებას (მდებარე: ქ. ქუთაისში, ... №6-ში მდებარე უძრავ ქონებაზე. მახასიათებლები: ზონა ქუთაისი 03, სექტორი მუზეუმი 04, კვარტალი 06, ნაკვეთი 071, ნაკვეთის წინა ნომერი 06, შენობა-ნაგებობის ფართი 103.59 კვ.მ);
4. დაევალოს სამოქალაქო რეესტრის სარეგისტრაციო სამსახურს ქ. ქუთაისში, ... №9-ში მდებარე უძრავ ქონებაზე მოახდინოს სამოქალაქო რეესტრში შესაბამისი ცვლილებების დარეგისტრირება;
5. მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო, გაუქმდეს ამ საქმეზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, შეწყდეს საქმის წარმოება;
6. მხარეებს განემართოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება. მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოხდება გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება;
7. ნ. შ-ძეს დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე 2011 წლის 30 მარტს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ხაზინის ერთიანი ანგარიშის ნომერი – 200122900, მიმღები ბანკი – სახელმწიფო ხაზინა 220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი – №300773150;
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

№ას-717-676-2011

28 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. სულხანიშვილი,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით შპს «მ-ნი»-ს სარჩელი დაკმაყოფილდა. შპს «ი-კსს» დაევალა შპს «მ-ნი»-სათვის მიყიდული ორი კონდიციონერის შეკეთება (საგარანტიო ტალონი №04984 და №04982) საკუთარი ხარჯებით; ამასთან, შეკეთება უნდა განხორციელებულიყო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთ თვეში, წინააღმდეგ შემთხვევაში შპს «მ-ნი» უფლება ეძლეოდა შეკეთება განეხორციელებინა თავად შპს «ი-კსს»-საგან აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს «ი-კსმა», მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 მარტის განჩინებით შპს «ი-კსს» სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ კონდიციონერების მწყობრიდან გამოსვლა და დაზიანება შპს «მ-ნი»-ს დაუდევრობით არ გამოწვეულა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სასამართლო ზემოაღნიშნულ დასკვნამდე მივიდა სსიპ ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2009 წლის 30 აპრილს შედგენილი დასკვნაზე დაყრდნობით და სასამართლო სხდომაზე დაკითხული ექსპერტების განმარტებით. კერძოდ, სასამართლო სხდომაზე ექსპერტ ნ. ბ-იას ჩვენებით ირკვევა, რომ როცა ფართზე არ ყოფნის კონდიციონერი (რაც მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია), დაზიანება ხდება თანაბრად სამივე ხვიაზე, კონკრეტულ შემთხვევაში ფართის სიდიდეს ამ კონდიციონერებზე ზემოქმედება არ მოუხდენია. ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული ის გარემოება, რომ კონდიციონერის დაზიანება გამოწვეულია ინტენსიური მუშაობის შედეგად, ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული არის სავარაუდო შედეგი, ამის გამორიცხვა შეუძლებელია, თუმცა ფართში სამი კონდიციონერი იყო და გაფუჭდა მხოლოდ ორი, ინტენსიური მუშაობის ბრალი რომ ყოფილიყო, მაშინ მესამეც გაფუჭდებოდა. სასამართლომ ყურადღება მიაქცია ასევე იმ გარემოებას, რომ ექსპერტმა ნ. ბ-იამ სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ იგი ვერ დაადასტურებდა და ვერც უარყოფდა დამომნტაჟებლის ბრალეულობას, თუმცა ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ საგარანტიო პერიოდში კონდიციონერის გაფუჭება არ უნდა მომხდარიყო და რომ აღნიშნულ პერიოდში კონდიციონერის გაფუჭება იყო ქარხნის ბრალი.

მითითებული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მოცემული დავის გადაწყვეტისას სწორად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 496-ე მუხლი და იმის გათვალისწინებით, რომ კონდიციონერები მწყობრიდან გამოვიდა საგარანტიო ვადაში, მიიჩნია, რომ სწორედ გამყიდველს – შპს «ი-კსს» უნდა დაემტკიცებინა, რომ აღნიშნული გამოწვეული იყო მყიდველის ბრალეულობით.

სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე და 105-ე მუხლებზე და ზემოაღნიშნული მუხლებიდან გამომდინარე, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლივი შეფასების საფუძველზე, ჩათვალა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად მიიჩნია დადასტურებულად, რომ კონდიციონერების მწყობრიდან გამოსვლა არ მომხდარა მოსარჩელის დაუდევრობით.

სააპელაციო პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, არ მიიღო სააპელაციო საჩივარში მითითებული ახალი გარემოება იმის შესახებ, რომ შპს «მ-ნი» მწყობრიდან გამოსული კონდიციონერები არ შეუმენია მოპასუხის მაღაზიათა ქსელში, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლოში მოპასუხე შპს «ი-კსს» ამ ფაქტობრივ გარემოებაზე არ მიუთითებია. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მოსარჩებით, ზემოაღნიშნულ გარემოებაზე მითითებით, აპელანტი ცდილობს იმის დამტკიცებას, რომ იგი არ წარმოადგენს ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა ის გარემოება, რომ შპს «მ-ნი» კონდინციონერები შეიძინა შპს «გ-კსი»-ს მაღაზიაში. ამასთან, საქმის მასალებით დასტურდება, რომ მწყობრიდან გამოსულ კონდიციონერებზე საგარანტიო ტალონები – №04982 და №04984 გაცემულია სწორედ შპს «ი-სის» მიერ და დამოწმებულია მისივე ბეჭდით, რითაც უდავოდ დასტურდება, რომ კონდინციონერები ეკუთვნოდა მოპასუხეს.

აპელანტის მოსაზრებაზე იმასთან დაკავშირებით, რომ ელექტრო-საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე (მოცემულ შემთხვევაში კი კონდინციონერზე) აუცილებელი იყო ელექტროდამცველის დაყენება, რომელიც ტექნიკას იცავს დაზიანებას ან მაღალი ძაბვისაგან, პალატამ აღნიშნა, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით დასტურდებოდა, რომ

კონდიციონერების დაზიანება არ მომხდარა დაბალი ან მაღალი ძაბვის გამო. ამდენად, ამ შემთხვევაში ელექტრო-დამცველის არსებობა-არარსებობის საკითხი არ იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე.

სააპელაციო პალატამ ასევე არ გაიზიარა აპელანტის განმარტება იმის შესახებ, რომ მოსარჩელის მიერ დარღვეულ იქნა საგარანტიო ტალონში მითითებული საგარანტიო პირობა, როდესაც მოსარჩელე შპს «მ-ნმა» მოახდინა კონდინციონერების თვითმონტაჟი, მაშინ როდესაც, საგარანტიო პირობების თანახმად, ელექტრომოწყობილობა, რომელიც მოითხოვდა სპეციალურ ჩართვას (მონტაჟს) უნდა განხორციელებულიყო გარანტის გამცემი ორგანიზაციის წარმომადგენლის მიერ და უნდა ჰქონოდა სათანადო მონტაჟის ჩატარების შესახებ სპეციალური ბეჭედი.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ის გარემოება, თუ ვის მიერ იქნა დამონტაჟებული კონდიციონერები, მოცემულ შემთხვევაში საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებას არ წარმოადგენდა, გამომდინარე იქიდან, რომ ექსპერტის განმარტებით, დამონტაჟებისას არ ყოფილა დაშვებული რაიმე სახის შეცდომა, ანუ დამონტაჟება არ წარმოადგენდა 2 კონდიციონერის – საგარანტიო ტალონები №04982 და №04984 – მწობრიდან გამოსვლის მიზეზს.

აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, პალატამ ასევე მიუთითა საგარანტიო ტალონებზე – №04982 და №04984, სადაც გარანტიის გამცემი ორგანიზაციის ადგილას დასმულია ბეჭედი და მითითებულია იმ პიროვნების სახელი და ტელეფონის ნომერი, ვინც დაამონტაჟა მოწყობილობები და მოსარჩელეს გადასცა საგარანტიო ტალონები. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის განმარტება იმის თაობაზე, რომ ვინმე «მ.» არ იყო არც გარანტის გამცემი ორგანიზაციისა და არც შპს «გ-კისს» წარმომადგენელი და დამონტაჟებაზე უფლებამოსილი პირი. ხოლო ის გარემოება, რომ შპს «ი-კსი» იყენებს «მ-სს» მომსახურებას ასევე დფასტურდება თვით ამ ორგანიზაციის თანამშრომელის მოწმე ვ. მ-შვილის ჩვენებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უსაფუძვლო იყო და დაკმაყოფილებას არ ექვემდებარებოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის დასახელებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს «ი-კსის» დირექტორმა თ. ჭ-იამ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახლი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იმ საფუძველით, რომ სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი, ამასთან არასწორად შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და უსაფუძვლოდ მიიჩნევს, რომ კონდიციონერების მწობრიდან გამოსვლა არ მომხდარა მოსარჩელის დაუდევრობით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საკასაციო საჩივრის განხილვისას, საკასაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის ეტაპზე მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემთხვევის პირობებით:

შპს «ი-კსი» იღებს ვალდებულებას შპს «მ-ნს» გადასცეს 2 კონდიციონერის ძრავი (კომპრესორი) DAIKIN MOD.ჟთ 160B8BVL 2 კონდიციონერის შესაკეთებლად, რომელთა საგარანტიო ტალონის ნომრებია №04984 და №04982. აღნიშნულის გადაცემა გაფორმდეს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით. შპს «ი-კსის» მხრიდან აღნიშნულ აქტს დაამოწმებს საწყობის გამგე ჯ. გ-შვილი, ხოლო შპს «მ-ნის» მხრიდან მინდობილი პირი რ. გ-იანი;

შპს «მ-ნი» იღებს ვალდებულებას საკუთარი ხარჯებით შეაკეთოს 2 კონდიციონერი საგარანტიო ტალონით №04984 და №04982;

შპს «მ-ნი» უარს აცხადებს შპს «ი-კზე» დაკისრებული 2010 წლის 24 ივნისის სასამართლოს ხარჯების ანაზღაურებაზე, კერძოდ, 568 ლარზე;

დასახელებული პუნქტების შეუსრულებლობისათვის თითოეული დამრღვევი ვალდებულია არადამრღვევ პირს აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი

2008 წლის საქმეზე მხარეებს შორის შეწყდეს დავა.

მხარეებმა მოითხოვეს მორიგების აქტის დამტკიცება და საქმეზე წარმოების შეწყვეტა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს და მოცემულ საქმეზე წარმოება შეწყდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის 1-ელი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს, რის გამოც წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტით და

დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს მხარეთა შუამდგომლობა და დამტკიცდეს მორიგება მხარეთა შორის შემდეგი პირობებით:
 - ა) შპს «ი-კისი» იღებს ვალდებულებას შპს «მ-ნს» გადასცეს 2 კონდიციონერის ძრავი (კომპრესორი) DAIKIN MOD. # 160B8BVIL 2 კონდიციონერის შესაკეთებლად, რომელთა საგარანტიო ტალონის ნომრებია №04984 და №04982.. აღნიშნულის გადაცემა გაფორმდეს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით. შპს «ი-კისის» მხრიდან აღნიშნულ აქტს დაამოწმებს საწყობის გამგე ჯემალ გოგიაშვილი, ხოლო შპს «მ-ნის» მხრიდან მინდობილი პირი რ. გ-იანი;
 - ბ) შპს «მ-ნი» იღებს ვალდებულებას საკუთარი ხარჯებით შეაკეთოს 2 კონდიციონერი საგარანტიო ტალონით №04984 და №04982;
 - გ) შპს «მ-ნი» უარს აცხადებს შპს «ი-კზე» დაკისრებული 2010 წლის 24 ივნისის სასამართლოს ხარჯების ანაზღაურებაზე, კერძოდ, 568 ლარზე;
 - დ) დასახელებული პუნქტების შეუსრულებლობისათვის თითოეული დამრღვევი ვალდებულია არადამრღვევ პირს აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი;
 - ე) 2008 წლის საქმეზე მხარეებს შორის შეწყდეს დავა.
2. მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო, გაუქმდეს ამ საქმეზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, შეწყდეს საქმის წარმოება;
3. მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება. მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოხდება გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

№ას-516-490-2011 15 სექტემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავეძე

დავის საგანი: იპოთეკით დატვირთული ქონების იძულებით აუქციონზე რეალიზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

ფ. მ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ვ. რ-ის მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით შემდეგი დასაბუთებით: 2008 წლის 11 ოქტომბერს ქ. მ-სა და ფ. მ-ს შორის გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფილი იქნა ქ. მ-ის კუთვნილი ქონებით, მდებარე ქ. თბილისი, ... ქ. №65-ში. ამავე ხელშეკრულებით განისაზღვრა, რომ, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ყველა დავა უნდა გადაწყვეტილიყო არბიტრაჟში ან სასამართლოში მიმართვის გზით. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით იპოთეკა დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში. სესხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 2009 წლის 11 იანვარი, თუმცა ქ. მ-მა ვალდებულება არ შეასრულა, ამიტომ, კუთვნილი თანხის მისაღებად ფ. მ-მა მიმართა მუდმივმოქმედ არბიტრაჟს შპს «ბ-ს». არბიტრაჟის 2009 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილებით ფ. მ-ის პრეტენზია დაკმაყოფილდა და ქ. მ-ს დაეკისრა მის სასარგებლოდ ხელშეკრულების გათვალისწინებული თანხის გადახდა. მოსარჩელე აცხადებს, რომ იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება ასევე დატვირთული იყო პირველი რიგის იპოთეკარის – ვ. რ-ის სასარგებლოდ, კერძოდ, მის მიერ ქ. მ-ისათვის გაცემული სესხის სანაცვლოდ. როგორც მოსარჩელისათვის გახდა ცნობილი, მოვალემ არც მას დაუბრუნა ნასესხები თანხა, რის გამოც ვ. რ-მა მიმართა მუდმივმოქმედ კერძო არბიტრაჟ «მ-ს» და მოითხოვა იპოთეკით დატვირთული ქონების მის საკუთრებაში გადაცემა. 2009 წლის 9 თებერვლის არბიტრაჟის გადაწყვეტილებით პრეტენზია დაკმაყოფილდა და ქ. თბილისში, ... ქ. №65-ში მდებარე უძრავი ქონება საკუთრებაში გადაეცა მოპასუხეს. აღნიშნული გადაწყვეტილების გამოტანიდან 2 დღის ვადაში ვ. რ-მა მიმართა მუდმივმოქმედ არბიტრაჟ «მ-ს» და მოითხოვა დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის გზით მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ყველა იპოთეკის გაუქმება, რაც დაკმაყოფილდა 2009 წლის 12 თებერვლის დამატებითი გადაწყვეტილებით. ფ. მ-ის განცხადებით, მან მიმართა აღნიშნულ არბიტრაჟს მისი იპოთეკის აღდგენის მიზნით. 2009 წლის 16 მარტის არბიტრაჟის გადაწყვეტილებით იპოთეკა აღდგა.

მოპასუხე ვ. რ-მა სარჩელი არ ცნო და მიუთითა შემდეგი: ვ. რ-სა და ქ. მ-ს შორის არსებულ ხელშეკრულებაში პირდაპირ იქნა მითითებული, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში იპოთეკის საგანი გადავიდოდა კრედიტორის საკუთრებაში. ფ. მ-ის იპოთეკა წარმოიშვა მისი იპოთეკის შემდეგ. მოპასუხე მიიჩნევს, რომ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დროს იპოთეკარის მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ

იპოთეკით დატვირთული ქონებიდან. ამდენად, არც კანონისა და არც არბიტრაჟის გადაწყვეტილების საფუძველზე ფ. მ-ს ვერ ექნებოდა პრეტენზია მის საკუთრებაში გადასული სახლის რეალიზაციაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის პირველი დეკემბრის გადაწყვეტილებით ფ. მ-ის სარჩელი ვ. რ-ის მიმართ არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ფ. მ-მა.

2010 წლის 9 დეკემბრის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით ფ. მ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. პალატამ სრულად გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2008 წლის 11 ოქტომბერს ქ. მ-სა და ფ. მ-ს შორის გაფორმდა სესხის ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფილ იქნა ქ. მ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით, მდებარე ქ. თბილისში, ... ქ. №65-ში. ზემოთ აღნიშნული სესხის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გამოყენებული ქ. მ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება იპოთეკით იყო დატვირთული ვ. რ-ისა და ქ. მ-ს შორის არსებული სესხის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად. ხელშეკრულების შესრულების ვადად განისაზღვრა სამი თვე – 2009 წლის 11 იანვარი. ვ. რ-ი წარმოადგენს პირველი რიგის იპოთეკარს. ვ. რ-სა და ქ. მ-ს შორის არსებული სესხის ხელშეკრულება ითვალისწინებდა ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში იპოთეკით დატვირთული ქონების პირდაპირ საკუთრებაში გადაცემას. მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟ «მ-ის» 2009 წლის 9 თებერვლის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, ... ქუჩა №65-ში არსებული უძრავი ქონება გადავიდა ვ. რ-ის საკუთრებაში.

პალატამ ასევე დადგინდა მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ქ. მ-ი წარმოადგენდა უძრავი ქონების, მდებარე: თბილისში, ... ქუჩა №65-ში მესაკუთრეს. აღებული სასესხო ვალდებულებების გამო ქ. მ-ის კუთვნილი უძრავი ქონება რამოდენიმეჯერ დაიტვირთა იპოთეკით, შემდეგი რიგითობით: I რიგის იპოთეკარი – ვ. რ-ი; II რიგის იპოთეკარი – ე. ფ-ი; III რიგის იპოთეკარი – ბ. კ-მე; IV რიგის იპოთეკარი – ქ. ბ-მე; V რიგის იპოთეკარი – ფ. მ-ი. ამდენად, მოსარჩელე (აპელანტი) ფ. მ-ი მესაკუთრე ქ. მ-ის მიმართ წარმოადგენდა მეხუთე რიგის იპოთეკარს. მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟ «მ-ის» 09.02.2009 წლის გადაწყვეტილებით პრეტენდენტ ვ. რ-ის პრეტენზია ქ. მ-ის მიმართ დაკმაყოფილდა სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის 1-ელი ნაწილის საფუძველზე და მის საკუთრებაში გადავიდა მოპასუხე ქ. მ-ის კუთვნილი იპოთეკით დატვირთული თბილისში, ... ქ. №65-ში მდებარე უძრავი ქონება. ვ. რ-ი აღირიცხა სადავო უძრავი ქონების მესაკუთრედ. საჯარო რეეტრში რეგისტრირებული დარჩა ვ. რ-ის იპოთეკის შემდგომ რეგისტრირებული იპოთეკები. მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟი «მ-ის» 12.02.2009 წლის დამატებითი გადაწყვეტილებით გაუქმდა ყველა იპოთეკა და სხვა სახიფათო უფლება, რომელიც თბილისში, ... ქ. №65-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მიმართ წარმოიშვა 29.09.2008 წელს, ანუ ვ. რ-ის მიერ თავისი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად იმ დროს ქ. მ-ის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლის იპოთეკით დატვირთვის შემდეგ. მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟი «მ-ის» 16.03.2009 წლის განჩინებით შეტანილი იქნა ცვლილება 12.02.2009 წლის დამატებით გადაწყვეტილებაში და აღდგენილ იქნა ფ. მ-ის იპოთეკა თბილისში, ... ქუჩა №65-ში მდებარე, აშუამდ უკვე ვ. რ-ის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლზე. ამდენად, აღდგა მხოლოდ მეხუთე რიგის იპოთეკარი, რომელიც სარჩელით ითხოვს უძრავი ქონების რეალიზაციას შპს იურიდიული კომპანია «ბ-ის» საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის 16.02.2009 წლის გადაწყვეტილებით ქ. მ-ისათვის დაკისრებული თანხის მიღების მიზნით. სამოქალაქო კოდექსის 268-ე, 290-ე, 300-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ფ. მ-ის სარჩელი, რაც სრულად გაიზიარა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ფ. მ-მა და მიუთითა შემდეგი: სასამართლომ უტყუარ ფაქტობრივ გარემოებად ცნო, ის ფაქტი, რომ ფ. მ-ის სესხი ქ. მ-ის მიმართ უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით, მდებარე თბილისში, ... ქუჩა №65-ში, ასევე ის ფაქტი, რომ აღნიშნული ქონების მესაკუთრეს დღეს წარმოადგენს ვ. რ-ი. სასამართლო ასევე დადგენილად მიიჩნევს, რომ ვ. რ-ი არის პირველი რიგის იპოთეკარი, რაც ურთიერთგამომრიცხავია და ეწინააღმდეგება ქვეყნის კონსტიტუციის და ობიექტურად არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს, რამდენადაც საქმეში წარმოდგენილია ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რაც უტყუარად ადასტურებს ფ. მ-ის იპოთეკისა და ვ. რ-ის საკუთრების უფლებას აღნიშნულ ქონებაზე.

სასამართლო გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძველად უთითებს სამოქალაქო კოდექსის 300-ე მუხლს, შესაბამისად, გამარტივებულია იპოთეკარის სამართლებრივი მდგომარეობა, ვინაიდან, მისი მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის გზით, რაც შეიძლება განხორციელდეს საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრული შეთანხმების საფუძველზე. სასამართლო აღნიშნავს, რომ სწორედ ამდაგვარი შეთანხმების საფუძველზე გახდა ვ. რ-ი ქ. მ-ის კუთვნილი ქონების მესაკუთრე. განსახილველ შემთხვევაში ვ. რ-ს მისი მოთხოვნა უძრავი ქონების რეალიზაციით რომ დაეკმაყოფილებინა, ბუნებრივია, ეს არ გამოიციხავდა ფ. მ-ის, როგორც მომდევნო რიგის იპოთეკარის დაკმაყოფილებასაც, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსი და კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ არ გამოიციხავს რამოდენიმე კრედიტორის დაკმაყოფილებას მათი რიგითობის მიხედვით. კასატორი არ იზიარებს სასამართლოს მსჯელობას, რომ მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში აუქციონის ჩატარება გამოიწვევს საწინააღმდეგო შედეგს, ვინაიდან ნივთის რეალიზაციის შემდეგ შესაძლებელია პირველი რიგის იპოთეკარი დაუკმაყოფილებელი დარჩეს, თუმცა ფაქტია, რომ ვ. რ-მა, თავად იტვირთა რისკი რასაც იპოთეკით დატვირთული ქონების საკუთრებაში მიღებას მოსდევს, მანვე განკარგა თავისი უფლება, მოთხოვნა დაკმაყოფილებულიყო ქონების იძულებითი რეალიზაციით, თუ სამოქალაქო კოდექსის 300-ე მუხლის შესაბამისად, საკუთრებაში მიღებით.

2011 წლის 15 სექტემბერს ფ. მ-ის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად გამართულ სასამართლო სხდომაზე მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

ვ. რ-ი კისრულობს ვალდებულებას 2012 წლის 1 მაისამდე გადაუხადოს ფ. მ-ს 12000 ევრო.

ფ. ძ-ი კისრულობს ვალდებულებას **12000** ევროს ვ. რ-ის მიერ გადახდის შემდეგ ორი დღის ვადაში გააუქმოს იპოთეკა და ყადაღა ვ. რ-ის საკუთრებაში არსებულ ბინაზე მდებარე ქ.თბილისში ... ქუჩა №65-ში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, მიიჩნევს, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის 1-ელი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელშეკრულად მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ვ. რ-ის წარმომადგენელ ი. ჯ-ის და ფ. ძ-ის შუამდგომლობა მორიგების თაობაზე დაკმაყოფილდეს. დამტკიცდეს მორიგება ვ. რ-სა და ფ. ძ-ს შორის შემდეგი პირობით:

1. ვ. რ-ი კისრულობს ვალდებულებას **2012** წლის 1 მაისამდე გადაუხადოს ფ. ძ-ს **12000** ევრო.

2. ფ. ძ-ი კისრულობს ვალდებულებას **12000** ევროს ვ. რ-ის მიერ გადახდის შემდეგ ორი დღის ვადაში გააუქმოს იპოთეკა და ყადაღა ვ. რ-ის საკუთრებაში არსებულ ბინაზე მდებარე ქ.თბილისში ... ქუჩა №65-ში.

შეწყდეს საქმის წარმოება ფ. ძ-სა და ვ. რ-ს შორის იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის შესახებ.

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონიმიება ყადაღა დარჩეს ძალაში, მორიგების პირობების შესრულებამდე (ვ. რ-ის მიერ ფ. ძ-ის სასარგებლოდ **12000** ევროს გადახდამდე).

ფ. ძ-ს დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი **300** ლარი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

№ას-983-1017-2011

4 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ქათამაძე,

ბ. ალავიძე

დავის საგანი: ხელშეკრულების ბათილად ცნობა და მესაკუთრედ აღრიცხვა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. გ-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეების ნ. ბ-ს, ნ. ს-ასა და დ. თ-ის მიმართ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და მესაკუთრედ აღრიცხვის მოთხოვნით შემდეგი დასაბუთებით: დ. თ-მა **2008** წლის **8** ივლისს მოტყუებით ხელი მოაწერინა მინდობილობაზე, რომლის საფუძველზე დ. თ-მა **2008** წლის **12** აგვისტოს და **2008** წლის **10** ივლისს მ. გ-ას სახელით გააფორმა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებები. მინდობილობა და ხელშეკრულებები ბათილია, რადგან დადებულია მოტყუებით და მხარეთა ნების გამოხატვის გარეშე.

მოპასუხე ნ. ბ-მა და ნ. ს-ამ სარჩელი არ ცნეს შემდეგი საფუძველებით: სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება გააფორმდა სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, მ. გ-ა არავის მოუტყუებია და არ არსებობს მითითებული ხელშეკრულებების ბათილად ცნობის კანონით გათვალისწინებული საფუძველები.

მოპასუხე დ. თ-მა სარჩელი ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს **2010** წლის **3** ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. გ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი **2008** წლის **8** ივლისის მინდობილობა, ბათილად იქნა ცნობილი მ. გ-ას, ნ. ს-ასა და ნ.

ბ-ს შორის დადებული 2008 წლის 10 ივლისის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, ბათილად იქნა ცნობილი მ. გ-ასა და ნ. ბ-ს შორის 2008 წლის 12 აგვისტოს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება. გათავისუფლდა ნ. ს-ასა და ნ. ბ-ის იპოთეკისგან მ. გ-ას საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, ... ქუჩა №215-ში, №2 კორპუსში მდებარე №7 ბინა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ბ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით ნ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება, მ. გ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მ. გ-ას ნ. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 2846,40 ლარის გადახდა. პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: მ. გ-ამ 2008 წლის 8 ივლისს გასცა მინდობილობა დ. თ-ის სახელზე, მასზე, რომ დ. თ-ს უფლება ჰქონდა, მ. გ-ას სახელით დაედო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება და მისი სახელით განეხორციელებინა კანონით ნებადართული ყველა ქმედება. მ. გ-ა თავად გამოცხადდა ნოტარიუს მ. ბ-შვილთან და თავადვე მოაწერა ხელი აღნიშნულ მინდობილობას. მ. გ-ას დ. თ-ის სახელზე მინდობილობის გაცემის დროს ჰქონდა შესაძლებლობა იმისა, რომ გარიგების შინაარსს გასცნობოდა. მ. გ-ა არის ქმედუნარიანი პირი. მ. გ-ა დოკუმენტზე ხელის მოწერის დროს იცნობდა დოკუმენტის შინაარსს, საწინააღმდეგოს დაშვების შემთხვევაში კი, არსებობს პრეზუმფცია იმისა, რომ მ. გ-ა უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებდა დ. თ-ისადმი ნდობის არსებობის გამო. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 26 იანვრის განაჩენთან დაკავშირებით პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულია ქმედების შეფასებისა და აღნიშნული ქმედების თანმდევი შედეგების მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლები, შესაბამისად, მართლსაწინააღმდეგო ქმედების შეფასების კრიტერიუმები თავისი თანმდევი შედეგებით სამოქალაქო სამართალწარმოებაში ინდივიდუალურია, რაც იმას ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის წესით დადგენილი მოტყუების ფაქტი შეიძლება სამოქალაქო წესით არ წარმოადგენდეს ისეთ ქმედებას, რომელიც გარიგების ბათილობას იწვევს. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 26 იანვრის კანონიერ ძალაში შესული განაჩენი დადასტურებული იქნა დ. თ-ის მიერ მ. გ-ას მოტყუების ფაქტი, რაც თავისთავად არ იძლევა მოტყუების საფუძველზე გარიგების ბათილად მიჩნევის საფუძველს, ვინაიდან გარიგების ბათილობა სამოქალაქო სამართლებრივ კონტექსტში შეფასებული კატეგორიაა და მარტოდენ მოტყუების ფაქტი საკმარისი არ არის გარიგების ბათილობისათვის.

სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად პალატამ განმარტა, რომ მარტოდენ ნების არსებობა არ იწვევს გარიგების დადებას, აუცილებელია, რომ ნება გამოვლენილ იქნას, გარდა ამისა, ნება მიმართული უნდა იყოს სამართლებრივ შედეგის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. აღსანიშნავია, რომ ნება შინაგანი სუბიექტური კატეგორიაა და იგი სამართლებრივ შედეგებს იწვევს მხოლოდ მისი გარეგანი გამოხატვის შედეგად, რაც იმას ნიშნავს, რომ სამართლებრივი შედეგისადმი მიმართული ნება იურიდიულად ქმედითი ხდება მისი გამოვლენის შემდეგ. ნების გამოვლენის ფორმებს უაღრესად დიდი პრაქტიკული დატვირთვა გააჩნია გარიგებებში, ვინაიდან გამოხატული ნებისადმი არსებობს კონტრაქტის მიერ გამოვლენილი ნდობის დაცვის ღირსი ინტერესი, ამიტომ მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული პირის მტკიცება, რომ მას ის ნება არ ჰქონდა, რომელიც გამოხატა, თუ მისი ნების გარეგანი გამოხატულებით მეორე მხარემ კეთილსინდისიერად ირწმუნა, რომ იგი უფლებებით აღიჭურვა. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ ნების გამოხატვა, რომელიც გარკვეული სამართლებრივი შედეგების დადგომისაკენ არის მიმართული დაკავშირებულია არამხოლოდ უფლებების, არამედ მოვალეობების წარმოშობასთან, შესაბამისად, საწინააღმდეგოს დადასტურებამდე ივარაუდება, რომ პირის მიერ გამოვლენილი ნება შეესაბამება მის ნამდვილ ნებას. აღნიშნული პრეზუმფცია ქარწყლდება, თუ დადასტურდება, რომ ნება გამოვლენილ იქნა ისეთ პირობებში, რომელიც გამოვლენილი ნების ნამდვილი ნებისადმი შესაბამისობას გამორიცხავს, მაგალითად, პირის ქმედუნარიობა, სულიერი აშლილობა, ფსიქიკური, ფიზიკური იძულება, მოტყუება, ძილში, ჰიპნოზურ მდგომარეობაში გამოხატული ნება და ა.შ. ეს ისეთი გარემოებებია, როდესაც პირი მოკლებულია შესაძლებლობას მართოს ნების გამოხატვის ფორმები. ეს ის შემთხვევებია, როდესაც პირს შეუძლებელი აქვს ე.წ. «მოქმედების ნება», ანუ ასეთ ვითარებაში იგულისხმება, რომ დაუძლეველ გარემოებათა გამო პირი იმ ნებას გამოხატავს, რომელიც მის ნებას არ შეესაბამება (ძილი, ჰიპნოზის მდგომარეობა, სულიერი ავადმყოფობა და ა.შ.) ან პირი გამოხატავს სხვა პირის და არა თავის რეალურ ნებას (მოტყუება, იძულება და ა.შ.). ასეთ შემთხვევებში, ნების გამოვლენი, რაღა თქმა უნდა, დაცული უნდა იყოს გამოვლენილი არანამდვილი ნების თანმდევი შედეგებისაგან. მოცემულ შემთხვევაში, მ. გ-ა გამოვლენილი ნების არანამდვილობაზე აპელირებს იმის გამო, რომ მას დ. თ-თან ზეპირ-სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე სხვა გარიგება უნდა დაედო, რეალურად კი დ. თ-მა სხვა შინაარსის გარიგებაზე მოაწერინა ხელი. მოსარჩელის, მოცემულ შემთხვევაში, მოწინააღმდეგე მხარე მ. გ-ას განმარტებით, მან დოკუმენტს ისე მოაწერა ხელი, რომ არ გაეცნო მის შინაარსს დ. თ-ისადმი ნდობის გამო. აღნიშნული ფაქტობრივი მდგომარეობის სამართლებრივი კვალიფიკაციის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია იმ ფაქტი დადგენა, თუ რა სახის მოტყუება წარმოადგენს გარიგების ბათილობისა და მისი ყველა თანმდევი შედეგის ანულისების საფუძველს.

სამოქალაქო კოდექსის 81-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, პალატამ განმარტა, რომ მ. გ-ას ჰქონდა დოკუმენტში აღწერილი და მის მიერ გამოსავლენი ნების შეცნობის ობიექტური შესაძლებლობა. რაც შეეხება მოტყუებასა და მოტყუების საფუძველზე არანამდვილი ნების გამოვლენას, მოტყუების დროს პირს შექმნილი უნდა ჰქონდეს ისეთი ობიექტური ვითარება, რომელიც ხელს შეუშლის ნების გამოვლენს ნამდვილი ანუ მისთვის სასურველი ნების გამოვლენაში, შესაბამისად, მოტყუების ფაქტი იმდენად თვალსაჩინო და აშკარა უნდა იყოს, რომ ნებისმიერი საშუალო განვითარებისა და აზროვნების ადამიანის მოტყუება უნდა იყოს შესაძლებელი. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან, მ. გ-ამ იმ დოკუმენტს მოაწერა ხელი, რომელშიც აღწერილი იყო მის მიერ გამოსავლენი ნების შინაარსი, რის შესახებაც, მისი განმარტებით, ინფორმირებული არ იყო, ვერ განიხილება დ. თ-ის მიერ მ. გ-ას მოტ-

ყუბად გარიგების შინაარსში. სამოქალაქო კოდექსი კი ითვალისწინებს გარიგების ბათილობას იმ შემთხვევაში, როდესაც არანამდვილი ნების ფორმირება მოტყუების საფუძველზე განხორციელდა და არა ნდობით გამოწვეული უხეში გაუფრთხილებლობის გამო, რაც გამოიხატება ნების გამომვლენის მიერ დოკუმენტის ხელმოწერაში მისი შინაარსის გაცნობის გარეშე.

სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, პალატამ ასევე აღნიშნა, რომ მ. გ-ამ ხელი მოაწერა მინდობილობას, რომლითაც იგი დ. თ-ს ანიჭებდა უფლებას, მისი სახელით დაედო გარიგებები, მათ შორის, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებები. აღნიშნული მინდობილობა წარმოადგენდა მესამე პირებისათვის კანონიერი ნდობის შექმნის საფუძველს. მესამე პირი, რომელიც დ. თ-თან დებს გარიგებას, ენდობა ხელმოწერილ, ნოტარიულად დამოწმებული გარიგების შინაარსს. ივარაუდება, რომ ხელმოწერილ და ნოტარიულად დამოწმებულ დოკუმენტში ნების გამომვლენი აცნობიერებდა გამოვლენილ ნებას, რაც იმას ნიშნავს, რომ იცნობდა დოკუმენტის შინაარსს და, თუ მ. გ-ა არ იცნობდა დოკუმენტის შინაარსს და ისე მოაწერა ხელი, აღნიშნული მ. გ-ას სამოქალაქო სამართლებრივი რისკია და არა ნ. ბ-ის. მოცემულ სამართალურ თეორიაში წინ იწევს კონტრაქტის ნდობის დაცვა, შესაბამისად, არ უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, რომ ნების გამომვლენმა ისე მოაწერა დოკუმენტს ხელი, რომ არ იცნობდა მის შინაარსს, ვინაიდან გასათვალისწინებელია, რომ მესამე პირისათვის, მოცემულ შემთხვევაში, ნ. ბ-ისათვის მ. გ-ას ნების გარეგანი გამოხატულებით შეიქმნა კეთილსინდისიერი რწმენის საფუძველი, რომ მ. გ-ა უფლებას ანიჭებდა დ. თ-ს, დაედო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებები.

პალატამ მიიჩნია, რომ დ. თ-მა ბოროტად ისარგებლა მ. გ-ას ნდობით, აიღო დიდი რაოდენობით სესხი, არ დააბრუნა სესხის სახით მიღებული თანხა, რაც მ. გ-ა არასასურველ შედეგებამდე მიიყვანა. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება, რაღა თქმა უნდა, მ. გ-ას წარმოუშობს შეცილების საფუძველს, თუმცა არა ნ. ბ-ისა და ნ. ს-ას მიმართ, რომლებიც, მოცემულ შემთხვევაში, გამოვლენილი ნების ნამდვილობას ენდნენ, არამედ დ. თ-ის მიმართ, რომელმაც ბოროტად ისარგებლა მ. გ-ას მიერ გამოვლენილი ნდობით.

პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ დ. თ-ის აღიარება, სარჩელის ცნობა, მიჩნეულ უნდა იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლით გათვალისწინებულ აღიარებად, რაც სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს წარმოადგენს. აღნიშნულთან დაკავშირებით პალატამ განმარტა, რომ მითითებული ნორმით გათვალისწინებული ფაქტის აღიარება სამოქალაქო საპროცესო სამართლით უტყუარ მტკიცებულებად მიჩნეული, რადგან იგი ფაქტის აღიარების ინტერესების საწინააღმდეგოდ და მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ არის განხორციელებული, შესაბამისად, დავის პროცესში აღიარებული ფაქტი სასამართლომ უნდა ამორიცხოს დავის საგნიდან და, როგორც უდავო ფაქტი, მტკიცებას არ საჭიროებს. ფაქტის აღიარების ასეთ მტკიცებულებად შეფასება ემყარება რწმენას, რომ იგი ნამდვილად არსებობს და თვით ის მხარეც არ ხდის სადავოდ, რომელსაც ამ და სხვა ფაქტების საფუძველზე მეორე მხარის უფლებების დარღვევაში ედავებოდა. ამასთან, აღიარების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლით გათვალისწინებულ ამა თუ იმ ფაქტის უტყუარად დამდგენ და უდავო მტკიცებულებად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ იგი იმ მხარემ განახორციელოს, რომელთან მიმართაც შემდგომში იქნება გამოყენებული და რომელსაც აკისრია აღნიშნული ქმედებისათვის პასუხისმგებლობა. მოცემულ შემთხვევაში, დ. თ-ის აღიარების საფუძველზე, დ. თ-ის მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო, მ. გ-ას წინაშე მატერიალურად პასუხისმგებელი პირები აღმოაჩნდნენ ნ. ბ-ი და ნ. ს-ა, ვინაიდან აღნიშნული ხელშეკრულებების ბათილობით მათ გასესხებული თანხის დაბრუნების რეალური შესაძლებლობა მოეპოვა. პალატამ აღნიშნა, რომ აღიარება მხოლოდ მაშინ წარმოადგენს სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს, როდესაც სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში პასუხისმგებლობა აღიარებულს ეკისრება.

მოტყუებით დადებული გარიგების შეცილების მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნია აპელანტის მოსაზრება და, სამოქალაქო კოდექსის 84-ე მუხლის თანახმად, აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, აპელანტების მიერ სარწმუნოდ არ იქნა დადასტურებული შეცილების ვადის ათვლის წერტილი ანუ გარემოება, თუ როდის გახდა მ. გ-ასათვის შეცილების საფუძველი ცნობილი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გასაჩივრა მ. გ-ამ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება შემდეგი დასაბუთებით: სასამართლოს მიერ დადგენილ იქნა, რომ მ. გ-ას მიერ გაცემულ იქნა მინდობილობა დ. თ-ის სახელზე სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დადების მიზნით. აღნიშნული მინდობილობის მიხედვით მ. გ-ამ დ. თ-ს მიანიჭა შემდეგი სახის უფლებამოსილება: «მოახდინოს ჩემს მაგივრად სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დადება [გაყიდვის ნებართვის გარეშე]» ანუ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებები უნდა გაფორმებულიყო მისი სახელით, კონკრეტულ შემთხვევაში, იმის გამო რომ დ. თ-ს არ ჰქონდა სესხის თანხის მიღების უფლება, კონტრაქტს არ შეუძლია მიუთითოს მის კეთილსინდისიერებაზე, მიუხედავად იმისა, აღნიშნული გარიგება ამ ფორმით დაიდებოდა მოტყუების გარეშე, აღნიშნული დავალება არ გულისხმობს სესხის თანხის მიღების უფლებას და შემოიფარგლება მხოლოდ პროცედურული საკითხების მინდობით, რადგან მხარის მიერ გასხვისებაზე ნებართვის მიუცემლობით მინდობილ პირს მოესპო უფლებამოსილება ქონების განკარგვაზე, რითაც დავალების მიმცემმა გამოხატა შეზღუდული ნდობა ამ პირის მიმართ, რის გამოც კონტრაქტს არ შეიძლება დაეფუძნოს, რომ მარწმუნებელმა წარმომადგენელს თანხის მიღების უფლება მისცა. ამასთან, აღნიშნული უფლებამოსილების შესახებ დავალებაში არც არის ნახსენები. აღნიშნულის გამო, 2005 წლის 22 დეკემბრის „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის» 24-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად ნოტარიუსს ეკრძალებოდა სადავო აქტების დამოწმება და შესაბამისად კონტრაქტის ნდობა გარიგების მიმართ არამართლზომიერია. დ. თ-ი გასცდა უფლებამოსილების ფარგლებს, რაც იმთავითვე ცნობილი იყო კონტრაქტისთვის, ამასთან, მინდობილობის ტექსტის თანახმად, არაორაზროვნად იყო მითითებული, რომ მარწმუნებელს ერთჯერადად შეეძლო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ასევე ხელშეკრულების დადება. მინდობილობაში არსად

ეწერა დ. თ-ის მიერ თანხის მიღების უფლებამოსილების შესახებ, რის გამოც კონტრაქტს არ უნდა შექმნოდა ვა-რაუდი წარმოდგენილი პირის ნების მიღებისა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორს არ გამოუვლენია ნება ცალკე სესხის ხელშეკრულების დადებასა და მით უმეტეს უძრავი ქონების სხვა პირთა სასარგებლოდ დატვირთვის შესახებ. 2008 წლის 8 ივლისის მინდობილობა დადებულია მოტყუებით, კანონით დადგენილი წესებისა და ნორმების დარღვევით. აღნიშნული დავალუბის ხელშეკრულება ბათილია სამოქალაქო კოდექსის 54-ე და 81-ე მუხლების დარღვევით, ხოლო არარსებული უფლების საფუძველზე დადებულ გარიგებებს არ შეიძლება სამართლებრივი შედეგი მოჰყვეს. სასამართლო გასცდა სააპელაციო მოთხოვნის ფარგლებს და გასაჩივრებული გადაწყვეტილება გააუქმა ნ. ს-ას ნაწილშიც, რომელიც კანონიერ ძალაში იყო შესული.

2011 წლის 4 ოქტომბერს მ. გ-ას საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად გამართულ სასამართლო სხდომაზე მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

1. მ. გ-ა კისრულობს ვალდებულებას ოთხი თვის ვადაში ანუ 2012 წლის 4 თებერვლის ჩათვლით ნ. ბ-ს გადაუხადოს 27500 აშშ დოლარი.

2. ნ. ბ-ი კისრულობს ვალდებულებას თანხის მიღების შემდეგ 3 დღის ვადაში გააუქმოს იპოთეკა მ. გ-ას საკუთრებაში არსებულ ბინაზე მდებარე ქ.თბილისში ნ-ის ქუჩა №215-ში, კორპუსი №2, ბინა №7-ი.

3. მ. გ-ას მიერ დათქმულ ვადაში თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში იძულებით აღსასრულებლად მიექცეს მ. გ-ას იპოთეკით დატვირთულ ბინა, თანხის 40000 აშშ დოლარის ნ. ბ-ის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, მიიჩნევს, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის 1-ელი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მ. გ-ას და ნ. ბ-ის შუამდგომლობა მორიგების თაობაზე დაკმაყოფილდეს;

დამტკიცდეს მორიგება მ. გ-ას და ნ. ბ-ს შორის შემდეგი პირობებით:

1. მ. გ-ა კისრულობს ვალდებულებას ოთხი თვის ვადაში ანუ 2012 წლის 4 თებერვლის ჩათვლით ნ. ბ-ს გადაუხადოს 27500 აშშ დოლარი.

2. ნ. ბ-ი კისრულობს ვალდებულებას თანხის მიღების შემდეგ 3 დღის ვადაში გააუქმოს იპოთეკა მ. გ-ას საკუთრებაში არსებულ ბინაზე მდებარე ქ.თბილისში ... ქუჩა №215-ში, კორპუსი №2, ბინა №7.

3. მ. გ-ას მიერ დათქმულ ვადაში თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში იძულებით აღსასრულებლად მიექცეს მ. გ-ას იპოთეკით დატვირთული ბინა, თანხის 40000 აშშ დოლარის ნ. ბ-ის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით.

შეწყდეს საქმის წარმოება მ. გ-ას სარჩელისა გამო ნ. ბ-ს მიმართ 2008 წლის 10 ივლისსა და 2008 წლის 12 აგვისტოს დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში.

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები მ. გ-ას სარჩელისა გამო ნ. ბ-ის მიმართ 2008 წლის 10 ივლისსა და 2008 წლის 12 აგვისტოს დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე.

მ. გ-ას დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 3831 ლარი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

№ას-828-880-2011

11 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ქათამაძე,

ბ. ალაგვიძე

დავის საგანი: საცხოვრებელი სადგომის საკუთრებაში გადაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

ზ. ე-ემ და ა. დ-ემ სარჩელი აღძრეს სასამართლოში თ. ლ-ის მიმართ საცხოვრებელი სადგომის საკუთრებაში გადაცემის შესახებ შემდეგი დასაბუთებით: დ. ე-ემ 1972 წელს თბილისში, ... ქ. №9-ში იყიდა 2 ოთახი და მეპატრონე ლ-ეს გადაუხადა 45000 მანეთი. აღნიშნულზე არ არსებობს წერილობითი საბუთი.

დღეისათვის ბინაში რეგისტრირებულნი არიან ზ. ე-ე და ა. დ-ი. იხდიან კომუნალურ გადასახადებსაც. ამ ფართის მესაკუთრე თავს იკავებს მოსარგებლეებთან ურთიერთობის დარეგულირებაზე. ისინი თანახმა არიან გადაუხადონ დაკავებული 73,57 კვ.მ ფართის ღირებულების 25%-ს, რაც შეადგენს 27 325 ლარს.

მოპასუხე თ. ლ-ემ სარჩელი არ ცნო შემდეგი საფუძვლებით: საქმის მასალებით არ დასტურდება მესაკუთრესა და მოსარჩელებს შორის გარიგების არსებობა, არ არის წარმოდგენილი კომუნალური გადასახადების ქვითრები, ასევე გაურკვეველია მხარეების რეგისტრაციის საკითხი და სადგომის შეფასების შესახებ დასკვნაც არ არის დასამუშავები. მოპასუხის წარმომადგენელმა სასამართლო სხდომაზე მოითხოვა საქმეზე მიღებულიყო შუალედური (წინასწარი) გადაწყვეტილება, რითაც დადგინდებოდა ფაქტობრივი გარემოება, იყვნენ თუ მოსარჩელები მოსარგებლეები, რის შემდეგაც მიეცემოდა მესაკუთრეს კანონით მისთვის მინიჭებული უფლების რეალიზაციის შესაძლებლობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილებით ა. დ-ისა და ზ. ე-ის სარჩელი სადგომზე მესაკუთრედ ცნობის შესახებ დაკმაყოფილდა; მოსარჩელები ცნობილ იქნენ ქ. თბილისში, ... №6/გ-ის ქ. №9-ში მდებარე, თ. ლ-ის საკუთრებად რიცხული №1, №2 და №3 შენობა-ნაგებობების (საერთო სასარგებლო 446.76 კვ.მ ფართიდან მათ შორის, საცხოვრებელი 353.07 კვ.მ) 2/3 ნაწილიდან 73,57 კვ.მ-ის (მათ შორის საცხოვრებელი 53.77 კვ.მ-ის) მესაკუთრეებად; მოსარჩელებს მოპასუხე თ. ლ-ის სასარგებლოდ დაეკისრათ სადგომის საბაზრო ღირებულების 109 300 ლარის 25%-ის – 27 325 ლარის გადახდა;

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ლ-ემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 მარტის განჩინებით თ. ლ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად. პალატამ დადგინილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ქ. თბილისში ... №6/-სა გ-ის ქ. №9-ში მდებარე №1, №2 და №3 შენობა-ნაგებობები საერთო სასარგებლო ფართით 446.76 კვ.მ-ის (მათ შორის საცხოვრებელი ფართი 353.07) 2/3 ნაწილის მესაკუთრეა თ. ლ-ე. სასამართლო ექსპერტის ეროვნული ბიუროს ექსპერტის დასკვნით დადგინილია, რომ ა. დ-ის მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი სადგომის საერთო ფართი დღეის მდგომარეობით შეადგენს 43.35 კვ.მ-ს ზ. ე-ის საცხოვრებელი სადგომის საერთო ფართი კი შეადგენს 34.04 კვ.მ-ს; საინვენტარიზაციო გეგმაზე ა. დ-ის საცხოვრებელი სადგომი წარმოადგენს №22 ოთახს და მის წინ მდებარე ფართს, ხოლო ზ. ე-ის საცხოვრებელი სადგომი წარმოადგენს საინვენტარიზაციო გეგმაზე №37 ოთახს და მის წინ მდებარე ფართს, აგრეთვე კიბის ქვეშ არსებულ საპირფარეშოს. საქმეში წარმოდგენილ საკადასტრო გეგმაზე ა. დ-ის საცხოვრებელი სადგომი მდებარეობს საკადასტრო გეგმაზე №2 შენობაში პირველ სართულზე. ზ. ე-ის საცხოვრებელი სადგომი საკადასტრო გეგმაზე მდებარეობს №2 შენობაში მეორე სართულზე. საბინაო წიგნის ასლისა და სამისამართო ბიუროს ცნობის შესაბამისად, დადასტურებულია, რომ ა. დ-ე თბილისში, გ-ის ქ. №9-ში რეგისტრირებულია 24.02.1986 წლიდან საბინაო წიგნის მიხედვით ზ. ე-ე გ-ის ქ. №7/9-ში რეგისტრირებულია 6.09.90 წელს. სამისამართო ბიუროს 2010 წლის 18 იანვრის ცნობით დასტურდება, რომ ზ. დანიელისძე ე-ე თბილისში, გ-ის ქ. №7/9-ში რეგისტრირებულია 06.12.1995 წლიდან. აღნიშნულ მისამართზე ზ. ე-ე სულ მცირე 1995 წლიდან არის რეგისტრირებული ოფიციალურ ორგანოში საქმეში წარმოდგენილი სს «თელასის» 2010 წლის 29 იანვრის ცნობით დადგენილია, რომ თბილისში, გ-ის ქ. №9-ში 1996 წლიდან აბონენტად რეგისტრირებულია ე-ე სააბონენტო ნომრით 1619341. 1996 წლამდე ინფორმაცია ხანდაზმულობის გამო, კომპანიაში არ ინახება. კომუნალური გადასახადების ქვითრებით ასევე დასტურდება, რომ გ-ის ქ. №9/7-ში აბონენტად რეგისტრირებულია ზ. ე-ე სააბონენტო ნომრით 1619387. დადგენილია, რომ ბ. ვ-ძე და ა. დ-ძე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან 17.06.1980 წლიდან. საქმეში წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაფიქსირებულია სხვადასხვა მისამართები, კერძოდ: კომუნალური გადახდის ქვითრებზე მითითებულია გ-ის 9/7, გ-ის №9, საინფორმაციო-სამისამართო ბიუროს ცნობაში მითითებულია გ-ის ქ. №9, გ-ის ქ. №7/9. 2010 წლის 21 იანვარს «ქალაქცნობის» დირექტორის მიერ გაცემული ცნობის მიხედვით თბილისში, გ-ის ქ. №9-ში მდებარეობს რამდენიმე სახლი, რომელთაგან ერთია გ-ის ქ. №7/9-ში, ვინაიდან №9 და №7 ეზოები გაერთიანებულია. საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, სადავო სადგომი მდებარეობს ქ. თბილისში, მ. ლ-ის №6/გ-ის ქ. №9-ში. ექსპერტის დასკვნის შესაბამისად, დადგენილია, რომ მოსარჩელები ფლობენ ქ. თბილისში, მ. ლ-ის №6/-სა და გ-ის ქ. №9-ში მდებარე შენობა-ნაგებობებაში მდებარე საცხოვრებელ და

დამხმარე ფართს. 1987 წლის 22 ივლისის სახლის საკუთრებისა და სარგებლობის ხელშეკრულებით დადასტურებულია, რომ ო. ა-ს ასული ლ-ის საკუთრებაში არსებული მთელი საცხოვრებელი სახლის 2/3 წი ფართით 23.69 და 27.81 კვ.მ №22 ოთახი, თავისი მინაშენით. 2006 წლის 17 იანვრის სამკვიდრო მოწმობით დადგენილია, რომ 1942 წლის 6 თებერვალს გარდაცვლილი ო. ა-ს ასული ლ-ის სამკვიდრო ქონებაზე მემკვიდრედ ცნობილი იქნა თ. ლ-ე. მოსარჩელები ფლობენ თ. ლ-ის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სადგომს. კერძოდ, ექსპერტის დასკვნის შესაბამისად, ა. დ-ე №2 შენობაში პირველ სართულზე მდებარე 43.35 კვ.მ-ს. ზ. ე-ე - №2 შენობაში მეორე სართულზე მდებარე 34.04 კვ.მ-ს. 2009 წლის 20 ნოემბრის აუდიტორული დასკვნის თანახმად, თბილისში გ-ის ქ. №9-ში მდებარე 36,92 კვ.მ ფართი (ოთახი 27,54 კვ.მ, სამზარეულო 6.26 კვ.მ, შესასვლელი 3.12 კვ.მ, აბაზანა-ტუალეტი 3.84 კვ.მ), რომელიც მდებარეობს პირველ სართულზე, შეფასებულია 58 900 ლარად. ამავე თარიღის მეორე დასკვნით შეფასებულია ამავე მისამართზე მდებარე, მეორე სართულზე არსებული მეორე ფართი 36.65 კვ.მ (ოთახი 26.23 კვ.მ, შუშაბანდი 7.42 კვ.მ, აბაზანა-ტუალეტი 3.0 კვ.მ), რომლის ღირებულებაც 50 400 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა წარმოშობილია «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» კანონის საფუძველზე. პალატამ განმარტა, რომ აღნიშნული კანონი არეგულირებს ისეთ ურთიერთობებს, რომლის მარეგულირებელ მექანიზმს არ იცნობდა 1996 წლამდე არსებული კანონმდებლობა. აღნიშნული დანაწესი უთითებს ისეთ ურთიერთობებზე, რომლის თანახმად მესაკუთრე ტოვებდა ნივთს (დათმობა) მოსარგებლის სასარგებლოდ. ასეთ შემთხვევაში, საცხოვრებელი სადგომის გადაცემა ხდებოდა მესაკუთრესთან სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადებული წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო მეორე შემთხვევაში, საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით ან ადმინისტრაციული აქტით. აღსანიშნავია, რომ საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის უფლებას ფაქტობრივად გადაეცემოდა მოსარგებლეს «სამუდამოდ», რაც ასხვავებს მას ქირავნობის ინსტიტუტისაგან.

პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს ზემოაღნიშნული ნორმის შემადგენლობით განსაზღვრული ყველა წინაპირობა. კერძოდ, დადგენილია კანონით გათვალისწინებული წესით მოსარჩელეთა რეგისტრაციის ფაქტი მითითებულ მისამართზე, ასევე ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მოსარჩელე ზ. ე-ე და ა. დ-ის მეუღლე რეგისტრირებული არიან აბონენტებად მითითებულ მისამართზე. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა და აღნიშნა, რომ დამოუკიდებელ აბონენტებად რეგისტრაცია წარმოადგენს იმ ფაქტობრივი გარემოების დადასტურებას, რომ მოსარჩელესა და მესამე პირებს შორის წარმოიშვა სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა, რომლითაც მოსარჩელებმა იკისრეს მათ მიერ მოხმარებული ელექტროენერჯისა თუ სხვა კომუნალური გადასახადების გადახდის ვალდებულება. აღნიშნული სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე, ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება მოცემული დავისათვის მნიშვნელოვან გარემოებად ვერ განიხილება. მოცემული კანონის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია ფაქტი იმის შესახებ, რომ კომუნალური გადასახადების გადახდის ვალდებულება ეკისრებათ მოსარჩელებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად გამოიყენა კანონი, «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი.

აპელანტის მოსაზრება წინასწარი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა და განმარტა, რომ წინასწარი გადაწყვეტილების გამოტანა მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლის შესახებ გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნის მოცულობის (ოდენობის) დადგენა დაკავშირებულია მრავალრიცხოვან გაანგარიშებებთან, მოთხოვნილი საგნების მოცულობის, ოდენობისა და ხარისხის განსაზღვრასთან. მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს წინასწარი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები.

წინასწარი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობების არსებობასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შემდეგი მოსაზრებები: სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 246 მუხლის 1-ელი ნაწილთან დაკავშირებით განმარტება, რომ აღნიშნული მუხლის პრაქტიკული გამოყენება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ არ იქნეს დარღვეული კანონის წინაშე მხარეთა თანასწორობის პრინციპი. კანონის მიხედვით მესაკუთრეს აქვს უპირატესი უფლება მოახდინოს მისთვის მინიჭებული უფლების რეალიზაცია და მოსთხოვოს მოსარგებლეს მფლობელობის შეწყვეტა მისი ნების გარეშე მისთვის კანონით დადგენილი თანხის (საბაზრო ღირებულების 75% ან 90%) გადახდის სანაცვლოდ, თუმცა ამისათვის უნდა მოხდეს სასამართლოში სასარჩელო მოთხოვნის წარმოდგენა, რის შემდეგაც მესაკუთრის მოთხოვნა ექვემდებარება მოსარგებლესთან შედარებით უპირატესი სახით დაკმაყოფილებას. სასამართლოს მოსაზრებით, მოცემული კატეგორიის საქმეებზე წინასწარი გადაწყვეტილების მიღება დაუშვებელია და მოდავე მხარეებს – მესაკუთრესა და მოსარგებლეს აყენებს არათანაბარ პროცესუალურ მდგომარეობაში, რადგან თუ მოხდა სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოების დადგენა წინასწარი გადაწყვეტილების მიღების შედეგად და აღიარებულ იქნა პირი მოსარგებლედ, აღნიშნულით ყოველგვარი დაბრკოლებისა და ე.წ პროცესუალური რისკის გაწევის გარეშე ექმნება მესაკუთრეს უპირობოდ დაკმაყოფილებას დაქვემდებარებული მოთხოვნის დაყენების შესაძლებლობა სარჩელით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს მოსარგებლის მფლობელობის შეწყვეტა თანხის გადახდის სანაცვლოდ. ასეთი შუალედური გადაწყვეტილების მიღებით სასამართლო მოდავე მხარეებს ჩააყენებს არათანაბარ პროცესუალურ მდგომარეობაში, რაც დაუშვებელია. ორივე მხარე თანაბრად არის ვალდებული გასწიოს გარკვეული პროცესუალური რისკი და სარჩელისა და შეგებებული სარჩელის პირობებში ამტკიცოს თავისი მოთხოვნის საფუძვლიანობა. სასამართლომ, ამასთან, განმარტა, რომ კანონით დადგენილი წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილების მიღება, პირველ ყოვლისა, სასამართლოს უფლებამოსილება და არაა მხარის ნებაზე დამოკიდებული, რაშიც მოცემულ

შემთხვევაში სასამართლო ვერ ხედავს ვერანაირ საჭიროებას და, მეორეც, მისი გამოყენება უნდა მოხდეს იმგვარ სადავო ურთიერთობებზე, როდესაც ფაქტობრივი გარემოებების დადგენის შემდეგ მხარეებს არ ექნებათ კანონის-მიერი შესაძლებლობები არსებითად შეცვალონ საქმის პროცესუალური მიმდინარეობა და გავლენა იქონიონ პროცესუალურ შედეგზე, რაც ე.წ ატსტუპნიკების დავის შემთხვევაში ადვილი შესაძლებელია და მოპასუხის წარმომადგენელიც სწორედ ამ მიზნის მისაღწევად ითხოვს შუალედური გადაწყვეტილების მიღებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. ლ-ემ და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: სასამართლოს არ შეუძლია მხოლოდ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ასახული დასკვნების გაზიარებითა და სამართლებრივი ნორმების აღწერით შემოიფარგლოს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390.3 მუხლის ამგვარი განმარტება ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის პრინციპებს და სასამართლოს, როგორც პირის ინტერესების დაცვის ეფექტური საშუალების მიზნებს.

სააპელაციო სასამართლომ, ერთი მხრივ უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ 1987 წლის 22 ივლისის სახლსაკუთრებისა და სარგებლობის ხელშეკრულებით ო. ა-ს ასული ლ-ის საკუთრებაში არსებული მთელი საცხოვრებელი სახლის 2/3 წილიდან მის რეალურ სარგებლობაში იყო სადავო №37 23,69 კვ.მ ოთახი და №22 27.81 კვ.მ ოთახი თავისი მინაშენით, 2006 წლის 17 იანვრის მოწმობით 1942 წლის 6 თებერვალს გარდაცვლილი ო. ა-ს ასული ლ-ის სამკვიდრო ქონებაზე მემკვიდრედ ცნობილ იქნა თ. ლ-ე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კი ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელები ფლობენ თ. ლ-ის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სადგომს, კერძოდ, ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით ა. დ-ე №2 შენობაში პირველ სართულზე მდებარე 43,35 კვ.მ-ს, ზ. ე-ე №2 შენობაში მეორე სართულზე მდებარე 34.04 კვ.მ-ს. ამდენად, მოცემული სადავო ფართები არ არის იდენტური. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები მოსარჩელებს სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლად სარჩელში არ მიუთითებიათ, სააპელაციო სასამართლომ საკუთარი ინიციატივით დაადგინა აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები, მრავალჯერ გადადო ყოველგვარი საფუძვლის გარეშე სასამართლო სხდომა და დანიშნა საქმეზე ექსპერტიზა, რითაც დაეხმარა მოსარჩელებს მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დადგენასა და შესაბამისი დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვებაში, სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტებაში.

კასატორის აზრით, იგი მომავალ ქონებაზე ვერ დადებდა საცხოვრებელი სადგომის დათმობის გარიგებას 70-იან წლებში დანიელ ე-ესთან, ვინაიდან საქმეზე წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერით და სამკვიდრო მოწმობით უდავოდ არის დადგენილი, რომ თ. ლ-ე ქ.თბილისში გ-ის ქ.№9-ში მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრეა 2006 წლის 17 იანვრიდან.

საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებებით არ დასტურდება „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» კანონის 2.4 პუნქტით დადგენილი წინაპირობების არსებობა. არ არსებობს 1996 წლის 27 ივნისამდე კომუნალური გადასახადების გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულებები. ა. დ-ისა და ზ. ე-ის აბონენტად რეგისტრაციით არ შეიძლება დადასტურდეს მითითებულ მისამართზე არსებული საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგება.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ არ განიხილა და არ შეაფასა სააპელაციო საჩივარში წარმოდგენილი საფუძვლიანი პრეტენზიები გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივ უსწორობასთან დაკავშირებით. არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 246.1 მუხლი, მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები, ვინაიდან მოსარჩელებს მესაკუთრედ ცნობა უნდა მოხდეს მას შემდეგ, რაც დადგინდება მოსარგებლეობის საკითხი.

კასატორის აზრით, მოცემული კანონის მიზნებიდან გამომდინარე საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის ფაქტის დამადასტურებელ ერთ-ერთ მტკიცებულებას წარმოადგენს კომუნალური გადასახადების გადახდა. ზემოაღნიშნული ნორმით კანონმდებელი იმპერატიულად განსაზღვრავს კომუნალური გადასახადების გადახდის აუცილებლობას, რომლითაც უდავოდ დასტურდება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობა. ზოგადად ამ ვალდებულების არსებობით არ შეიძლება დადასტურდეს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობა. ნორმის ამგვარი განმარტება განაპირობებს საქართველოს კონსტიტუციის 21.1 მუხლით აღიარებული და უზრუნველყოფილი საკუთრების უფლების დარღვევას.

2011 წლის 11 ოქტომბერს თ. ლ-ის საკასაციო საჩივრის განხილვისას სასამართლო სხდომაზე მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

თ. ლ-ე თანახმაა გადაუხადოს ზ. ე-ეს და ა. დ-ეს 90000 ლარი 2012 წლის 1 იანვრამდე.

ზ. ე-ე და ა. დ-ე ვალდებული არიან 90000 ლარის მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ გადასცენ თ. ლ-ეს მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომი, მდებარე ქ.თბილისში, გ-ის ქუჩა №9-ში. (I სართულზე 36.92 კვ.მ. ხოლო მე-2 სართულზე 36,65 კვ.მ.) თავისუფალ მდგომარეობაში.

თ. ლ-ის მიერ ზ. ე-ეზე და ა. დ-ეზე 90000 ლარის გადახდის შემდეგ შეწყდეს ზ. ე-ისა და ა. დ-ის მფლობელობა მათ მიერ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომზე, მდებარე ქ.თბილისში გ-ის ქუჩა №9-ში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, მიიჩნევს, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის 1-ელი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდვე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად კი, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა მორიგების აქტი წარმოადგინეს საკასაციო სასამართლოს მთავარ სხდომამდე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს რომ თ. ლ-ეს დაუბრუნდეს მის მიერ 2011 წლის 8 ივნისს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 და 272-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

თ. ლ-ის ზ. ე-ის და ა. დ-ის შუამდგომლობა მორიგების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

დამტკიცდეს მორიგება თ. ლ-ის, ზ. ე-ის და ა. დ-ის შორის შემდეგი პირობით:

1. თ. ლ-ე თანახმაა გადაუხადოს ზ. ე-ის და ა. დ-ეს 90000 ლარი 2012 წლის 1 იანვრამდე.

2. ზ. ე-ე და ა. დ-ე ვალდებული არიან 90000 ლარის მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ გადასცენ თ. ლ-ეს მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომი, მდებარე ქ.თბილისში, გ-ის ქუჩა №9-ში. (I სართულზე 36.92 კვ.მ. ხოლო მე-2 სართულზე 36,65 კვ.მ.) თავისუფალ მდგომარეობაში.

3. თ. ლ-ის მიერ ზ. ე-ეზე და ა. დ-ეზე 90000 ლარის გადახდის შემდეგ შეწყდეს ზ. ე-ისა და ა. დ-ის მფლობელობა მათ მიერ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომზე, მდებარე ქ.თბილისში გ-ის ქუჩა №9-ში.

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები.

შეწყდეს საქმის წარმოება, ზ. ე-ისა და ა. დ-ის სარჩელისა გამო, თ. ლ-ის მიმართ საცხოვრებელ სადგომზე მესაკუთრედ აღიარების შესახებ

თ. ლ-ეს დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 ლარი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

№ას-770-825-2011

1 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ქათამაძე,

ბ. ალავეძე

დავის საგანი: სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. კ-მა სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ლ. უ-ის მიმართ და მოითხოვა ძირითადი თანხის – 6350 აშშ დოლარის, პროცენტის – 7204 აშშ დოლარის მოპასუხისათვის დაკისრება, ხოლო თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში იპოთეკით დატვირთული საცხოვრებლის სახლის იძულებითი რეალიზაცია, შემდეგი დასაბუთებით: 2007 წლის 16 თებერვალს, მოსარჩელემ ლ. უ-ეს ასესხა 6350 აშშ დოლარი, თვეში 4% პროცენტის დარიცხვით, რაზეც გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება სანოტარო წესით. მოპასუხეს თანხა უნდა დაებრუნებინა დათქმულ ვადაში, მაგრამ, მიუხედავად მრავალჯერ გაფრთხილებისა, მან პირობა არ შეასრულა. მოპასუხეს გადასახდელი აქვს ძირითადი თანხა – 6350 აშშ დოლარი და დარჩენილი პროცენტი 7204 აშშ დოლარი, საერთო ჯამში – 13554 აშშ დოლარი. მოპასუხე ლ. უ-ემ, სესხის უზრუნველყოფის მიზნით იპოთეკით დატვირთა მის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინა, მდებარე ქ. ქუთაისში, ... ქ№49-ში. იპოთეკის ხელშეკრულების თანახმად, სესხის ხელშეკრულებაში დათქმულ დროს გადაუხდელობის შემთხვევაში გადახდევინება უნდა მიეცეულიყო იპოთეკით დატვირთული საცხოვრებელი სახლის იძულებითი აუქციონის შედეგად ამოღებული თანხების ხარჯზე.

მოპასუხე ლ. უ-ემ სარჩელი არ ცნო და წარმოდგენილ შესაგებელში მიუთითა, რომ არ ეთანხმება სარჩელს, რადგან მას ვალდებულება შესრულებული აქვს, არ არსებობს მოთხოვნის იურიდიული საფუძველი და მოსარჩე-

ლის მოთხოვნა არის ხანდაზმული. ამასთან, ლ. უ-ემ სარჩელით მიმართა იმავე სასამართლოს ლ. კ-ის მიმართ და მოითხოვა მათ შორის 2007 წლის 16 თებერვლის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების გაუქმება ზემოაღნიშნული საფუძვლით. ვინაიდან, სარჩელის წარმოებაში მიღების მომენტისათვის არ იყო დამთავრებული ლ. კ-ის სარჩელის განხილვა, სასამართლომ, 2010 წლის 15 ნოემბრის განჩინებით, აღნიშნული საქმეები მხარის (ლ. კ-ის წარმომადგენლის) შუამდგომლობით გააერთიანა ერთ წარმოებად, რადგან ასეთი გაერთიანება მიზანშეწონილი იყო დავის უფრო სწორად განხილვისათვის.

2010 წლის 29 ნოემბრის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელე ლ. უ-ეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, ხოლო მოსარჩელე ლ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხე ლ. უ-ეს მოსარჩელე ლ. კ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა 7712 აშშ დოლარის გადახდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. უ-ემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 9 მარტის განჩინებით ლ. უ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები: საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ლ. უ-ემ ლ. კ-ისაგან ისესხა 6350 აშშ დოლარი, თვეში 4% დარიცხვით, ორი თვის ვადით. 2008 წლის 24 ნოემბრის მდგომარეობით გადახდილი ჰქონდა 4 თვენახევრის პროცენტი, დანარჩენი თანხის გადახდას პროცენტით იწყებდა 2008 წლის 5 დეკემბრიდან. 2009 წლის 31 აგვისტოს გადაიხადა 1000 აშშ დოლარი, 2009 წლის 11 ნოემბრისათვის გადახდილი ჰქონდა სულ 8060 დოლარი. 2010 წლის 5 მარტს გადაიხადა 1500 აშშ დოლარი, რის შედეგადაც 2010 წლის 5 მარტის მდგომარეობით ლ. უ-ეს სულ გადახდილი ჰქონდა 9560 დოლარი. აღნიშნული გარემოება ლ. კ-ის წარმომადგენელს სასამართლოს სხდომაზე სადავოდ არ გაუხდია. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით და მხარეთა ახსნა-განმარტებებით დასტურდება, რომ სესხის ძირითად თანხას წარმოადგენს 6350 აშშ დოლარი, რომლის 4% შეადგენს 254 დოლარს, რაც პროცენტის სახით ყოველთვიურად უნდა გადაეხადა ლ. უ-ეს. 2007 წლის 16 თებერვლიდან ლ. კ-ის სარჩელის აღძვრამდე ანუ 2010 წლის ოქტომბრამდე გასულია 43 თვე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ასევე გაიზიარა მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი დასაბუთება, რომელმაც სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე, 623-ე, 624-ე და 625-ე მუხლების გამოყენებით განმარტა, რომ სესხის შესრულება ნიშნავს მხარეთა მიერ უფლება-მოვალეობების ამოწურვას. ჯეროვანი შესრულება სხვა ფაქტორებთან ერთად დაკავშირებულია შესრულების ვადასთან. სესხის დაბრუნების ვადა შეიძლება ზუსტად იყოს განსაზღვრული ხელშეკრულებით და ასეთ შემთხვევაში მსესხებელი ვალდებულია, აღნიშნულ ვადაში დააბრუნოს სესხად აღებული თანხა. მოცემულ შემთხვევაში სესხის დაბრუნების ვადა წინასწარ იყო აღნიშნული ხელშეკრულებაში. ხელშეკრულებიდან ჩანს, რომ სესხისათვის პროცენტი იყო გათვალისწინებული და აღნიშნულს არც მხარეები უარყოფენ. სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მხრიდან ვალდებულება ჯეროვნად იქნა შესრულებული, რაც გამოიხატა თანხის გადაცემაში. მოპასუხემ კი არ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულება და არ გადაიხადა ვალი სრულად. აღნიშნული ხელშეკრულება მოპასუხეს (ლ. უ-ეს) სადავოდ არ გაუხდია. 2007 წლის 16 თებერვლიდან ლ. კ-ის სარჩელის აღძვრამდე, ანუ 2010 წლის ოქტომბრამდე გასულია 43 თვე. ამ ვადაში ლ. უ-ეს უნდა გადაეხადა 10922 აშშ დოლარი. დადგენილია, რომ მოპასუხეს გადახდილი აქვს 9560 აშშ დოლარი. საქმეში არსებული მტკიცებულებებით ვერ დასტურდება რომელი ხელწერილით იქნა გადახდილი ძირითადი თანხა და რომლით პროცენტი. აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ პროცენტის სახით გადასახდელ თანხას უნდა გამოაკლდეს ლ. უ-ის მიერ გადახდილი თანხა (10922-9560) და დარჩენილი 1362 აშშ დოლარი პროცენტის სახით უნდა დაეკისროს მას. სამოქალაქო კოდექსის 301-ე მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, სასამართლომ მოსარჩელის (ლ. კ-ის) მოთხოვნა იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციის თაობაზე საფუძვლიანად მიიჩნია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 102-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 103-ე მუხლის თანახმად, პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მითითება იმის თაობაზე, რომ სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები და არასაკმარისად შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები. ლ. უ-ის მიერ შედგენილ და საქმეზე წარმოდგენილ ვალის გასტუმრების ხელწერილში დაფიქსირებულია შემდეგი: „2009 წლის სექტემბრის მდგომარეობით, 2007 წლის 16 თებერვლიდან მოყოლებული 14 თვის % 52 დოლარ ნაკლებ ... 7060 დოლარი ... 2009 წლის 11 დეკემბერს გადავიხადე 1000 დოლარი. სულ გადახდილია 8060 დოლარი + 1500 დოლარი სულ 9560 დოლარი». სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის შესაბამისად, ვალის გასტუმრების ხელწერილებში დაფიქსირებული ნების განმარტებისას პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული ხელწერილები არ შეიცავს ჩანაწერს სესხის ძირითადი თანხის გადაცემის თაობაზე და მასში დაფიქსირებულია მხოლოდ სესხის პროცენტის გადაცემის ფაქტი. 2007 წლის 16 თებერვლის ხელშეკრულების მოქმედების ორთვიან ვადაში მოვალე ლ. უ-ეს ვალდებულება არ შეუსრულებია, არც ძირითადი თანხა და არც სარგებელი კრედიტორისათვის არ დაუბრუნებია, პალატა მიიჩნევს, რომ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, ძირითადი თანხის პროცენტის გადახდა კანონშესაბამისია სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის მოთხოვნებთან. პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტის მოთხოვნა 2007 წლის 16 თებერვლის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე, ვინაიდან აღნიშნული სარჩელის საფუძვლად მითითებული ვალდებულების შესრულება და სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხების სრულად გადახდა, საქმის მასალებით არ დასტურდებოდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 9 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. უ-ემ და მიუთითა, რომ სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სესხის ძირითადი თანხის 6300 აშშ დოლარის, ყოველთვიური პროცენტის 254 აშშ დოლარის სარჩელის აღძვრამდე 43 თვის გასვლის შესახებ, რის გამოც, 2010 წლის ოქტომბრამდე ძირითად თანხასთან ერთად პროცენტის სახით 1362

აშშ დოლარი დაეკისრა კასატორს, არის უკანონო. გადაწყვეტილებაში დადასტურებულია, რომ 9560 აშშ დოლარის გადახდა მოწინააღმდეგე მხარეს სადავოდ არ გაუხდია, სასამართლომ გადახდილი თანხებიდან, არასწორად დაადგინა, რა თანხა იყო ძირითადი და რა პროცენტი. კასატორის მიერ წარდგენილ ხელწერილში თანხის გასტუმრებისთან დაკავშირებით ასახულია, პროცენტის სახით რა თანხა გადაიხადა. კასატორის მიერ გადახდილი თანხები იყო, როგორც ძირითადი, ასევე პროცენტი. 2010 წლის 31 მაისს 2000 აშშ დოლარი გადახდის შემდეგ გადასახდელად დარჩა ძირითადი თანხა 4350 აშშ დოლარი და პროცენტი იყო 3810 აშშ დოლარი, რადგან გადასახდელი ძირითადი თანხა შემცირდა, შესაბამისად, უნდა გადახდილიყო 4350 აშშ დოლარის 4%, რაც შეადგენდა ყოველთვიურად 174 აშშ დოლარს, მაგრამ სამ თვეში 2009 წლის 31 აგვისტოს კვლავ გადაიხადა 1000 აშშ დოლარი. 2009 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით გადასახდელი იყო 7682 აშშ დოლარი, რაც კასატორის მიერ გადახდილი იქნა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ლ. უ-ის უძრავი ქონება იპოთეკით დარჩა დატვირთული. კასატორს ლ. კ-ის ვალი მთლიანად აქვს გასტუმრებული და აქედან გამომდინარე, მიაჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არის უსაფუძვლო და 2007 წლის 16 თებერვლის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება უნდა გაუქმდეს.

2011 წლის 1 ნოემბრის სასამართლო სხდომაზე მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

ლ. უ-ე თანახმაა ლ. კ-ს გადაუხადოს 6350 აშშ დოლარი. აქედან 5500 აშშ დოლარს გადაუხდის მორიგების აქტზე ხელმოწერიდან 10 დღის ვადაში, ხოლო დანარჩენ 850 აშშ დოლარს გადაუხდის მორიგების აქტის დამტკიცებიდან 18 თვის განმავლობაში.

5500 აშშ დოლარის გადახდის შემდეგ გაუქმდეს იპოთეკისა და სესხის 2007 წლის 16 თებერვლის ხელშეკრულება და მისი სათანადო რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, ხოლო დანარჩენი 850 აშშ დოლარი საჯარო რეესტრში აღირიცხოს ლ. უ-ის ვალდებულებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, მიიჩნევს, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის 1-ელი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელშეკრულდ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ლ. უ-ის და ლ. კ-ის იშუამდგომლობა მორიგების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

დამტკიცდეს მორიგება ლ. უ-ესა და ლ. კ-ის შორის შემდეგი პირობებით:

ლ. უ-ე თანახმაა ლ. კ-ს გადაუხადოს 6350 აშშ დოლარი. აქედან 5500 აშშ დოლარს გადაუხდის მორიგების აქტზე ხელმოწერიდან 10 დღის ვადაში, ხოლო დანარჩენ 850 აშშ დოლარს გადაუხდის მორიგების აქტის დამტკიცებიდან 18 თვის განმავლობაში.

5500 აშშ დოლარის გადახდის შემდეგ გაუქმდეს იპოთეკისა და სესხის 2007 წლის 16 თებერვლის ხელშეკრულება და მისი სათანადო რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, ხოლო დანარჩენი 850 აშშ დოლარი საჯარო რეესტრში აღირიცხოს ლ. უ-ის ვალდებულებად.

შეწყდეს საქმის წარმოება ლ. კ-ის სარჩელისა გამო ლ. უ-ის მიმართ თანხის დაკისრების, იპოთეკის საგნის რეალიზაციის, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე.

გაუქმდეს ამ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებები.

ლ. უ-ეს დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 638 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

№ას-715-674-2011

1 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

სს «... ბანკმა» სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს «ო-ის», გ. ბ-ის, თ. ბ-ის მიმართ და მოითხოვა შპს «ო-ისა» და გ. ბ-ისათვის 122 870,94 ევროს სოლიდარულად დაკისრება, შპს «ო-ისა» და გ. ბ-ისათვის 2009 წლის 9 ივლისიდან დავალიანების დაფარვამდე პირგასამტეხლოს – ძირითადი თანხის 0,2%-ის სოლიდარულად დაკისრება, 2009 წლის 12 მარტს გ. ბ-სა და თ. ბ-ს შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა და უძრავი ქონების გ. ბ-ის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვა შემდეგი დასაბუთებით: 2008 წლის 27 ოქტომბერს სს «... ბანკმა» და შპს «ო-მა» დადეს №3/102 92 500 ევროს საკრედიტო ხელშეკრულება 4 თვის ვადით, სარგებელი განისაზღვრა წლიური 16%-ით, პირგასამტეხლო – 0,2%-ით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, სესხის დაფარვის თარიღად კი – 2009 წლის 27 თებერვალი. იმავე დღეს გ. ბ-თან დაიდო თავდებობის ხელშეკრულება, რომლითაც ამ უკანასკნელმა იკისრა სოლიდარულად, პირადი ქონებით პასუხისმგებლობა საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მსესხებლის ვალდებულებებზე. თავდებობის ზღვრულ ოდენობად მიეთითა კრედიტის მაქსიმალური ოდენობა – 92500 ევრო, მასზე დარიცხული პროცენტი წლიური 16%-ის ოდენობით ყველა შესაძლო პირგასამტეხლოს ფარგლებში. როგორც ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების დადების დროისათვის, ისე ამჟამად შპს «ო-ის» დირექტორს წარმოადგენს გ. ბ-ი. სს «... ბანკმა» შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, კერძოდ, გასცა მითითებული თანხა სესხის სახით შპს «ო-ზე», ამ უკანასკნელს კი ნაკისრი ვალდებულება არ შეუსრულებია, შპს «ო-ის» დირექტორს გაეგზავნა შეტყობინება დავალიანების თაობაზე, რითაც გააფრთხილეს, რომ, თუ თანხას არ დაფარავდა 2009 წლის 29 მარტამდე, ბანკი შეწყვეტდა ხელშეკრულებას და მიმართავდა სასამართლოს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. 2009 წლის 12 მარტს გ. ბ-მა ქ.თბილისში, მ-ის ქ. №55-ში მდებარე უძრავი ქონება აჩუქა თავის არასრულწლოვან შვილს – თ. ბ-ს. გარიგების დადებისას თ. ბ-ს წარმოადგენდა კანონიერი წარმომადგენელი – დედა თ. მ-ი. უძრავი ქონება ამჟამად თ. ბ-ის სახელზე ირიცხება. ხელშეკრულება დადებულია მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვეს, ამიტომ იგი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი. გ. ბ-მა ბანკის წინაშე პასუხისმგებლობის აცილების მიზნით, თავდებისათვის დაკისრებული მოვალეობა, რომ არ შეესრულებინა, დადო მოჩვენებითი გარიგება და თავის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება აჩუქა არასრულწლოვან შვილს – თ. ბ-ს. ბანკის მიზანია, თანხის გადახდა დააკისროს გ. ბ-ს და აღსრულება მიაქციოს იმ ქონებაზე, რომელიც მოჩვენებითი გარიგების საფუძველზე გ. ბ-მა თავის არასრულწლოვან შვილს გადასცა. ამისათვის კი, აუცილებელია ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა და ქონების გ. ბ-ისათვის უკან დაბრუნება, რაც ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის იურიდიულ ინტერესს წარმოადგენს.

მოპასუხე გ. ბ-მა სარჩელი ცნო ნაწილობრივ: თანხის გადახდის ნაწილში დაეთანხმა ბანკის მოთხოვნას, ხოლო პირგასამტეხლოს დაკისრებისა და ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების ნაწილში სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: მას თ. მ-თან რეგისტრირებულ ქორწინებაში შეეძინა ერთი შვილი თ. ბ-ი. 2008 წლიდან მეუღლეებს შორის წარმოიშვა უთანხმოება, რის გამოც ფაქტობრივად ერთად აღარ ცხოვრობენ, რის გამოც ურთიერთშეთანხმებით გადაწყვიტეს, რომ შვილისათვის ეჩუქებინა საცხოვრებელი სახლი. მოპასუხეს მიაჩნია, რომ ხელშეკრულებას იურიდიული შედეგი ნამდვილად მოჰყვა, რადგან მითითებული ქონება ირიცხება თ. ბ-ის სახელზე და, ამდენად იგი უზრუნველყოფილია საცხოვრებელი ადგილით. რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას, სადაც მოსარჩელე ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ითხოვს პირგასამტეხლოს გადახდას 0,2%-ის ოდენობით, მოპასუხის აზრით, საგრძნობლად მაღალი და არარეალურია, რის გამოც სასამართლომ იგი უნდა შეამციროს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად.

მოპასუხე თ. ბ-ის კანონიერმა წარმომადგენელმა თ. მ-მა სარჩელი არ ცნო შემდეგ გარემოებათა გამო: მას და მის მეუღლეს შორის 2008 წლიდან არის უთანხმოება, რის გამოც ფაქტობრივად ერთად აღარ ცხოვრობენ. განქორწინების შემთხვევაში ბინის მეუღლეთა შორის გაყოფა ვერ მოხერხდებოდა, რადგან გ. ბ-ს იგი საჩუქრად აქვს მიღებული. თ. ბ-ი, რომ უბინაოდ არ დარჩენილიყო, მამამ აჩუქა. თ. მ-ისათვის ცნობილი არ ყოფილა სს «... ბანკსა» და გ. ბ-ს შორის არსებული თავდებობის ხელშეკრულების შესახებ. 2009 წლის 19 მარტის ჩუქების ხელშეკრულება ვერ იქნება მოჩვენებითი, ვინაიდან იგი მოსაჩვენებლად არ დადებულია და ასევე არ დადებულია იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყოლოდა. ხელშეკრულებას იურიდიული შედეგი მოჰყვა, რადგან მითითებული ქონება აღირიცხა თ. ბ-ის სახელზე და, ამდენად, იგი უზრუნველყოფილია საცხოვრებელი ადგილით. მოსარჩელე სარჩელში ვერ უთითებს იმ სამართლებრივ საფუძვლებს, რის გამოც გარიგება ცნობილ უნდა იქნეს მოჩვენებითად.

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2009 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით სს «... ბანკის» სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს «ო-ს» და გ. ბ-ს სს «... ბანკის» სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრა 116 525,05

ევროს ეკვივალენტის ეროვნული ვალუტით გადახდა; შპს «ო-ს» და გ. ბ-ს სს «... ბანკის» სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ პირგასამტეხლოს გადახდა 2009 წლის 9 ივლისიდან დავალიანების საბოლოოდ დაფარვამდე ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ძირითადი თანხის 0,15%-ის ოდენობით. 2009 წლის 12 მარტს გ. ბ-სა და თ. ბ-ს შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულება ცნობილ იქნა ბათილად, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრეს თ. და გ. ბ-ებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილება 2009 წლის 12 მარტს გ. ბ-სა და თ. ბ-ს შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის და ქ. თბილისში, მ-ის ქ. №55-ში მდებარე უძრავ ქონებაზე გ. ბ-ის სახელზე საკუთრების უფლების აღრიცხვის ნაწილში და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. სს «... ბანკის» სარჩელი 2009 წლის 12 მარტს გ. ბ-სა და თ. ბ-ს შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში არ დაკმაყოფილდა შემდეგი დასაბუთებით: პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2008 წლის 27 ოქტომბერს სს «... ბანკმა» და შპს «ო-მა» დადეს №3/102 საკრედიტო ხელშეკრულება 92 500 ევროზე 4 თვის ვადით, სარგებლის ოდენობად განისაზღვრა წლიური 16%, პირგასამტეხლო 0,2% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. სესხის დაფარვის თარიღად განისაზღვრა 2009 წლის 27 თებერვალი. იმავე დღეს გ. ბ-თან დაიდო თავდებობის ხელშეკრულება, რომლითაც ამ უკანასკნელმა იკისრა სოლიდარულად, პირადი ქონებით პასუხისმგებლობა საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მსესხებლის ვალდებულებებზე. თავდებობის ზღვრულ ოდენობად მიეთითა კრედიტის მაქსიმალური ოდენობა – 92500 ევრო, მასზე დარიცხული წლიური 16%-ის ოდენობით და პირგასამტეხლოს ფარგლებში. როგორც ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულებების დადების დროისათვის, ისე ამჟამად შპს «ო-ის» დირექტორს წარმოადგენს გ. ბ-ი. სს «... ბანკმა» შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, კერძოდ, სესხად გასცა მითითებული თანხა შპს «ო-ზე», რაც მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ. ამ უკანასკნელს კი, ნაკისრი ვალდებულება არ შეუსრულებია, კერძოდ, მან არ დაფარა არც სესხის ძირითადი თანხა და არც სარგებელი. შპს «ო-ის» დირექტორს გაეგზავნა შეტყობინება დავალიანების თაობაზე, რითაც გააფრთხილეს, რომ, თუ თანხას არ დაფარავდა 2009 წლის 29 მარტამდე, ბანკი შეწყვეტდა ხელშეკრულებას და მიმართავდა სასამართლოს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. დავალიანების დაფარვის თაობაზე არაერთხელ შედგა სატელეფონო საუბრები გ. ბ-თანაც. მხარეთა ტელეფონის ნომრებზე ზარები დაფიქსირებულია 2008 წლის ოქტომბრიდან 2009 წლის აპრილამდე. მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, რომ შპს «ო-ის» დავალიანება სს «... ბანკის» მიმართ 2008 წლის 27 ოქტომბრის №3/102 საბანკო კრედიტის ხელშეკრულების საფუძველზე ძირითადი თანხა 92500 ევროა, ხოლო ვადაგადაცილებული სარგებელი – 4987,4 ევრო. უდავოა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა 25383,54 ევროა. 2009 წლის 12 მარტს გ. ბ-მა ქ. თბილისში, მ-ის ქ. №55-ში მდებარე უძრავი ქონება აჩუქა თავის არასრულწლოვან შვილს – თ. ბ-ს. გარიგების დადებისას თ. ბ-ს წარმოადგენდა კანონიერი წარმომადგენელი - დედა თ. მ-ი. უძრავი ქონება ამჟამად ირიცხება თ. ბ-ის სახელზე.

პალატამ მიიჩნია, რომ, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლომ სამართლებრივად არასწორად შეაფასა 2009 წლის 12 მარტს გ. ბ-სა და თავის არასრულწლოვან შვილს – თ. ბ-ს შორის ჩუქების ხელშეკრულების დადებისას მხარეთა მიერ გამოვლენილი ნება, რის საფუძველზეც სასამართლო მივიდა არასწორ სამართლებრივ დასკვნამდე იმასთან დაკავშირებით, რომ ხელშეკრულების მხარეთა მიზანი ჩუქების ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი სამართლებრივი შედეგის ქონების უსასაყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა არ ყოფილა. თავის მხრივ, არასწორი სამართლებრივი შეფასება საფუძველი გახდა სასამართლოს მიერ ჩუქების ხელშეკრულების ბათილობის ნაწილში არასწორი გადაწყვეტილების მიღებისა. პალატამ იხელმძღვანელა რა სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლითა და 56-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, განმარტა, რომ მოჩვენებითი გარიგების დროს გარიგება მხოლოდ გარეგნულად გამოხატული ნების წარმოსაჩენად იდება და მხარეებს არ გააჩნიათ შინაგანი ნება ამგვარი გარიგების დადებისათვის, შესაბამისად, მათთვის არც ამ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებიდან გამომდინარე სამართლებრივი შედეგები არ არის მისაღები. ამდენად, გარიგების სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის აუცილებელია იმ გარემოებათა არსებობის დადასტურება, რომლებიც ცალსახად მიუთითებენ სადავო ხელშეკრულებისადმი მხარეთა შინაგანი, ნამდვილი ნების არარსებობაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ელი ნაწილიდან გამომდინარე, რომელიც შეიცავს ზოგად დებულებას მხარეთა მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით, სს «... ბანკი» როგორც მოსარჩელე, მოვალე იყო მიეთითებინა და წარედგინა ზემოთ მითითებული გარემოებების არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებები, ანუ მტკიცების ტვირთი სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული ნორმის მაკვალიფიცირებელი გარემოებების არსებობის დასადასტურებლად ეკისრება მოდავე მხარეს. კონკრეტულ შემთხვევაში საქმეზე დადგენილია ფაქტობრივი გარემოებები იმასთან დაკავშირებით, რომ შპს «ო-ს» არ გააჩნდა რაიმე ქონება, რომლიდანაც შესაძლებელი გახდებოდა კრედიტორის (სს «... ბანკის») ვადამოსული მოთხოვნის დაკმაყოფილება; გ. ბ-მა, როგორც თავდებმა და ამავე დროს, როგორც «... ბანკის» პირადმა მოვალემ – შპს «ო-ის» დირექტორმა, იცოდა, რომ სადავო უძრავი ქონება იყო ერთადერთი ქონება, საიდანაც შესაძლებელი გახდებოდა კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ასევე გ. ბ-ისათვის ცნობილი იყო შპს «ო-ის» მიერ ვალდებულების შეუსრულებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი შედეგები. უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ ჩუქების ხელშეკრულება გაფორმდა მას შემდეგ, რაც დადგა კრედიტორის მოთხოვნის შესრულების ვადა. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ არის საკმარისი იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ სადავო ხელშეკრულების მხარეებს არ სურდათ ჩუქების ხელშეკრულების დადება და ამისათვის არ გააჩნდათ შინაგანი ნება, ანუ ზემოთ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები არ გამორიცხ-

ხავენ სადავო ხელშეკრულების დადებისადმი მხარეთა შინაგანი ნების არსებობას. გასათვალისწინებელია, რომ ხელშეკრულების მხარეები წარმოადგენენ უახლოეს ნათესავეს, დასაჩუქრებული არის გ. ბ-ის არასრულწლოვანი შვილი, ასევე გასათვალისწინებელია, რომ ამ დროისათვის გ. ბ-ი თ. მ-თან (თ. ბ-ის დედასთან) განქორწინებულია. შესაბამისად, ჩუქების ხელშეკრულების დადებაზე ნების გამოვლენა შესაძლოა, გ. ბ-ის მიერ არასრულწლოვანი შვილის ინტერესების უზრუნველყოფაზე ზრუნვითაც იყოს განპირობებული. ის გარემოება, რომ ამ გარიგების დადებით, ფაქტობრივად სადავო უძრავ ქონებაზე არიდებულ იქნა კრედიტორის (სს «... ბანკის») ვადამოსული მოთხოვნის მიქცევის შესაძლებლობა, არ არის გადაწყვეტი მნიშვნელობის მქონე მოცემულ შემთხვევაში ნორმის კვალიფიკაციისათვის. პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ პირადი თავდებობის პირობებში გ. ბ-ს არ ეზღუდებოდა გარიგების დადების თავისუფლება მის კუთვნილ ქონებაზე. ამასთანავე ფაქტია, რომ ბანკმა არ იზრუნა, კონკრეტული ქონებით ყოფილიყო მოთხოვნა უზრუნველყოფილი. საგულისხმოა, რომ გ. ბ-ი არ უარყოფს ბანკის მიმართ ვალის არსებობას და ამ მოთხოვნის ნაწილში მან ცნო სარჩელი. ამდენად, მხოლოდ ის გარემოება, რომ სადავო ჩუქების ხელშეკრულება გაფორმდა კრედიტორის მიმართ ვალდებულების შესრულებისათვის გათვალისწინებული ვადის დადგომის შემდგომ, არ არის საკმარისი იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ ჩუქების ხელშეკრულება გაფორმდა მხარეთა შესაბამისი შინაგანი ნების გარეშე და მხარეებს არ სურდათ ჩუქების ხელშეკრულების მნიშვნელობიდან გამომდინარე შედეგის დადგომა. სასამართლო სადავო გარიგების მოჩვენებითობის დასასაბუთებლად ასევე მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ჩუქების ხელშეკრულების დადების შემდგომ სადავო ქონებას ფლობს გ. ბ-ი. აღნიშნული გარემოება ანუ ის გარემოება, რომ ხელშეკრულების დადების შემდგომ სადავო ბინას გარკვეული პერიოდით ფლობდა გ. ბ-ი, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მხარეთა შორის არსებული ნათესაური კავშირის გათვალისწინებით არ შეიძლება რაიმე ისეთ, არაბუნებრივ გარემოებად იქნეს მიჩნეული, რაც ცალსახად დაადასტურებდა სადავო ხელშეკრულების მიმართ მხარეთა მოჩვენებითი დამოკიდებულების არსებობას. გ. ბ-ი, როგორც არასრულწლოვანი თ. ბ-ის მშობელი, მოვალეა იზრუნოს შვილზე და, ბუნებრივია, გარკვეულწილად მოუწიოს დასახელებული ბინის მიმართ მფლობელობის განხორციელებაც. საქმეში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერით ირკვევა, რომ ქ. თბილისში, მ-ის ქ. №55-ში მდებარე უძრავი ქონება 2009 წლის 12 მარტის ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრებაში ერიცხება თ. ბ-ს. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული ნორმის კვალიფიკაციისათვის უნდა არსებობდეს პირდაპირი მტკიცებულება, რითიც დადასტურდება სადავოდ გამხდარი გარიგების მიმართ მხარეთა ნამდვილი ნების არარსებობის შესახებ ფაქტობრივი გარემოებანი ანდა – იმგვარი გარემოებები, რომელთა არსებობაც გამორიცხავს სადავო ხელშეკრულების მიმართ მხარეთა ნამდვილი ნების არსებობის შესაძლებლობას. განსახილველ შემთხვევაში საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები საფუძველს ქმნის მხოლოდ გარკვეული ვარაუდისათვის და, მათი ანალიზიდან გამომდინარე, არ გამოირიცხება მხარეთა შინაგანი ნების არსებობა სადავო ხელშეკრულების დადების მიმართ. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებული ნორმის კვალიფიკაციისათვის და ამ ნორმის გამოყენებისათვის აუცილებელი გარემოებების არსებობის დადასტურება, ამასთან, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ არის საკმარისი სასამართლოს მიერ 2009 წლის 12 მარტის ჩუქების ხელშეკრულების მოჩვენებითობის შესახებ მითითებული დასკვნების გასაკეთებლად.

საპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა სს «... ბანკმა» და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 19 მარტის გადაწყვეტილების გაუქმება შემდეგი დასაბუთებით: სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს. აღნიშნული სამართლებრივი ნორმა თავისი შინაარსით გამორიცხავს გარიგების მოჩვენებითობის დადგენისათვის კონკრეტული და იმწუთიერი მტკიცებულებების არსებობის შესაძლებლობას. გარიგების მოჩვენებითი ხასიათი უნდა დადგინდეს მის დადებამდე არსებული წინაპირობების, გარიგების დადების რეალური საპირობებისა და ყველა შესაძლო შედეგის ერთიანი შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე. ასეთი შეფასება კი, სხვადასხვა მტკიცებულებათა ურთიერთმიჯვარების საფუძველზე წარმოქმნილ შინაგან რწმენას უნდა უკავშირდებოდეს. იმ შემთხვევაში კი, თუ გარიგება თავისი ხასიათით აშკარად მოჩვენებითია და ამის თაობაზე პირდაპირი მტკიცებულებები არსებობს, მაშინ ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული, კერძოდ, თადლითობა. მოცემულ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად შეაფასა, რეალურად და სრულფასოვნად დაასაბუთა ჩუქების ხელშეკრულების დადებაამდე არსებული და მის შემდგომ წარმოქმნილი გარემოებების ერთობლიობა. სასამართლომ სწორად გაამახვილა ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ თ. ბ-სა და გ. ბ-ს შორის გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულება დაიდო 2009 წლის 12 მარტს, შპს «ო-ის» მიერ საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადა კი, ამავე წლის 27 თებერვალს ამოიწურა. დადგენილად უნდა იქნეს მიჩნეული და ამ ფაქტს არც მოწინააღმდეგე მხარე ხდის სადავოდ, რომ ამავე პერიოდში ბანკის წარმომადგენლები უკავშირდებოდნენ გ. ბ-ს თანხის დაფარვის მოთხოვნით. ცხადია, რომ მისთვის ცნობილი იყო ის სამართლებრივი შედეგები, რაც კრედიტის გადაუხდელობას მოჰყვებოდა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ, გ. ბ-ის განმარტებით, შპს «ო-ს» არ გააჩნია ისეთი ქონება, რომლის რეალიზაციითაც შესაძლებელი იქნებოდა ვალის დაფარვა. ამდენად, ერთადერთ ქონებას, საიდანაც თანხის ამოღება შესაძლებელი, სადავო ბინა წარმოადგენს. სწორედ აღნიშნული საცხოვრებელი ბინა იქნა ჩუქების ხელშეკრულებით გადაცემული არასრულწლოვან შვილზე. გარიგების მოჩვენებითობაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ყოფილი მესაკუთრე კვლავ ფაქტობრივად ფლობს გაჩუქებულ ბინას. გარდა ამისა, გ. ბ-ი გარკვეულწილად ინარჩუნებს ბინის გაჩუქების შემდეგ მისი მართვისა და განკარგვის უფლებებს. სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის მე-6 პუნქტიდან გამომდინარე, სწორედ მშობლებს აქვთ მათი არასრულწლოვანი შვილის საკუთრებაში არსებული ქონების მართვისა და განკარგვის რეალური უფლებები. გარიგების მოჩვენებითობაზე მეტყველებს კი-

დევ ერთი გარემოება, კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლოში თ. და გ. ბ-ებმა განმარტეს, რომ ჩუქების ხელშეკრულება დაიდო მხოლოდ შვილის ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ მათ ვერ წარუდგინეს სასამართლოს მტკიცებულება, რითაც დადასტურდებოდა აღნიშნული ფაქტი. პირველი ინსტანციის სასამართლომ კი, მიუთითა საწინააღმდეგო ფაქტი, რომლითაც დასტურდება, რომ სასამართლოს მიერ საქმის განხილვის პერიოდში გ. ბ-ი გაჩუქებულ ბინაში ცხოვრობდა. 2009 წლის 10 დეკემბრის განქორწინების მოწმობა არ უნდა იქნეს მიჩნეული ჩუქების ხელშეკრულების რეალურობის დამადასტურებელ მტკიცებულებად, ვინაიდან განქორწინება გაფორმებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გ. ბ-ის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ და მიზნად ისახავს ბანკის მიმართ თავდებობით ნაკისრი ვალდებულებისაგან თავის არიდებას. ვალდებულებებისადმი ამგვარი დამოკიდებულება ხელს არ შეუწყობს ჯანსაღი და კეთლსინდისიერი სამოქალაქო ბრუნვის დამკვიდრებას.

2011 წლის პირველ ნოემბერს სს «... ბანკის» საკასაციო საჩივრის განხილვისას გამართულ სასამართლო სხდომაზე მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

გ. ბ-ი და თ. ბ-ის კანონისმიერი წარმომადგენელი თ. მ-ი სოლიდარულად კისრულობენ ვალდებულებას, არა უგვიანეს 2012 წლის 1 ნოემბრამდე გადაუხადონ სს „... ბანკს“ 52 000 ევროს (ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში გადახდის მომენტისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით).

გ. ბ-ის და თ. ბ-ის მიერ ამ მორიგების აქტის 2.1 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად სს „... ბანკის“ სასარგებლოდ იპოთეკით დაიტვირთოს თ. ბ-ის უძრავი ქონება (მისამართი: ქ.თბილისი, მ-ის ქ. №55, საკადასტრო კოდი: ..., ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სა-მეურნეო, დაზუსტებული ფართობი 314.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი 42. შენობა-ნაგებობების საერთო ფართი 231.,79 კვ.მეტრი, საცხ. ფართი 55.71 უფლ. დამ. დოკ.-ის გარეშე არსებული შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი 2).

საჯარო რეესტრში იპოთეკის რეგისტრაციის ხარჯებს გაიღებს „სს ... ბანკი“.

იმ შემთხვევაში, თუ გ. ბ-ი და თ. ბ-ი დაარღვევენ წინამდებარე მორიგების აქტით დადგენილ მორიგების პირობას (2.1 პუნქტით დადგენილ ვადაში არ გადაიხდიან ან არასრულად გადაიხდიან მორიგებულ თანხას) სს „... ბანკი“ უფლებამოსილია სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე აწარმოოს იძულებითი აღსრულება თ. ბ-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (მისამართი: ქ.თბილისი, მ-ის ქ. №55, საკადასტრო კოდი: ...), რაც გულისხმობს 2.2. პუნქტში მითითებული იპოთეკით დატვირთული ქონების იძულებით აუქციონზე სარეალიზაციოდ გატანას და წინამდებარე მორიგების აქტით დადგენილი ოდენობით მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, მიიჩნევს, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის 1-ელი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დაამთავრების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

გ. ბ-ის, თ. ბ-ის კანონიერი წარმომადგენლის – თ. მ-ისა და სს «... ბანკის» შუამდგომლობა მორიგების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

დამტკიცდეს მორიგება გ. ბ-ს, თ. ბ-ის კანონიერი წარმომადგენელს – თ. მ-სა და სს «... ბანკს» შორის შემდეგი პირობებით:

გ. ბ-ი და თ. ბ-ი (კანონისმიერი წარმომადგენელი თ. მ-ი) სოლიდარულად კისრულობენ ვალდებულებას, არა უგვიანეს 2012 წლის 1 ნოემბრამდე გადაუხადონ სს „... ბანკს“ 52 000 ევრო (ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში გადახდის მომენტისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით).

გ. ბ-ის და თ. ბ-ის მიერ ამ მორიგების აქტის 2.1 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად სს „... ბანკის“ სასარგებლოდ იპოთეკით დაიტვირთოს თ. ბ-ის უძრავი ქონება (მისამართი: ქ.თბილისი, მ-ის ქ. №55, საკადასტრო კოდი: ..., ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სა-მეურნეო, დაზუსტებული ფართობი 314.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი 42. შენობა-ნაგებობების საერთო ფართი 231.,79 კვ.მეტრი, საცხ. ფართი 55.71 უფლ. დამ. დოკ.-ის გარეშე არსებული შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი 2).

საჯარო რეესტრში იპოთეკის რეგისტრაციის ხარჯებს გაიღებს „სს ... ბანკი».

იმ შემთხვევაში, თუ გ. ბ-ი და თ. ბ-ი დაარღვევენ წინამდებარე მორიგების აქტით დადგენილ მორიგების პირობას (2.1 პუნქტით დადგენილ ვადაში არ გადაიხდიან ან არასრულად გადაიხდიან მორიგებულ თანხას) სს „... ბანკი» უფლებამოსილია სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე აწარმოოს იძულებითი აღსრულება თ. ბ-ის საკუთრებაში არსებული უძრავ ქონებაზე (მისამართი: ქ.თბილისი, მ-ის ქ. №55, საკადასტრო კოდი: ...), რაც გულისხმობს 2.2. პუნქტში მითითებული იპოთეკით დატვირთული ქონების იძულებით აუქციონზე სარეალიზაციოდ გატანას და წინამდებარე მორიგების აქტით დადგენილი ოდენობით მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 17 ივლისის №2/5524-09 (7216-09) განჩინებით საქმეზე გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება – მოიხსნას ყადაღა თ. ბ-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (მისამართი: ქ.თბილისი, მ-ის ქ. №55, საკადასტრო კოდი: ...).

სს „... ბანკს» სახელმწიფო ხაზინიდან დაუბრუნდეს წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნახევარი – 4000 ლარი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

№ას-1126-1153-2011

8 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ქათამაძე,

ბ. ალავეძე

დავის საგანი: ვალდებულების შესრულება; იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 18 ნოემბერს ნ. ა-ემ სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს დ. ა-ის მიმართ ვალდებულების შესრულებისა და მოთხოვნის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციის მოთხოვნით შემდეგი საფუძველებით: 2009 წლის 18 ნოემბერს, მას და მოპასუხე დ. ა-ს შორის დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, მან, როგორც „გამსესხებელ-იპოთეკარმა» დ. ა-ს ასესხა 5000 აშშ დოლარი. ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული იყო პროცენტი – ძირითადი თანხის 10%. სესხის პროცენტთან ერთად დაბრუნების ვადა განისაზღვრა 3 თვით – 2010 წლის 18 თებერვლამდე. სესხის გადახდა უზრუნველყოფილ იქნა ქ. ქუთაისში, ... ქ.№5-ში მდებარე მსესხებლის უძრავი ქონებით. ხელშეკრულება მხარეებს შორის დაიდო კანონით დადგენილი წესით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურში. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხემ დაარღვია ნაკისრი ვალდებულებები, ამასთან, არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, იგი თავს არიდებს ვალდებულების შესრულებას, რის გამოც ნ. ა-ე ითხოვს მოპასუხისგან ვალდებულების დარღვევით წარმოშობილი დავალიანების – 10300 აშშ დოლარის ანაზღაურებას, სამოქალაქო კოდექსის 623-ე, 361-ე მუხლებზე დაყრდნობით.

მოპასუხე დ. ა-მა ნაწილობრივ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ იგი ადასტურებს 5000 აშშ დოლარის სესხების ფაქტს, ხოლო, რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთის, 6000 აშშ დოლარის, დაკისრებას, არ ეთანხმება ავადმყოფობისა და მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო. ამასთანავე აღნიშნავს, რომ მისი კუთვნილი უძრავი ქონების რეალიზაციის შემთხვევაში იგი კაბალურ მდგომარეობაში აღმოჩნდება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. ა-ის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხე დ. ა-ს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 10 300 აშშ დოლარის ანაზღაურება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრეს მხარეებმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებით დ. ა-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ნ. ა-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება, გადაწყვეტილების აღსრულებამდე თანხის დაკისრების ნაწილში და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; დ. ა-ს ნ. ა-ის სასარგებლოდ დამატებით დაეკისრა 2010 წლის 18 ნოემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველთვიურად 500 აშშ დოლარის გადახდა. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2009 წლის 18 ნოემბერს, მოსარჩელე ნ. ა-ესა და მოპასუხე დ. ა-ს შორის დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება; 2010 წლის 13 მაისს დ. ა-ს ჩაჰბარდა ოფიციალური გაფრთხილება დავალიანების არსებობის შესახებ; სასარჩელო განცხადების შემდეგ მოპასუხემ მოსარჩელეს გადასცა 700 აშშ დოლარი; 2009 წლის 18 ნოემბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ძირითადი თანხის – 5 000 აშშ დოლარის 10%-ის ოდენობით ყოველთვიური სარგებელი შეადგენს 500 აშშ დოლარს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებები და განმარტა: სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის I ნაწილის, 623-ე, 625-ე მუხლების, 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 427-ე მუხლის, 394-ე მუხლის 1-ელი ნაწილისა და 403-ე მუხლებიდან გამომდინარე, მოვალე, რომელიც ფულადი ვალდებულების შესრულების ვადას გადააცილებს, ვალდებულია, გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პროცენტი. მითითებულ სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობითა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე პალატა მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის დაიდო რა სასყიდლიანი სესხის ხელშეკრულება, მოვალე დ. ა-ი ვალდებული გახდა, ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, სამი თვის განმავლობაში კრედიტორ ნ. ა-ისათვის გადაეხადა ყოველთვიური სარგებელი – 500 აშშ დოლარი, სულ 1500 აშშ დოლარი, ხოლო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ დაებრუნებინა ძირითადი თანხა – 5000 აშშ დოლარი და ძირითადი თანხის სრულად დაბრუნებამდე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტი. ვინაიდან მოპასუხემ ვალდებულება ნაწილობრივ შეასრულა, კერძოდ, გადაიხადა 700 აშშ დოლარი, საქალაქო სასამართლოს მსჯელობა, რომლითაც დ. ა-ს კრედიტორის სასარგებლოდ დაეკისრა, როგორც ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში გადაუხდელი საპროცენტო სარგებელი, ისე გადაწყვეტილების გამოტანამდე პერიოდში ვადაგადაცილებული დროისათვის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პროცენტი – დასაბუთებულია. ამდენად, აპელანტის მოსაზრება ამ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე უსაფუძველოა.

პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომლითაც უარი ეთქვა ნ. ა-ის მოთხოვნას სარჩელის წარდგენიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ზიანის სახით მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული საპროცენტო სარგებლის გადახდევინებაზე და განმარტა, რომ ძირითადი თანხისა და პროცენტის სრულად გადახდამდე ვალდებულება შეწყვეტილად ვერ მიიჩნევა, რაც დასაბუთებულს ხდის ნ. ა-ის სასარჩელო მოთხოვნას გადაწყვეტილების სრულად აღსრულებამდე (ვალდებულების სრულად შესრულებამდე) სკ-ის 403-ე მუხლის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურებისა და მოპასუხისათვის ყოველთვიურად მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პროცენტის, 500 აშშ დოლარის, დაკისრების შესახებ. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ შეისწავლა რა წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრები და საქმეში არსებული მასალები, დაადგინა, რომ ნ. ა-ის სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება, გადაწყვეტილების აღსრულებამდე თანხის დაკისრების ნაწილში და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება; დ. ა-ს ნ. ა-ის სასარგებლოდ დამატებით დაეკისროს 2010 წლის 18 ნოემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველთვიურად 500 აშშ დოლარის გადახდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა დ. ა-მა შემდეგი საფუძვლებით: კასატორმა 2009 წლის 18 ნოემბერს გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით ისესხა 5000 აშშ დოლარი მოწინააღმდეგე მხარისაგან თვეში 10%-იანი განაკვეთით, ხელშეკრულების ვადად განისაზღვრა 3 თვე. აღნიშნული პროცენტული განაკვეთი დ. ა-ის მითითებით, მისი ეკონომიკური და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, სრულიად არაგონივრულია, რის გამოც სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლზე დაყრდნობით, მოწინააღმდეგე მხარის მოთხოვნა პროცენტის ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა არსებული მდგომარეობა და არც ის, რომ ხელშეკრულება დადებული იყო მხოლოდ სამი თვის ვადით და, შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლიდან გამომდინარე, პროცენტიც სწორედ ამ ვადიდან უნდა ამოთვლილიყო. კასატორმა ასევე განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლოს მხრიდან არსებითად დაირღვა კანონი, ვინაიდან სასამართლო გასცდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფარგლებს. სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა კანონი, რომლითაც დაასაბუთა გადაწყვეტილება და დაადგინა პროცენტის გადახდა გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

2011 წლის 8 ნოემბერს დ. ა-ის საკასაციო საჩივრის განხილვისას სასამართლო სხდომაზე მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

1. დ. ა-ი თანახმაა გადაიხადოს, ხოლო ნ. ა-ე თანახმაა მიიღოს 2012 წლის 31 იანვრამდე 10.000 აშშ დოლარი, ხოლო 2012 წლის 25 თებერვლამდე 1000 აშშ დოლარი ანუ სულ დ. ა-მა ნ. ა-ეს უნდა გადაუხადოს 11000 აშშ დოლარი ზემოთ მითითებული ვადით და პირობით.

2. მხარეები თანხმდებიან, რომ თანხის სრულ გადახდამდე უზრუნველყოფის ღონისძიება იპოთეკის ხელშეკრულება დარჩეს ძალაში.

3. მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ვალდებულების შესრულება განხორციელდება იპოთეკის საგანით, კერძოდ: უძრავი ქონება ქ.ქუთაისში, ... ქუჩა №5-ში, მიწის საკადასტრო კოდი №.... რომელიც ეკუთვნის დ. ა-ს აუქციონზე მიიქცევა აღსასრულებლად. იპოთეკის უზრუნველყოფის მოცულობა მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში განისაზღვროს 13.000 აშშ დოლარით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, მიიჩნევს, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის 1-ელი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმოწერედი მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 და 272-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

დ. ა-სა და ნ. ა-ის შუამდგომლობა მორიგების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

დამტკიცდეს მორიგება დ. ა-სა და ნ. ა-ეს შორის შემდეგი პირობით:

1. დ. ა-ი თანახმაა გადაიხადოს, ხოლო ნ. ა-ე თანახმაა მიიღოს 2012 წლის 31 იანვრამდე 10.000 აშშ დოლარი, ხოლო 2012 წლის 25 თებერვლამდე 1000 აშშ დოლარი ანუ სულ დ. ა-მა ნ. ა-ეს უნდა გადაუხადოს 11000 აშშ დოლარი ზემოთ მითითებული ვადით და პირობით.

2. მხარეები თანხმდებიან, რომ თანხის სრულ გადახდამდე უზრუნველყოფის ღონისძიება იპოთეკის ხელშეკრულება დარჩეს ძალაში.

3. მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ვალდებულების შესრულება განხორციელდება იპოთეკის საგანით, კერძოდ: უძრავი ქონება ქ.ქუთაისში, ... ქუჩა №5-ში, მიწის საკადასტრო კოდი №.... რომელიც ეკუთვნის დ. ა-ს აუქციონზე მიიქცევა აღსასრულებლად. იპოთეკის უზრუნველყოფის მოცულობა მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში განისაზღვროს 13.000 აშშ დოლარით.

შეწყდეს მოცემულ საქმეზე სამოქალაქო საქმის წარმოება ნ. ა-ის სარჩელისა გამო დ. ა-ის მიმართ სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხისა და სარგებლის დაკისრების თაობაზე.

გაუქმდეს ამ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებები.

დ. ა-ს დაუბრუნდეს კ. ა-ის მიერ გადახდილი სახელწიფო ბაჟი 700 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

№ას-1426-1441-2011

22 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ბ. ალავეძე,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: უძრავ ნივთზე თანამესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

თ. გ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. გ-ისა და მ. გ-ის მიმართ ბინის წილზე თანამესაკუთრედ ცნობის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებით თ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. გ-ემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს გ. და მ. გ-ებმა. მოცემულ საკასაციო საჩივარზე არ იყო გადახდილი სახელმწიფო ბაჟი. კასატორებს დაუდგინდათ ხარვეზი, რაც სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში გასწორდა.

2011 წლის 28 ოქტომბერს თ. გ-ემ წარმოადგინა განცხადება და მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა, იმ საფუძველით რომ მხარეებს შორის შედგა მორიგება.

2011 წლის 22 ნოემბერს დაინიშნა სასამართლო სხდომა მორიგების პირობების დამტკიცების მიზნით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, მიიჩნევს, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის 1-ელი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

თ. გ-ის, მ. და გ. გ-ეების შუამდგომლობა მორიგების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

დამტკიცდეს მორიგება თ. გ-ესა და გ. და მ. გ-ეებს შორის შემდეგი პირობებით:

გ. და მ. გ-ეებმა თ. გ-ეს გადაუხადეს 10 000 აშშ დოლარი, ქ.თბილისში, ... კორ. 24, ბინა №58-ის, 1/4 წილის სა-
ნაცვლოდ.

მ. და გ. გ-ეები იღებენ ვალდებულებას მორიგების აქტის დამტკიცების შემდეგ თ. გ-ეს გადასცენ 300 ლარის ღირებულების პიანინო გამა, რომელიც ამჟამად მათ საცხოვრებელ ბინაშია.

შეწყდეს საქმის წარმოება თ. გ-ის სარჩელისა გამო გ. და მ. გ-ეების მიმართ უძრავ ნივთზე თანამესაკუთრედ ცნობის თაობაზე.

გაუქმდეს ამ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებები.

მ. და გ. გ-ეებს დაუბრუნდეს მ. გ-ის მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 380 ლარი

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

№ას-1487-1496-2011

9 მარტი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: ხელშეკრულებების ბათილად ცნობა და უძრავი ქონების ნატურით დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ც-მა სარჩელი აღძრა ახალციხის რაიონულ სასამართლოში შპს „პ-ოსა“ და ი. მ-ს მიმართ და მოითხოვა სოფელ ო-ში მის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მდებარე სახლის რეკონსტრუქციისა და საცხოვრებლად ვარგის მდგომარეობამდე მიყვანის ხარჯის 76 755,67 აშშ დოლარის (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად 135343,27 ლარი), სახლის მშენებლობისათვის შეძენილი მასალის საფასურის 7306 აშშ დოლარის (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად 12688 ლარი), უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული შემოსავალის 10600 აშშ დოლარისა (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად 18690,98 ლარი) და ხელშეკრულების შეუსრულებლობის შედეგად მიუღებელი შემოსავალის 22500 აშშ დოლარის, მოპასუხეებისათვის, მის სასარგებლოდ, სოლიდალურად დაკისრება.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებით მოსარჩელე გ. ც-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მოპასუხე შპს „პ-ოსა“ და ი. მ-ს მოსარჩელე გ. ც-ის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ ხელშეკრულების შეუსრულებლობის შედეგად მიყენებული ზიანის, კერძოდ, სახლის რეკონსტრუქციისა და მისი ვარგისიან მდგომარეობამდე მიყვანის ხარჯის – 76 755.76 აშშ დოლარის, ვალდებულების შეუსრუ-

ლებლობის გამო მიყენებული ზიანის (მიუღებელი შემოსავლის) – 12 000 აშშ დოლარის და უსაფუძვლოდ მიღებული თანხის – 17 806 აშშ დოლარის ანაზღაურება; მოსარჩელე გ. ც-ის სარჩელი მიუღებელი შემოსავლის სახით 10 500 აშშ დოლარის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდ მიღებული თანხის გამო.

რაიონული სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს შპს „პ-ომ“ და გ. ც-მა, მოითხოვეს მისი ნაწილობრივ გაუქმება და გაუქმებულ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილებით შპს „პ-ოსა“ და ი. მ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ახალციხის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, გ. ც-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს: შპს „პ-ოს“ და ი. მ-ის მოსარჩელე გ. ც-ის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროთ ხელშეკრულების შეუსრულებლობის შედეგად მიყენებული ზიანის, კერძოდ სახლის რეკონსტრუქციისა და მისი ვარგისიან მდგომარეობამდე მიყვანის ხარჯის – 72 355.76 აშშ დოლარის, ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მიყენებული ზიანის (მიუღებელი შემოსავლის) – 12 000 აშშ დოლარისა და უსაფუძვლოდ მიღებული თანხის – 17 806 აშშ დოლარის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2009 წლის 15 აპრილს შპს „პ-ოსა“ და მოსარჩელე გ. ც-ს შორის დაიდო ხელშეკრულება სახლის მშენებლობის ზედამხედველობის შესახებ, რომლის თანახმად, შპს „პ-ო“ ვალდებული იყო განეხორციელებინა მშენებლობის ზედამხედველობა და ეზურუნა სოფელ ო-ში მოსარჩელის კუთვნილ ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულებაზე მშენებლობის დაწყებიდან მაქსიმუმ 100 დღის განმავლობაში, ანუ არაუგვიანეს 2009 წლის 25 ივლისამდე.

მშენებლობის განხორციელებისათვის საჭირო თანხები (72000 ლარის და 39000 აშშ დოლარის ოდენობით) გადაეცა შპს „პ-ოს“ წარმომადგენელ ი. მ-ს.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა მასზე, რომ მხარეთა ახსნა-განმარტებებითა და ი. მ-ისათვის თანხების გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტით დადგინდა, რომ მოსარჩელე გ. ც-სა და შპს „პ-ოს“ დირექტორ ი. მ-ს შორის არსებობდა ზეპირი გარიგება საცხოვრებელი სახლის მშენებლობის შესახებ. ამასთან, მხარეებს შორის არსებული შეთანხმებით, მშენებლობისათვის საჭირო მასალების შექმენაზე პასუხისმგებელი პირი იყო ი. მ-ი. მხარეებს შორის სამუშაოს მიღების შესახებ წერილობითი დოკუმენტი არ გაფორმებულა.

გ. ც-ის წარმომადგენლის – ქ. ქ-ას 2010 წლის 23 ივნისის წერილით პალატამ დაადგინა, რომ მან შპს „პ-ოს“ დირექტორს – ი. მ-ს აცნობა, რომ შპს „პ-ოს“ და ი. მ-ის მხრიდან დარღვეული იყო ხელშეკრულებით ნაკისრი მთელი რიგი ვალდებულებები, კერძოდ: მშენებლობა ჩატარებული იყო უხარისხოდ, გარკვეული სამუშაოები შესრულებული არ იყო, არ არსებობდა შენობის შიდა სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა, შესაბამისად, თანხების ხარჯვის კანონიერება ეჭვს ბადებდა. მთელი რიგი სამშენებლო მასალები, ღირებულებით 7 206 დოლარი, შექმნილი იყო გ. ც-ის მიერ, ხოლო თანხა მიღებული ჰქონდა ი. მ-ს. ასევე, არ იყო დასრულებული სახლის მშენებლობა, რის შედეგადაც ზიანი ადგებოდა დამკვეთს. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, შპს „პ-ომ“ მოითხოვა დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს 2010 წლის 10 ივლისამდე, დაებრუნებინა გ. ც-ისათვის სამშენებლო მასალებში გადახდილი 7 206 აშშ დოლარი და ასევე, განუხორციელებელი სხვა ვალდებულებებისათვის ზედმეტად გადახდილი თანხა – 15 521 ლარი. ამასთან, ხელშეკრულების დათქმულ ვადაში შეუსრულებლობის გამო აენაზღაურებინა ზიანი – 6,200 აშშ დოლარის ოდენობით. გარდა აღნიშნულისა, შპს „პ-ოს“ უნდა წარედგინა დამკვეთისთვის მის მიერ სახლის შიდა და გარე სამუშაოების ჩასატარებლად შექმნილი მასალების სრული ხარჯთაღრიცხვა, პირველადი საბუღალტრო დოკუმენტაცია და დაესრულებინა სახლის და მის გარეთ ჩასატარებელი სამუშაოები დამკვეთისათვის მისაღები ხარისხით 2010 წლის 1 აგვისტომდე.

საქმეში არსებული მასალებით პალატამ ასევე დაადგინა, რომ შპს „პ-ოს“ აღნიშნული შეტყობინების საფუძველზე, რაიმე ქმედება არ განუხორციელებია. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტთა მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს გამომდინარე იქიდან, რომ ზემოხსენებული წერილი შექმვეთის მიერ წარდგენილ იქნა სამუშაოს მიღებიდან 1 წლის შემდეგ, ვერ მიიჩნეოდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ სათანადო გაფრთხილებად. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ აპელანტთა მითითება პრეტენზიის წარდგენის გონივრულ ვადაზე, მაშინ, როდესაც მის მიერ საბუღალტრო დოკუმენტაციის წარუდგენლობა ადასტურებდა, რომ მოსარჩელეს შესრულებული სამუშაო არ მიუღია, იყო სრულიად უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი. საბუღალტრო დოკუმენტებში ზედმიწევნით განსაზღვრული ხარჯთაღრიცხვა ნათლად დაადასტურებდა იმ ფაქტს, თუ როდის, რისთვის, რამდენი თანხა იქნა დახარჯული, რა სამუშაო იქნა შესრულებული და სადამდე მიყვანილი.

მოსარჩელის თხოვნით, სამშენებლო კომპანია შპს „ა-მა“ შეისწავლა შენობა და დაადგინა შენობის დემონტაჟისა და ანალოგიური შენობის აშენების ღირებულება, რაც შეადგენს 76755,67 აშშ დოლარს (დღგ-ს ჩათვლით).

სამშენებლო მასალების გარკვეული ნაწილი, რომელიც შეტანილი იყო შპს „პ-ოს“ მიერ წარმოდგენილ წინასწარ ხარჯთაღრიცხვაში (7206 აშშ დოლარი – ლამინატის, კარ-ფანჯრის, შიდა კარების, მეტლახის და სველი წერტილების მოწყობილობის ღირებულება) გადახდილი იყო მოსარჩელის მიერ, ხოლო თანხა მიღებული ჰქონდა ი. მ-ს.

სისპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, პალატამ დაადგინა, რომ საცხოვრებელ სახლს აღნიშნებოდა მთელი რიგი დარღვევები და სამშენებლო ნორმებიდან გადახვევები, ცალკეული დარღვევები არის კონსტრუქციული ხასიათის, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ, როგორც შენობის საერთო მდგრადობაზე და კონსტრუქციული ელემენტების მზიღუნარიანობაზე, ასევე – კონ-

სტრუქციული ელემენტების მზიდუნარიანობაზე, ხოლო ცალკეული მათგანი საინტერიერო დევექტებითა და დიზაინერული ხარვეზებით ხასიათდებიან, რომლებიც ძირითადად საყოფაცხოვრებო პირობებს აუარესებენ და დისკომფორტს ქმნიან.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ ექსპერტიზის დასკვნის შეფასებისას უნდა გათვალისწინებულიყო ის გარემოება, რომ მშენებლობის დასრულებიდან ექსპერტიზის ჩატარებამდე გასული იყო საკმაოდ დიდი დრო, რა პერიოდშიც მოსალოდნელი იყო ნაკლოვანებები წარმოშობილიყო სხვადასხვა მიზეზებით (მაგალითად: ტემპერატურა, ქარი, კლიმატური პირობები და ა.შ.). სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შეუძლებელი იყო კლიმატისა და ტემპერატურის ცვალებადობას ისეთი უარყოფითი გავლენა მოეხდინა სამშენებლო ნორმების შესაბამისად აგებულ სახლზე, რომ ექვევემ დამდგარიყო მისი მდგრადობის საკითხი. მოპასუხეებისათვის გადახდილი თანხის ნაწილზე, კერძოდ, **1060 აშშ დოლარის** შესახებ, არ არსებობდა ინფორმაცია (არ შეესაბამება წინასწარი ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრულ თანხას), თუ რა საფუძვლით იქნა აღნიშნული თანხა მიღებული და გამოყენებული.

მშენებლობის დასრულების ვადაგადაცილების გამო (საცხოვრებელი სახლი დღესაც გამოუსადეგარია საცხოვრებლად), იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელემ ვადაგადაცილების გამო საცხოვრებელი სახლი ვერ გამოიყენა საცხოვრებლად, მას ადგება ზიანი.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას მასზე, რომ ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი იყო, როგორც ი. მ-ი, ასევე – შპს „პ-ო“. სახლის მშენებლობის ზედამხედველობის შესახებ ხელშეკრულებით დგინდება, რომ ხსენებული ხელშეკრულება დადებულ იქნა გ. ც-სა და შპს „პ-ოს“ შორის, რომელსაც წარმოადგენდა ი. მ-ი. სამშენებლო სამუშაოების თანხები მიღებული აქვს და სამუშაოების ხარჯთაღრიცხვას ხელს აწერს ი. მ-ი, რომელიც იმავდროულად არის შპს „პ-ოს“ დირექტორი. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, იმის გათვალისწინებით, რომ მშენებლობა და მასზე ზედამხედველობა ევალებოდა ერთსა და იმავე სუბიექტს – ი. მ-სა და შპს „პ-ოს“, შესაბამისად, ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი არის, როგორც ი. მ-ი, ასევე – შპს „პ-ო“ და უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტის მტკიცება იმასთან დაკავშირებით, რომ მენარდე იყო ი. მ-ი, არა როგორც იურიდიული პირის დირექტორი, არამედ – როგორც ფიზიკური პირი და შპს „პ-ო“ არ წარმოადგენდა სოლიდარულად პასუხისმგებელ პირს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოში **2011 წლის 28 ივლისს** გამართულ სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე გ. ც-მა შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა **4400 აშშ დოლარით**, არსებული სახლის დემონტაჟისათვის საჭირო თანხის ნაწილში.

სააპელაციო სასამართლომ დადგინილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის **50-ე, 69.1-ე, 319.1-ე, 362-ე, 463-ე, 464-ე, 361-ე, 644-ე, 405-ე, 649-ე, 646.2-ე, 385-ე, 982-ე, მე-400 მუხლებით** და მიიჩნია, რომ შპს „პ-ოსა“ და ი. მ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს დასხელებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს შპს „პ-ომ“ და ი. მ-მა, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საკასაციო საჩივრის განხილვისას, მხარეებმა: შპს „პ-ო“, ი. მ-მა და გ. ც-მა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

1. მოპასუხეები შპს „პ-ო“ და ი. მ-ი თანხმობას აცხადებენ მოსარჩელე გ. ც-ს სოლიდარულად გადაუხადონ **44000 აშშ დოლარის** ეკვივალენტი ლარში, როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორების გზით; თანხის გადახდა მოხდება **6 თვის** განმავლობაში, თითოეულ თვეს არანაკლებ **7333,3 აშშ დოლარის** ოდენობით;

2. მითითებული თანხის გადახდა იწარმოებს გ. ც-ის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით. თანხის გადახდა უნდა მოხდეს ყოველი თვის **25-30 რიცხვებში**. გრაფიკის დარღვევად ჩაითვლება გადახდის ვადის გადაცილება მომდევნო **5 საბანკო** დღის განმავლობაში. ყოველთვიური გრაფიკის დარღვევა იწვევს პირგასამტეხლოს დაკისრებას ვადაგადაცილებულ დღეზე **0,001%-ის** ოდენობით იმ თვეში გადასახდელი თანხიდან. პირგასამტეხლო შპს „პ-ოსა“ და ი. მ-ს დაეკისრებათ სოლიდარულად.

3. გ. ც-ი თანახმაა მორიგების აღნიშნულ პირობებზე. იგი გონივრულ ვადაში მიაწვდის მოწინააღმდეგე მხარეს თავის საბანკო ანგარიშის რეკვიზიტებს. იგი ასევე აცხადებს, რომ მორიგების პირობების შესრულების შემთხვევაში, მომავალში შპს „პ-ოსა“ და ფიზიკურ პირ ი. მ-ის მიმართ არანაირი პრეტენზია არ ექნება, ასევე, აშენებული სახლის ექსპლუატაციისათვის ვარგისიანობასთან დაკავშირებით. მიღებული თანხით იგი სრულად უზრუნველყოფს ყველა ხარვეზის აღმოფხვრას და სახლის ვარგისიანად აღიარებას შესაბამისი ორგანოების მეშვეობით. ასევე აცხადებს, რომ წინამდებარე მორიგების აქტის პირობების შესრულებით, ის ჩაიბარებს საცხოვრებელ სახლს.

4. თანხის გადახდის საერთო გრაფიკის დარღვევად ჩაითვლება **2012 წლის 7 სექტემბრის**ათვის **44000 აშშ დოლარის** გადაუხდელობა, რის საფუძველზეც, გ. ც-ი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს სააღსრულებო ფურცელი, რომლითაც შპს „პ-ოსა“ და ი. მ-ს სოლიდარულად დაეკისრებათ **100000 აშშ დოლარის** ეკვივალენტი თანხა ლარებში.

მხარეებმა მოითხოვეს მორიგების აქტის დამტკიცება და საქმეზე წარმოების შეწყვეტა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს და მოცემულ საქმეზე წარმოება შეწყდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის 1-ელი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს, რის გამოც წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში. კანონის აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, კასატორებს: შპს „პ-ოსა“ და ი. მ-ს უნდა დაუბრუნდეთ ო. კ-ის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 8000 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

- დაკმაყოფილდეს მხარეთა შუამდგომლობა და დამტკიცდეს მორიგება მხარეთა შორის შემდეგი პირობებით:
 - მოპასუხეები შპს „პ-ო“ და ი. მ-ი თანხმობას აცხადებენ მოსარჩელე გ. ც-ს სოლიდარულად გადაუხადონ 44000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში, როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორების გზით; თანხის გადახდა მოხდება 6 თვის განმავლობაში, თითოეულ თვეს არანაკლებ 7333,3 აშშ დოლარის ოდენობით;
 - მითითებული თანხის გადახდა იწარმოებს გ. ც-ის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით. თანხის გადახდა უნდა მოხდეს ყოველი თვის 25-30 რიცხვებში. გრაფიკის დარღვევად ჩაითვლება გადახდის ვადის გადაცილება მომდევნო 5 საბანკო დღის განმავლობაში. ყოველთვიური გრაფიკის დარღვევა იწვევს პირგასამტეხლოს დაკისრებას ვადაგადაცილებულ დღეზე 0,001%-ის ოდენობით იმ თვეში გადასახდელი თანხიდან. პირგასამტეხლო შპს „პ-ოსა“ და ი. მ-ს დაეკისრებათ სოლიდარულად.
 - გ. ც-ი თანახმაა მორიგების აღნიშნულ პირობებზე. იგი გონივრულ ვადაში მიაწვდის მოწინააღმდეგე მხარეს თავის საბანკო ანგარიშის რეკვიზიტებს. იგი ასევე აცხადებს, რომ მორიგების პირობების შესრულების შემთხვევაში, მომავალში შპს „პ-ოსა“ და ფიზიკურ პირ ი. მ-ის მიმართ არანაირი პრეტენზია არ ექნება, ასევე, აშენებული სახლის ექსპლუატაციისათვის ვარგისიანობასთან დაკავშირებით. მიღებული თანხით იგი სრულად უზრუნველყოფს ყველა ხარვეზის აღმოფხვრას და სახლის ვარგისიანად აღიარებას შესაბამისი ორგანოების მეშვეობით. ასევე აცხადებს, რომ წინამდებარე მორიგების აქტის პირობების შესრულებით, ის ჩაიბარებს საცხოვრებელ სახლს.
 - თანხის გადახდის საერთო გრაფიკის დარღვევად ჩაითვლება 2012 წლის 7 სექტემბრისათვის 44000 აშშ დოლარის გადაუხდელობა, რის საფუძველზეც, გ. ც-ი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს სააღსრულებო ფურცელი, რომლითაც შპს „პ-ოსა“ და ი. მ-ს სოლიდარულად დაეკისრებათ 100000 აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხა ლარებში.
 - მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო, გაუქმდეს ამ საქმეზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, შეწყდეს საქმის წარმოება;
 - მხარეებს განემარტათ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება. მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოხდება გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება;
 - კასატორებს: შპს „პ-ოსა“ და ი. მ-ს დაუბრუნდეთ ო. კ-ის მიერ საკასაციო საჩივარზე 2011 წლის 25 ოქტომბერს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 8000 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ხაზინის ერთიანი ანგარიშის ნომერი – 200122900, მიმღები ბანკი – სახელმწიფო ხაზინა 220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი – №300773150;
 - საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

№ას-1808-1782-2011

12 მარტი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

გ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: ხელშეკრულებების ბათილად ცნობა და უძრავი ქონების ნატურით დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ბ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ხ-ისა და ე. ბ-ის წინააღმდეგ და მოითხოვა: ნ. ბ-ესა და მ. ხ-ს შორის 2007 წლის 12 მაისს სანოტარო წესით დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა; მ. ხ-სა და ე. ბ-ს შორის 2009 წლის 28 მაისს დადებული სანოტარო წესით დამოწმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა; დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით ქ. ხაშურში, ... ქუჩა №131-ში მდებარე უძრავი ქონების ნატურით დაბრუნებისათვის სადაო ქონების მესაკუთრედ ცნობა შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელის განმარტებით, ნ. ბ-ესა და მ. ხ-ს შორის 2007 წლის 12 მაისს სანოტარო წესით, მოტყუებით დაიდო წერილობითი, სარგებლიანი, ვადიანი, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რითაც, სესხის უზრუნველყოფის მიზნით, იპოთეკით დაიტვირთა ნ. ბ-ის უძრავი ქონება მდებარე ქ. ხაშური, ... ქუჩა №131-ში. 2008 წლის 17 დეკემბერს კერძო არბიტრაჟის შპს. «ჯ»-ში განხილულ იქნა მოპასუხე მ. ხ-ის სარჩელი და მოტყუებით დადებულ ხელშეკრულებაზე გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება, რითაც მ. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებლო ფურცლის საფუძველზე სააღსრულებლო ბიუროს განკარგულებით ნატურით მოხდა მოსარჩელის უძრავი ქონების მოპასუხე მ. ხ-ის საკუთრებაში გადაცემა, რის საფუძველზეც იგი აღირიცხა საჯარო რეესტრში სადავო უძრავის ქონების მესაკუთრედ. მოპასუხე მ. ხ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ თაღლითობაში თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 28 ივლისის გამამტყუნებელი განაჩენით ნ. ბ-ესთან დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებასთან მიმართებით. მ. ხ-სა და ე. ბ-ს შორის 2009 წლის 28 მაისს სანოტარო წესით, მოჩვენებით, დაიდო წერილობითი, ნასყიდობის ხელშეკრულება, რითაც მოტყუებითა და თაღლითობით მ. ხ-ის მიერ საკუთარ სახელზე აღირიცხული უძრავი ქონება მდებარე ქ. ხაშური, ... ქუჩა №131-ში აღირიცხა საჯარო რეესტრში ე. ბ-ის სახელზე. მოსარჩელის განმარტებით, ე. ბ-ი არ არის კეთილსინდისიერი შემძენი, ვინაიდან მისთვის ცნობილი იყო მოპასუხე მ. ხ-ის მიერ სადაო ქონების თაღლითური გზით ხელში ჩაგდება შესახებ.

მოპასუხე მ. ხ-მა სარჩელი არ ცნო და მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

მოპასუხე ე. ბ-მა სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით: მ. ხ-სა და ე. ბ-ს შორის 2009 წლის 28 მაისს სანოტარო წესით, დაიდო წერილობითი, ნასყიდობის ხელშეკრულება, რითაც უძრავი ქონება მდებარე ქ. ხაშური, ... ქუჩა №131-ში აღირიცხა საჯარო რეესტრში ე. ბ-ის სახელზე. მოპასუხე ე. ბ-ი არის კეთილსინდისიერი შემძენი ვინაიდან იგი მოპასუხე მ. ხ-თან დანაშაულებრივ გარეგნობაში არ იმყოფებოდა.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ნ. ბ-ესა და მ. ხ-ს შორის 2007 წლის 12 მაისს დადებული, სანოტარო წესით დამოწმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება; ბათილად იქნა ცნობილი მ. ხ-სა და ე. ბ-ს შორის 2009 წლის 28 მაისს დადებული სანოტარო წესით დამოწმებული ნასყიდობის ხელშეკრულება. ნ. ბ-ე აღიარებულ იქნა ქ. ხაშურში, ... ქ. №131-ში მდებარე უძრავი ქონებისა და მასზე აღმართული შენობა-ნაგებობების მესაკუთრედ – საკადასტრო კოდეით

რაიონული სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. ბ-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ე. ბ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ხაშურის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული იქნას ახალი გადაწყვეტილება, ნ. ბ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ნ. ბ-ესა და მ. ხ-ს შორის 2007 წლის 12 მაისს დადებული სანოტარო წესით დამოწმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება. ნ. ბ-ის სარჩელი მ. ხ-სა და ე. ბ-ს შორის 2009 წლის 28 მაისს დადებული სანოტარო წესით დამოწმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და უძრავი ნივთის ნატურით დაბრუნების თობაზე არ დაკმაყოფილდა, ნ. ბ-ეს ე. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 150 ლარის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საქმეში არსებული მასალებით სასამართლომ დადგინდა, რომ ნ. ბ-ესა და მ. ხ-ს შორის 2007 წლის 12 მაისს სანოტარო წესით დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რითაც სესხის უზრუნველყოფის მიზნით, იპოთეკით დაიტვირთა ქ. ხაშურში, ... ქუჩა №131-ში მდებარე ნ. ბ-ის უძრავი ქონება, დადებულია მოტყუებით, ვინაიდან მსესხებლის განზრახვა მიმართული იყო 5000 აშშ დოლარის ოდენობით სესხის აღებაზე და არა

19500 აშშ დოლარის, როგორც სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში აღნიშნული. სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში აღნიშნულ ოდენობით სესხის მიღებაზე იგი თანხმობას არ განაცხადებდა და ამდენად არც სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება არ დაიდებოდა ხალხმეკრულებაში ასახული პირობით, რაზეც მეტყველებს დამატებით თანხის საჭიროებაზე ე. ა-ის მხრიდან განზრახვის გამჟღავნებისას, მსესხებელმა ნ. ბ-ემ უარი განაცხადა სესხზე 5000 აშშ დოლარი გადასცა ე. ა-ს გამსესხებელზე დასაბრუნებლად და მოითხოვა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების (გაუქმება) მოშლა.

2008 წლის 17 დეკემბერს კერძო არბიტრაჟის შპს. «ჯ»-ში განხილულ და გადაწყვეტილ იქნა №46/08 საქმე მ. ხ-ის სარჩელისა გამო ნ. ბ-ის მიმართ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო თანხის დაკისრებისა და იპოთეკით დატვირთული ქონების იძულებით რეალიზაციის შესახებ, არბიტრაჟის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა და ნ. ბ-ეს დაეკისრა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 19500 აშშ დოლარის, სარგებლისა და პირგასამტეხლოს გადახდა მაყავალა ხ-ის სასარგებლოდ, რაც შევიდა კანონიერ ძალაში და არბიტრაჟის მიერ 2008 წლის 24 დეკემბერს გაიცა №46/08 სააღსრულებლო ფურცელი, რომელიც მოპასუხე მ. ხ-ის მიერ წარგენილ იქნა აღსასრულებლად სააღსრულებლო ბიუროში, პირველ აუქციონზე 2009 წლის 3 აპრილს იპოთეკით დატვირთული ქონება გატანილ იქნა სარეალიზაციოდ 37452.67 აშშ დოლარად და იგი აუქციონის წესით არ გაიყიდა, მეორე აუქციონზე 2009 წლის 28 აპრილს იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება გატანილ იქნა სარეალიზაციოდ 18726.33 აშშ დოლარად, რა დროსაც ასევე არ გაიყიდა აუქციონზე მეორედ გატანილი ქონება და 2009 წლის 11 მაისს სააღსრულებლო ბიუროს განკარგულებით იგი ნატურით გადაეცა მ. ხ-ს, რის საფუძველზეც 2009 წლის 21 მაისს მ. ხ-ი აღირიცხა ნ. ბ-ის უძრავი ქონების მესაკუთრედ საჯარო რეესტრში.

მოპასუხე მ. ხ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ თალითობაში თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 28 ივლისის გამამტყუნებელი განაჩენით ნ. ბ-ესთან დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებასთან მიმართებით, გამამტყუნებელი განაჩენი შესულია კანონიერ ძალაში.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა აპელანტის პოზიციას, რომ 2009 წლის 28 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულება არ წარმოადგენდა მოჩვენებით გარიგებას და ე. ბ-ი იყო უძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შემძენი.

სააპელაციო პალატამ მიუთითა სამოქალაქო 56-ე მუხლის 1-ელი ნაწილზე და აღნიშნა, რომ განსახილველი ნორმით იგულისხმება ის შემთხვევა, როდესაც, როგორც ნების გამომვლენი, ასევე მისი მიმღები მოქმედებენ იმ განზრახვის გარეშე, რომ ამ გარიგებას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვეს, რაც ცხადყოფს, რომ მოჩვენებით გარიგებას ახასიათებს მხარეთა „ურთიერთშეთანხმება“, „გარიგება“ მოჩვენებით ნების გამოვლენის შესახებ. ამდენად, ის ფაქტი, რომელიც მიუთითებს სადავო გარიგების მხარეთა ნების გამოვლენის არანამდვილობაზე, უნდა დამტკიცდეს იმან, ვისაც მიაჩნია, რომ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით შეილახა მისი უფლება. კონკრეტულ შემთხვევაში, პალატის მითითებით, ნ. ბ-ემ ვერ მიუთითა ისეთ მტკიცებულებებზე, რომლითაც დადასტურებული იქნებოდა მ. ხ-ისა და ე. ბ-ის უკანონო „ურთიერთშეთანხმება“, მოქმედებები, რომლებიც მიუთითებენ მათ საერთო ინტერესებზე, რომლებიც გამორიცხავდა იმ განზრახვას, რომ მათ მიერ დადებულ გარიგებას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვეს. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ უდავო ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ ე. ბ-მა საჯარო რეესტრში დაირეგისტრირა საკუთრების უფლება სადავო უძრავ ნივთზე, რის შემდეგაც მის მიერ გამოსახლებულ იქნა ნ. ბ-ე. სააპელაციო პალატის განმარტებით, ერთ-ერთი არგუმენტი, რომელიც ნ. ბ-ემ შემძენის კეთილსინდისიერების საპირისპიროდ წარმოადგინა, იყო მითითება იმის შესახებ, რომ სადავო ბინაზე ე. ბ-ის მიერ ნასყიდობის თანხა გადახდილი იქნა არა ხელშეკრულების დადებისას, არამედ მანამდე, ხოლო ნასყიდობის ხელშეკრულება კი დაიდო ვალის გაქვითვის მიზნით, რაც მოსარჩელის მოსაზრებით, მიუთითებდა სადავო გარიგების მონაწილე სუბიექტების ნების გამოვლენის მოჩვენებით ხასიათზე. აღნიშნული მოსაზრება სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა და განმარტა, რომ ის გარემოება, რომ ე. ბ-ს ვალის სახით ჰქონდა მიცემული თანხა მ. ხ-ისთვის და ამ ვალის სანაცვლოდ მიიღო ბინა, არ შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ გარიგება მოჩვენებითი ხასიათისაა, ვინაიდან, აღნიშნული არ გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შინაარსიდან.

სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 185-ე, 312-ე მუხლებზე მითითებით აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, დადგენილი იყო, რომ 2009 წლის 28 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის, ქ. ხაშურში, ... ქ. №131ა-ში მდებარე უძრავ ქონებაზე რეგისტრირებული იყო მ. ხ-ის საკუთრების უფლება. იმის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, რომ ე. ბ-ისთვის ცნობილი იყო, რომ მ. ხ-ი არ იყო სადავო უძრავი ნივთის ნამდვილი მესაკუთრე, სასამართლოში წარდგენილი არ ყოფილა, ხოლო მართოდ მ. ხ-ის და ე. ბ-ის ნაცნობობა და მეზობლობა არ შეიძლება მიუთითებდეს ე. ბ-ის არაკეთილსინდისიერებაზე, ანდა ფიქტიური გარიგების დადების შესახებ „ურთიერთშეთანხმებაზე“, რომლის დადასტურების ტვირთიც აკისრია ნ. ბ-ეს. ამასთან, სააპელაციო პალატამ ყურადღებას გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მ. ხ-ის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილია 2010 წლის 28 ივლისს, ხოლო სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულია 2009 წლის 28 მაისს, რაც ასევე მიუთითებდა ე. ბ-ის კეთილსინდისიერებაზე. გარდა ამისა, პალატის მითითებით, საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, სადავო უძრავი ქონების მ. ხ-ზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციის საფუძველი გახდა: განმეორებითი აუქციონის შესახებ 2009 წლის 28 აპრილის ოქმი და შიდა ქართლის სააღსრულებლო ბიუროს 11.05.2009წ. განკარგულება ქონების ნატურით გადაცემის შესახებ, რომლებიც ძალაშია და მათი გაუქმება არავის არ მოუთხოვია.

სააპელაციო პალატამ მიაჩნია, რომ 2009 წლის 28 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მიმართ ნ. ბ-ეს არ გააჩნდა იურიდიული ინტერესი.

პალატამ განმარტა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნა, თავისი შინაარსით წარმოადგენდა აღიარებითი ხასიათის სარჩელს. სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე

მუხლზე საქმის მასალებით დადგენილია, რომ კერძო არბიტრაჟის შპს «ჯ»-ის 2008 წლის 17 დეკემბრის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით, სადავოდ გამხდარი სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე ნ. ბ-ეს მ. ხ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 19 500 აშშ დოლარის გადახდა, რომლის გადახდევინებაც უნდა მომხდარიყო იპოთეკით დატვირთული, ნ. ბ-ის საკუთრებაში არსებული ქ. ხაშურში, ... ქ. №131ა-ში მდებარე უძრავ ქონების რეალიზაციის გზით. ასევე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით სადავო უძრავი ქონება ორჯერ იქნა გატანილი აუქციონზე სარეალიზაციოდ, თუმცა უშედეგოდ, რის შემდეგაც ქონება ნატურით საკუთრებაში გადაეცა კრედიტორს – მ. ხ-ს. ამდენად, მ. ხ-მა საკუთრების უფლება ქ. ხაშურში, ... ქ. №131ა-ში მდებარე საცხოვრებელი სახლზე მოიპოვა აღმასრულებლის განკარგულების საფუძველზე. ამდენად, აღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი სარჩელით ცალსახად იკვეთება, რომ 2009 წლის 28 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის იურიდიული ინტერესი არ მდგომარეობს ქ. ხაშურში, ... ქ. №131ა-ში მდებარე უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მოსარჩელისათვის გადაცემაში, ვინაიდან, დადგენილია, რომ ზემოაღნიშნულ ქონებაზე საკუთრების უფლება მ. ხ-მა მოიპოვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების შედეგად, აღმასრულებლის განკარგულების საფუძველზე. ამასთან, მ. ხ-ის საკუთრების სამართლებრივი საფუძველი ნამდვილია და მხარეთა შორის სადავოდ არ არის გამხდარი, შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც ძალაშია ხსენებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება და აღმასრულებლის განკარგულება, პალატის აზრით, 2009 წლის 28 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა არ წარმოშობს ქ. ხაშურში, ... ქ. №131ა-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ნ. ბ-ისთვის დაბრუნების შესაძლებლობას, მიუხედავად იმისა, რომ 2007 წლის 12 მაისის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება ბათილია.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია მასზე, რომ სასამართლომ არასწორად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 81-ე მუხლის 1-ელი ნაწილი და არასწორად მიიჩნია 2007 წლის 12 მაისის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება მოტყუებით დადებულ გარიგებად, ვინაიდან, 5 000 აშშ დოლარზე ხელშეკრულების დადების ნება მოსარჩელეს გააჩნდა და გარიგება მაინც დაიდებოდა, ოღონდ 5 000 აშშ დოლარზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში წარმოდგენილი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის კანონიერ ძალში შესული 2010 წლის 16 ნოემბრის №1/ზ-1292-10 გამამტყუნებელი განაჩენით დადგენილია, რომ მ. ხ-მა და ე. ა-მა განიზრახეს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით დაუფლებოდნენ დიდი ოდენობით სხვის კუთვნილ თანხას, განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ისინი შეთანხმდნენ, რომ ე. ა-ი მ. ხ-თან მიიყვანდა სესხის აღების მსურველებს რა დროსაც მათ სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაატვირთინებდნენ თავიანთ კუთვნილ საცხოვრებელ სახლებს. ბინის მესაკუთრეებს მოატყუებდნენ, რომ მათი კუთვნილი ბინები მათთვის სასურველი სესხის უზრუნველსაყოფად იტვირთებოდა, რეალურად კი იპოთეკართაგან აიღებდნენ და მისაკუთრებდნენ დიდი ოდენობით თანხებს ან მესაკუთრეებს ხელს მოაწერინებდნენ დიდი ოდენობით თანხის მიღებაზე, რის საფუძველზეც შემდგომში შეძლებდნენ მათი საცხოვრებელი სახლების აუქციონის წესით გასხვისებისა და რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებას. 2007 წლის დასაწყისში ე. ა-ი დაუახლოვდა ქ. ხაშურში, ... ქ. №131ა-ში მცხოვრებ ნ. ბ-ეს, რომელსაც სამუშაოდ სურდა იტალიაში გამგზავრება. ე. ა-მა ნ. ბ-ეს განუცხადა, რომ 3500 აშშ დოლარად იტალიაში სამუშაოდ გამგზავრებდა. ნ. ბ-ე დაეთანხმა ე. ა-ის წინადადებას, თუმცა მას საჭირო თანხა არ ჰქონდა, რითაც ისარგებლა ე. ა-მა და განიზრახა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით მ. ხ-თან შეთანხმებისამებრ მოტყუებით დაუფლებოდნენ ნ. ბ-ის სახელით 19 500 აშშ დოლარს, განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით ე. ა-მა ნ. ბ-ეს შესთავაზა თანხა ესესხებინა მის მეგობარ მ. ხ-ისაგან. 2007 წლის 12 მაისს, ისინი მივიდნენ ქ. თბილისში, ... ქუჩა №19-ში მდებარე სანოტარო ბიუროში, სადაც ნ. ბ-ეს განუმარტეს, რომ ხელს აწერდა 5000 აშშ დოლარის სესხის მიღებაზე, რაც საჭირო იყო იტალიაში გასამგზავრებლად, რეალურად კი ხელშეკრულებაში მიუთითეს თითქოს ამ უკანასკნელს მ. ხ-მა სარგებლით ასესხა 19 500 აშშ დოლარი და სესხის უზრუნველყოფის მიზნით იპოთეკით დატვირთა ნ. ბ-ის კუთვნილი ბინა მდებარე ქ. ხაშურში, ... 131ა-ში. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ე. ა-მა ნ. ბ-ეს ფორმალურად გადასცა 5000 აშშ დოლარი, თუმცა განუმარტა, რომ იტალიაში გასამგზავრებლად ეს თანხა საკმარისი არ იყო და საჭირო იყო 4500 ევრო, რაზეც ნ. ბ-ემ უარი განაცხადა და ე. ა-ისაგან მიღებული თანხა უკან დაუბრუნა გამსესხებელზე გადასაცემად. ე. ა-ი ნ. ბ-ეს დაპირდა, რომ გააუქმებდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებას, თუმცა იგი მოატყუა 5000 აშშ დოლარი მართლსაწინარმდეგოდ მიისაკუთრა, ხოლო მ. ხ-მა ზემოაღნიშნულ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე შეძლო გასხვისებინა ნ. ბ-ის კუთვნილი ქონება და არარსებული სესხის საფუძველზე მიეღო დიდი ოდენობით სარგებელი. სააპელაციო პალატამ ყურადღებას გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ნ. ბ-ის მოტყუება გამოიხატა არა მარტო თანხის ოდენობაში, არამედ იმაშიც, რომ მას დაპირდნენ იტალიაში სამუშაოდ გამგზავრებას და სწორედ ამ მიზნით ააღებინეს სესხი, სინამდვილეში კი, მისთვის დახმარების განზრახვა სამუშაოდ უცხოეთში გამგზავრებაში, არც ე. ა-ს და არც მ. ხ-ს არ ჰქონია. ამდენად, აშკარაა, რომ მოტყუების გარეშე ნ. ბ-ე სესხის და იპოთეკის ხელშეკრულებას არ გააფორმებდა.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია, რომ 2007 წლის 12 მაისის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილობის საკითხზე მსჯელობა არ წარმოადგენდა სასამართლოს უფლებამოსილებას და მისი განხილვა წარმოადგენდა კერძო არბიტრაჟის შპს «ჯ»-ის კომპეტენციას გამომდინარე იქიდან, რომ ნ. ბ-ემ სცნო საარბიტრაჟო სასამართლოს კომპეტენცია. აღნიშნულთან მიმართებაში, სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე-103-ე მუხლებზე მითითებით აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი არ იყო საარბიტრაჟო საქმის მასალები სრულად, რის გამოც პალატა მოკლებული იყო შესაძლებლობას ემსჯელა საკითხზე – ცნო თუ არა ნ. ბ-ემ კერძო არბიტრაჟის შპს «ჯ»-ის კომპეტენცია კონკრეტულ საქმეზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა და ხაშურის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილების შეცვლით უნდა მიღებულიყო ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ე. ბ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ბ-ემ, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მაშინ, როდესაც გაიზიარა აპელანტის პოზიცია მასზე, რომ 2009 წლის 28 მაისის ხელშეკრულება არ წარმოადგენდა მოჩვენებით გარიგებას და ე. ბერეკაშვილი იყო უძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შემძენი.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება არ გაამახვილა ე. ბ-ისა და მ. ხ-ის ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებაზე და არც იმ გარემოებაზე, რომ მ. ხ-ის აღიარებითი ჩვენებით ხაშურის რაიონულ სასამართლოში ე. ბ-ისათვის ცნობილი იყო აუქციონის ჩატარების პერიოდში, რომ მას პრობლემები ჰქონდა სადავო სახლის მესაკუთრეებთან.

კასატორის აზრით, არასწორია სასამართლოს მითითება მასზე, რომ მას არ გააჩნდა იურიდიული ინტერესი, ხოლო, თუ რაში უნდა გამოიხატებოდა

იურიდიული ინტერესი სასამართლოს არ მიუთითებია.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია როგორ და რის საფუძველზე მივიდა მ. ხ-ი არბიტრაჟამდე.

კასატორის აზრით, სასამართლომ ასევე არასწორად იმსჯელა ბაჟის დაკისრების საკითხში, რადგან იგი კანონის თანახმად, გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ გადაწყვეტილებაში არ გააანალიზა და არ აღმოფხვრა მ. ხ-სა და ე. ბ-ს შორის წინააღმდეგობები, არ მიუთითა რომელი მათგანია სწორი: ხ-ის განმარტება, რომ მან 40000 აშშ დოლარი მიიღო ნოტარიუსში, თუ ბ-ის განმარტება, რომ მას ფული არ მიუცია და სახლი მიიღო ვალში. ასევე, სასამართლომ არ იმსჯელა თვითონ ხ-მა კეთილსინდისიერი გზით შეიძინა თუ არა ხაშურში მდებარე სახლი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 დეკემბრის განჩინებით ნ. ბ-ის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საკასაციო საჩივრის განხილვისას, მხარეებმა: ე. ბ-მა და ნ. ბ-ემ წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

1. კასატორი ნ. ბ-ე კისრულობს ვალდებულებას, მორიგების აქტის დამტკიცებიდან, ამ აქტის მეორე პუნქტში მითითებულ ვადებში და პირობებით გადაუხადოს მოპასუხეს 10000 აშშ დოლარი.

2. თანხის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგი გრაფიკით:

ა) 5000 აშშ დოლარის გადახდა უნდა მოხდეს არაუგვიანეს 2013 წლის 28 თებერვლისა თავისუფალი გრაფიკით;

ბ) დარჩენილი 5000 აშშ დოლარის გადახდა უნდა მოხდეს არაუგვიანეს 2013 წლის 31 დეკემბრისა თავისუფალი გრაფიკით;

3. თანხის გადახდა უნდა მოხდეს უნაღლო ანგარიშსწორების ფორმით, ე. ბ-ის საბანკო ანგარიშზე, რომელიც წარედგინება ნ. ბ-ეს;

4. თანხის სრულად გადახდამდე, ე. ხაშურში, ... ე. №131ა-ში მდებარე 757 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული საცხოვრებელი სახლი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – ..., დარჩეს ე. ბ-ის საკუთრებაში.

5. წინამდებარე აქტის შესაბამისად, თანხის სრულად და დადგენილ ვადებში გადახდის შემთხვევაში, საჯარო რეესტრში მიბმული უფლებით დარეგისტრირდეს ნ. ბ-ის მომავალი საკუთრების უფლება.

6. ე. ხაშურში, ... ე. №131ა-ში მდებარე 757 კვ.მ მიწის ნაკვეთზე და მასზე განთავსებულ საცხოვრებელი სახლზე, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – ..., გაუქმდეს ყადაღა.

7. ამ შეთანხმების პირველ პუნქტში მითითებული თანხის მეორე პუნქტის შესაბამისი გრაფიკით გადახდის შემთხვევაში, ე. ხაშურში, ... ე. №131ა-ში მდებარე 757 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული საცხოვრებელი სახლი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – ..., ხდება ნ. ბ-ის საკუთრება.

8. მორიგებით გათვალისწინებული პირობების მთლიანად ან ნაწილობრივ (მორიგების 2 პუნქტით გათვალისწინებული გრაფიკის დარღვევა) შეუსრულებლობის შემთხვევაში, უქმდება საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული მიბმული უფლება ნ. ბ-ის მომავალი საკუთრების უფლებაზე, რაც წარმოემოზოდა თანხის გადახდის შემთხვევაში და გადახდილი თანხის 50% რჩება ე. ბ-ს, 50% კი, უბრუნდება ნ. ბ-ეს.

9. მხარეები თანხმდებიან, რომ არ გაასაჩივრინ მხარეთა მორიგების შესახებ წინამდებარე შეთანხმების დამტკიცების თაობაზე სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება.

10. წინამდებარე შეთანხმება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან, 2012 წლის 12 მარტიდან.

მხარეებმა მოითხოვეს მორიგების აქტის დამტკიცება და საქმეზე წარმოების შეწყვეტა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს, მოცემულ საქმეზე წარმოება შეწყდეს და გაუქმდეს ხაშურის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 3 იანვრის განჩინებით მიღებული უბრუნველყოფის ღონის-

მიება – ყადაღა მოეხსნას ქ. ხაშურში, ... ქ. №131ა-ში მდებარე, ე. ბ-ის კუთვნილ უძრავ ქონებას, 757 კვ.მ მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ საცხოვრებელ სახლს, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – ..., შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის 1-ელი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს, რის გამოც წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1991-ე მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით. მხარეთა მორიგების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.

განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტის თანახმად, მორიგების ერთ-ერთ პუნქტს წარმოადგენდა მორიგების დადებისთანავე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება, კერძოდ, ქ. ხაშურში, ... ქ. №131ა-ში მდებარე, ე. ბ-ის კუთვნილ უძრავ ქონებაზე – 757 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ საცხოვრებელ სახლზე, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – ..., ყადაღის გაუქმება.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ხაშურის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 3 იანვრის განჩინებით მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიების – ქ. ხაშურში, ... ქ. №131ა-ში მდებარე, ე. ბ-ის კუთვნილი უძრავი ქონების – 757 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებულ საცხოვრებელი სახლის, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – ... დაყადაღების, კანონით გათვალისწინებული, ფაქტობრივი საფუძველი აღარ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით, 284-ე, 1991 მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

დაკმაყოფილდეს მხარეთა შუამდგომლობა და დამტკიცდეს მორიგება მხარეთა შორის შემდეგი პირობებით:

1. კასატორი ნ. ბ-ე კისრულობს ვალდებულებას, მორიგების აქტის დამტკიცებიდან, ამ აქტის მეორე პუნქტში მითითებულ ვადებში და პირობებით გადაუხადოს მოპასუხეს 10000 აშშ დოლარი.

2. თანხის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგი გრაფიკით:

ა) 5000 აშშ დოლარის გადახდა უნდა მოხდეს არაუგვიანეს 2013 წლის 28 თებერვლისა თავისუფალი გრაფიკით;

ბ) დარჩენილი 5000 აშშ დოლარის გადახდა უნდა მოხდეს არაუგვიანეს 2013 წლის 31 დეკემბრისა თავისუფალი გრაფიკით;

3. თანხის გადახდა უნდა მოხდეს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ე. ბ-ის საბანკო ანგარიშზე, რომელიც წარედგინება ნ. ბ-ეს;

4. თანხის სრულად გადახდამდე, ქ. ხაშურში, ... ქ. №131ა-ში მდებარე 757 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული საცხოვრებელი სახლი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – ..., დარჩეს ე. ბ-ის საკუთრებაში.

5. წინამდებარე აქტის შესაბამისად, საჯარო რეესტრში მიზმული ვალდებულებით დარეგისტრირდეს ნ. ბ-ის მომავალი საკუთრების უფლება თანხის სრულად და დადგენილ ვადებში გადახდის შემთხვევაში.

6. ქ. ხაშურში, ... ქ. №131ა-ში მდებარე 757 კვ.მ მიწის ნაკვეთზე და მასზე განთავსებულ საცხოვრებელი სახლზე, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – ..., გაუქმდეს ყადაღა.

7. ამ შეთანხმების პირველ პუნქტში მითითებული თანხის მეორე პუნქტის შესაბამისი გრაფიკით გადახდის შემთხვევაში, ქ. ხაშურში, ... ქ. №131ა-ში მდებარე 757 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული საცხოვრებელი სახლი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – ..., ხდება ნ. ბ-ის საკუთრება.

8. მორიგებით გათვალისწინებული პირობების მთლიანად ან ნაწილობრივ (მორიგების 2 პუნქტით გათვალისწინებული გრაფიკის დარღვევა) შეუსრულებლობის შემთხვევაში, უქმდება საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული მიზმული უფლება ნ. ბ-ის მომავალი საკუთრების უფლებაზე, რაც წარმოემობოდა თანხის გადახდის შემთხვევაში და გადახდილი თანხის 50% რჩება ე. ბ-ს, 50% კი, უბრუნდება ნ. ბ-ეს.

9. მხარეები თანხმდებიან, რომ არ გაასაჩივრინ მხარეთა მორიგების შესახებ წინამდებარე შეთანხმების დამტკიცების თაობაზე სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება.

10. წინამდებარე შეთანხმება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან, 2012 წლის 12 მარტიდან.

მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო, გაუქმდეს ამ საქმეზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, შეწყდეს საქმის წარმოება;

მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება. მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოხდება გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

№ას-80-76-2012

12 მარტი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავეძე

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ა-ჯიმ“ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ო. მ-ის“ მიმართ და მოითხოვა ავანსის სახით გადახდილი 34 500 ევროს ეკვივალენტი ლარის, 85 784,25 ლარის, გადახდა შემდეგი დასაბუთებით: 2009 წლის 7 ოქტომბერს შპს „ა-ჯისა“ და შპს „ო. მ-ს“ შორის დაიდო ხელშეკრულება სატრანსპორტო საშუალების ყიდვა-გაყიდვის შესახებ, რომლის თანახმადაც შპს „ო. მ-მა“ აიღო ვალდებულება, 2010 წლის 30 იანვრამდე გადაეცა მყიდველისათვის ავტომანქანა «ბ. 750 ლ ი-ი», ხოლო სანაცვლოდ მყიდველი ვალდებული იყო, გადაეხადა ნასყიდობის თანხა 115 000 ევრო. ხელშეკრულების 4.1. პუნქტის თანახმად, მყიდველი ვალდებული იყო, 2009 წლის 16 ოქტომბრამდე ავანსის სახით გადაეხადა სატრანსპორტო საშუალების მთლიანი ღირებულების 30%, ანუ – 34 500 ევრო. ხელშეკრულების აღნიშნული პირობა მოსარჩელის მიერ სრულად იქნა შესრულებული. მოგვიანებით, ცნობილი მძიმე ეკონომიკური კრიზისის გამო, მოსარჩელემ მიზანშეწონილად ჩათვალა ხელშეკრულების გაგრძელება და გამოსატანება 2009 წლის 7 ოქტომბრის №08/09 ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე. აღნიშნულის შესახებ მოსარჩელემ არაერთგზის სიტყვიერად, ხოლო 2010 წლის 19 მარტს წერილობით აცნობა მოპასუხეს. ამავე წერილის თანახმად, შპს „ა-ჯიმ“ მოითხოვა მის მიერ ავანსის სახით გადახდილი თანხის უკან დაბრუნება 2009 წლის 7 ოქტომბრის ხელშეკრულების 4.3 პუნქტით განსაზღვრული პირობის გათვალისწინებით, ანუ ამ შემთხვევაში შპს „ა-ჯი“ თანახმა იყო, გამყიდველს დაეტოვებინა მის მიერ ავანსის სახით გადახდილი თანხის 20%. აღნიშნული წერილის პასუხად მოპასუხემ აცნობა, რომ თანხა დაბრუნებას არ ექვემდებარებოდა, რადგან წარმოადგენდა ბეს და რჩებოდა მის მიმღებს.

შპს „ო. მ-მა“ შესაგებლით სარჩელი არ ცნო და შეგებებული სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა შპს „ა-ჯისათვის“ 17 843.6 ევროს ეკვივალენტი ლარის დაკისრება შემდეგი დასაბუთებით: 2009 წლის 12 დეკემბერს შპს „ო. მ-მა“ წერილობით შეატყობინა მოსარჩელეს, რომ მის მიერ დაკვეთილი ავტომანქანა დამზადებულია და ითხოვა, მოსარჩელეს ეცნობებინა შპს „ო. მ-ისათვის“, თუ როდის წამოიყვანდა მას. 2010 წლის 4 თებერვალს შპს „ო. მ-მა“ იმის გამო, რომ პირველ წერილზე პასუხი არ მიუღია, განმეორებითი წერილით მიმართა მოსარჩელეს და სთხოვა წერილობით დაედასტურებინა მისი გადაწყვეტილება ავტომანქანის შესახებ. ამასთან, 2009 წლის 7 ოქტომბრის ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დროს ნასყიდობის საგანი – ავტომობილი არ არსებობდა, იგი უნდა დამზადებულიყო მოსარჩელე მხარის დაკვეთის შესაბამისად. ავტომობილის კომპლექტაცია, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას, შედგენილ იქნა მოსარჩელის გემოვნების მიხედვით. მოსარჩელისათვის ცნობილი იყო, რომ შპს „ო. მ-ს“ ავტომანქანა გერმანიაში კონცერნ „ბ-სათვის“ უნდა შეეკვეთა და ისე დაემზადებინა. სწორედ ამით იყო ნაკარნახევი ის, რომ ხელშეკრულების 2.1 პუნქტის მიხედვით გამყიდველს ავტომანქანა მყიდველისათვის 2010 წლის 30 იანვრამდე უნდა მიეწოდებინა, ანუ დრო 2009 წლის 7 ოქტომბრიდან 2010 წლის 30 იანვრამდე გათვალისწინებული იყო ავტომანქანის დამზადებისა და საქართველოში ჩამოტანისათვის. 2009 წლის 1 დეკემბერს ბ-მ 76718 პროფორმა ინვოისი გამოუგზავნა შპს „ო. მ-ს“ და აცნობა, რომ ავტომანქანა დამზადებული იყო. ინვოისის მიხედვით, ავტომანქანის საინვოისო ფასმა 90,573 ევრო შეადგინა. ვინაიდან, მყიდველმა უარი განაცხადა ავტომანქანის შეძენაზე, შპს „ო. მ-მა“ ვერ შეძლო ავტომანქანის გერმანიიდან საქართველოში ჩამოყვანა, რადგან, როგორც აღნიშნულია, ინვოისში თანხის სრულ გადახდამდე საქონელი წარმოადგენს ბ-ს საკუთრებას. შპს „ო. მ-მა“ მხოლოდ 2011 წლის 23 თებერვალს მოახერხა ავტომანქანის სრული ღირებულების გადახდა და ავტომობილის დასაკუთრება. მოსარჩელის მიერ ნასყიდობის ხელშეკრულებაში მითითებული თანხის გადაუხდელობის გამო შპს „ო. მ-მა“ განიცადა ზიანი – 52 343.36 ევრო.

წარმოდგენილი შესაგებლით შეგებებული სარჩელი არ ცნო შპს „ა-ჯიმ“ იმ დასაბუთებით, რომ, ხელშეკრულების თანახმად, მოპასუხე ვალდებული იყო, წინსწრებით, ავანსის სახით გადაეხადა მხოლოდ ავტომობილის ღირებულების 30%, რაც მან განახორციელა კიდეც. დარჩენილი საფასური მას შემდეგ უნდა გადაეხადა, როცა ავტომობილი საქართველოში იქნებოდა და წარედგინებოდა მყიდველს. საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება, რომ მოპასუხის მიერ შეკვეთილი ავტომობილი რეალურად ჩამოვიდა საქართველოში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით, შპს „ა-ჯის“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, შპს „ო-მ-ს“ შპს „ა-ჯის“ სასარგებლოდ დაეკისრა 30600 ევროსა და 2010 წლის 24 მარტიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველდღიურად 6.6 ევროს გადახდა. შპს „ო-მ-ის“ შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდ გამო. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „ო. მ-მა“. პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2009 წლის 7 ოქტომბერს შპს „ა-ჯისა“ და შპს „ო-მ-ს“ შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება. ნასყიდობის საგანს წარმოადგენდა ავტომანქანა. ნასყიდობის ფასი შეადგენდა 115000 ევროს. ხელშეკრულების 2.1. პუნქტის თანახმად, მყიდველს ნასყიდობის საგანი საკუთრებაში უნდა გადასცემოდა ავტომობილის ღირებულების სრულად გადახდიდან არა უგვიანეს 2010 წლის 30 იანვრისა. 2009 წლის 7 ოქტომბრის ხელშეკრულების 4.1. პუნქტის მიხედვით, მყიდველი ავანსის სახით იხდის მთლიანი თანხის 30%-ს. აღნიშნული პირობა შპს „ა-ჯის“ მიერ შესრულდა და მყიდველმა გადაიხადა 34 500 ევრო. 2009 წლის 7 ოქტომბრის ხელშეკრულების 4.3. პუნქტის თანახმად, ავანსის შემოტანიდან ავტომობილის მზადყოფნის შეტყობინებამდე ავტომანქანაზე მყიდველის მიერ უარის შემთხვევაში, გადახდილი თანხის 20% რჩება გამყიდველთან. 2009 წლის 12 დეკემბერს და 2010 წლის 4 თებერვალს შპს „ო-მ-მა“ წერილობით აცნობა შპს „ა-ჯის“, რომ გერმანიაში დამზადდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ავტომანქანა. 2010 წლის 19 მარტის წერილით შპს „ა-ჯიმ“ უარი განაცხადა ავტომობილის შექმნაზე და მოითხოვა მათ მიერ გადარიცხული თანხის უკან დაბრუნება ხელშეკრულების 4.3. პუნქტის გათვალისწინებით.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულებაში მითითებული «ავტომობილის მზადყოფნის შეტყობინება» ნიშნავს მხოლოდ მყიდველის შეტყობინებას ავტომობილის საზღვარგარეთ დამზადების თაობაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლო შეფასებებსა და დასკვნებს და მიუთითა, რომ ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, ტერმინი „მზადყოფნა“ გულისხმობს ნასყიდობის საგნის – ავტომანქანის მოსარჩელისათვის გადასაცემად მომზადებას, რაც თავისთავად გულისხმობს ავტომანქანის დამზადებას და მის საქართველოში ჩამოყვანას და არა მის მხოლოდ ფაქტობრივად დამზადებას, რაც თავისთავად იქნებოდა მოსარჩელისათვის იმის მანიშნებელი, რომ მას თანხა სრულად უნდა გადაეხადა და აღნიშნულით მიეცემოდა კიდეც ავტომანქანის მიღების შესაძლებლობა. პალატამ განმარტა, რომ, ნასყიდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, ნასყიდობის საგნის მზადყოფნაში ზოგადად იგულისხმება მისი მყიდველისათვის გადასაცემად მზადყოფნა. შესაბამისად, თუკი ხელშემკვერელი მხარეები განსხვავებულ პირობებზე შეთანხმდნენ, აღნიშნული პირობები კონკრეტულად უნდა ასახულიყო ხელშეკრულებაში. იმის გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულება იდება მხარეების ურთიერთთანხვედრი, საერთო მიზნისკენ მიმართული ნების გამოხატვის შედეგად, ხელშეკრულების პირობებიც ცალსახად უნდა ადასტურებდეს ორივე მხარის ნებას. თუკი ხელშეკრულების ესა თუ ის პირობა ბუნდოვანია, იგი უნდა განიმარტოს სადავო ხელშეკრულების ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ 2010 წლის 19 მარტისათვის ავტომანქანა მყიდველისათვის გადასაცემად მზად არ იყო, სააპელაციო პალატა იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას მასზე, რომ შპს „ა-ჯიმ“ ავტომანქანის შესყიდვაზე უარი განაცხადა შპს „ო-მ-ის“ მიერ ავტომობილის მზადყოფნის შეტყობინებამდე. აპელანტის მითითებით, «ავტომობილის მზადყოფნის შეტყობინება», რომ მის საზღვარგარეთ დამზადებას ნიშნავს, დასტურდება იმითაც, რომ ავტომობილი იყო ძვირადღირებული, იგი დამზადდა დაკვეთით და თავიდანვე უარის თქმის შემთხვევაში ავტომობილის გადაკეთება და პარამეტრების შეცვლა იოლია, ამასთანავე ასეთი ავტომობილის მარტოოდენ ტრანსპორტირება და განბაჟება დაახლოებით 8000 ევრო ჯდება, ამიტომ თუკი მყიდველი მანქანას აღარ იძენს, მაშინ გამყიდველი არ გაიღებს დამატებით 8000 ევროს.

პალატამ არ გაიზიარა ზემოაღნიშნული პოზიცია და განმარტა, რომ ნებისმიერი სახელშეკრულებო ურთიერთობისათვის დამახასიათებელია ის რისკები, რაც ზოგადად ახასიათებს სამოქალაქო ბრუნვას. შესაბამისად, შპს „ო-მ-ს“, როგორც სამეწარმეო სუბიექტს, უნდა გაეთვალისწინებინა მისი სამეწარმეო საქმიანობისთვის დამახასიათებელი რისკები და ხელშეკრულებაში ცალსახად განესაზღვრა არსებითი პირობები თანმდევი შედეგებით. პალატამ მიიჩნია, რომ 2009 წლის 7 ოქტომბრის ხელშეკრულებიდან არ გამომდინარეობს, რომ ავტომობილის მზადყოფნაში მხარეები ავტომობილის ფიზიკურად დამზადებას გულისხმობდნენ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატის აზრით, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების 4.3. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა, რის საფუძველზეც შპს „ა-ჯის“ შეუძლია, მოითხოვოს მის მიერ გადახდილი თანხის – 34 500 ევროს 80%-ის – 27600 ევროს დაბრუნება. რაც შეეხება შპს „ო-მ-ის“ შეგებებულ სარჩელს, რომლითაც იგი მოითხოვს ზიანის სახით 17843.6 ევროს დაკისრებას, პალატა ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულების 4.3. პუნქტით გათვალისწინებული 20% წარმოადგენს იმ ზიანის ოდენობას, რომელიც მხარეებმა ხელშეკრულებით განსაზღვრეს, შესაბამისად, პალატას დაუსაბუთებლად მიაჩნია დამატებით ზიანის სახით 17843.6 ევროს მოთხოვნა.

სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ელი ნაწილის, 317-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მხარეებს შორის არსებობს ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა, კერძოდ, ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობა. სამოქალაქო კოდექსის 352-ე და 394-ე მუხლების თანახმად, ხელშეკრულების მხარეს უფლება აქვს, გავიდეს ხელშეკრულებიდან და უარი თქვას ნაკის-

რი ვალდებულების შესრულებაზე. ხელშეკრულებიდან გასვლა ცალმხრივი ნების გამოვლენის საშუალებით ხორციელდება და ამისათვის მეორე მხარის თანხმობა არ არის საჭირო. ხელშეკრულებიდან გასვლისას ხელშეკრულების შედეგად მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებმა ერთმანეთს უნდა დაუბრუნონ. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ შპს „ა-ჯიმ“ უარი განაცხადა ავტომობილის შექმნაზე, შესაბამისად, იგი გავიდა ხელშეკრულებიდან, რის შედეგადაც ორივე მხარეს წარმოემვა ვალდებულება, დაუბრუნონ ერთმანეთს ხელშეკრულების შედეგად მიღებული შესრულება. მოცემულ შემთხვევაში, სადავო არ არის, რომ შპს „ა-ჯიმ“ გადაიხადა 34 500 ევრო, შესაბამისად, შპს „ო-მ-ს“ წარმოემვა აღნიშნული თანხის უკან დაბრუნების ვალდებულება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და 394-ე მუხლის საფუძველზე, შპს „ო-მ-ს“ ასევე წარმოემვა ზიანის მოთხოვნის უფლება. დადგენილია, რომ 2009 წლის 7 ოქტომბრის ხელშეკრულების 4.3 პუნქტით მხარეებმა გაითვალისწინეს ხელშეკრულებიდან გასვლით გამოწვეული ზიანის ოდენობა, რაც შეადგენს გადახდილი თანხის 20%-ს. შესაბამისად, შპს „ო-მ-ს“ შპს „ა-ჯისთვის“ უნდა დაებრუნებინა 34 500 ევროს 80%, ხოლო დარჩენილი 20% წარმოადგენდა ზიანის ოდენობას. მოპასუხემ მოსარჩელის ნება ავტომანქანაზე უარის შესახებ მიიღო 2010 წლის 23 მარტს, სააპელაციო სასამართლო იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას მასზე, რომ თანხის დაბრუნების ვალდებულება მოპასუხე შპს «ო. მ-ს» წარმოემვა შემდეგი დღიდან, 2010 წლის 24 მარტიდან. აღნიშნულის გათვალისწინებით, შპს «ო. მ-ს» შპს «ა-ჯის» სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ზიანის გადახდა მისი თანხით უსაფუძვლოდ სარგებლობისათვის, რაც, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების თანახმად, შეადგენს საშუალოდ წლიურ 7,9%-ს.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ო. მ-მა“ შემდეგი დასაბუთებით: ავტომობილის მზადყოფნის შეტყობინების მნიშვნელობა, გარდა იმისა, რომ იგი არასწორად იქნა დადგენილი ორივე ინსტანციის სასამართლოს მიერ, ეს გარემოებები დადგინდა უხეში პროცესუალური დარღვევის ხარჯზე, რამაც არსებითად არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა გამოიწვია. როგორც ცნობილია, ხელშეკრულების ნორმის შინაარსის დადგენა ფაქტის საკითხია და არა სამართლის. სასამართლო მხოლოდ მაშინ ერევა ფაქტების დადგენაში, თუკი მხარეები ამაზე დავობენ. როდესაც 2010 წლის 19 მარტით დათარიღებული წერილით შპს „ა-ჯიმ“ ავტომანქანის შექმნაზე უარი განაცხადა იქვე მიუთითა, რომ მისთვის თანხა დაებრუნებინათ ხელშეკრულების 4.3 პუნქტის შესაბამისად. ამ მოთხოვნაზე შპს „ო. მ-მა“ 2010 წლის 25 მარტს შპს „ა-ჯის“ წერილობით აცნობა, რომ „ხელშეკრულების 4.3 პუნქტი ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც მყიდველი უარს აცხადებს ავტომობილის შექმნაზე ავტომობილის მზადყოფნის შეტყობინებამდე. მათ ორჯერ ეცნობათ ავტომობილის დამზადების თაობაზე და, აქედან გამომდინარე, მოსარჩელის მოთხოვნა ხელშეკრულების 4.3 პუნქტს არ შეიძლება დამყარებოდ.

შპს „ა-ჯიმ“ 2011 წლის 3 თებერვალს სასამართლოს სარჩელით მიმართა სასამართლოს და შპს „ო. მ-ისაგან“ მთელი გადახდილი თანხის უკან დაბრუნება მოითხოვა, მოსარჩელემ თავისი მოთხოვნა სკ-ის 976-ე მუხლის 1-ელი ნაწილით ანუ უსაფუძვლო გამდიდრების ნორმით დაასაბუთა. სარჩელში შპს „ა-ჯიმ“ ჩათვალა, რომ მისი 2010 წლის 19 მარტით დათარიღებული წერილით ხელშეკრულება შეწყდა და ამიტომ შპს „ო. მ-ს“ 34.500 ევრო უკან უნდა დაებრუნებინა. სარჩელში შპს „ა-ჯიმ“ დავობს მხოლოდ იმაზე, რომ 2010 წლის 25 მარტის წერილში შპს „ო. მ-მა“ არასწორად მიიჩნია მყიდველის მიერ წინასწარ გადახდილი თანხა „ბედ“. მას სადავოდ არ გაუხდია 2010 წლის 25 მარტს შპს „ო. მ-ის“ წერილში დასახელებული ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ ავტომობილის მზადყოფნის შესახებ შპს „ა-ჯის“ ჯერ კიდევ 2009 წლის 12 დეკემბერს ეცნობა.

„ავტომობილის მზადყოფნის შეტყობინების“ თემის შემოტანით სასამართლომ „მოულოდნელი გადაწყვეტილება“ გამოიტანა. როდესაც უდავო ფაქტობრივ გარემოებას სასამართლო თვითნებურ ინტერპრეტაციას აძლევს, მხარეებს ესპობათ იმის შესაძლებლობა, მიუთითოს სასამართლოს მის მიერ გამოგონილი თუ გააზრებული ფაქტობრივი გარემოების უსწორობის შესახებ. სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლი ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებას ანიჭებს უფლებადარღვეულ პირს და არა უფლებადამრღვევს (მოვალეს). ამ შემთხვევაში ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე მოვალემ განაცხადა. შესაბამისად, 2010 წლის 24 მარტი, როგორც ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღი და შპს „ო. მ-ისათვის“ პროცენტის დაკისრების ათვლის დასაწყისი, არასწორია. ერთადერთ ფაქტობრივ გარემოებას, რასაც პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოები თანხის დაბრუნების ნაწილში ემყარებიან, ეს არის ნასყიდობის ხელშეკრულების 4.3 პუნქტი, რომლის თანახმადაც, „ავანსის შემოტანიდან ავტომობილის მზადყოფნის შეტყობინებამდე ავტომანქანაზე მყიდველის მიერ უარის შემთხვევაში, გადახდილი თანხის 20% რჩება გამყიდველთან“. ვინაიდან, „ო. მ-ს“ ავტომანქანა საქართველოში არ ჩამოუყვანია, ამიტომ შპს „ა-ჯის“ 2010 წლის 19 მარტის უარი ავტომანქანის შესყიდვაზე არის უარი ავტომობილის მზადყოფნის შეტყობინებამდე, რის გამოც სასამართლოებმა მყიდველს გადახდილი თანხის 20% დაუკავეს.

უდავო ფაქტობრივ გარემოებას მიეკუთვნება ის, რომ ხელშეკრულების დადების შემდეგ მყიდველმა ავტომანქანის შექმნის სურვილი დაკარგა. სარჩელში შპს „ა-ჯიმ“ მიუთითა შემდეგი: „მოგვიანებით, მძიმე ეკონომიკური კრიზისის გამო, მოსარჩელემ მიზანშეუწონწად ჩათვალა ხელშეკრულების გაგრძელება და გამოხატა ნება 2009 წლის 7 ოქტომბრის №08/09 ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, აღნიშნულის შესახებ მოსარჩელემ არაერთგზის სიტყვიერად, ხოლო 2010 წლის 19 მარტს წერილობით აცნობა მოპასუხეს“.

უდავო ფაქტობრივი გარემოებაა ისიც, რომ მყიდველმა ავტომანქანის შექმნის გადაფიქრების შესახებ გამყიდველს ამცნო მას შემდეგ, რაც გამყიდველმა 2-ჯერ – 2009 წლის 12 დეკემბერს და 2010 წლის 4 თებერვალს წერილობით შეატყობინა მყიდველს, რომ მის მიერ დაკვეთილი ავტომანქანა დამზადებულია და ითხოვდა, მყიდველს ეცნობებინა შპს „ო. მ-ისათვის“, თუ როდის წამოეყვანა იგი. ორივე ინსტანციის სასამართლოს მიაჩნია, რომ მყიდველისათვის ავტომანქანის დამზადების შესახებ არ უნდა ეცნობებინა მოპასუხეს, ავტომანქანა ისე უნდა ჩამოეყვანა საქართველოში და, თუ მერე იტყოდა მყიდველი უარს, შემდეგ დაკარგავდა იგი 34,500 ევროს, რაც არასწორია.

2012 წლის 6 მარტს შპს „ო. მ-მა“ და შპს „ა-ჯიმ“ ერთობლივი განცხადებით მომართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტა მოითხოვეს. აღნიშნულ განცხადებას ხელს აწერენ შპს „ო. მ-ის“ წარმომადგენელი ა. კ-ი (2012 წლის 28 თებერვლის მინდობილობა) და შპს „ა-ჯის“ წარმომადგენელი ი. გ-ე (2012 წლის 2 მარტის რწმუნებულება). საქმეში წარმოდგენილი რწმუნებულებების შესაბამისად, მხარეთა წარმომადგენლებს უფლება აქვთ დავა მორიგებით დაასრულონ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, მიიჩნევს, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის 1-ელი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდვე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტოთ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელშეწყობილი მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

შპს „ო. მ-ისა“ და შპს „ა-ჯის“ შუამდგომლობა მორიგების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

დამტკიცდეს მორიგება შპს „ო. მ-სა“ და შპს „ა-ჯის“ შორის შემდეგი პირობებით:

შპს „ო. მ-ი“ იღებს ვალდებულებას, წინამდებარე მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე გამოტანილი სასამართლოს განჩინების ჩაბარებიდან არა უგვიანეს 10 კალენდარული დღისა, შპს „ა-ჯის“ გადაუხადოს 20 000 ევროს ეკვივალენტი ლარი, გადახდის მომენტისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით.

წინამდებარე აქტის 1-ელი პუნქტის შესრულების პირობით შპს „ო. მ-ი“ და შპს „ა-ჯი“ უარს აცხადებენ ერთმანეთის მიმართ არსებულ ყველა პრეტენზიაზე, სარჩელზე და საჩივარზე, რაც გამომდინარეობს და/ან დაკავშირებულია 2009 წლის 7 ოქტომბრის სატრანსპორტო საშუალების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებასთან.

იმ შემთხვევაში, თუკი წინამდებარე მორიგების აქტის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში შპს „ო. მ-ი“ არ უზრუნველყოფს ამავე პუნქტით გათვალისწინებული თანხის გადახდას, მაშინ შპს „ო. მ-ს“ დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა გადასახდელი თანხის 0.2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

შეწყდეს საქმის წარმოება შპს „ა-ჯის“ სარჩელისა გამო, შპს „ო. მ-ის“ მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრების თაობაზე.

გაუქმდეს ამ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებები.

შპს „ო. მ-ს“ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშიდან დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 4838.83 ლარი (2012 წლის 12 იანვარი, საგადასახადო დავალება №28) სს ბანკ «რესპუბლიკის» მეშვეობით.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

ას-1625-1615-2011

21 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ქათამაძე,

ბ. ალავეძე

დავის საგანი: სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა, რეესტრის ჩანაწერში ცვლილების შეტანა, ნოტარიუსის დავალდებულება სამკვიდრო მოწმობის გაცემის შესახებ

აღწერილობითი ნაწილი:

პ. ე-მა სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს თ. ი-ის, ა. ი-ის, სვ. ნ-სა და ხ. კ-ის მიმართ და მოითხოვა სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა, რეესტრის ჩანაწერში ცვლილების შეტანა და ნოტარიუსის დავალდებულება სამკვიდრო მოწმობის გაცემის შესახებ შემდეგი დასაბუთებით: **2005 წლის 1 მარტის** ნოტარიულად დამოწმებული ანდერძის თანახმად, მოსარჩელე არის გარდაცვლილი მ. ი-ის ანდერძისმიერი მემკვიდრე. მამკვიდრებელი გარდაიცვალა **2008 წლის 20 ოქტომბერს**. პ ე-მა კანონით დადგენილ ვადაში მიიღო სამკვიდრო, თუმცა ნოტარიუსმა ხ. კ-მა უარი განუცხადა მას მთელ სამკვიდრო ქონებაზე გაეცა სამკვიდრო მოწმობა იმ მოტივით, რომ **2010 წლის 21 ივნისს** სავალდებულო წილის მქონე 1-ელი რიგის მემკვიდრეებზე გასცა სამკვიდრო მოწმობები. ნოტარიუსის ქმედება არის უკანონო, რადგან მ. ი-ის გარდაცვალების შემდეგ მის სამკვიდრო ქონებას შეადგენდა **1100** ლარად შეფასებული ავტომანქანა, სავალდებულო წილი, რომელიც უნდა მიეღო გარდაცვლილი მეუღლე ლ. ბ-ის ქონებიდან. სწორედ აღნიშნული ქონებიდან უნდა განსაზღვრულიყო სავალდებულო წილი, ხოლო, თუ არ იქნებოდა საკმარისი, მაშინ იგი შეივსებოდა ანდერძით გათვალისწინებული ქონებიდან, კერძოდ, ქ.ბორჯომში, ... №63-ში, ბ№1-ში მდებარე სახლიდან.

წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნეს მოპასუხეებმა შემდეგი დასაბუთებით: სამკვიდროს გახსნის მომენტში მ. ი-ის ქონებას შეადგენდა მხოლოდ უძრავი ქონება მდებარე ქ.ბორჯომში, საიდანაც უნდა განსაზღვრულიყო სავალდებულო წილი. აქედან გამომდინარე, ნოტარიუსის ქმედება სამკვიდრო მოწმობების გაცემის თაობაზე კანონიერია.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს **2011 წლის 20 აპრილის** გადაწყვეტილებით პ. ე-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს **2011 წლის 20 სექტემბრის** განჩინებით არ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი. პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: მ. ი-ი გარდაიცვალა **2008 წლის 20 ოქტომბერს**, რომელსაც გარდაცვალების დროისათვის საკუთრებაში გააჩნდა უძრავი ქონება, მდებარე ქ.ბორჯომში, ... ქ.№63-ში, ბინა №21-ში, რომელიც უანდერძა პ. ე-ს. თ. ი-ი, ა. ი-ი და სვ. ნ-ა წარმოადგენენ მ. ი-ის პირველი რიგის კანონისმიერ მემკვიდრეებს, შვილებს, რომლებსაც გააჩნიათ სავალდებულო წილის მიღების უფლება. როგორც სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე კანონისმიერმა მემკვიდრეებმა, ასევე ანდერძისმიერმა მემკვიდრე პ. ე-მა სანოტარო ბიუროს სამკვიდრო ქონების მისაღებად მიმართეს კანონით დადგენილ ექვსთვიან ვადაში. **2010 წლის 21 ივნისს** ნოტარიუს ხ. კ-ის მიერ მ. ი-ის კანონისმიერი პირველი რიგის მემკვიდრეებზე: სვ. ნ-აზე, ა. ი-სა და თ. ი-ზე გაიცა სამკვიდრო მოწმობებები სავალდებულო წილებზე, რაც მათ დაარეგისტრირეს საჯარო რეესტრში და ამჟამად ქ.ბორჯომში, ... ქ.№63, ბინა №21-ში მდებარე უძრავი ქონებიდან საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, საკუთრების უფლებით 1/6 წილი ირიცხება თ. ი-ის სახელზე, 1/6 წილი სვ. ნ-ას სახელზე, 1/6 წილი ა. ი-ის სახელზე, ხოლო დარჩენილი 3/6 კი დატოვებული არის ღიად და იგი ჯერ კიდევ ირიცხება მამკვიდრებელ მ. ი-ის სახელზე. **2010 წლის 12 ოქტომბრის** სანოტარო აქტით ნოტარიუსმა ხ. კ-მა მოსარჩელე პ. ე-ს უარი უთხრა ქ.ბორჯომში, ... ქ.№63-ში მდებარე ბინა №21-ში არსებულ მთლიან უძრავ ქონებაზე სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე იმ მოტივით, რომ **2010 წლის 21 ივნისს** სავალდებულო წილის მქონე პირველი რიგის კანონისმიერ მემკვიდრეებზე გაცემული აქვს სამკვიდრო მოწმობები, ხოლო ანდერძით გათვალისწინებულ სამკვიდრო ქონებიდან მოსარჩელის წილს შეადგენს 3/6 ნაწილი.

მ. ი-ის სამკვიდრო ქონებას მისი გარდაცვალების მომენტისათვის შეადგენდა მხოლოდ ბორჯომში არსებული ბინა, ხოლო ამის საწინააღმდეგო მტკიცებულება აპელანტმა სასამართლოში არ წარადგინა. მორიგების აქტით, რომელიც დამტკიცდა **2009 წლის 18 დეკემბერს**, მოწინააღმდეგე მხარეებმა უარი განაცხადეს ლ. ბ-ის დანაშთ ქონებაზე მათი მამის კუთვნილ სავალდებულო წილის მიღებაზე და არა ბორჯომში, მ. ი-ის საკუთრებაში არსებულ სახლზე მათ სავალდებულო წილზე. ამასთან მორიგების აქტის დამტკიცებამდე მათ სანოტარო ბიუროში შეტანილი ჰქონდათ განცხადება მამის დანაშთი სამკვიდროდან სავალდებულო წილის მიღების თაობაზე.

სამოქალაქო კოდექსის **1320-ე, 1424-ე, 1328-ე** მუხლების თანახმად, და მხარეთა განმარტებების მოსმენის შედეგად, პალატამ დაადგინა, რომ მ. ი-ის სამკვიდრო ქონებას მისი გარდაცვალების მომენტისათვის შეადგენდა მხოლოდ ბორჯომში არსებული ბინა, რომლის საწინააღმდეგო მტკიცებულება არ წარმოდგენია. **2010 წლის 21 ივნისს** ნოტარიუს ხ. კ-ის მიერ მ. ი-ის კანონისმიერი პირველი რიგის მემკვიდრეებზე სვ. ნ-აზე, ა. ი-სა და თ. ი-ზე გაცემულ იქნა სამკვიდრო მოწმობები სავალდებულო წილებზე, რაც მათ დაარეგისტრირეს საჯარო რეესტრში. საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, საკუთრების უფლებით ქ.ბორჯომში, ... ქუჩა №67-ში მდებარე ბინის 1/6

წილი ირიცხება თ. ი-ის სახელზე, 1/6 წილი სვ. ნ-ას სახელზე და 1/6 წილი ა. ი-ის სახელზე, ხოლო დარჩენილი 3/6 დატოვებულია ღიად და იგი ჯერ კიდევ ირიცხება მამკვიდრებელ მ. ი-ის სახელზე. 2010 წლის 12 ოქტომბრის №101030040 სანოტარო აქტით ნოტარიუსმა ხ. კ-მა მოსარჩელე პ. ე-ს უარი უთხრა ქ.ბორჯომში, ... ქ.№63-ში მდებარე ბინა №21-ზე სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე იმ მოტივით, რომ 2010 წლის 21 ივნისს სავალდებულო წილის მქონე პირველი რიგის კანონისმიერ მემკვიდრეებზე გასცა სამკვიდრო მოწმობები, ხოლო ანდერძით გათვალისწინებულ სამკვიდრო ქონებიდან მოსარჩელის წილს შეადგენს 3/6 ნაწილი. პალატამ დაადგინა, რომ მორიგების აქტი (რომელიც ბათუმის საქალაქო სასამართლომ დაამტკიცა 2009 წლის 18 დეკემბრის განჩინებით), რაზეც აპელანტი აპელირებს, შეეხებოდა მხოლოდ ბათუმში, ...ს ქუჩა №29-ში არსებულ ბინას, რომელიც წარმოადგენდა ლ. ბ-ის საკუთრებას. აღნიშნული ბინა ანდერძის საფუძველზე მან გადასცა პ. მ-ეს, ხოლო სავალდებულო წილზე, რომელიც ამ ბინაზე მ. ი-ს (როგორც ლ. ბ-ის მეუღლე) ეკუთვნოდა, მოწინააღმდეგე მხარეებმა უარი განაცხადეს 5000 აშშ დოლარის საკომპენსაციო თანხის სანაცვლოდ, მაგრამ მათ უარი არ განუცხადებიათ მამის საკუთრებაში არსებულ დანაშთი ქონების სავალდებულო წილის მიღებაზე, რომელიც მდებარეობდა ქ.ბორჯომში.

სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე თ. ი-მა განმარტა, მას არ უნდოდა ლ. ბ-ის საკუთრებიდან წილი, მას სურდა მხოლოდ მამის ქონებიდან წილი და, რადგან მან ბათუმში არსებული ბინის სავალდებულო წილზე უარი განაცხადა, ეს ავტომატურად არ ნიშნავდა მის მიერ მამის საკუთრებაში არსებულ ქონებაში არსებულ მისი სავალდებულო წილის მიღებაზე უარის თქმას.

აპელანტის მსჯელობა, რომ მოწინააღმდეგე მხარეებმა უარი განაცხადეს ჯერ კიდევ მორიგების დამტკიცების დროს მამის მ. ი-ის მთლიან სამკვიდრო ქონებაში არსებულ სავალდებულო წილის მიღებაზე, საფუძველს მოკლებულია და პალატამ არ გაიზიარა. განჩინებაშიც დაფიქსირებულია, რომ დავა ეხებოდა ლ. ბ-ის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე მ. ი-ის სავალდებულო წილის მიღებაზე უარის თქმას (ბათუმში მდებარე ... ქ.29-ში), რაც არ ნიშნავს ავტომატურად უარის თქმას მ. ი-ის საკუთრებაში არსებულ სხვა ქონებიდან სავალდებულო წილის მიღებაზე.

სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე თ. ი-მა განმარტა, რომ ავტომატურად რაც შეეხებოდა, იგი მამის სიცოცხლეში არსებობდა, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ მანქანა თვალთ არ უნახავს, რადგან აპელანტმა იგი გადაძალა. სააპელაციო სასამართლოში პ. ე-მა განმარტა, რომ მანქანას თავად ფლობს. მ. ი-ი გარდაცვალებამდე მასთან ცხოვრობდა, უვლიდა და არ თვლიდა თავს ვალდებულად, მანქანა მათთვის მიეყვანა.

პალატამ განმარტა, საქმის მასალებით არ დგინდება, რომ მანქანა მ. ი-ის საკუთრებაში იყო სამკვიდროს გახსნის დროს და არც მას შემდეგ, ამდენად, აპელანტის მოსაზრება ვერ იქნება გაზიარებული, რომ სამკვიდრო მასაში ავტომატურად უნდა შესულიყო და ისე განაწილებულიყო სავალდებულო წილის საკითხი. სამოქალაქო კოდექსის 1445-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოში მხარეთა მიერ დადასტურებულ იქნა, რომ 2009 წლის 18 დეკემბერს, როცა სასამართლომ მორიგება დაამტკიცა ბათუმში, ... ქ.№29-ში არსებულ სახლთან დაკავშირებით, მანამდე მემკვიდრეებს სანოტარო ბიუროში განცხადება ჰქონდათ შეტანილი ბორჯომში არსებულ სახლზე სავალდებულო წილის მიღების თაობაზე. სამოქალაქო კოდექსის 1445-ე მუხლის შესაბამისად, კანონისმიერი მემკვიდრეები ისედაც ვერ იტყოდნენ უარს სამკვიდროს მიღებაზე ბორჯომში არსებულ სახლზე, რომელიც მათი მამის დანაშთი ქონება იყო, რადგან მათ უკვე შეტანილი ჰქონდათ განცხადება სანოტარო ორგანოში სამკვიდროდან სავალდებულო წილის მიღებაზე, ანუ მორიგების აქტი ეხება მხოლოდ ლ. ბ-ის საკუთრებაში არსებულ მამის, მ. ი-ის, სავალდებულო წილის მიღებაზე უარის თქმას და არა მ. ი-ის, სამკვიდრო ქონებას, რომელსაც შეადგენდა მხოლოდ ბორჯომში არსებული სახლი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა პ. ე-მა შემდეგი დასაბუთებით: სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლი. აღნიშნული სასამართლებრივი ნორმის არასწორი განმარტების შედეგად, სასამართლომ კანონსაწინააღმდეგოდ არ მიიჩნია ქ.ბორჯომში მდებარე ანდერძით განკარგულ ქონებასთან ერთად მამკვიდრებელ მ. ი-ის სამკვიდრო მასაში შემავალ აქტივად მისი აწ გარდაცვლილი მეუღლე ლ. ბ-ის დანაშთი ქონებიდან სავალდებულო წილის მიღების უფლება უძრავ ქონებაზე მდებარე ქ.ბათუმში, ... ქ.№29-ში და ავტომატური «ფიატ ჩინკუაჯენტო». სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის თანახმად, სამკვიდრო შეიცავს მამკვიდრებლის, როგორც ქონებრივი უფლებების, ასევე მოვალეობების ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის. 1328-ე მუხლის არასწორ განმარტებასთან ერთად სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1377-ე მუხლი, სასამართლომ ასევე არ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლი. მ. ი-ის დარჩა 3 სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირი (შვილები), სამკვიდრო მასის გათვალისწინებით თითოეული კანონისმიერი მემკვიდრის წილი შეადგენდა 2916 ლარს. სადავოდ ქცეული სამკვიდრო მოწმობების გაცემამდე მიღებული 5000 აშშ დოლარის შედეგად ფაქტობრივად სრულად შეივსო მათი კუთვნილი სავალდებულო წილი.

2012 წლის 21 თებერვალს სასამართლო სხდომაზე მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

პ. ე-ი კისრულობს ვალდებულებას თ. ი-ს გადასცეს 5000 აშშ დოლარი, საიდანაც 3000 აშშ დოლარის გადახდა მოხდება 2012 წლის 20 მარტამდე, ხოლო დარჩენილი 2000 აშშ დოლარის გადახდა - 2012 წლის 20 დეკემბრამდე.

თ. ი-ი კისრულობს ვალდებულებას თანხის სრულად მიღებისთანავე პ. ე-ს გადასცეს საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე მდებარე ქ.ბორჯომი ... ქუჩა №63, I სადარბაზო, ბინა №21. თანხის მიღება უნდა დადასტურდეს სანოტარო წესით შედგენილი ხელწერილით. ამასთან შესაკუთრე თ. ი-ი თანახმაა, საჯარო რეესტრის სამსახურში თანხის გადაცემის შესახებ დამადასტურებელი სანოტარო ხელწერილის წარდგინებით პ. ე-მა ერთპიროვნულად მოახდინოს საკუთრების უფლების რეგისტრაცია აღნიშნულ უძრავ ქონებაზე. პ. ე-ის მიერ მორიგების აქტით დათქმულ ვადაში თანხების გადაუხდელობის შემთხვევაში უძრავი ქონება მდებარე ქალაქ ბორჯომში ... ქუჩა

№63, I სადარბაზო, ბინა **№21, 1/2** ნაწილი დარჩება კვლავ თ. ი-ის საკუთრებაში, რაზედაც პ. ე-ს პრეტენზია არ ექნება.

მ. ი-ის სახელზე რეგისტრირებული ავტომანქანა FIAთ GIN#VERE, გამოშვებული 1996 წელს, სახელმწიფო №... აღირიცხოს პ. ე-ის საკუთრებაში.

თ. ი-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას მდებარე ქ.ბორჯომი ... ქუჩა **№63**, I სადარბაზო, ბინა **№21** დაედოს ყადაღა მორიგების აქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებამდე, რომელიც ექვემდებარება გაუქმებას პ. ე-ის მიერ ვალდებულების შესრულებისთანავე ანდა პ. ე-ის მიერ მორიგების აქტით დათქმულ ვადაში ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, მიიჩნევს, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის 1-ელი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დაამთავრების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად კი, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა მორიგების აქტი წარმოადგინეს საკასაციო სასამართლოს მთავარ სხდომამდე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პ. ე-ს დაუბრუნდეს დ. მ-ის მიერ 2011 წლის 15 ნოემბერს და 5 დეკემბერს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 450 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

პ. ე-ის და თ. ი-ის, ა. ი-ის და სვ. ნ-ას წარმომადგენელ შ. პ-ის შუამდგომლობა მორიგების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

დამტკიცდეს მორიგება ერთი მხრივ პ. ე-ს და მეორეს მხრივ თ. ი-ს, ა. ი-ის და სვ. ნ-ას შორის შემდეგი პირობებით:

1. პ. ე-ი კისრულობს ვალდებულებას თ. ი-ს გადასცეს 5000 აშშ დოლარი, საიდანაც 3000 აშშ დოლარის გადახდა მოხდება 2012 წლის 20 მარტამდე, ხოლო დარჩენილი 2000 აშშ დოლარის გადახდა – 2012 წლის 20 დეკემბრამდე.

2. თ. ი-ი კისრულობს ვალდებულებას თანხის სრულად მიღებისთანავე პ. ე-ს გადასცეს საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე მდებარე ქ.ბორჯომი ... ქუჩა **№63**, I სადარბაზო, ბინა **№21**. თანხის მიღება უნდა დადასტურდეს სანოტარო წესით შედგენილი ხელწერილით. ამასთან მესაკუთრე თ. ი-ი თანახმაა, საჯარო რეესტრის სამსახურში თანხის გადაცემის შესახებ დამადასტურებელი სანოტარო ხელწერილის წარდგინებით, პ. ე-მა ერთპიროვნულად მოახდინოს საკუთრების უფლების რეგისტრაცია აღნიშნულ უძრავ ქონებაზე. პ. ე-ის მიერ მორიგების აქტით დათქმულ ვადაში თანხების გადაუხდელობის შემთხვევაში უძრავი ქონება მდებარე ქალაქ ბორჯომში ... ქუჩა **№63**, I სადარბაზო, ბინა **№21, 1/2** ნაწილი დარჩება კვლავ თ. ი-ის საკუთრებაში, რაზედაც პ. ე-ს პრეტენზია არ ექნება.

3. მ. ი-ის სახელზე რეგისტრირებული ავტომანქანა FIAთ GIN#VERE, გამოშვებული 1996 წელს, სახელმწიფო №... აღირიცხოს პ. ე-ის საკუთრებაში.

4. თ. ი-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას მდებარე ქ.ბორჯომი ... ქუჩა **№63**, I სადარბაზო, ბინა **№21** დაედოს ყადაღა მორიგების აქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებამდე, რომელიც ექვემდებარება გაუქმებას პ. ე-ის მიერ ვალდებულების შესრულებისთანავე ანდა პ. ე-ის მიერ მორიგების აქტით დათქმულ ვადაში ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

შეწყდეს სამოქალაქო საქმის წარმოება პ. ე-ის სარჩელისა გამო თ. ი-ის, ა. ი-ის და სვ. ნ-ას მიმართ სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობისა, საჯარო რეესტრის ჩანაწერში ცვლილების შეტანის და სამკვიდრო მოწმობის გაცემის შესახებ ნოტრიუსის დავალდებულების თაობაზე.

პ. ე-ს დაუბრუნდეს დ. მ-ის მიერ 2011 წლის 15 ნოემბერს და 5 დეკემბერს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 450 ლარი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

№ა-496-ა-3-2012

2 აპრილი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავედი

დავის საგანი: თანხის დაკისრება, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

სს „ბანკი ...მ“ სარჩელი აღძრა სასამართლოში დ. გ-ისა და რ. მ-ის მიმართ თანხის დაკისრებისა და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელე სს „ბანკი ...მ“ სარჩელი დაკმაყოფილდა. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს დ. და ქ. გ-ებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით ქ. და დ. გ-ების სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს დ. და ქ. გ-ებმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის განჩინებით ქ. გ-ის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 11 აპრილის განჩინებით დ. გ-ის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

2012 წლის 7 თებერვალს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განცხადებით მომართა დ. გ-მა და მოითხოვა, ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 11 აპრილის განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება, ვინაიდან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე – პ. ქ-ძეს მოცემული საქმის განხილვაში მონაწილეობა აქვს მიღებული პირველი ინსტანციის სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ დ. გ-ის განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 11 აპრილის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი თუ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც, კანონის თანახმად, უფლება არ ჰქონდა, მონაწილეობა მიეღო ამ გადაწყვეტილების მიღებაში. ამავე კოდექსის 29-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა საქმის პირველი ინსტანციით განხილვაში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში სააპელაციო ინსტანციის ან/და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

საქმეში არსებული მასალებით, კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 26 ივლისისა და 2005 წლის 26 სექტემბრის განჩინებებით ირკვევა, რომ პალატა ქათამაძემ, როგორც საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ, მონაწილეობა მიიღო დ. გ-ის მიმართ სს „ბანკი ...მ“ სარჩელის განხილვაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 431-ე მუხლის თანახმად, თუ გამოირკვევა, რომ საქმის წარმოების განახლების მოთხოვნა საფუძვლიანია, მაშინ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას სასამართლო გააუქმებს თავისი განჩინებით. გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საქმე, რომელზედაც ეს გადაწყვეტილება იყო გამოტანილი, თავიდან უნდა იქნეს განხილული ამ კოდექსით დადგენილი წესით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 11 აპრილის განჩინება ბათილად უნდა იქნეს ცნობილი და საქმეზე საკასაციო წარმოება განახლდეს, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ეტაპიდან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 430-ე მუხლის მესამე ნაწილით, 431-ე მუხლით და

დაადგინა:

დ. გ-ის განცხადება უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 11 აპრილის განჩინების ბათილად ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 11 აპრილის განჩინება და მოცემულ საქმეზე განახლდეს საქმის საკასაციო წარმოება, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ეტაპიდან.

საქმის განხილვა დაინიშნოს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე, რის შესახებაც ეცნობოთ მხარეებს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

№ას-1172-1038-2010

11 აპრილი 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ქათამაძე,

ბ. ალავეძე

დავის საგანი: თანხის დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. შ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. და დ. ჩ-ძეების მიმართ ბე-ს სახით გადაცემული თანხის 2000 აშშ დოლარის, ორმაგად (4000 აშშ დოლარის) დაბრუნების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელემ 2008 წლის ივნისში გაყიდა ქ.ზუგდიდში მდებარე საცხოვრებელი სახლი და გადაწყვიტა სახლის ქ. ქუთაისში შექმნა. იმავე წლის აგვისტოში შეხვდა ცოლ-ქმარს მ. და დ. ჩ-ძეებს და შეთანხმდნენ, რომ 35000 აშშ დოლარად შეიძენდა მოპასუხეების ქ. ქუთაისში, ... ქ. №34/21-ში მდებარე კუთვნილ ბინას. ნასყიდობის ხელშეკრულება მხარეთა შორის ვერ გაფორმდა. ჩ-ძის დედის გარდაცვალების გამო, რომლის დასაფლავებისათვის საჭირო თანხიდან მოსარჩელემ ბე-ს სახით მოპასუხეებს გადასცა 2000 აშშ დოლარი, რის შესახებაც წერილობითი დოკუმენტი არ გაფორმებულა. მხარეთა შორის ნასყიდობის ხელშეკრულება აღარ გაფორმდა, გადაცემული თანხის დაბრუნებას მოპასუხეები შეჰპირდნენ, მაგრამ დღემდე არ დაუბრუნებიათ.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს შემდეგი საფუძვლებით: მხარეთა შორის მართლაც არსებობდა შეთანხმება ბინის შექმნასთან დაკავშირებით, მაგრამ აღნიშნული შეთანხმება დაირღვა მოსარჩელის ბრალით, ვინაიდან მან უფრო იაფად შეიძინა სხვა ბინა. მოპასუხეებმა ბე-ს თანხის გადაცემასთან დაკავშირებით კი აღნიშნეს, რომ ისინი ბე-ს სახით ითხოვდნენ 3000 აშშ დოლარს და, როდესაც აღნიშნული თანხა მოსთხოვეს მოსარჩელს, იგი საერთოდ დაიკარგა და მოგვიანებით შეიტყვეს, რომ მას სხვა ბინა შეუძენია.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით გ. შ-ს სარჩელი მოპასუხეების: დ. და მ. ჩ-ძეების მიმართ არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. შ-მ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით გ. შ-ს სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება და

მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. ჩგ. შ-ს სარჩელი მოპასუხეების: დ. და მ. ჩ-ძეების მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მ. და დ. ჩ-ძეებს გ. შ-ს სასარგებლოდ დაეკისრა 2000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ დადგინდა მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ მოპასუხეებსა და მოსარჩელე გ. შ-ს შორის არსებობდა ზეპირი გარიგება ბინის ნასყიდობის თაობაზე. მოსარჩელე გ. შ-მ მოპასუხეებს ბე-ს სახით გადასცა 2000 აშშ დოლარი, რომელსაც ბინის ფასში ჩაუთვლიდა ბინის გადაფორმების შემთხვევაში, თუმცა ნასყიდობის ხელშეკრულება მხარეთა შორის არ შედგა და არც თანხა დაუბრუნებიათ მოპასუხეებს მოსარჩელისათვის. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 421-ე მუხლით, 327-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 323-ე მუხლით, 59-ე მუხლის 1-ელი ნაწილით და მიუთითა, რომ მოდავე მხარეებს შორის დადებული ზეპირი გარიგება ბეს ხელშეკრულების თაობაზე ბათილ ბარიგებად უნდა ჩაითვალოს და მათ შორის ურთიერთობის მოსაწესრიგებლად უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები უნდა იქნეს გამოყენებული, კერძოდ კი, სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ა» პუნქტი, რომლის შესაბამისადაც პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია, ვითომ კრედიტორს მოსთხოვოს მისი უკან დაბრუნება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანეს მ. და დ. ჩ-ძეებმა, მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით უარი ეთქვას სარჩელს დაკმაყოფილებაზე შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ გ. შ-ს ჩვენებებზე დაყრდნობით, დადასტურებულად ჩათვალა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ გ. შ-მ მოპასუხეებს ბეს სახით გადასცა 2000 აშშ დოლარი, მაგრამ არ იმსჯელა, თანხა მართლაც გადასცეს თუ არა სესხის, არამედ ბეს სახით. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უმ-

რავი ქონების ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულების დადების დამადასტურებელი უზრუნველყოფის საშუალება, ბეს სახით თანხის გადახდის ფაქტის მხოლოდ მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე დადგენა განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან. მოსარჩელის წარმომადგენლის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 6 თებერვალის №33/1147-01, 2002 წლის 10 სექტემბრის №33/608-02, 2002 წლის 11 სექტემბრის, №33/729-02 და 2004 წლის 17 თებერვლის №ას-445-1140-03 განჩინებები, რომლებითაც თითქოსდა უზენაესმა სასამართლომ ანალოგიურ ვითარებაში მიიღო გადაწყვეტილებები კანონით დადგენილი ფორმის დაცვის გარეშე დადებული ბეს ხელშეკრულების ბათილობისა და გადაცემული თანხის უკან დაბრუნების თაობაზე, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. დასახელებული განჩინებების გარდა უნდა აღინიშნოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 17 იანვრის №33/80-01 და 2001 წლის 24 იანვრის №33/865 განჩინებებიც, რომლითაც მართლაც ბათილად იქნა ცნობილი ბეს ხელშეკრულებები და მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები გადაცემული თანხის უკან დაბრუნების შესახებ და მართებულად იქნა განმარტებული, რომ ბე ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილია და მისი გადაცემით დასტურდება მხარეთა შორის ნასყიდობის ხელშეკრულების დადება და, ამიტომ, იგი გაფორმებული უნდა იყოს ისეთივე ფორმით, როგორც ნასყიდობის ხელშეკრულება. ბეს გადაცემა წარმოადგენს წინარე ხელშეკრულებას, რომელიც წინ უსწრებს ძირითად ნასყიდობის ხელშეკრულებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად. ამავე კოდექსის 323-ე, 59-ე მუხლის 1-ელი ნაწილისა და 328-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, თუ მხარეებს შორის დაიდება ხელშეკრულება უძრავი ქონების შესახებ, ამ ხელშეკრულების დადების დამადასტურებელი უზრუნველყოფის საშუალება, ბეს სახით გადახდილი თანხა იმ ფორმის დაცვით უნდა გაფორმდეს, როგორ ფორმასაც ითვალისწინებს უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა უზენაესი სასამართლოს ამგვარი მსჯელობა, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით დაადგინა თანხის გადაცემის ფაქტი, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 31 იანვრის განჩინებით მ. და დ. ჩ-მეების საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

1. მოპასუხეები იღებენ ვალდებულებას, მოსარჩელეს გადაუხადონ 1000 აშშ დოლარი, მორიგების აქტის სასამართლოში დამტკიცებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან ორი კვირის ვადაში, რის შემდეგაც გულიზარ შ-ს მოპასუხეების მიმართ არ ექნება რაიმე ქონებრივი პრეტენზია.

2. მოპასუხეების მიერ ამ აქტის პირველ პუნქტში მითითებული თანხის მოსარჩელისათვის ორი კვირის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში დ. და მ. ჩ-მეები ვალდებული იქნებიან გ. შ-ს გადაუხადონ 2000 აშშ დოლარი.

მხარეები შეთანხმდნენ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით გამოყენებულ ყადაღის გაუქმებაზე.

მხარეები შეთანხმდნენ ასევე, რომ აღნიშნული მორიგების აქტი დამტკიცდეს სასამართლოს მიერ და შეწყდეს საქმის წარმოება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, მიიჩნევს, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის 1-ელი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმოწერედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველზე არ შეიძლება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1991 მუხლის ბოლო წინადადების თანახმად მხარეთა მორიგების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან. მოცემულ შემთხვევაში მხარეები მორიგების აქტით შეთანხმდნენ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით გამოყენებულ ყადაღის გაუქმებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა გაუქმდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 4 მარტის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და მოეხსნას ყადაღა ქ.ქუთაისში, ... ქ.№34-21-ში მდებარე დ. ჩ-მის ბინას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დ. ჩ-მეს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ 2010 წლის 4 ნოემბერს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნახევარი – 89 ლარი, ხოლო მ. ჩ-მეს მის მიერ 2010 წლის 25 ნოემბერს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნახევარი – 61 ლარი, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა მორიგების აქტი წარმოადგინეს სა-

კასაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეები მორიგდებიან, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, 257-ე, 272-ე, 273-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

დამტკიცდეს მორიგება მხარეთა შორის შემდეგი პირობებით:

1. მოპასუხეები იღებენ ვალდებულებას, მოსარჩელეს გადაუხადონ 1000 აშშ დოლარი, მორიგების აქტის სასამართლოში დამტკიცებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან ორი კვირის ვადაში, რის შემდეგაც გ. შ-ს მოპასუხეების მიმართ არ ექნება რაიმე ქონებრივი პრეტენზია.

2. მოპასუხეების მიერ ამ აქტის პირველ პუნქტში მითითებული თანხის მოსარჩელისათვის ორი კვირის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში დ. და მ. ჩ-მეები ვალდებული არიან გ. შ-ს გადაუხადონ 2000 აშშ დოლარი.

შეწყდეს საქმის წარმოება, გ. შ-ს სარჩელის გამო, მ. და დ. ჩ-მეების მიმართ თანხის დაბრუნების შესახებ.

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები.

გაუქმდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 4 მარტის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და მოეხსნას ყადაღა ქ.ქუთაისში, ... ქ.№34-21-ში მდებარე დ. ჩ-მის ბინას.

დ. ჩ-მეს დაუბრუნდეს მის მიერ 2010 წლის 4 ნოემბერს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნახევარი – 89 ლარი, ხოლო მ. ჩ-მეს მის მიერ 2010 წლის 25 ნოემბერს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნახევარი – 61 ლარი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

განჩინება

ას-44-42-2012

27 აპრილი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

თ. თოდრია

დავის საგანი: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმების ბათილად ცნობა, ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

თ. ჭ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. ჯ-ის, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ფ-ის ქ.№41-ისა“ და ა. ტ-ის მიმართ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმების ბათილად ცნობისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ფ-ის ქ.№41-ის 2009 წლის 25 თებერვლის კრების №20 ოქმი ქ.თბილისში, ფ-ის ქ.№14-ში მდებარე საცხოვრებელი №33 ბინის სარდაფზე ა. ჯ-ის მფლობელობის ფაქტის დადგენისა და სარდაფის ა. ჯ-ის საკუთრებაში გადაცემის შესახებ თანხმობის ნაწილში, ბათილად იქნა ცნობილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ფ-ის ქ.№41-ის“ 2009 წლის 25 მარტის №21 კრების ოქმი ქ.თბილისში, ფ-ის ქუჩა №41-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის №33 სარდაფის ა. ჯ-ის საკუთრებაში გადაცემის შესახებ, ბათილად იქნა ცნობილი 2010 წლის 2 თებერვალს ა. ჯ-ესა და ა. ტ-ეს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ქ.თბილისში, ფ-ის ქუჩა №41-ში მდებარე 10 კვ.მ №33 სარდაფის ა. ტ-ის საკუთრებაში გადაცემის ნაწილში, ქ.თბილისში, ფ-ის ქუჩა №41-ში მდებარე 10 კვ.მ №33 სარდაფი აღირიცხა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ფ-ის ქ. №41-ის“ საკუთრებად.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ა. ჯ-ემ გასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილებით ა. ჯ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და თ. ჭ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ა. ჯ-ემ შეიტანა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება.

საკასაციო სასამართლოში თ. ჭ-ის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის განხილვის დროს მხარეებმა შუამდგომლობით მიმართეს სასამართლოს მათ შორის მორიგების დამტკიცების შესახებ შემდეგი პირობებით:

1. ა. ტ-ე თმობს თავის საკუთრებას – ქ.თბილისში, ფ-ის ქ.№41-ში მდებარე №33 სარდაფს, თ. ჭ-ის სასარგებლოდ და თანახმად, აღნიშნული სარდაფი აღირიცხოს თ. ჭ-ის საკუთრებად;
2. ა. ჯ-ე იღებს ვალდებულებას, ამ მორიგების აქტის ხელმოწერიდან 2 (ორ) თვეში ჩაატაროს შემდეგი სამუშაოები – სარდაფში ჩასასვლელი კიბის დემონტაჟი და, შესაბამისად, ბინიდან სარდაფში შესასვლელი ღიობის იზოლირება;
3. ა. ტ-ე ვალდებულია, შეავსოს – ამოაშენოს გასასვლელი ღიობი №33 სარდაფიდან №31 სარდაფში, ასევე №33 სარდაფი გამოათავისუფლოს საკუთარი ნივთებისაგან;
4. ა. ტ-ე იღებს ვალდებულებას – ხელუხლებელი და გაუმჯობესების სახით დატოვოს სარდაფის იატაკი მონოლითური ბეტონით და მოხვეწილი თანამედროვე მეტლახით, კედელზე არსებული ელექტროგამანაწილებელი კოლოფებით, მეტალოპლასტმასის თანამედროვე ფანჯრებით (გამწოვით) ქუჩის მხარეს ამოდებული ფანჯრის ნიშით შესაბამისი გისოსებით;
5. თ. ჭ-ე ვალდებულია, ამ მორიგების აქტის ხელმოწერიდან 1 თვის ვადაში გადაუხადოს ა. ტ-ეს 4000 ლარი, ასევე ა. ჯ-ეს გადაუხადოს მის მიერ სააპელაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 150 ლარი;
6. ამ მორიგების აქტის პირველ პუნქტში გათვალისწინებული №33 სარდაფის თ. ჭ-ის სახელზე საჯარო რეესტრში დარეგისტრირება მოხდეს მას შემდეგ, რაც თ. ჭ-ე გადაუხდის ა. ტ-ეს ამ მორიგების მე-4 პუნქტში განსაზღვრულ 4000 ლარს და ა. ჯ-ეს – 150 ლარს;
7. თ. ჭ-ე იღებს ვალდებულებას, რომ ა. ჯ-ეს არ შეუშალოს ხელი მის კუთვნილ ბინაში, რომელიც ფაქტობრივად მდებარეობს №33 სარდაფის თავზე, ქუჩის მხრიდან შესასვლელის გაკეთებაში, რადგან ა. ჯ-ის ბინის ფანჯრის ღიობი და №33 სარდაფის საჭარო ღიობი პერპენდიკულარულად ემთხვევა ერთმანეთს და გარედან კიბის გაკეთების შემთხვევაში კიბე აღმოჩნდება №33 სარდაფის საჭარო ღიობის თავზე, რაზეც მას პრეტენზია არ ექნება;
8. თ. ჭ-ე ვალდებულია, ქ.თბილისში, ფ-ის ქ.№41-ში მდებარე №33 სარდაფთან წარმოშობილ ნებისმიერ ხარჯებს, კერძოდ, №33 სარდაფის საჯარო რეესტრში დარეგისტრირების შემდეგ გადაიხადოს საგადასახადო გადასახადი და სხვა ნებისმიერი გადასახადი, რაც უკავშირდება აღნიშნული სარდაფის დარეგისტრირებას და სხვა უფლებრივ მდგომარეობას, ასევე, ყველა ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებას იღებს თ. ჭ-ე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, თვლის, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის 1-ელი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორ თ. ჭ-ეს უნდა დაუბრუნდეს ა. გ-ძის მიერ 2012 წლის 9 იანვარს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა მორიგების აქტი წარმოადგინეს საკასაციო სასამართლოს მთავარი სხდომის დაწყებამდე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად კი, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

დამტკიცდეს მორიგება თ. ჭ-ეს, ა. ჯ-ეს, ა. ტ-ესა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ფ-ის ქ.№41-ის» თავმჯდომარე ხ. ნ-ეს შორის შემდეგი პირობებით:

1. ა. ტ-ე თმობს თავის საკუთრებას – ქ.თბილისში, ფ-ის ქ.№41-ში მდებარე №33 სარდაფს, თ. ჭ-ის სასარგებლოდ და თანახმად, აღნიშნული სარდაფი აღირიცხოს თ. ჭ-ის საკუთრებად;
2. ა. ჯ-ე იღებს ვალდებულებას, ამ მორიგების აქტის ხელმოწერიდან 2 თვეში ჩაატაროს შემდეგი სამუშაოები – სარდაფში ჩასასვლელი კიბის დემონტაჟი და, შესაბამისად, ბინიდან სარდაფში შესასვლელი ღიობის იზოლირება;
3. ა. ტ-ე ვალდებულია, შეავსოს – ამოაშენოს გასასვლელი ღიობი №33 სარდაფიდან №31 სარდაფში, ასევე №33 სარდაფი გამოათავისუფლოს საკუთარი ნივთებისაგან;
4. ა. ტ-ე იღებს ვალდებულებას – ხელუხლებელი და გაუმჯობესების სახით დატოვოს სარდაფის იატაკი მონოლითური ბეტონით და მოხვეწილი თანამედროვე მეტლახით, კედელზე არსებული ელექტროგამანაწილებელი

კოლოფებით, მეტალოპლასტმასის თანამედროვე ფანჯრებით (გამწოვით) ქუჩის მხარეს ამოღებული ფანჯრის ნიშით შესაბამისი გისოსებით;

5. თ. ჭ-ე ვალდებულია, ამ მორიგების აქტის ხელმოწერიდან 1 თვის ვადაში გადაუხადოს ა. ტ-ეს 4000 ლარი, ასევე ა. ჯ-ეს გადაუხადოს მის მიერ სააპელაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 150 ლარი;

6. ამ მორიგების აქტის პირველ პუნქტში გათვალისწინებული №33 სარდაფის თ. ჭ-ის სახელზე საჯარო რეესტრში დარეგისტრირება მოხდეს მას შემდეგ, რაც თ. ჭ-ე გადაუხდის ა. ტ-ეს ამ მორიგების მე-4 პუნქტში განსაზღვრულ 4000 ლარს და ა. ჯ-ეს – 150 ლარს;

7. თ. ჭ-ე იღებს ვალდებულებას, რომ ა. ჯ-ეს არ შეუშალოს ხელი მის კუთვნილ ბინაში, რომელიც ფაქტობრივად მდებარეობს №33 სარდაფის თავზე, ქუჩის მხრიდან შესასვლელის გაკეთებაში, რადგან ა. ჯ-ის ბინის ფანჯრის ღიობი და №33 სარდაფის საჰაერო ღიობი პერპენდიკულარულად ემთხვევა ერთმანეთს და გარედან კიბის გაკეთების შემთხვევაში კიბე აღმოჩნდება №33 სარდაფის საჰაერო ღიობის თავზე, რაზეც მას პრეტენზია არ ექნება;

8. თ. ჭ-ე ვალდებულია, ქ.თბილისში, ფ-ის ქ.№41-ში მდებარე №33 სარდაფთან წარმოშობილ ნებისმიერ ხარჯებს, კერძოდ, №33 სარდაფის საჯარო რეესტრში დარეგისტრირების შემდეგ გადაიხადოს საგადასახადო გადასახადი და სხვა ნებისმიერი გადასახადი, რაც უკავშირდება აღნიშნული სარდაფის დარეგისტრირებას და სხვა უფლებრივ მდგომარეობას, ასევე, ყველა ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებას იღებს თ. ჭ-ე.

შეწყდეს სამოქალაქო საქმის წარმოება თ. ჭ-ის სარჩელის გამო ა. ჯ-ის, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ფ-ის ქ.№41-ისა» და ა. ტ-ის მიმართ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმების ბათილად ცნობისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ.

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები.

კასატორ თ. ჭ-ეს (პირადი №...) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის საგირავნო-სადეპოზიტო ანგარიშიდან დაუბრუნდეს (სს ბანკი „რესპუბლიკა» ბანკის BIK კოდი: REPLGE22, მიმღების IBAN ანგარიშის № GE79 BR00 0000 0033 0500 01) 2012 წლის 9 იანვარს №3 სალაროს შემოსავლის ორდერით ა. გ-ძის მიერ გადახდილი 300 ლარი.

განემართო მხარეებს, რომ სასამართლოში დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საფუძველითა და იმავე საგანზე დაუშვებელია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.